

იონანე პეტრიჭის ურობები

ტომი I

პროკლე დიადოხოსისა
კლატონუსისა ფილოსოფოსისა
კავშირნი

ქართული ტექსტი გამოხცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო
სიმ. ყაუხჩიშვილმა.

შესავალი სტატია—მოსე გოგიბერიძისა

სტალინის სახელობის თ. ს. უ. გამომცემლობა

თბილისი 1940

დაიბეჭდა ტექნიკა და შრომა“-ს სტამბაში
გამომცემლობის შეკვეთ. № 1; გადაეცა
წარმოებას №/I—38, ხელმოწერილია
დასაბეჭდად 11/VI — 40, მთავლი-
ტის № ა-1887. შეკვეთის № 13;
ქაღალდის ზომა 72×108
ანაწყობის ზომა 7×11
ტირაჟი 1600

შ ი ნ ა ა რ ს ი

Addenda et corrigenda	VIII—IX
იოანე პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა—პროფ. მოხე გოგობერიძისა	XI—XCIV
შესავალი	XI—LXXXVII
<p style="margin-left: 20px;">§ 1 იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა (XI—XVIII).—§ 2 იოანე პეტრიწი და „კავშირნი“ (XVIII—XXI).—§ 3 „განმარტების“ ავტორის საკითხი (XXII—XXVI).—§ 4 იოანე პეტრიწის წყაროები: პლატონი (XXVII—XXXI), არისტოტელე (XXXI—XXXIV), პარმენიდე (XXXIV—XXXV), გრიგოლ ნაზიანზელი (XXXV—LII).—§ 5 იოანე პეტრიწის ენა: ზმნა (LIII—LIX), ზედსართავი სახელები (LIX—LXII), სინტაქსი (LXIII—LXVIII).—§ 6 ხელთნაწერები (LXVIII—LXXXVII).</p>	
პროკლე დიადოხოსისა, პლატონურისა ფილოსოფოსისა, კავშირნი (ელინურიდან ქართულად თარგმნილი იოანე პეტრიწის მიერ	1—126
ლექსიკონი (პირველი ტომისათვის)	127—229
<p style="margin-left: 20px;">ბერძნულ-ქართული ლექსიკონი (129—174).—ქართულ-ბერძნული ლექსიკონი (175—229).</p>	
საძიებლები (მეორე ტომისათვის)	231—319
<p style="margin-left: 20px;">საკუთარი სახელების საძიებელი (233—234).—ბერძნული სიტყვების საძიებელი (235—241).—ქართული სიტყვების საძიებელი (242—319).</p>	

ADDENDA ET CORRIGENDA

	არახ	უ უნდა იახ
39.		
14,2	თ ვითმიმდრეკისა	თვთმიმდრეკისა
14,15	თ ვთმდრეკადრცა	თვთმიდრეკადრცა
14,33	თვთმიდრეკადრცა CDEF	თვთმდრეკადრცა AB
15,2	უკუ	უკუ
17,4	მის	მას
17,30	4 მის] მას ღა ხყო	სრულად 16 უნდა
21,36	და არ ერთ, არამედ	და არ ერთ,
21,37	ABEH	AB
27,32	თანა,	თანა
28,28	უსრულ,	უსრულ
29,4	უდარესისა უკუნეცევაძცა,	უდარესისა, უკუნეცევაძცა-
29,5	შორის.	შორის
34,27	მყოფობასა შორის	[არ]მყოფობასა შორის
40,25	სიზრავლისადმი	სიზრავლისადმი
45,6	თანაწარმოდგომილ	თანა წარმოდგომილ
46,33	ABEH	ABEGH
51,13	შორის მყოფისა	შორის-მყოფისა
51,25	განწვალეზადი	განწვალეზადი
59,10-17	რამითუ	რამეთუ
73,5	იწარმოეს	იწარმოეს,
73,6	პირველისათა,	პირველისათა
73,33	CE	C
75,19	არს	არ
82,17	უხესთაობაჲ	უხესთაესობაჲ
85,8	ბრწყინვალეზანი,	ბრწყინვალეზანი.
90,1	მიერ	მიერ.
93,30	და თვთ AB	თვთ AB
106,14	შორის	შორის.
II ტომში		
4,28	აგებულეზისა	აგებულეზისაჲ
—	განყოფილეზისა	განყოფილეზისაჲ.
6,24	ჭკვიან	ჭკვან
12,33-13,1	მეზესთაესსა	მეზესთაესა
19,8	პარენიდი	პარმენიდი
20,14	იგრცა	იგრ ცაჲ
24,6	ნამდვილ	ნამდვლ
25,16	არსი;	არსი?
25,18	არაობისაგან	არაობისგან
25,29	შემთხვეულთა.	შემთხვეულთა.

გვ.	არის	უნდა იყოს
26,10	აგებული.	აგებული
27,7	შერთებული	შერთებული
28,13	შერთებულ	შერთებულ
41,11	მათი.	მათი?
42,17-18	ყოველსა:	ყოველსა
52,11	დავსებულთა,	დავსებულთა
55,7	არსა	არსა
61,7	არამედ	არამედ
62,21	განჯლოფი	განჯლო
63,34	უშე არს	უშე არს,
63,35	უნაყოფო	უნაყოფო,
71,12-13	თვთ ცხორება	თვთცხორება
72,26	იგივეობისაგან,	იგივეობისაგან
80,6	დაუმსკუთლავნ	დაუმსკუთლავნ
80,15	გვართაჲსა	გვართაჲსა
81,31-32	დაუმსკუთლავნ	დაუმსკუთლავნ
82,23	იკუნქცევაჲ	უკუნქცევაჲ
87,26	იკუნ	უკუნ
88,15	უკუნ.	უკუნ
96,7	ლა	და
100,6	ქსენ[ოფან]ი	ქსენი
111,30	დამცუელი	დამცეელი
119,31	თანა	თანა [გუაქ]
120,31	ოთხრა	ოთხთა
123,31	წარმომაცუნებულ	წარმომაცუნებულ
165,29	აღმქმნულთაჲ	აღქმნულთაჲ
172,3	დი	და
178,25	არიან.	არიან,
181,6-7	უსახლეროობდამდე	უსახლეროობდამდე
203,13	ხედაჲ	ხედვაჲ
219,23	ჩუენდაო	ჩუენდაო
220,27	სიტყუათასა.	სიტყუათასა,
222,4-5	ესთა ვითარმედ,	ესთა, ვითარმედ
225,7	რასამე	რასმე

შენი შენა: რომელსა პაგინაციაში XCVI გვერდს შეცდომით მოჰყვება გვერდი XI—LXXXVII, უნდა იყოს XCVII—CLXXXIII.

ი თ ა ნ ე ჯ ე ტ რ ი წ ი

და

მისი მსოფლიმხედველობა

იოანე კებრიჭი

და

მისი მსოფლმხედველობა

1. საქართველოს სახელმწიფო XI—XII საუკუნეში

XI—XII საუკუნის მიჯნაზე ქართველების მეთაურობით შავსა-და კასპიის ზღვას შორის დიდი სახელმწიფო წარმოიშვა. მისი პო-ლიტიკური სახე და სოციალური კულტურა ფეოდალური მონარქიის ტიპისა იყო.

არა მარტო სამუსულმანო ქვეყნების წინააღმდეგ გამართული სახელგანთქმული ომები არის აღნიშნული ამ ეპოქის აღმწერ ისტო-რიულ წყაროებში, არამედ მწვავე და ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლები და სამოქალაქო ომები.

ახლად ჩამოყალიბებულ ძლიერ ფეოდალურ მონარქიას, მის ხელმძღვანელებსა და დამცველებს მოსვენებას არ აძლევენ, ე. წ. დიდ-გვაროვანი აზნაურები, ე. ი. პარტიკულარული ფეოდალიზმის წარ-მომადგენელი; ფეოდალიზმის დამახასიათებელი სტილის მიხედვით, ეს სოციალური და კლასობრივი ბრძოლები, ე. წ. „განდგომითა“ და დიდგვაროვანთა ღალატით იწყება. ხშირად გამოჩენილი ქართვე-ლი მეფეები უსასტიკესი ზომებით ანადგურებენ განდგომილთ, მაგ. გიორგი მესამე, ხშირად კი ისინი იძულებულნი არიან კომპრომისის გზას დაადგნენ, მიმართონ დიპლომატიას და დათმობას რეაქციო-ნურ დიდგვაროვანთა წრის მიმართ, მთავრობენ ეს უკანასკნელი „გვარით უაზნო“, მაგრამ მონარქიისათვის ერთგულ და საჭირო სო-ციალურ ფენასთან, „რომელსაც აღამალლებს სიმდიდრე“, მაგ. ასე მოიქცა თამარ მეფე.

მიუხედავად ამ მწვავე კლასობრივი ბრძოლებისა, რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ისტორიის, ე. წ. ოქროს ხანა, საქართველოს ფეოდალურმა მონარქიამ მაინც შესძლო თითქმის 200 წლის მანძილზე მალალი საგარეო პრესტიჟი შეენარჩუნებია და შემოქმედებითი ხელით ჩარეოდა იმდროინდელი ორი მსოფლიოს, არაბობისა და საქრის-ტიანო დასავლეთის, ურთიერთობაში. ამით მან თავისი წვლილი შეიტანა საკაცობრიო კულტურის საღაროში.

ჩვენი საისტორიო მწერლობის მიხედვით მეფე ბ ა გ რ ა ტ მე-ს ა მ ი დ ა ნ იწყება საქართველოს გაერთიანების პროცესი, ე. ი. უკვე X საუკუნის დამლევიდან იწყება ბრძოლა ფეოდალთა ასალაგმავად და აბსოლუტური ხელისუფლების შესაქმნელად. ეკონომიური ბაზა ამ მოძრაობისათვის, საკუთარ ნაციონალურ სოციალ-ეკონომიურ ძალთა განვითარების გარდა, მოამზადა აგრეთვე არაბების ბატონო-

ბამ კავკასიაში. პატარა საქართველო არაბების მსოფლიო იმპერიის ფარგლებში მოქცეული, გზად იქცევა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, იგი განიცდის არა მარტო დამპყრობელის სუსხს, არამედ მასზე მალა მდგომი არაბული ეკონომიკის და ცივილიზაციის ზეგავლენასაც. და როცა მე-10 საუკუნეში მსოფლიოზე გაბატონებული ხალიფატის ცნობილი დეგრადაცია დაიწყო და არაბობის ექსპანსია პერიფერიებში შესუსტდა, ბუნებრივია, რომ ქართველობა განთავისუფლების ძებნას იწყებს. ამ პროცესისათვის კი აუცილებელი იყო ცენტრალიზირებული ხელისუფლების გაჩენა და ასეთი ხელისუფლებისათვის დამახასიათებელი სოციალური ატრიბუტების ჩამოყალიბება.

ეს პროცესი დაამთავრა დავით აღმაშენებელმა. მან არა მარტო ქართველები გააერთიანა, არამედ ჩამოდენიშე უცხო სახელმწიფო წაახდინა და უცხო ერები დაიპყრო.

დაპყრობა და თარეში საშუალო საუკუნეებში უდიდესი ეკონომიური ექსპანსია იყო: ფრ. ენგელსი ამბობს, რომ ფეოდალიზმის დროს დაპყრობითი ომები მარტო ტერიტორიების გადიდებას კი არ ისახედნენ მიზნად, არამედ უმთავრესად ქონებისა და ნადავლის მოპოვებასო. დავით აღმაშენებელმა ტერიტორიაც გაადიდა და უამრავი ნადავლითაც გაავსო თავისი ქვეყანა.¹ მან თავისი უკანასკნელი და უდიდესი გამარჯვებით არაბობაზე 1121 წელს მსოფლიო სახელიც მოიპოვა.

61.000 კარგად გაწრთვნილი ჯარისკაციდან, რომელიც 15 აგვისტოს ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობდა, 1000 კაცი ფრანგი ჯვაროსანი იყო, და როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა დიდად გამოიყენა, ჯვაროსანთა მოძრაობით გამოწვეული, სამუსულმანო ქვეყნების შესუსტება.

დავით აღმაშენებელი იყო არა მარტო გამოჩენილი მეომარი, არამედ დიდი ორგანიზატორიც. მან პირველად შექმნა ცენტრალიზირებული სახელმწიფოს უცილობელი ატრიბუტი, რეგულარული არმია, რადგან ამ საქმეში საკუთარი ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი მთლად სანდო არ იყო, მან მოახდინა ყივჩაყთა ცნობილი გადმოსახლება საქართველოში და შექმნა სახელმწიფო არმიისათვის უცილობელი ერთგული და დამრტყმელი ბირთვი. არმია მეფემ გამოიყენა არა მარტო უცხო ქვეყნების დასაპყრობად, არამედ საკუთარი ფეოდალების ასალავმავადაც. ბრძოლა დიდ გვაროვან ფეოდალების პარტიკულარიზმთან ადვილი საქმე რომ არ იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ხშირად ეს ქართველი ფეოდალები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ მათ ანგარიშს უწევდნენ უცხო ქვეყნის მეფეები.

ბიზანტიის იმპერატორები კუროპალატის ტიტულს ანიჭებდნენ არა მარტო ქართველ მეფეებს, არამედ ქართველ თავადებსაც¹.

დავით აღმაშენებლის ისტორია არის ისტორია დიდგვაროვან ფეოდალთა გადაყენებისა, როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო უწყებიდან და მათი ადგილის დაქერისა, თუმცა „უაზნო“, მაგრამ მეფისათვის სანდო პირების მიერ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღმაშენებელი დემოკრატიით იყო აღფრთოვანებული, იგი დაეძებდა ახლად წარმოშობილი მრავალერიანი სახელმწიფოსათვის სანდო ელემენტებს და ამისათვის ცდილობდა შეექმნა სახელმწიფო მოხელეთა მტკიცე კორპორაცია, რომელიც მოქნილი იარაღი იქნებოდა ცენტრალიზირებული მონარქიის ხელში. დაწყებული რომის იმპერატორებიდან, გათავებულთ, ე. წ. განათლებული აბსოლუტიზმით, მონარქიზმის ისტორია სავსეა ასეთი „დემოკრატიზმის“ მაგალითებით.

ფეოდალური მონარქიის დაპყრობითი ომებისათვის საჭირო იყო ფული, ამიტომ დავით აღმაშენებელი ყოველ მხრივ იცავდა ფულის მქონეთა ინტერესებს, ხელს უწყობდა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას, აშენებდა გზებს. მშვენიერი სავაჭრო გზები გადასერაედნენ იმდროინდელ საქართველოს შავი ზღვიდან კასპიამდე, ბაღდადის ხალიფატიდან ჩრდილო კავკასიამდე, სავაჭრო გზებსა და ფულის პატრონებს დაცვა ესაქიროებოდათ ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ძალმომრეობისა, ქურდობისა და ცარცვა-გლეჯისაგან; ქართველი მეფეები ყოველივე ღონისძიებას ხმარობდნენ ამ მიმართულებით. გიორგი მესამემ განსაკუთრებულ საკანონმდებლო კრებას გამოამუშავებინა უსასტიკესი კანონები „პარეისა და ავაზაკობის“ წინააღმდეგ და არა ერთი და ორი ასეული პარეაში და ავაზაკობაში შემჩნეული პირი ჩამოახრჩობინა².

ერთის სიტყვით, პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში დიდი პროგრესიული ძერები ხდებოდა; მაგრამ, რასაკვირველია, ეს უფრო პოლიტიკურს სუეროს ეხებოდა, ვიდრე ეკონომიურს; სავაჭრო კაპიტალის ზრდის მიუხედავად, ქვეყნის ეკონომიკა მაინც ნატურალისტური რჩებოდა, სახალხო მეურნეობის საფუძველს მაინც სასოფლო-სამეურნეო წყობა წარმოადგენდა. ეს იყო გარემოება, რომელიც საშიშროებას შეიცავდა, რომ პოლიტიკური აქტით ნაჩქარევად აშენებული ძლიერი სახელმწიფო რომელისამე მოულოდნელი პოლიტიკური აქტის გამო დაინგრეოდა.

ყოველმხრივ გაფართოებული სოციალური ყოფა მოითხოვდა კულტურისა და ლიტერატურის გაზრდასა და გაფართოებას. იმდრო-

¹ იხ. Н. Скабзашович: „Власть, государство и церковь в XI в.“ ст. 152.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი. „ქართული სამართლის ისტორია“.

ინდელი პირობების მიხედვით, ეს ეკლესიის გარეშე არ შეიქმნებოდა, და დავით აღმაშენებლის ცდა მიმართულია იმისაკენ, რათა ეკლესიაც მონარქიას დაექვემდებაროს. არაბთა ისტორიკოსების გადმოცემის თანახმად, დავით აღმაშენებელი დიდად იყო დაინტერესებული იმდროის მოწინავე არაბული ცივილიზაციით და დიდი პატივისმცემელი იყო იმდროინდელი არაბული პოეზიისა და ფილოსოფიისა. როგორც ეტყობა, პირადად სარწმუნოების მიმართ ეროგვარ ტოლერანტს იცავდა, მაგრამ პოლიტიკური მოსაზრებიდან გამოსული, იგი თვალსაჩინო თანხებს ხარჯავდა ეკლესიებისა და მონასტრების მშენებლობაზე; მისი ბრძანებით აშენდა გელათი და შოფწყო იქ ქართველთა პირველი უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც მეფის განზრახვით უნდა ყოფილიყო მეორე იერუსალემი და მეორე ათენი ერთსადაიმავე დროს, ე. ი. გელათის აკადემია უნდა ყოფილიყო არა მარტო ქრისტიანობის დასაყრდენი, არამედ ფილოსოფიისა და მეცნიერების კერაც.

გელათში მოღვაწეობდა დავით აღმაშენებლის ეპოქის უდიდესი ქართველი მოაზროვნე და, როგორც ეტყობა, დავითისავე მოწვევით იქ ჩამოსული, იოანე პეტრიწი.

დავით აღმაშენებლის შემდეგ ქართული ფეოდალური მონარქიის განვითარების გზაზე პრინციპულად ახალი აღმართები მომხდარა. თამარ მეფის ეპოქაში განვითარების ხაზი დასრულდა, რის გაკეთება კი შეეძლო ფეოდალიზმზე დაყრდნობილ აბსოლუტიზმს, საბოლოოდ დამთავრდა და აქა-იქ დეგრადაციის აჩრდილიც გამოჩნდა. ორი უდიდესი გამარჯვებით, რომელიც თამარ მეფის საბრძოლბას წილად ხედა მესულმანურ ქვეყანასთან ბრძოლაში, საქართველოს სამეფოს საგარეო პრესტიჟი და რეალური სამხედრო ძლიერება იმდენად გაიზარდა, რომ ბიზანტიის იმპერიის ცნობილი კატასტროფის ხანაში, სახელდობრ 1204 მოძღვენო წლებში, თამარ მეფე გამოჰყოფს ბიზანტიის დაავადებული და დანგრეული სხეულიდან მეზობელ ტერიტორიას და დააარსებს ე. წ. ტრაპეზუნდის იმპერიას, რომლის საიმპერატორო ტახტზე დასჯამს თავის ნათესავსა და მის კარზე აღზრდილ კონსტანტინე პრინცს¹, ე. ი. ბიზანტიაში გაიჩენს ვასალურ სახელმწიფოს². ქართული პარტია—ძალიან დიდხანს წარმოადგენდა ტრაპეზუნდის იმპერიის ისტორიაში მმართველ ძალას და საგრძობ წინააღმდეგობას უწევდა კონსტანტინეპოლელ პალეოლოგებს, როგორც ეს მშვენიერად დაამტკიცა ფ. უსპენსკიმ.

თამარის მეფობაც ერთობ მდიდარია კლასობრივი ბრძოლებით და სოციალური გარდატეხებით. თუ რა სიმაღლემდე ასულა ამ ეპოქის

¹ იხ. Ф. И. Успенский в: „Очерки по истории трапезунтской империи“, ст. 23—32.

² იხ. Krumbacher: „Byz. Literaturgeschichte“, გვ. 1049.

სოციალური განვითარება, ნათლად ჩანს ყუთლუ-არსლანის აჯანყებიდან. კლასობრივი ბრძოლის ეს იშვიათი ნიმუში, რომელიც ძალიან მალალ სოციალურ განვითარებაზე მიუთითებს, სამწუხაროდ საფუძვლიანად შესწავლილი არ არის.

ყუთლუ-არსლანი მეკურკულეთ-უხუცესი ყოფილა თამარის ვაზირატში, ე. ი. ფინანსთა მინისტრი, თამარ მეფის ისტორიკოსი მას „ბიჭად“ მოიხსენიებს, „ქართლის ცხოვრება“ პირდაპირ ამბობს, რომ იგი „უაზნოთა“ წრიდან არის გამოსული, მაშასადამე, წვერია იმ სოციალური წრისა, რომელსაც „ალამაღლებს სიმდიდრე“. ამ „მესამე წოდების“ წარმომადგენელს ერთგული სამსახურისათვის თამარის მამამ ვაზირობა მისცა და მდიდარ ტფილისელ ვაჭართა წრის ლიდერი, ეს უგვარო ფინანს-მინისტრი, დიდგვაროვანთა ერთერთი მორიგი განდგომისა და გაფიცვის მომენტში, როცა თამარ მეფემ რეაქციას დაუთმო, გაილაშქრებს თამარის დათმობისა და კომპრომისის წინააღმდეგ და მეფეს წაუყენებს ულტიმატუმს: „ითხოვა კარავი დაღმად ველსა ჰისანისასა და სანახებსა საგოდებლისსა და თქუა: „დასხდომილნი მუნ შიგან, განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი, ეკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს შეფესა და დედოფალსა და მაშინ-ლა სრულ იქმნებოდეს განგებული ჩვენი“¹, ე. ი. ყუთლუ-არსლანს პარლამენტარული სისტემის შემოღება, მეფის უფლების შეზღუდვა და მთელი მართვა-გამგეობის, კანონმდებლობისა და სხვა „კარავის“ ე. ი. ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადასვლა მოუთხოვია. ქართველ მეფეს ის-ლა უნდა ფარჩენოდა, რომ კარავი-პარლამენტის გადაწყვეტილებისათვის სანქცია გაეკეთებია, მას უფლებაც კი არ უნდა ჰქონებოდა „კარავის“ სხდომებზე დასწრებისა. ეს გაბედული იდეები ჩვენს გაკვირვებას იწვევენ და ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა მალალ დონემდე ასულა ჩვენი ხალხის სოციალური განვითარება თამარის ეპოქაში. სიმდიდრით ამალღებულთა ამ მოთხოვნამ თამარ მეფე კიდევ უფრო გააკვირვა და გაარისხა, ვიდრე დიდგვაროვან აზნაურების განდგომებმა, მან ყუთლუ-არსლანი შეიპყრო. ამ ამბავს შესაძლოა „მესამე წოდების“ აჯანყება მოჰყოლოდა, მაგრამ თამარი ამ შემთხვევაში დიპლომატიისა და კომპრომისის გზას დაადგა და, როგორც ეტყობა, რალაც საერთო ენა გამოიხატა „სიმდიდრით აღმალღებულებთან“.

თამარის დროს საქართველოს სახელმწიფო ფარგლები უდიდესად გაიზარდა, კიდევ უფრო დიდი იყო რიცხვი ვასალურ მდგომარეობაში მყოფ მეზობელ სახელმწიფოთა და თამარის პოლიტიკა ცდილობდა მრავალერიათი სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველი ყოფილიყო. ეს პოლიტიკა პატივისცემით ეპყრობოდა მეზობელ ხალხების კულტურასა და თავმოყვარეობას, რასაკვირველია,

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი: „საქართველოს ისტორია“ II, გვ. 577.

იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც პატივისცემის გამოჩენა შეუძლია დამპყრობელს და პატრონს დაპყრობილისა და ყმის მიმართ.

კიდევ უფრო დიდი იყო კულტურული აღორძინება თამარის ეპოქისა. მართალია, მტკიცე ნაციონალური სახელმწიფო ვერც დავით აღმაშენებელმა შექმნა და ვერც თამარ მეფემ, მაგრამ მთლიანი ნაციონალური კულტურა ყოველ შემთხვევაში შექმნილი იყო. სხვა ისტორიულ ფონზე რუსთაველის დაბადება წარმოუდგენელია. თუ იოანე პეტრიწი იყო მწვერვალი ქართული კულტურისა დავით აღმაშენებლის დროს, შოთა რუსთაველი თამარის ეპოქის ნაციონალური აღორძინების ლამპარი იყო და საქართველოს ისტორიის ოქროს ხანის უდიდესი დაგვირგვინება.

იოანე პეტრიწი და რუსთაველი ჩვენი ისტორიული წარსულის ორი დიდი გზაა. უამრავი ისტორიული ჭირვარამის მიუხედავად, მაინც შესძლეს ქართველებმა ამ გზით სვლა ისტორიულ ქარტახილებში და თავისი კულტურის გადარჩენა. თავისთავად ცხადია, რომ პეტრიწი და რუსთაველი მარტო არ ყოფილან, მათ გვერდს უმშვეებდა შემოქმედებით მუშაობა კულტურის ყველა დარგში, ოქრომკედლობიდან დაწყებული მხატვრობითა და ხუროთმოძღვრებით გათავებული. ქართველი მხატვარი, რომელმაც მოსატა ბეთანიისა და უბისის კედლები და ქრისტიანული კულტის ფერებში ცოცხალი ადამიანური ვნება ააღაპარაჟა, ლეონარდო დავინჩისა და მიქელ-ანჯელოს გენიის მსგავსად, ცხადია, რომ იყო რუსთაველი თავისი საქმისა.

2. ძარბული კულტურის ორი ისტორიული გზა

ქართული კულტურის ფესვები შორეულ ისტორიულ წარსულშია მოთავსებული. მაგრამ მისი ინტენსიური განვითარების ეპოქა იწყება X საუკუნის დამლევადან, ე. ი. საქართველოს გაერთიანების დაწყების ეპოქიდან. ინტერნაციონალური ღირებულებების მქონე მოვლენად იგი იქცა XI საუკუნის დამლევს და მსოფლიო კულტურის ისტორიაში თავისი წვლილი შეიტანა XII—XIII საუკუნეში.

XII საუკუნის ქართული კულტურის ისტორია ჩინებული მაგალითთა ბურჟუაზიულ მეცნიერთა იმ არაისტორიული შეხედულებების გასაბათილებლად, რომელსაც საშუალო საუკუნეები ანტიკურ მონათფლობელობაზე უფრო უკან მდგარ ისტორიულ ფორმაცად მიაჩნდა, რომელიც საშუალო საუკუნეებში ისტორიული, პროგრესის შეჩერებას ხედავდა. ეს აღრინდელი ბურჟუაზიული მეცნიერების ისტორიული ნიპილიზმი გაანადგურეს ისტორიული მატერიალიზმის შემქმნელებმა. აი რას წერს ისტორიის ასეთი გაგების წინააღმდეგ ფრ. ენგელსი:

„არაისტორიული შეხედულება ბატონობდა ისტორიის სფეროშიაც. ბრძოლას საშუალო საუკუნეების გადმონაშთთა წინააღმდეგ

აქ შორისმკვრეტელობა დაუბნელებია. საშუალო საუკუნეები მიჩნეული იყო ისტორიის უბრალო შეწყვეტად ათასწლოვანი საყოველთაო ბარბაროსობის ზეგავლენის გამო; ვერავინ ამჩნევდა საშუალო საუკუნეების დიდ პროგრესს—გაფართოებას ევროპის კულტურის სფეროისა, წარმოშობას სიცოცხლის უნარის მქონე დიდი ნაციებისა, რომლებიც აქ ერთიმეორის გვერდით ყალიბდებოდნენ, დასასრულ; მე-14 და მე-15 საუკუნის უმაგალითოდ დიდ ტექნიკურ პროგრესს—ყოველივე ამას ვერ ხედავდნენ. ამით კი დიდ ისტორიულ მოვლენათა რაციონალური გაგება შეუძლებელი იყო და ისტორია უკეთეს შემთხვევაში იყო მაგალითებისა და ილუსტრაციების კრებული, დანიშნული ფილოსოფოსთა მოხმარებისათვის¹.

მარქსმა და ენგელსმა, გაანადგურეს რა ეს ისტორიული ნიჰილიზმი, დაასაბუთეს, რომ თითოეული ისტორიულად მომდევნო ფორმაცია არის ამავე დროს საზოგადოების ეკონომიურად ჩამოყალიბების პროგრესიული ეპოქაც. მაშასადამე, არც ერთი ფორმაცია არ შეიძლება წარმოადგენდეს საერთო ისტორიის პროგრესიული მსვლელობის შეჩერებას, რომ თითოეულმა ფორმაციამ და მათ შორის ფეოდალურმაც შეასრულა თავისი მოვალეობა ისტორიის განვითარების გზაზე.

რადგან უძველესი ქართული კულტურა ქრისტიანიზმთან იყო დაკავშირებული, ცხადია, პირვანდელი ლიტერატურული ძეგლები ქრისტიანიზმის პროპაგანდის საკითხებს ემსახურებიან და გარკვეულ ისტორიულ გარემოებათა გამო სირიულ-ბერძნული ქრისტიანული მწერლობიდან ამოდიან. ძალიან ადრე ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობა წელში იმართება და ბერძნულისაგან დამოუკიდებელი ხდება. იგი ქართულ ნაციონალურ კოლორიტსა და სპეციფიურობას იძენს.

თავდაპირველად ქართველებისათვის ქრისტიანობა ისტორიული ფსევდომორფოზა იყო. მონათმფლობელური რომის იმპერიის დეგრადაციის საშოდან დაბადებული ქრისტიანიზმი, მოწყენილი და მოღუნებული, სტოელთა დეკადანსური მორალიზმით შეფერადებული, სასაფლაოსა და საიქიოს აპოთეოზი, აბა რა ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდა სასხლითა და ხორციით საესე ახალგაზრდა ხალხისათვის! ამიტომ ქართულ ეკლესიაში ქრისტიანობის ქურქში ბევრი არაქრისტიანული სულისკვეთება და სოფლგაგება იყო გამოწყობილი.

და აი ახლა, აღორძინების ხანის დასაწყისშივე, ეს თავისებურება თავს იჩენს ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში. უდიდესი, ძველ ქართველ საეკლესიო მწერალთა შორის, გიორგი მერჩული არის ქართული ორიგინალური შემოქმედების საფუძვლის ჩამყარელი. ნიკო მარის მიერ აღმოჩენილი და დიდი

¹ ი. ხ. ფრ. ენგელსი: „Ludwig Feuerbach etc.“, გვ. 20—21.

ოსტატობით გამოცემული გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“¹ არის ის ნაწარმოები, რომელიც ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შედევრად შეიძლება იქნეს მიჩნეული. აქ ჰაგიოგრაფიული ლეგენდის და საეკლესიო საქმეების დალაგების უკან ამოფარებულია წმინდა რომანტიკული ნოველები, საიდანაც იზღროინდელი მკითხველი ხედავდა ქრისტიანული ასკეტიზმისაგან განსხვავებულ მეორე ქვეყანას, ქვეყანას ხორცისა, მიწისა, სისხლისა და სიყვარულისა. მართალია, ეს „მრუშობა“ აქ დატუქსულია, მაგრამ იგი თავისას აკეთებს, მეორე ქვეყანა მისი წამკითხველისათვის აღმოჩენილია. ამის შემდეგ მკითხველის საქმეა დაუჯერებს ქრისტიანულ დოგმასა და ასკეტობასა და ბედნიერების ძებნას იმ ქვეყნისათვის გადადებს, თუ ამ ქვეყნად შეუდგება მის განხორციელებას.

მისდა უნებლიედ, გიორგი მერჩული წმინდანს რომანის დამთრობ სილამაზესა და წარმტაცებას აქადაგებინებს. რაღაც ისეთი ხდება, რასაკვირველია, სხვა საფენელითა და სხვა გარემოების ფარგლებში, როგორც ევროპიელ დიდ სქოლასტიკოსს დუნ სკოტს მოუვიდა. ქარლ მარქსმა დაასაბუთა, რომ სქოლასტიკური მსოფლმხედველობის შინაგანმა წინააღმდეგობამ დუნ სკოტი მიიყვანა იქამდე, რომ მან თეოლოგიას მატერიის არსებობა აქადაგებინა.² ასე, გიორგი მერჩულმაც წმინდანს, ბერ-მონაზნობის აპოლტეგეტს, რომანისა და სისხლის ღელვის ძალა აღმოაჩენია და მისი ძლიერება და წარმტაცება გამოამზეურებია.

ამიტომ ჩვენი აზრით მერჩული, მისდა უნებლიედ, დასაბამი შეიქნა მომდევნო საუკუნეში წარმოშობილი ქართული საერო ლიტერატურისა. იგი რუსთაველის შორეული წინაპარია.

რასაკვირველია, ჩვენი კულტურის ეს გზა მერჩულის ნეგატიურ ზმანებას არ გაჰყოლია. მან ქრისტიანული მსოფლმხედველობის ძიებისა, დასაბუთებისა და პროპაგანდის გზა-გააგრძელა. უნდა ითქვას, რომ მას ისტორიულმა შემთხვევამ ხელსაყრელი საშუალება ასპარეზი შეუქმნა. XI საუკუნის ქრისტიანული მსოფლიო აღმოსავლეთისა და დასავლეთში ამასვე აკეთებდა, იგი ყოველივე ძალას ხმარობდა, რათა გონების არგუმენტები ზეცაში მოესმინათ, იგი ჰქმნიდა სქოლასტიკურ ფილოსოფიას და რაციონალურ თეოლოგიას. ქართველებიც ამ ძიების მორევეში მოხედნენ და აქ გაშალეს თავიანთი შემოქმედება. ამავე დროს მათ თავიანთ საშუალოში ყოველმხრივ ხელის შემწყობი პირობები აღმოაჩნდათ: ალორძინების გაძლიერებისა და გაერთიანების გზაზე დამდგარი ქვეყანა, მფარველი მეფეები და

¹ Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийского, Тбк. и разск. по ар.-груз. филол. яв. Н. Я. Мерца, 1911.

² იხ. K. Marx und Fr. Engels: „Nachlass“. ტ. II, გვ. 225.

ამ მეფეების მიერ უხედად ბოძებული ეკონომიური რესურსები. ამიტომ, რომ ამ საუკუნის ქართველი სამეცნიერო და თეოლოგიური ფილოსოფიური მოღვაწეობა არც ერთს იმდროინდელი მოწინააღმდეგეებს არ ჩეხება და ზოგ რამეში კიდევაც უსწრებს. ხუთი გამოჩენილი ქართველი სქოლასტიკოსი და თეოლოგი მეთაურობს ქართული კულტურის ამ ისტორიულ გზას: ექვთიმე მთაწმიდელი, გიორგი მთაწმიდელი, ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი. რასაკვირველია, მათ დაამთავრეს ის, რაც წინაპრებმა წამოიწყეს.

ქართული კულტურის მეორე გზა აღმოსავლეთიდან მოდიოდა. არაბთა მეცნიერება და ფილოსოფია, მათი თავისუფალი ქაერით გაქლენილი ცივილიზაცია, სასანიდების ირანის საერო მწერლობა იმთავითვე ცნობილი იყო ქართველებისათვის. ამანაც, სხვათაშორის, ხელი შეუწყო ქართული საერო მწერლობის დასაწყისს. მწერლობის ეს დარგი დავით აღმაშენებლის დროს ჩნდება.

ნიკო მარი ამტკიცებდა, რომ „აბდულ-მესია“ დავით მეფის სადიდებლად დაწერილი ოდაა¹ და ჩვენი აზრით მართებულად. ამ ეპოქის საერო პოეზიიდან ბევრი რამ არის დაკარგული; რამაც ჩვენამდე მოაღწია, პოეზიის შედევრებია. და უნდა ვიფიქროთ, რომ რაც დაიკარგა, იგიც კარგი იყო.

რუსთაველი ქართული საერო პოეზიის დაგვირგვინება იყო. თავისთავად ცხადია, რომ ისეთი ყოველმხრივ გენიალური ქმნილება, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, უეტრად არ გაჩნდებოდა, იგი მხოლოდ ბანგრძლივი და მრავალმხრივი ლიტერატურული განვითარების შედეგი შეიძლება ყოფილიყო. აკადემ. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მე-12 საუკუნეში აღმოსავლეთის არც ერთს ქრისტიანეებს, გარდა ქართველებისა, არც ასურელებს, არც სომხებს, არც თვით ბიზანტიელ ბერძნებს საერო მწერლობა არ გააჩნდათ². და ეს ბერძნის მთქმელი ფაქტია. არაბულ-ირანული მსოფლიოს გაგარეში, ცხადია, ქართული კულტურის განვითარების ის საერო გზა, რომელიც რუსთაველში კლასიკურად გამოვლინდა, არ წარმოიშობებოდა; მაგრამ რუსთაველი უკვე ყოველივე ზეგავლენაზე მაღლა დგას; იგი სინთეზია ქართული კულტურის ორივე გზისა, იგი თვითონ არის ის ორიგინალი, რომელიც ახალს იწყებს და დამოუკიდებელ საკუთარ ქვეყანას წარმოშობს.

ქართული კულტურის პირველი გზიდან, ე. ი. ქრისტიანულ-ბერძნული გზიდან, მომავალი განვითარების ამდაგვარ ორიგინალურ მოვლენას გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი და თეოლოგი იოანე პეტრიწი წარმოადგენს. ქრისტიანული სოფლგაგების ფილოსოფიურ დასაბუთებისათვის მან უსათუოდ თავისი ორიგინალური და

¹ იხ. ნ. მარის, *Презвгравниские одаишцы*.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქარ. ერ. ისტ. II, გვ. 665.

საინტერესო სიტყვა სთქვა. მის მოსელასაც ქართულ მწერლობაში დიდი ისტორიული განვითარება ამზადებდა, მასაც გამოჩენილი წინაპრები ჰყავდა, და ყველაზე თვალსაჩინო მათ შორის უსათუოდ ეფრემ მცირე იყო.

პეტრიწის ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნების გაგებისათვის აუცილებელია წინასწარ ის იქნას გათვალისწინებული, რაც ამ სფეროში ეფრემ მცირემ გააკეთა. განვითარების ამ ხაზზე ეფრემ მცირე პირველი საფეხურია, პეტრიწი—მეორე და უკანასკნელი. ყოველ შემთხვევაში ისტორიას ჩვენთვის ცნობა და ფაქტი აღარ შეუნახავს იმის შესახებ, რომ ვინმეს ქართული სქოლასტიკა პეტრიწის შემდეგ წინ წაეწიოს და განვითარებინოს.

XI საუკუნეში ქართველები სერიოზულ მუშაობას ატარებდნენ იმდროინდელი მეცნიერული კვლევის სფეროში, ე. ი. ქრისტიანული ლიტერატურული ძეგლების ფილოლოგიურ დამუშავებაში. ისინი კრიტიკულად სწავლობდნენ ბერძნულ ტექსტებს, ეძებდნენ პირველ დედნებს, სთარგმნიდნენ მათ ქართულ ენაზე, ეწეოდნენ უკვე არსებული თარგმანების რედაქციას და სსვ.

არსებული მწერლობის მრავალ დარგს ახლა ახალი და მნიშვნელოვანი დარგი მიემატა: ფილოსოფია. რასაკვირველია, ფილოსოფია, რომლის მიზანი იყო ქრისტიანული მსოფლმხედველობის არგუმენტაციით დასაბუთება, ე. ი. სქოლასტიკა.

ექვთიმე მთაწმიდლიდან დაწყებული მრავალი თეოლოგიური წიგნი ყოფილა ქართულად თარგმნილი, დოგმატურ-თეოლოგიური თხზულებანი: გრიგოლ ნოსელისა, ნაზიანზელისა, თვით დამასკელისაც, მაგრამ პირველი გამოჩენილი სქოლასტიკური წიგნი—დამასკელის „დიალექტიკა“—ქართულად ეფრემ მცირემ სთარგმნა და ამდენად მას უსათუოდ უფლება ჰქონდა ეთქვა იოანე დამასკელის მის მიერვე შესრულებული ქართული თარგმანის წინასიტყვაობაში: ამ წიგნის გადმოთარგმნამდე „ენასა ჩუენსა სხუა არარაჲ ოდეს თარგმნილა საფილოსოფოსოთა წიგნთაგანი“¹. ეფრემ მცირეს მრავალი თანამშრომელი და გამგრძელებელი გაუჩნდა. აკად. ნიკო მარმა, ძველი ქართულის ფილოლოგიის შემქნელმა, აი როგორ შეაფასა ამ ქართველ მეცნიერთა მუშაობა:

„X და XI საუკუნეში ქართველები ფილოსოფიის სფეროში იმავე საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებიც ჰფლობდნენ იმდროინდელი კაცობრიობის მოწინავე აღმზიანებს, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში, იმ განსხვავებით დანარჩენებისაგან, მაგ. ევროპელებისაგან, რომ იმდროინდელი ქართველები სხვებზე ადრე გამოსთქვამდნენ თავიანთ აზრს იმდროინდელი ფილოსოფი-

¹ იხ. ეფრემ მცირეს ამ სახელგანთქმული წინასიტყვაობის ტექსტი კრებულში „ნიმუშილიველი“ 1926 წ. გვ. 128, გამოქვეყნებულია სერ. გორგაძის მიერ.

ური აზრის ახალ მიმდინარეობაზე; ამავე დროს ისინი შეიარაღებულნი იყვნენ იმ დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის იარაღით და მუშაობდნენ უშუალოდ ბერძნულ ორიგინალებზე¹.

ეს საინტერესო მსჯელობა არა ნაკლები უფლებით შეეხება ეფრემ მცირეს, ვიდრე იოანე პეტრიწს. ჩვენი მიზანია დავადგინოთ, თუ რომელია იმ დროისათვის ახალი ფილოსოფიური აზრები ქრისტიანობისა, რომლის დაუფლებსათვის ქართველებს თავიანთი მუშაობა გაუშლიათ. ჩვენი მთავარი მიზანი, რასაკვირველია, პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნებისა, ბუნებისა და დასაბამის გამოკვლევაა, მაგრამ ამ ამოცანის შესრულებისათვის აუცილებელია ეფრემ მცირეს მოღვაწეობაზე მოკლედ მაინც შეეჩერდეთ.

ეფრემ მცირე იყო ქართული საეკლესიო მწერლობის მრავალმხრივი მოღვაწე², დიდი ფილოლოგოსი და ისტორიკოსი³, მაგრამ საკმის ეს მხარე ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. ჩვენ გვაინტერესებს მისი ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობა. ეს საკმე მან დაიწყო ქრისტიანული სქოლასტიკის შემქნელის ბერ იოანე დამასკელის (VIII საუკ.) მთავარი ნაწარმოების: *πρωτη γυναικα* — „წყარო ცოდნისა“ — ქართულად გადმოთარგმნით. იმ დროს ეს წიგნი კათოლიკური ქრისტიანობის ყველაზე დიდი და ორტოდოქსალური დოგმატური საფუძველი იყო.⁴ ის იყო ერთგვარი ენციკლოპედია მთლიანად და უნაკლოდ შეთანხმებული ქრისტიანულ დოგმასთან, გაწმენდილი ყოველივე გადახრებისა და მწვალებლობის აჩრდილებისაგან.

ამ წიგნით დამასკელმა საფუძველი ჩაუყარა იმ დამოუკიდებელ ქრისტიანულ ფილოსოფიას, რომელიც სქოლასტიკის სახელწოდებით არის ცნობილი. სქოლასტიკის სამივე დამახასიათებელი პრინციპი წამოაყენა ამ წიგნში დამასკელმა ბერმა: 1) მიიჩნია აუცილებლად ქრისტიანულ დოგმატიკონში ფილოსოფიის (ლოგიკისა და ონტოლოგიის) შესავალის სახით შეტანა; 2) დაასაბუთა, რომ ფილოსოფია და ყოველივე მდაბიო ცოდნა ტექნიკური ხელსაწყოა და ამიტომ თეოლოგიისათვის სამსახურის გაწვევა შეუძლია და ამისათვის შეიწყნარა, 3) შესცვალა ტრადიცია მე-4-6 საუკუნის გამოჩენილი ქრისტიან თეოლოგთა, რომლებიც თავიანთ აზრებს (რომ დასპირდებოდათ), ფარულად და ნათლად პლატონისაგან სესხულო-

¹ Н. Я. Марр, Иоанн Потрицкий, гл. 61.

² ამის შესახებ იხ. კოტ. კეკელიძე: ქართულ. ლიტერ. ისტორია, ტ. 1, გვ. 259 და სხვა.

³ ეფრემ მცირე, როგორც ფილოლოგოსი და ისტორიკოსი განხილულია ივ. ჯავახიშვილის შრომაში: „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ ნაწ. 1, გვ. 145—169.

⁴ ქართულად ეს წიგნი 1060 წლის მომდევნო ხანაში უნდა იყოს ნათარგმნი. ლათინურად იგი პაპა ევგენი III განკარგულებით 1145 წელს ითარგმნა. ამ წიგნის გავლენა ლათინურ სქოლასტიკაზედაც დიდი იყო.

ბღნი, და ქრისტიანობისათვის სანდო მოკავშირედ დიდ ბერძენ ფილოსოფოსთა შორის არ ისტოტელე აღიარა.

თავის შრომის პირველ ნაწილში, რომელსაც სახელად შემდეგ „დიალექტიკა“ ეწოდა, მან მოგვცა აპონაკრები არისტოტელური ლოგიკიდან და ონტოლოგიიდან და ამით ჩამოაყალიბა საშუალო საუკუნეებისათვის საკირო კომპენდიუმი ფორმალური ლოგიკისა, ხოლო წიგნის უკანასკნელ ნაწილში, რომელსაც სახელად ჰქვია: *ἔχθρις—χρῆσις τῆς ὁρθοῦνης πίστεως* — „გარდმოცემაჲ უცილებელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისა“ — ქრისტიანული თეოლოგიის მთავარი დოგმების გვერდით მოცემულია ბუნებისმეტყველური, ფსიქოლოგიური და ეთიკური ხასიათის ცნობები და ეს უკანასკნელი ხელახლავე არისტოტელედან არის ამოკრებილი.

ეფრემ მცირემ დამასკელის ნაწარმოების სწორედ ეს ორი ნაწილი თარგმნა და, ცხადია, ამით საფუძველი ჩაუყარა ქართულ სქოლასტიკას, მისცა ქართველებს იმდროინდელი მეცნიერების კომპენდიუმი, ქრისტიანულად გამართული და ყოველივე „უცხო“ ელემენტისაგან გაწმენდილი; მაგრამ მთარგმნელის როლით მას არ ამოუწურავს თავისი მნიშვნელობა ქართული სქოლასტიკის ისტორიაში. მან დამასკელის წიგნის თარგმანს წაუშმღვარა საინტერესო წინასიტყვაობა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ეფრემ მცირე XI საუკუნის ქრისტიანული სქოლასტიკის მწვერვალზე იდგა. ამ წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, ჩვენ ვკითხულობთ:

„და დაღაცათუ ყოველივე ვერ გულისკმა ვყოთ, გარნა ესე ხოლო სადმე უწყოდით, ვითარმედ ესევეითარი არს საფილოსოფოსოჲ სწულაჲ, რომელი იგი აქაცა საკიროდ საკზარად შემოულებიეს წმიდასა იოვანე დამასკელსა, რათა ამათ მიერ წინააღუდგებდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰკურემდენ მათ“¹.

ე. ი. ეფრემ მცირე ამბობს: თუმცაღა ყოველივეს, რაც ან წიგნში სწერია, ვერ შევიგნებთ, მაგრამ მაინც ვიცოდეთ, რომ იმდაგვარია ის საფილოსოფიო მოძღვრება, რომელიც სახზარად შემოულია წმიდა იოანე დამასკელს, რომ მისი მეშვეობით შვილნი ეკლესიისანი წინააღუდგებიან მათ საერო, ე. ი. არაქრისტიან ფილოსოფოსებს და განგმირავენ მათ ფილოსოფიისავე ისრითაო.

ქართველი სქოლასტიკოსი აგრძელებს ამ აზრთა მიმდინარეობას და დასძენს, რომ სხვა სიტყვითა და სხვა ხერხით ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთ პასუხს ვერ გავცემთ. რათა საერო ფილოსოფოსების შემოკამათება გაეჩადგურებია, დამასკელს ქრისტიანული ფილოსოფია შეუქმნია და „ამათითა ეკლოვნებითა მოუზღუდავს ეენაკისა ამის თვისისა ნაყოფთა შეენიერებაჲ“-ო.²

¹ იხ. მიომპილველი, გვ. 184.

² იხ. იქვე, გვ. 184.

ამაზე უფრო ნათლად და კარგად წარმოუდგენელია სქოლასტიკის მიზნებისა და ამოცანების დახასიათება. ეფრემ მცირე აღიარებს ფილოსოფიისა და მეცნიერების შესწავლის აუცილებლობას, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამათ რაიმე დამოუკიდებელ ღირებულებას ანიჭებდეს, არამედ იმიტომ, რომ ქრისტიანული დოგმის დაცვის საქმე უზრუნველყოს. ქრისტიანობამ ფილოსოფიიდან უნდა ამოკრიბოს მისთვის საჭირო მასალა და ამ ქრისტიანულად გამართული ფილოსოფიით მან უნდა გაანადგუროს ფილოსოფია, დაამტკიცოს ქრისტიანობისათვის უცხო, ე. ი. საერო ფილოსოფიის უსაფუძვლობა.

ამის დამწერი ფილოსოფიაზე ხელაღებით უარს არ ამბობს იმიტომ, რომ ხედავს მისი გამოყენების სარგებლიანობას ქრისტიანული დოგმის განმტკიცების მიზნით.

ეფრემ მცირე ამბობს მხატვრულად, რომ ფილოსოფია ეკალია, მაგრამ აუცილებელია დაცულ იქნას ვენახის მშვენიერება და, მოდი, ეს მშვენიერი ბალი საერო ფილოსოფიის ეკალით შემოვლობოთო. ფილოსოფია ფილოსოფიისავე ისრითა უნდა განიგმიროს—აი ლოზუნგი ადრინდელი სქოლასტიკისა.

ჩვენ არ ვიცით, რომ მეთერთმეტე საუკუნის შუაათეული წლებისათვის ვინმეს დასავლეთში, ან აღმოსავლეთში, სქოლასტიკის ეს ისტორიული დანიშნულება უფრო აზრმახვილად და ნათლად გამოეთქვას, ვიდრე აქ ეფრემ მცირემ სთქვა. ეს იშვიათი დოკუმენტი პირბადეს ხდის ფილოსოფიის ბურკუაზიულ ისტორიკოსებს, რომლებიც ამტკიცებენ ეითომც სქოლასტიკა გონებისა და რწმენის მორიგების ფილოსოფია ყოფილიყოს. პირიქით, ადრინდელი სქოლასტიკა ცოდნასა და გონებას სარწმუნოების მონად ხდიდა; ფილოსოფიას იმდენად აძლევდა არსებობის უფლებას, რამდენად ეს საერო ფილოსოფიის დასამარცხებლად გამოდგებოდა, რამდენად ფილოსოფიის ეკლით სარწმუნოების ბალნარი შემოიფარგლებოდა.

ეტყობა ეფრემ მცირეს მიერ იოვანე დამასკელის ისტორიული საქმის სწორად გაგების ნიადაგზე გამოუმუშავებული ეს ლოზუნგი დიდ ხანს არ მოუშორებია თავიდან ქართულ სქოლასტიკას და თეოლოგიას. მე-13 საუკუნეში იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომის ეილაც გადამწერი თავის თავს შეეკითხება, რად უნდა მან ეს სულის წამწყმედი ფილოსოფია, რა დანიშნულება აქვს ამ ამოებას და უეტრად გაიხსენებს, რომ გველის შხამს გველისავე შხამით აღმოფხვრიან, ე. ი. გაიგებს, რომ ფილოსოფია საჭიროა ფილოსოფიის მოსასპობად და ამით დაკმაყოფილდება. ეს იყო ნაყოფი ეფრემის თქლისა.

მაშასადამე, ეფრემ მცირეს ძველი ქართული აზროვნების ისტორიაში ძალიან გამოჩინილი ადგილი უჭირავს. იგი თვალსაჩინო წარმომადგენელია ადრინდელი სქოლასტიკური ფილოსოფიისა. იგი უნაკლოდ ჰქვლობს ამ ფილოსოფიის მთელს საიდუმლოებას. ამიტომ

აქ მთელი სერიოზულობით ისმის საკითხი ეფრემ მცირესა და იოანე პეტრიწის დამოკიდებულობის შესახებ. იტყვის პეტრიწი, რომ ფილოსოფია უნდა განადგურდეს ფილოსოფიისავე ისრითაო, რომ ფილოსოფია არის ეკალი, რომ გველის შხამი გველისავე შხამით უნდა ამოვსწეთო? არა, ამას იგი არ იტყვის და ამიტომ იგი მეორე საფეხურს გამოხატავს ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ისტორიაში. იოანე პეტრიწი მეორე თაობის წარმომადგენელია, პირველ თაობას იგი ებრძვის და ეკამათება, გარეგნულად ვითომც მხოლოდ თარგმანებისა და ენის რეფორმის საკითხების გამო. მაგრამ, ცხადია, რომ ეს საფარია და ამის უკან უფრო პრინციპიალური და სადაო საკითხები იმალებიან.

ეფრემ მცირესთან შედარებით იოანე პეტრიწი რალაც ოცდაათით, თუ ორმოცი წლით უმცროსი უნდა ყოფილიყო და გასაკვირია, რომ იგი უკვე სულ სხვა სააზროვნო პერსპექტივების წინ დამდგარა. რასაკვირველია, იგიც მთლიანად ქრისტიანული თეოლოგიისა და ფილოსოფიის სააზროვნო წრეს ეკუთვნის, მაგრამ მისი მიზანი სულ სხვა გამხდარა, იგი სულ სხვა საკითხებით არის დაინტერესებული. მისთვის აუცილებელი შექმნილა ქრისტიანობის დასაბუთება. იგი მოითხოვს, რათა ფილოსოფიის არგუმენტები შეცაში მოისმინონ.

მაშასადამე, ეფრემ მცირეს იდეოლოგიური სახე ჩვენთვის მთლიანად გამორკვეულია. იგი არის უზადო ორტოდოქსალურ ქრისტიანული თეოლოგიისა და სქოლასტიკის ადრინდელი ტიპის წარმომადგენელი. მისი ფილოსოფია ქრისტიანული ფილოსოფიაა, ე. წ. კაპადოკიელი მამებიდან მომდინარე, და მერვე საუკუნის ბოლოს საბოლოოდ გაფორმებული იოანე დამასკელის მიერ. ასე, რომ შეხედულება, ვითომც ეფრემ მცირე ეკუთვნოდა ნეოპლატონური ფილოსოფიის წრეს, მითად უნდა ჩაითვალოს. ამ მითის გავრცელებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ეფრემ მცირეს უთარგმნია ქართულად (ფსევდო) დიონისე არეოპაგელის, გამოჩენილი ქრისტიანე ნეოპლატონიკოსის, ნაწერები. ამ ავტორის ბიოგრაფია კიდევ მეათე საუკუნეში გადმოუთარგმნიათ ქართულად. მაგრამ საქმე ისაა, რომ მე-10 და მე-11 საუკუნის ქართველებმა არ იცოდნენ ის, რაც ჩვენ ვიცით დღეს, ე. ი. იმათ არ იცოდნენ, რომ დასახელებული ავტორის სახით ცნობილი წიგნები VI საუკუნის ანონიმს ეკუთვნოდა. როგორც ეტყობა, ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს წიგნები მართლაც პირველი საუკუნის ათენელმა მოქალაქემ, არეოპაგის წევრმა, დიონისემ დასწერაო, მათ არ იცოდნენ, რომ დიონისეს ქრისტიანობა და წიგნების ავტორობა მოგვიანო ქრისტიანული ფანტაზიის ნაყოფი იყო. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს წინასიტყვაობიდან, რომელიც მე-10 საუკუნის ქართველ მთარგმნელს გაუკეთებია: „ცხოვრებამა დიონისიოჲსი ეპისკოპოსისაჲ, რომელი იყო

ძქ სოკრატისი და მთავარი ათენელთაჲ¹, ეკიზხულობთ აქ და საე-
სებით ნათელია საქმის ვითარება. ქრისტიანობაში (ფსევდო) დიონი-
სეს ლიტერატურული შანტაჲი ორტოდოქსალურ საქმედ გაასალა
ცნობილმა მისტიკოსმა და ქრისტოლოგმა მაქსიმე აღმსარე-
ბელმა (Maximus Confessor, 580—662). ეს მაქსიმე აღმსარებელი
თითქმის მთლიანად მოიპოვებოდა ქართულ ენაზე მე-10 საუკუნიდან
და, მაშასადამე, მისი მეშვეობით ის აზრიც, რომ დიონისე მართლა
ათენის პირველი ეპისკოპოსი იყო, ყოფილი წვერი არეოპაგისა, ვი-
თომც ყოველივე, რასაც იგი სწერდა, მას უშუალოდ პავლე მოციქუ-
ლიდან მოესმინა და სხე. და როცა VIII საუკუნეში ეს ლეგენდა
იოანე დამასკელმა ქეშმარიტებად გამოაცხადა, ამოკრიფა (ფსევდო)
დიონისე არეოპაგელის ნაწერებიდან ადგილები და თავის ორთო-
დოქსალურ დოგმატიკონში შეიტანა, დიონისეს ლიტერატურულმა
ხრიკმა საბოლოოდ გაიმარჯვა და ეს აზრმახილი ნეოპლატონიკოსი
ქრისტიანული ორტოდოქსიის უზადო სამოსელში გამოეწყო. აი ვინ
იყო ექვთიმე მთაწმინდელის და ეფრემ მცირეს ცნობიერებაში დიო-
ნისე არეოპაგელი.² იმას სწავლობდნენ და თარგმნიდნენ არა იმიტომ,
რომ მასში „პლატონიურს ფილოსოფოსს“ ხედავდნენ, არამედ ქრის-
ტიანს, რომელსაც ქრისტიანული სიბრძნე თეით პავლე მოციქულმა
ასწავლა.³

3. იოანე პეტრიწის ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა

„იოანე ფილოსოფოსი“, ანუ იოანე პეტრიწი, გამოჩენილბ ფი-
ლოსოფოსი და თეოლოგი იყო. მეთორმეტე საუკუნის სხვა ქეებნე-
ბის მოაზროვნეებიდან მას ანსხვავებდა მხოლოდ ენა, აზროვნებით კი
იმათ წრეში იდგა და იყო ერთი პირველთაგანი. იმდროინდელი

¹ იხ. კორ. კეკელიძე, „უცხო ავტორები ძველს ქართულს მწერლობაში“, ტფ. უნივერ. მოამბე № VIII, გვ. 131.

² (ფსევდო) დიონისე არეოპაგელის გავლენა განსაკუთრებით დიდი იყო დასავლეთის ქრისტიანებზე. მისმა იდეებმა გაანთყოფეს ნიკოლაუს კუხანელი და რენესანსის ეპოქის აზროვნება. რბცა ევროპეელები მიხვდნენ, რომ ბევრი საეჭვო რამ იყო „ნეგატიური თეოლოგიის“ შემქნელის ნააზრებში, მას დაეწაფენ როგორც კრიტიკულსა და თავისუფალ წყაროს. მაგრამ ეკლესია თავისას გაიძაზოდა. იგი ფიქრობდა, რომ არ ყოფილიყო ღეთის სიტყვა თქმული არეოპაგელის თეო-
ლოგიაში, მაშინ წმიდა იოანე დამასკელი მასზე არ დაეყრდნობოდა და რადგან
დამასკელი მას დაეყრდნო, მაშინ უსათუოდ ღეთის საქმეა გამოცხადებულიო.

³ პირველად ლაერენტიუს ვალლაშ აღმოაჩინა, რომ ეს ნაწერები დიონისე არეოპაგელს არ დაუწერია, თანამედროვე კლასიკური ფილოლოგიის მკვლევარებმა შტოლმეაიერმა, კონმა და სხე. კი ეს საბოლოოდ დაასაბუთეს— რადგან კონმა დაამტკიცა, რომ ამ ნაწერების ავტორი თავიდან ბოლომდე პრო-
კლეს ტრიადას ეყრდნობა, ამიტომ შესაძლოა მივიჩინოთ მისი ავტორი მეხუთე
საუკუნის დასასრულსა და მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებ ქრის-
ტიან მწერლად.

ბიზანტიურ-ბერძნული ცივილიზაციის წიაღში აღზრდილი, ძველი ბერძნული კლასიკური კულტურის ცოდნაში დაოსტატებული, იგი ცდილობდა ქართველებისათვის საბოლოოდ ჩამოეყალიბებია სამეცნიერო თეორეტიული ტერმინოლოგია, გაეხადა ქართველები ფილოსოფიური აზროვნების მონაწილედ. ენის დიდ რეფორმატორს და „ღვთაებრივ ფილოსოფოსს“ დევნაკი განუცდია თანამედროვეთაგან, მისთვის ხელი შეუშლიათ, რათა გამხდარიყო ქართველების არისტოტელე, მაგრამ, როგორც ეტყობა, მებრძოლი ბუნების მქონეს და განახლების მოციქულს იარაღი არ დაუყრია და ქართველებისათვის ფილოსოფიური აზროვნება და სკოლა შეუქმნია.

სამაგიეროდ მომდევნო ისტორიამ იგი დიდად დააფასა, მისი ავტორიტეტი ძველს ქართულ მწერლობაში განუზომელად დიდია. მასში უკვე საშუალო საუკუნეებში „პლატონურ ფილოსოფოსს“ ხედავდნენ. მის მიერ ქართულად თარგმნილი ნემესიოსის წიგნის ერთ ძველ ხელნაწერს არშიაზე მიწერილი აქვს შენიშვნა, რომელიც შეიცავს განმარტებას იმისა, თუ რა მნიშვნელობით აქვს ნახმარი სიტყვა „შიდრეკა“: „აწინდელისა წიგნისასა ელლადელთა ხმისაგან ქართველთა სიტყუად გადმომწერელსა ამისსა იოვანეს პლატონურსა ფილოსოფოსსა“¹.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „პლატონური ფილოსოფია“ პეტრიწისა რაიმე მიმართულებით ქრისტიანობას ეწინააღმდეგებოდეს. პირიქით, „პლატონური ფილოსოფოსობა“ მას.ესპის, როგორც ქრისტიანობის „გონებითა“ და „ხედვით“ (თეორიით) დასაბუთების საუკეთესო საშუალება. იოანე პეტრიწი ქრისტიანობის იდეოლოგია, დამცველი ყველა მისი დოგმატური ატრიბუტისა და ტრადიციისა. კიდევ მეტი, მისი ლიტერატურული მოღვაწეობის შესწავლა გვარწმუნებს, რომ იგი არის ორტოდოქსალური ხალკიდონისტი.²

იგი ქრისტიანული სქოლასტიკის ისტორიაში დამწყებია იმ ახალი მიმართულებისა, რომელმაც გადაწყვიტა ფილოსოფია პოზიტიურად გამოეყენებია, რომელიც ფიქრობდა, რომ რელიგია „გონების არგუმენტებითა“ და „თეორიით“ დასაბუთდებოდა. სქოლასტიკის ასეთს მიმართულებას შერაცხება მოუხდა ფილოსოფიასთან, ჰეგელის მოხდენილი გამოთქმა რომ ეიხმართ, მან ზეცა აიძულა მოესმინა ფილოსოფიის არგუმენტები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეს ჩვენში პეტრიწი ათეული წლებით ადრე იწყებს ეეროპიულ სქო-

¹ იხ. ნემესიოს ემესელი: „ბუნებისათვის კაცისა“ ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. გამოცემა სერ. გორგაძისა, ტფილისი 1914 წელი, გვ. 24.

² ნიკო მარი სწერს სამართლიანად: ცხადია, პროკლეს წიგნის კომენტარები „περὺ θαλεκλονηστε“ ეუსთენიუდენო, იხ. Н. Я. Марр: „И. Петричиа“, გვ. 12.

ლასტიკაზე და, მაშასადამე, შეაქვს ქრისტიანულ თეოლოგიაში ის განახლების სინათლე, რომელიც შემდეგ დასავლეთში რენესანსის ეპოქის მხედ ამოვიდა. თვითონ პეტრიწისთან ეს პროცესი ჯერ, რასაკვირველია, შეუგნებლად არის წამოწყებული. მას პლატონით, არისტოტელით, და „პლატონური ფილოსოფოსების“ დახმარებით ქრისტიანობა უნდა გონიერი და დასაჯერებელი გახადოს და, რასაკვირველია, არ გრძნობს, რომ მომავალში არისტოტელე ქრისტეს დაჩრდილავს და ადამიანს სარწმუნოების სამართლიანობაში დააეკვებს.

ნათქვამიდან ცხადია, რომ პეტრიწის წამოწყებას გულგრილად ვერ შეხედებოდა ტრადიციებზე აშენებული საეკლესიო რეაქცია. ქრისტიანული თეოლოგია ყოველივე რეფორმებსა და შესწორებებს გაურბოდა, მაგრამ პეტრიწის თავის რეფორმატორული იდეა რომ განევითარებინა, ამისათვის, ცხადია, ობიექტური პირობები იყო საჭირო. ასეთი პირობები მას დავით აღმაშენებლის საეკლესიო პოლიტიკამ შეუქმნა, ხოლო ასეთი იდეების წამოყენებისათვის საჭირო განათლება მან კონსტანტინოპოლში მიიღო.

ცნობები პეტრიწის ცხოვრების შესახებ ძალიან ბუნდოვანი და ხშირად ერთი მეორეს საწინააღმდეგო არის. მაგრამ თუ ყოველავე იმას, რაც ნიკო მარმა, ივ. ჯაეახიშვილმა, კორ. კეკელიძემ, ს. გორგაძემ, და სხვ. ამ საკითხზე ფაქტიური მასალის მხრივ მოგვაწოდეს, კრიტიკულად ერთმანეთს შევადარებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ: პეტრიწი დაბადებული უნდა იყოს 1050 წლის შემდეგ. ძველი ტრადიციით იგი იყო გურული¹. ცნობას, რომ იგი იყო ეფრემ მცირეს მოწაფე, ორი აზრი შეიძლება ჰქონდეს, ე. ი. შეიძლება ახალგაზრდობაში პეტრიწი იყო შავ მთაზე ეფრემ მცირესთან, ანდა ეს იმას ნიშნავს, რომ იყო მოწაფე ეფრემ მცირეს სალიტერატურო სკოლისა.

დაახლოებით 25—30 წლისა კონსტანტინოპოლში ჩასულა სწავლის დასამთავრებლად და, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იგი შევიდა იმ დროს არსებულ კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში²,

¹ სერ. გორგაძე ამას ამტკიცებს პეტრიწის ლექსიკის ვარჩევით. ამ აზრისა იყო ნიკო მარცი (იხ. ი. პეტ. ნემესიის თარგმნის ს. გორგაძის წინასიტყვაობა, გვ. VIII).

² ეს უნივერსიტეტი დაარსა იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა 1045 წელს. იგი ორი ფაკულტეტისაგან შესდგებოდა, იურიდიულისა და ფილოსოფიურისაგან. ფილოსოფიური ფაკულტეტის, ანუ აკადემიის ხელმძღვანელად მეფემ მიქაელ ფსელლოსი დანიშნა საპატრიო წოდებით: *πατριος τῆς φιλοσοφίας* — ფალოსოფოსთა მეთაური. ამ დიდი მოხერხებისა და ნიჭის (რომელიც უფრო ფართო იყო, ვიდრე ღრმა) მქონე კაცმა სულ მალე თავისი ფაკულტეტი მსოფლიო მეცნიერების ცენტრად აქცია. აქ ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, არითმეტიკას, გეომეტრიკას, ასტრონომიას, მუსიკას, ფიზიკას, მეტაფიზიკასა და თეოლოგიას. ფსელლოსი ამტკიცებს, რომ მის აუდიტორიაში თავს იყრიდნენ მთელი იმდროინდელი მსოფლიოს წარმომადგენლები, იგი მსმენელთა შორის ხე-

სადაც ფილოსოფიას იმ ხანებში იოანე იტალი მეთაურობდა.¹

1082—3 წელს მომხდარი ამბების შემდეგ პეტრიწი კონსტანტინოპოლიდან უნდა წასულყო. 1083 წელს პეტრიწონში (მაკედონიაში) გრიგოლ ბაქურიანმა დიდი მონასტერი დაარსა სემინარიით, სადაც, როგორც ეტყობა, იოანე დამკვიდრდა და თავისი სახელწოდება პეტრიწი, თუ პეტრიწონელი, აქედან მიიღო.

ქრონოლოგიის მიხედვით დასაშვებია, რომ პეტრიწი კონსტანტინოპოლში იყო იოანე იტალის მოწაფე. მართლაც, ცნობილმა ბიზანტინოლოგმა უსპენსკიმ გამოაქვეყნა წერილი იოანე იტალის მიერ მიწერილი, მიმართ ვინმე იოანე აბხაზისა, ე. ი. იოანე ქართველისა, რომელიც იტალის მოწაფე ყოფილა. წერილი დაწერილია 1082 წლის შემდეგ და იტალი უწონებს საქციელს თავის მოწაფეს იოანე ქართველს, რომელიც სასამარალოს დაუკითხავს, როგორც მოწმე. თუმცა პირდაპირი ფაქტი არ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ეს იოანე ქართველი არის ის პირი, რომელსაც შემდეგ ისტორიამ იოანე პეტრიწი უწოდა; მაგრამ ქრონოლოგია სრულს უფლებას გვაძლევს დავუშვათ ასეთი რამ-ამ ხანისათვის პეტრიწი იქნებოდა დაახლოებით 30 წლის კაცი.

რამდენი წელი იმოღვაწა მან პეტრიწონის მონასტერში, ეს მთლად ცნობილი არ არის. პროფ. კ. კეკელიძის მიხედვით ეს იყო 1083—1114 წლები. ეტყობა აქ გაშალა მან ფართო ლიტერატურული მოღვაწეობა. საქართველოში დაბრუნებული უნდა იყოს მხოლოდ XII საუკუნის დასაწყისში, გელათში სამოღვაწეოდ, და ისიც ნამდვილად 1106 წლის შემდეგ. რუის-ურბნისის „ძეგლის წერაში“ პეტრიწის გვარი არ არის მოხსენებული, ე. ი. 1103 წ. იგი ჯერ კიდევ საქართველოში არ იყო. პეტრიწი გარდაცვლილი უნდა იყოს 1126 წლის მომდევნო ხანაში, ე. ი. მეფე დემეტრე პირველის მეფობის დროს, რადგან მას ტრადიცია ასახელებს შესხმის ავტორად დემეტრეს გამეფების გამო.

პეტრიწის ანუ „იოანე ფილოსოფოსის“, ლიტერატურული სახელი ძალიან დიდი იყო ძველ ქართულ მწერლობაში. ტრადიცია

დაეს არაბებს, ეგვიპტელებს, სპარსელებს, ადამიანებს ჩამოსულს დასავლეთიდან. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა იოანე იტალი, რომელიც იმპერატორ—მიხეილ დუკას დროს თვითონ იქნა დანიშნული ფილოსოფოსთა ჰიპატად. იოანე იტალმა კიდევ მეტი აღრახური ასტეხა უნივერსიტეტის ირგვლივ, მან ახალგაზრდობისა და უცხოელების კიდევ უფრო დიდ გუნდს მოუყარა თავი. მასთან, როგორც ეტყობა, ქართველებიც სწავლობდნენ. იმპერატორ ალექსი კომნენის არ მოსწონდა იოანე იტალი. ჯერ სამოქალაქო და შემდეგ საეკლესიო სასამართლოს გაასამართლებია იგი, ბრალდებული ერეტიკოსობაში, შეჩვენებული ეკლესიის მიერ, გააძევა 1083 წელს.

¹ იხ. Fr. Fuchs: „Die höheren Schulen von Konstantinopel in Mittelalter“. 1926, № 24.

მასში ხედავდა პეტრიწონული ლიტერატურული სკოლის დამაარსებელს, ქართული ენის რეფორმატორს, ქართული გრამატიკის შემდგენს, მაღალი სტილის შემომღებს და, უწინარეს ყოვლისა, ფილოსოფოსს და თეოლოგს, მაგრამ აგრეთვე მეცნიერს, ასტრონომსა და ასტროლოგს.

ჩვენამდე პეტრიწის სახელით მოუღწევია საკმაოდ მრავალ ლიტერატურულ ძეგლს, ასკეტურს, ეგზეგეტურს, ჰაგიოგრაფიულს, ისტორიულს (ეს არის ებრაელთა ცნობილი ისტორიკოსის იოს. ფლაბიოსის წიგნი „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყვათადასა-ბამობისანი“, ჩვენამდე მოუღწევია ხუთმეტს წიგნს ამ ნაწარმოებისა, უკანასკნელი ხუთი წიგნი კი დაკარგულია) და სხვ. დაკარგულია პეტრიწის ქართული გრამატიკა. ტრადიცია მასვე მიაწერს მრავალი იამბიკოს ავტორობას¹.

ხოლო „კელლინსა შინა გენათისასა“ ე. ი. გელათის მონასტერში, XII საუკუნის პირველ მეოთხედში მას ბერძნულიდან ქართულად გადმოუღია.

1) ნემესიოს ემესელი: Περὶ φάσεως ἀνθρῶπου.

2) პროკლე დიადოხოსი: Στοιχῆ:αιεὶ θεολογικῆ;

3) არისტოტელე: Τὴ Τροικᾶ.

4) არისტოტელე: Περὶ ἐρμῆ:είσε

ორ უკანასკნელ შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია. ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“ გამოცემულია 1914 წ. სერ. გორგაძის მიერ.

რაც შეეხება პროკლე დიადოხოსის ცნობილ წიგნს „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“, რომელიც ახლა გამოდის სტამბური წესით, იმან ჩვენამდე მოაღწია მრავალი ხელთნაწერის სახით. უძველესი მათ შორის გადაწერილია XVII საუკუნეში.

ხელთნაწერი ეგზემპლარები ამ ნაშრომისა შემდეგ სურათს იძლევიან. წიგნი იწყება შესავალით, რომელიც ეკუთვნის მთარგმნელს და რომელიც მოკლედ იძლევა შრომის მთავარ იდეას, მეორე ნაწილია: „პროკლე დიადოხოსისა, პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი თავნი ორას და ათ ერთნი“. აქ მოცემულია არა მარტო თარგმანი პროკლეს ცნობილი წიგნისა Στοιχῆ:αιεὶ, არამედ მთარგმნელის მიერ შედგენილი ვრცელი კომენტარიებიც. მოკულობით კომენტარიები რამდენიმეჯერ უფრო დიდია. ვიდრე თვითონ ტექსტი. ხელთნაწერებში პროკლეს ტექსტს გვერდზე მიწერილი აქვს „პროკლესაგან“, კომენტარიებს კი „იოვანესაგან“ და ამით ადვილად განირჩევიან ერთმანეთისაგან ტექსტი და კომენტარიები.

¹ იხ. კ. თ. კ. ე. ე. ლ. ი. ძე: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. 1, გვ. 301—310.

შრომის შესამე ნაწილი წარმოადგენს ძალიან ვრცელ ბოლოსიტყვაობას, რომელიც ეკუთვნის მთლიანად მთარგმნელს და რომელიც იძლევა პროკლეს ფილოსოფიის საერთო შეფასებას და მთარგმნელის მსოფლმხედველობას და გვაცნობს ზოგ რაიმეს მთარგმნელის ვინაობის შესახებაც¹.

ამ ბოლოსიტყვაობის შესწავლამ ჩვენ მოულოდნელ აღმოჩენამდე მიგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ ეს ე. წ. ბოლოსიტყვაობა სინამდვილეში წარმოადგენს ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ნაწარმოებს. დაამთავრებს რა პროკლეს შეფასებას და საკუთარი მსოფლმხედველობის დალაგებას, პეტრიწი ამბობს: „მიზეზი აწ კუალად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს: პირველ რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელი და სხუასა აღუჩნდის სხუად“ (გვ. 219). შემდეგ იგი შენიშნავს, რომ ფილოსოფიის ცოდნას, მისი ენისა და აზრის შეთვისებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამღვთო წერილის ძნელი ტექსტების გადმოთარგმნა-გაგებისათვის. მას მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები იმისა, თუ მისი მეთოდით სახარება რამდენად უფრო კარგად ითარგმნება, ვიდრე იგი იმ დროს მოიპრეგებოდა. თუ სიტყვა „არ იწარება, განავრძობს იგი, გიჩუნებუა თქუენთა ულუმპიანთა ძლევათ“, ე. ი. თუ არ გეწყინებათ, კიდევ გიჩვენებთ ძლიერებას თქვენი ულუმპიელებისა. ასე უწოდებს იგი მთარგმნელების რომელიღაც სკოლას, შეიძლება მთაწმინდელეებზედაც კი იყოს ლაპარაკი.

შემდეგ მას მოჰყავს თავისი თეორია ქართული ენის რეფორმისა, ე. ი. წინადადებანი ქართული ენის სამეცნიერო ენად გადაქცევისათვის, იმოწმებს არისტოტელესა და ამტკიცებს, ყოველივე რომ გაითვალისწინა და ისწავლა, როცა ამოვიდა ცისკარი მისი გონებისა, როცა თავედან მოიშორა „ბნელი უმეტრებათა“, მაშინ „აღვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიღმობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეი მდაბრიონთაგან“ (გვ. 220). ე. ი. აქ ლაპარაკია „გალექსული ენის“ მდაბიური ენისაგან განსხვავებაზე, ე. ი. იმაზე, რასაც შემდეგში მალალი და დაბალი სტილი ეწოდა, ანდა იმაზე, რასაც მეცნიერული მსჯელობის ენა და ჩვეულებრივი სახმარი ენის განსხვავება ეწოდება.

კიდევ მოჰყავს რამოდენიმე მაგალითი თავის თეორიის დასასაბუთებლად და გადადის თავისი ცხოვრების ვინაობის მოყოლაზე. ყოველივე ამის გამო მე გავხდი მსხვერპლი მრავალ სენთა, უცხოებათა, შურთა და ვერავაობისაო. მე ერთნაირად მღვენიდნენ ბერძნები და ქართველებიო. „ქართველნი თანადგომისა წილ და თქუმისა ესთა ეითარმედ, წმიდასა განგებასა ღმერთისასა კაცი ტომისაგან ჩუენისა უწარმოებია, კელოვნებათაგან სული[სა]თა დაკელოვნებული, ხოლო

¹ სტამბურ გამოცემაში პროკლეს წიგნი გამოდის პეტრიწის შრომების I ტომის სახით, უკვე გამოსული მეორე ტომი შეიცავს პეტრიწის ორიგინალურ შემოკმედებას ცალკე შრომის სახით გამოკრებილს ხელნაწერებიდან.

ხედვათაგან გონებასათა გაგონებებული“... (იხ. გვ. 222). ე. ი. იმის მაგივრად, რომ ქართველებს მადლობა გადაეხადათ ღმერთის განგებისათვის, რომ მათი ტომისაგან წარმოიშვა კაცი ყოველმხრივ განსწავლილი და დახელოვნებული და სხვ., და ამის გამო გვერდში ამომდგომოდნენ და დამხმარებოდნენ, ბრძოლა და დევნა გამოვიტყველდესო. ქართველების ეს საქციელი ორი გარემოებით იყო გამოწვეული, ორი უმეტრებისაგან გამომდინარეობდაო. ერთი უბრალოდ იმისაგან, რომ უსწავლელობის გამო იყვნენ უმეტარიო და მეორე იმის გამო, რომ არ იცოდნენ, რომ უმეტარნი და უსწავლელნი იყვნენ, როგორც ამას მოხდენილად სოკრატე იტყვისო: „ვინაჲ ძვრთასაცა უძვრეს ესე, რომელ ორითა იპყრობოდეს უმეტრებითა: პირველ მარტივად უმეტრებითა სასწავლოთაჲთა, და კუალად მეორედ თვთ მის უმეტრებისა უმეტრებითა, ვითარ იტყვს სოკრატე, რამეთუ „ძნელ სენი, არამედ უფიცვის უმეტრებაჲ სენისაჲ“ (გვ. 222).

ასე, რომ ჩვენთვის ხელი არ შეეშალათ და საშუალება არ წაერთმიათ „თვთ მათ ხედვათა ვფუცავ სურვილსა, რომელ ენაჲმცა ენისადა გამეწყო და ხედვამცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურა და ღმერთისმეტყველებაჲ ნივთისაგან მიუხებელი წარმოგეყენა“, ე. ი. ვფიცავ, რომ ენასაც დავამუშავებდი, ფილოსოფოსთა თეორიაში ვიარისტოტელბდი და წამოვაყენებდი ღვთისმეტყველებას ნივთისაგან ხელშეუხებელსო.

რადგან ეს ასე არ მოხდაო, ამიტომო „აწ შეძლებისაებრ და ძალისა ჩემისა აწცა ვიღონო სწორადვე წყალობათა ღმერთისათა დავითის¹ გამგონებისა და წყალობითა და თანადგომისა მინდობილმან“ გავაკეთე რაც შემეძლო, შეეხებოდა ეს ენას, სიტყვიერებითი და ხედვითი აზრს, ფილოსოფიას თუ ღვთისმეტყველებასო და ეს გავაკეთე ისე: როგორც ეს ამასწინათ „ნემესიორჲს წიგნისა შეწყობასა შინა მესარკა“-ო. (გვ. 222—23).

აქ მთლიანად და სავსებით თავდება ყოველივე ის, რაც იოანე პეტრიწს სათქმელი ჰქონდა პროკლეს წიგნის შესახებ. მაგრამ ფაქტიურად ხელთნაწერი აქ არ თავდება. ამ ადგილის არშიაზე ხელთნაწერებში მიწერილია მსხვილი ასოებით: „იოანე ფილოსოფოსი“, ამას მოჰყვება იამბიკო, რომლის აზრი ძალიან ძნელი გასაგებია და შემდეგ იწყება ახალი გამოკვლევა, რომლის თემა სულ სხვაა, ვიდრე აქამდე იყო. იგი ერთი სიტყვითაც აღარ შეეხება იმ ძირითად პრობლემას, რომლის შესახებ აქამდე წარმოებდა მსჯელობა. ამ ახალი გამოკვლევის თემა შეეხება ცნობილი თეოლოგი ბასილი დიდის ღვაწლისა და მნიშვნელობის დალაგებას; ეხება იგი ბასილ დიდს

¹ ვინაჲ ეს დავითი, რომლის წყალობასა და თანადგომას პეტრიწი მინდობია? დავით აღმაშენებელი უნდა იყოს. თუმცა სამარკლიან გაკვირვებას გამოთქვამს აკადემიკოსი იუ. ჯაუხიშვილი იმის გამო, რომ არ არის ნათქვამი „მეფისა დავითისა“.

როგორც ლეთისმეტყველს და ბუნებისმეტყველს, როგორც ფილოსოფოსს და ასტროლოგს, როგორც რიტორსა და გრამატიკოსს, ატარებს მასსა და პლატონს შორის პარალელს და ხაზს გაუსვამს მათ სულიერ ნათესაობას, თუ იმას, რომ ბასილი დიდი პლატონს იყენებდა და სხუადასხვა. ტრაქტატის დედაწერი იმის ჩვენებაში უნდა იყოს, რომ ყოველთვის უებრო და უხადო ბასილ დიდიც პლატონს ემყარებოდაო და სხე.

რა დანიშნულებისათვის უნდა დაესწერა პეტრიწს ეს ტრაქტატი? ან იმისათვის, რათა გაემართლებია თავისი წამოწყება და პლატონის გამოყენების მაგალითი ეჩვენებია ქრისტიანობაში, ანდა შეიძლება ეს იყოს წინასიტყვაობა ბასილ დიდის რომელიღაც შრომის ქართული თარგმანისათვის. რათა ქრისტიანული ორტოდოქსიის ამ უდიდესი წარმომადგენლის აზრები სწორად დაეღაგებია, პეტრიწს სახელმძღვანელოდ აუღია გრიგოლ ლეთისმეტყველის (ნაზიანზელის) „სიტყვაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათვის“. ამ წიგნის თარგმანი ეფრემ მცირისა ძალიან გავრცელებული და ცნობილი იყო იმ დროს.

ზემოთ მოყვანილი ავტობიოგრაფიული ცნობებიდან ნათელია, რომ ჩვენამდე მოღწეული ფილოსოფიური ნაწერები პეტრიწს თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში დაუწერია, ე. ი. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ჯერ ნემესიო ემესელის წიგნი გადმოუთარგმნია და შემდეგ პროკლე გაუმართავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამას მოჰყვა არისტოტელეს ზემოთდასახელებული შრომების თარგმანი. თავის კომენტარიებში იგი ხშირად ეხება, იყენებს და კიდევაც ეკამათება არისტოტელეს „ორგანონს“ და, ბუნებრივია, რომ ზემოთდასახელებულ შრომებს, რომლებიც „ორგანონის“ ნაწილებს წარმოადგენენ, სიამოვნებით გადმოაქართულებდა, თუ ამისათვის შესაფერისი ვარემოება იქნებოდა.

ორიოდე სიტყვით საჭიროა შევეხოთ იოანე პეტრიწის ენისა და სტილის საკითხს. თუ მაგ. წაიკითხავ დაახლოებით იმავე ეპოქაში არსენ იყალთოელის მიერ გადმოთარგმნილ დამასკელის „დიალექტიკას“, გაკვირვებული დარჩები მთარგმნელის ნათელი და გასაგები ენით. ტყუილად კი არ ამბობს იყალთოელი თავის თარგმნის წინასიტყვაობაში, რომ თუ მკითხველი აქა-იქ ამ ნაწარმოებში ბუნდოვან ადგილს ნახავს, ეს გამომდინარეობს ბერძნული ტექსტის ზედმიწევნითი „შედარებულობისაგან“ და არა იმისაგან, რომ შე სწორ ქართულზე საგნის გადმოცემა არ შემძლიაო¹. აიღეთ ახლა და წაიკითხეთ პეტრიწის ძნელი და მძიმე ენა, ხელოვნური და მკაცრი, თუმცა პოეტური, მაგრამ ძალიან ძნელად დასაძლევია სტილი. მისი ბნელი სტილი, ხელოვნური ცნებათა ენა ფილოსოფიის ისტორიის მკოდნეში გარკვეულ ასოციაციებს იწვევს, იგი ძალიან მოგვაგონებს

¹ იხ. საქარ. მუხ. ხელნ. S ფონდი № 1483.39 v.

ხელოვნურ. ცნებათა ენას დასავლეთის გვიანი სქოლასტიკისა და შემდეგ გერმანელი იდეალისტებისას, პეგელის, ფიხტეს და კანტის აგრეთვე ხელოვნურად შექმნილ ცნებათა ენას და ბუნდოვან სტილს.

პეტრიწი ამტკიცებს, რომ ფილოსოფიური აზროვნებისათვის საჭიროა ენა. „მესხუეი მდაბრიონთაგან“ ე. ი. განსხვავებული მდაბიოსაგარ, იგი აყენებს, ასე ვთქვათ, მეცნიერულ ცნებათა ენის თეორიას და ფაქტიურადაც ატარებს ამას თავის ფილოსოფიურ, ნაწარმოებში. რადგან იგი ხედავს, რომ ჩვეულებრივი სალიტერატურო ქართული; თუგინდ კლასიკური „ულუმპიანთა“ ქართული, რომლისათაც მშვენიერად გადმოითარგმნა სამღვთო წერილის მხატვრული სტილი და ენა, ვერასხვით ვერ გამოხატავდა იმ ცნებათა უკიდურეს განყენებულსა და სქოლასტიკურ კონსტრუქციას, იმ გაუთავებელ დიალექტიკური კვანძებით ფორმალისტურ სიტყვათა და ცნებათა თამაშს, რომელსაც აღგილი აქვს პროკლეს „თეოლოგიაში“ (ბერძნული ენა ათასი წლებით მუშავდებოდა ასეთი დიალექტიკური კვანძების გამოსათქმელად), ამიტომ პეტრიწი ფილოსოფოსი და მოაზროვნე გადასწყვეტს ქართველებსაც შეუქმნას ასეთი დიალექტიკური და თეორეტული ენა.

ცხადია, რომ ეს ენა ხელოვნური უნდა ყოფილიყო. ამის შექმნა ერთი დაკვირვით არ შეიძლებოდა, ამისთვის დიდი მუშაობა და საკუთარი ძიებისა და განვითარების გზა იყო საჭირო. მეცნიერული ტერმინებით მსაჯ ენასთან ერთად უნდა შექმნილიყო ფილოსოფიური, დიალექტიკურად მდებდურიებელი, ცნებათა ენა. ნემესიოსის თარგმანში გვხვდება მაგალითები, სადაც ცნება მარტივი მსჯელობით, ე. ი. სიტყვა ფრაზით არის გადმოღებული, მაგრამ, როგორც ეტყობა, საბოლოო ანგარიშით სულ სხვა გზა აურჩევია პეტრიწს. ეს გზა შემდეგში უნდა მდგომარეობდეს. იგი იღებს ჩვეულებრივი ქართული სიტყვის ძირს და აკეთებს აქედან ფილოსოფიური ცნების გამომხატველ ტერმინს, ანდა იხმარიებს იმდროინდელ ქართული ენის ერთ-ერთ დიალექტს, ასე აკეთებს ახალ ქართულ სიტყვას. სადაც ესეც აღარ ყოფნის, იქ იგი მიბაძავს ბერძნულს. ქართულ სიტყვებს აწყობს ბერძნული სიტყვების მიხედვით და ქართული სიტყვებიდან ჰქმნის ისეთსავე სიტყვების დიალექტიკურ თამაშს, რაც ფილოსოფიურ ბერძნულისათვის დიდი ხნიდან დადგენილი და გასაგები იყო. იგი თარგმნის ქართულად ბერძნულ სიტყვებს, მაგ. თეორიას, ლოგოსს, ლოგიკას, დიალოგს და მთელ რიგ სხვას.

სადაც ეს ხერხიც აღარ ყოფნის, იქ პეტრიწს პირდაპირ გადმოაქვს ქართულში ბერძნული ტერმინი, რაც ბერძნული ენის უკოდინარი მკითხველისათვის მთლად გაუგებრად ხდის პეტრიწის ტექსტს. თუ ყველა ამ სიძნელეს დაძლევეთ, თუ მრავალჯერ წაკითხვით შეეჩვევით პეტრიწის ენის თავისებურებას, მისი სტილი უსათუოდ ინტელექტუალურად მომხიბლავი, ცნებებით მდიდარი და აღმასივით მაგა-

რია. რადგან ისტორიულ გარემოებათა გამო, პეტრიწს გამგრძელე-ბლები აღარ ჰყოლია, თუ მათ ჩვენამდე აღარ მოულწევია, ამიტომ მისი მკაცრი მეცნიერულ თეორეტიული ენა უნიკუმის სახით არის წარმოდგენილი ქართული ენისა და სტილის ისტორიაში. როცა XVIII საუკუნეში ცნობილმა ანტონ კათალიკოსმა XII საუკუნის რენესანს მოჰკიდა ხელი და ხელმეორედ წამოიწყო ენის რეფორმა, მაღალი სტილისა და მეცნიერულ-ხელოვნური ენის შექმნა გადასწყვიტა, როგორც ცნობილია, პეტრიწის ტყვეობაში აღმოჩნდა და ამის ენა და სტილი იმდენად „მაღალი“ და „ბუნდოვანი“ აღმოჩნდა, რომ პეტრიწის ცნებათა სქოლასტიკაც დაჩრდილა. პეტრიწის წამოწყება გენიალური კიდილი იყო აზროვნების ქვეყანაში, ანტონ კათალიკოსის მოღვაწეობა კი უხერხემლო ეპიგონობა.

XIII საუკუნეში პროკლეს წიგნი იოანე პეტრიწის კომენტარიებითა და წინასიტყვაობით ქართულიდან სომხურად იქნა გადათარგმნილი, ჩვენამდე მოაღწია უძველესმა სომხურმა ხელთნაწერმა, მეცამეტე საუკუნისამ¹.

4. პეტრიწის განათლებისა და ფილოსოფიური.

ფილოსოფიური მოღვაწეობის წყაროები

პეტრიწის ლიტერატურული მოღვაწეობის გაცნობა გაკვირვებას იწვევს მკითხველში ავტორის ყოველმხრივი განათლების გამო; განსაკუთრებით გაკვირვებას იწვევს იმ დროისათვის არაჩვეულებრივად კარგი ცოდნა ანტიკური მწერლობისა საერთოდ და ფილოსოფიისა კერძოდ. ნიკო მარტი ამ საკითხის შესახებ სწერს:

„პროკლესათვის კომენტარიების შემდგენი იოანე მუდმივ ტრიალებს არა მარტო ნეოპლატონიკოსთა ქვეყანაში, არამედ ანტიკურ პოეტებისა და ფილოსოფოსების ქვეყანაშიაც.“

ქესიოდე და ჰომეროსი მას მასალას აწვდიან. ჰიპოკრატე, ემპედოკლე, პარმენიდე ხშირად პლატონი მისთვის ავტორიტეტები. ციტირებულია ხშირად პლატონი, რომელსაც იგი აღიღებს ეპითეტებით „დიადი“, „ღვთაებრივი“. სოკრატეს სახელი თითქმის არ შორდება ძეგლის არც ერთ გვერდს, სადაც მოყვანილია მრავალი ციტატი პლატონის ნაშრომებისაგან.“²

იგი იცნობს თითქმის ყველა გამოჩენილ ნეოპლატონიკოსს; მას აინტერესებს ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიული წყაროები,

¹ როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებელმა საქრისტიანო სომხეთი გამოვლინა თურქების ბატონობას (ქ. ანი აილი 1123 წელს) და საქართველოს პროვინციად აქცია. ასეთად დარჩა სომხეთი მეთოთხმეტე საუკუნემდე. ამან ხელი შეუწყო ამ ორი ზღლის კულტურულ ერთიანობას და სომხებმა თავიანთ განათლებულ საზოგადოებას არა ერთი და ორი იმდროინდელი ქართული ლიტერატურული ძეგლი გააცნეს მოხდენილი თარგმნების საშუალებით.

² Н. Я. МАРР. — „Июль Петрических“, стр. 39.

იგი თარგმნის ქართულად ცნობილ ებრაელთა ისტორიკოსს იოსებ ფლაბიოს ცხადია, ბერძნულ ისტორიულ საეკლესიო მწერლობას იცნობს ზედმიწევნით. იცნობს სირიისა და საბერძნეთის ყველა გამოჩენილ ლეთისმეტყველს. რაც შეეხება საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის მთავარ წყაროების ცოდნას, ე. ი. პლატონისა და არისტოტელეს, ამ საკითხზე ჩვენ სპეციალურად შევჩერდებით ქვემოთ.

გაურკვეველია მისი დამოკიდებულება არაბეთის კულტურის წრესთან, თუმცა კაცი, რომელსაც პროკლე ასე ჰყვარებია, არ შეიძლება არ დაინტერესებულყო არაბული ფილოსოფიით, თუგინდ პროკლესთან დამოკიდებულების საკითხის გამო, მით უმეტეს, დაეით აღმაშენებლის ეპოქა ამისათვის საბაბსა და საშუალებას იძლეოდა.

ჩვენ ვღებულობთ ჰიპოთეზას, რომ პეტრიწმა თავისი ფილოსოფიური განათლება დაამთავრა ოთხმოციან წლებში კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე იოანე იტალის ხელმძღვანელობით. თუ ამ ჰიპოთეზის ვერიფიცირების შესაძლებლობაში გამოგვედავებინ, ჩვენ ხელთ მაინც ის უტყუარი ფაქტი გვრჩება, რომ თვითონ პეტრიწი ათეული წლების შემდეგ ეკამათება იტალიელებს, ე. ი. იოანე იტალს და მის სკოლას. იგი აკრიტიკებს ერთერთ დებულებას იოანე იტალისა და მისი სკოლისას, ამ კონტექსტში იგი მოიხსენიებს მათ ერეტეიკოსებად, ე. ი. იმათ, რომელთა ერეტეიკოსობის მონაწილე ახალგაზრდობაში ნამდვილად თვითონაც იყო. ამ ფაქტით დამტკიცებულია, რომ პეტრიწი იოანე იტალის ამბებს კარგად იცნობდა.¹

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პეტრიწი კარგად იცნობს აღმოსავლეთის ხალხების და სხ. მითოლოგიასა და მსოფლმხედველობას, რასაკვირველია, ბერძნული წყაროებიდან. იცნობს აგრეთვე საშუალო საუკუნეების უმაღლესი სკოლის წესდებაში შეტანილ მეცნიერულ დისციპლინებს, მუსიკით დაწყებული და ასტრონომიით გათავებული.

ნათქვამიდან ცხადია, რომ იოანე პეტრიწის განათლების მთავარი წყარო და მოტივი უნდა მოინახოს კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის ფარგლებში, იმ ფილოსოფიურ მოძრაობაში, რომელიც მიქაელ ფსელოსით დაიწყო და რომლის განვითარებულსა და დამთავრებულ სახეს იოანე იტალის ლექციები წარმოადგენდნენ სწორედ მაშინ, როცა იოანე პეტრიწი მისი მსმენელი იყო.

¹ „გინა სადა ყოველმან იტალიელთა წვალეზამან ვითარ ქალწულსა პატრივი სცა და მიემსახურა“, ე. ი. როგორც ეს იტალიელთა ერეტეიკოსობას ქალწულის საკითხში აღმოაჩნდაო, რახეა აქ ლაპარაკი თუ გაეიხსენებთ, რომ იოანე იტალის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებათა ერთ-ერთი პუნქტი აზბობდა, რომ იტალი არ იცნობს ლეთისმშობლის ქალწულობას, ე. ი. რომ მარიამ ქალწული დარჩა იმას შემდეგაც, რაც მაცხოვარი შვა, მაშინ მივხვდებით, რომ ამ კრიტიკული შენიშვნით პეტრიწი ეკამათება იოანე იტალის და ე. წ. იტალიელებს, რომლებიც მთელ სკოლას წარმოადგენენ XII საუკუნის ბიზანტიური სკოლასტიკის ისტორიაში.

მიქაელ ფსელლოსი ტიპიური სქოლასტიკოსი იყო სიშუალო საუკუნეებისა. სქოლასტიკის იმ სკოლის ერთერთი პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ფილოსოფიას ერთგვარი დამოუკიდებლობა მიანიჭა; რასაკვირველია, სქოლასტიკის ამ მიმართულებას რელიგიის პირველობის დოგმა არ შეუცვლია, მაგრამ რადგან ახლა მისთვის ანტიკური ფილოსოფიაც ძვირფასი გამხდარა, ამიტომ სურს დაამტკიცოს, რომ წარმართულ ფილოსოფიაშიც გამოცხადებისა და განგების რელიგიის მზე იყო: ამოსული, მხოლოდ ეს იმათ შეგნებული არ ჰქონდათო.

მიქაელ ფსელლოსი არწმუნებს თანამედროვეობას, რომ იგი ქრისტიანობამ მიიყვანა პლატონთან და არისტოტელესთან, აქედან მას გზა გაუყავავს პლოტინისა, იამბლიხისა, პორფირისა და დასასრულ წარმტაც პროკლესაკენ. ყველა ფილოსოფოსზე მალა იგი აყენებს პლატონს, აქედან მისი პლატონიზმი; ნაკლებად მოსწონს არისტოტელე, მაგრამ ფილოსოფოსთა სიბრძნე მანც განგებისა და გამოცხადების სიბრძნეზე ნაკლებად მიაჩნია, ამიტომ ფილოსოფოსთა მზე პლატონიც კი უმეტარი აღმოჩნდება, თუ ლეთისმეტყველს დაუპირისპირებთ: „*ὃς οὐδέ τις ἄνθρωπος ἀνέστη ἰσχυρότερος αὐτοῦ Πλάτωνος ἢ ὁ μαθητὴς τοῦ Πλάτωνος ἢ ὁ μαθητὴς τοῦ Πλάτωνος*“ = არავის აღამიანთა შორის არ შეუძლია შეეჯიბროს პლატონს, გარდა ლეთისმეტყველობაში დიდისი გრიგორისა“.¹

გადაპარბებით პლატონით გატაცებისათვის მას ცხარე კამათი ჰქონდა თავის ახალგაზრდობის მეგობარ იოანე ქსიფილინესთან, რომელიც ფსელლოსთან ერთად პროფესორი იყო კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში და შემდეგ პატრიარქი გახდა. მტრებმა ფსელლოსს ელინობა მოუგონეს და წარმართობაში დასდეს ბრალი, მაგრამ საქმე გასამართლებამდე არ მისულა. მიქაელ ფსელლოსს, მსოფლიო ისტორიის ერთერთ უდიდეს ოსტატს ყოველგვარი მოხერხებისა და შეგუებისა, მკირე წერილი დასკირდა მეფესთან, რათა მონარქი დაერწმუნებია თავის ორტოდოქსობაში და ისიც დაემტკიცებია, რომ სულ ადვილად შესაძლებელი იყო პლატონის იმდაგვარი ინტერპრეტაცია, რომ აქედან ქრისტიანობისათვის დიდად სასარგებლო საქმე გამოვიდოდა და ამით ყოველივე ეჭვი გაფანტა და ამ გამარჯვებებს დაჩეუღმა ფილოსოფოსმა და მეფეთა აზრებისა და სურვილების დიქტატორმა, ერთხელ კიდევ სძლია თავის მრავალრიცხოვან მტრებს.²

თავისი პლატონიზმით და თავისი სქოლასტიკით მიქაელ ფსელოსმა უსათუოდ შეარყია ბიზანტიის იდეოლოგიის ის წუმბე, რომელიც ეკლესიის ცნობილი ტირანის, პატრიარქი ფოტიოსის მიერ იყო დაყენებული, და რომლის დამასკელურ ფორმალიზმსა და ფსე-

¹ იხ. M. Baumgarten, Ueberwegs Grundrisse etc. ტ. II, გვ. 365.

² იხ. K. Krumbacher: „Geschich. d. byz. Litter. გვ. 435.

ვდო-არისტოტელის უკვე საუკუნე ნახევრის ისტორია ჰქონდა. მაგრამ ფსელლოსი ამას იქით არ წასულა და მისი ნააზრევის რენესანსის ეპოქის დამწყებად გამოცხადება უბრალო ვერბალიზმი და ისტორიის უკოდინარობაა. მას მომავალ დასავლეთელ რენესანსის წარმომადგენლებთან აკავშირებს მხოლოდ გარეგნული გარემოება, სახელდობრ ის, რომ ბერძნებს ბერძნულად ჰკითხულობს, XI საუკუნის დასავლეთ სქოლასტიკოსებს კი ჯერ ბერძნული არ სკოდნიათ. იდეოლოგიის შინაარსის მიხედვით კი მას ყველაფერი საერთო აქვს სქოლასტიკასთან, არაფერი — რენესანსის ეპოქასთან.¹

იოანე პეტრიწს მიქაელ ფსელლოსის ზეგავლენა უშუალოდ აღარ განუცდია. სამაგიეროდ მან იოანე იტალი მოისმინა და მისი მეშვეობით შევიდა ფსელლოსის მიერ გამოწვეულ იდეურ მოძრაობაში.

იოანე იტალი მალალი ნიქისა და დაუდგარი ბუნების კაცი იყო. ანა კომნენი იუწყება, რომ მან მოწაფეობა პსელლოსთან ახირებული ეესტითა და უწმაწური კამათით დაიწყო. პსელლოსის დიპლომატობა და მოქნილობა მას არ მოსწონდა. იტალიელი ეკუთვნოდა იდეოლოგიას, რომლებიც მხად არიან მსხვერპლი გახდნენ თავიანთი პრინციპებისა, პსელლოსის ტიპის კაცი კი საქმეს ასეთ უკიდურესობამდე არ მიიყვანს. უფრო რადიკალურად მოაზროვნე, ვიდრე პსელლოსი, იგი თავის ძიების ცენტრს არისტოტელეს ლოგიკური ნაწერების კომენტარიებზე გადაიტანს, იგი „ორგანონს“ ასწავლის და უხსნის თავის მსმენელებს, ნეოპლატონიკოსებიდან მისი ყურადღების ცენტრში დგას პროკლე².

ეუცნაურია, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი საეკლესიო სასამართლოს მიერ, რომლებიც ბიზანტური ეკლესიის ცნობილ „სინოდოკონშია“ შეტანილი სულ სხვა რაიმეს შეიცავს, ვიდრე მისი ნაწერები. თერთმეტი პუნქტისაგან შემდგარი ბრალდება ჩამოთვ-

¹ ცნობილ საკითხს იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის სილოგისტიკის მემორიალური ცხრილის შექმნა პსელლოსს თუ პეტრე ჰისპანს, ვ. ი. საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ არის პირველი ავტორი წიგნისა: *Ἐπιστολὴ εἰς τὸν Ἀρσενόκλητον Λογικὸν ἑπιστολῆται* ჩვენ აქ აღარ შევიხებით. ერთი რომ ფორმალური ლოგიკის ამ ხერხების გამოყენებას ვერ ენახულობთ პეტრიწსთან, კიდევ მეტი, ფსელლოსის ავტორობის უდიდესმა დამტკიცებამ, პრანტლმა, ვერ ნახა ასეთის გამოყენება თვით იოანე იტალისთან (იხ. K. Prantl: *Geschichte der Logik im Abendland*, ტ. II გვ. 293), და მეორე ის, რომ, ოდესმე ეს საკითხი ფსელლოსის სასარგებლოდ გადაწყდეს (თუმცა ჩვენი რწმენით ეს შეუძლებელია), მაშინაც ჩვენი ძირითადი თეზისი, რომ ფსელლოსი განვითარებული სქოლასტიკის წარმომადგენელია და არავითარი რენესანსის ეპოქის დამახასიათებელი მოტივი მის ნააზრევში არ გვხვდება, შეურყეველი დარჩება.

² იგი იწვიოდა განმარტებას პროკლესა და პლატონის, პორფირესა და იამბლიხოსის მოძღვრებისას, განსაკუთრებით კი არისტოტელეს ნაწერებისას, ამ ნაწერებიდან იგი მხურვალედ ასწავლიდა იმას, რომელიც იწოდების „ორგანონად“, რომლის განმარტება მის მთავარ საქმეს შეადგენდა, სწავის მისი დაუძინებელი მტერი ანა კომნენი.

ლილი „სინოდისკონში“, შეიძლება დავიყვანოთ ჩამოდენიზე არსებობით.

1) იტალი ალიარებს მეტამფსიხოზს, ე. ი. სულის გადასახლებისა და ღოღვის თეორიას (და არა მკვდრებით აღდგომას), 2) იგი პლატონის მომხრეა და ალიარებს იდეების რეალურად არსებობას გაჩენის აქტის დაწყებამდე, 3) მას ეკვი შეაქვს ლმერთი-ლოგოსის ხორცის შესხმის შესაძლებლობაში, ამიტომ უარყოფს სასწაულ მოქმედებას, ხატის თაყვანისცემას და ღვთისმშობლის ქალწულობას.

აქედან ფილოსოფიის ისტორიკოსისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მეორე პუნქტი, ე. ი. დაშვება იმისა, რომ ზოგადი ცნება, ანუ იდეა, ობიექტური რეალობის სახით არსებობს, უწინარეს ამ ცნების ქვეშ სუბსუმირებული კონკრეტული საგნებისა. მივიღოთ, რომ ამ თეორიას მართლაც ალიარებდა იოანე იტალი, რაც შესაძლებელია და დასაშვებაც, მაშინ გამოდის, რომ იგი პირველი მამამთავარი ყოფილა (დროის მიხედვით) სქოლასტიკის იმ დიდი და ცნობილი თეორიისა, რომელსაც დასავლეთში სახელად ეწოდება რეალისმის ცნობილია, რომ ამდგვარ პლატონიზმზე მცირეოდენი მანიპულაციის მოხდენაა საჭირო, და იმისგან მიიღება ქრისტიანობისათვის მთლიანად მისაღები დოგმა. ჩვენ ქვემოთ ვნახეთ, რა ოსტატობით და მოხერხებით ახდენს პლატონიზმზე ასეთ მანიპულაციას ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი და საბოლოოდ არიგებს პლატონსა და ქრისტეს.

მაშასადამე, როგორც ეს „სინოდისკონში“¹ წამოყენებული ბრალდება, ისე ის არისტოტელეს ლოგიკური ნაწერების ინტერპრეტაციის მიზნით დაწერილი შრომები, რომლებმაც იტალიის სახელით ჩვენამდე მოაღწიეს, გვაცნობენ მას, როგორც მაღალი სქოლასტიკის ნამდვილ წარმომადგენელს, როგორც ფსელლოსის მიერ დაწყებული მოძრაობის გამგრძელებელს, ისეთს ფილოსოფოსს ქრისტიანობისა, რომელიც იოანე დამასკელსავით მარტო არისტოტელედან ამოკრებილი სენტენციებით კი არ უმპასინძლდება კაცობრიობას, არამედ აცნობს თვითონ არისტოტელს.

იმ გარემოებას, რომ მას ბრალი დასდევს წარმართობაში, გასასმართლეს, შეაჩვენეს, არავითარი ღირებულება არა აქვს იმის თვალში, ვინც ბიზანტიის პოლიტიკური ცხოვრების მახინციები გაიცილ¹. ეკლესიის საბრალმდებლო აქტებში რომ სწერია, ეს და ეს

¹ სანტუჩესკო ანა კომენის გულახდილი ინფორმაცია. ეკლესიას კი არ მიუტანია იერიში იოანე იტალზე, არამედ მამა მისმა იმპერატორმა ალექსი კომნენმა. იტალი იყო მიქაელ დუქას (1072—77) დიდად დაახლოებული პირი, ამიტომ მას ვერ იტანდა მუსტიკაროვითა და სმლით გაიმპერატორებული გენერალი, მას ელაზდებოდა, რომ აჯანყების მოტრფიალე და არსებული რეჟიმით უკმაყოფილო ახალგაზრდობა თავს იყრის იტალიის ირგვლივ; ამის გამო უკრ იყო და სგვასტოკრატორს დაავალა სამოქალაქო ბრალდება შეეთხზა ფილოსოფოსის წი-

კაცი წარმართობას უკან დაუბრუნდაო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ბრალდებული მართლაც წარმართი იყო. წარმართობის იარლიკს მაშინ ძალიან იაფად აკრავდნენ ყოველგვარ ბრალდებულსა და ექვემდებარებულ კაცს, საკმარისი იყო ეინმეს რისხვა დაემსახურებია ხელისუფლებისა, რომ იგი „წარმართობისათვის“ სასამართლოს წინაშე გაეჩერებიათ.

ვინც იოანე იტალის წარმართობაზე ილაპარაკებს, ის დეე ნუ დაივიწყებს, რომ იმავე ეპოქის დასავლეთელი გამოჩენილი სქოლასტიკოსებიც არა ერთხელ გაუჩერებიათ საეკლესიო სასამართლოს წინაშე და არა ერთხელ შეუჩვენებიათ და გაუძევებიათ. ასე მაგ. ნომინალიზმის შემქნელი როსცელინი წარმართობისათვის, ტრინიტეტთეიზმისათვის და სხვა შეაჩვენეს და გააძევეს 1092 წელს, ათი წლის თავზე იოანე იტალის შეჩვენებისა და გაძევებისა; ხოლო XII საუკუნის დასაწყისის უდიდესი სქოლასტიკოსი პეტრე აბელიარი შეაჩვენეს 1141 წლის კრებაზე ბრალდებით: *dum multum sudat quomodo Platonem faciat Christianum, se probat ethnicum*— განსაკუთრებული ცდის გამო გაექრისტიანებია პლატონი, თვითონ გახდა წარმართი.

ასეთი ბრალდების წაყენება შეიძლებოდა, როგორც იოანე იტალის, ისე მისი ქართველი მოწაფის იოანე პეტრიწის მიმართ. მაგრამ ეს სინამდვილეში ისე შორსაა მართლაც წარმართობამდე და, თუ გსურთ, იმ ცეცხლამდეც, რომელიც მე-16 საუკუნის ადამიანების გულში ღვიოდა, როგორც ეს დედამიწამდე.

იოანე პეტრიწი, რომელმაც უსაბუთოდ იოანე იტალის გასამართლების სკოლა გაიარა და ჰკუა ისწავლა, ცდილობს ისე გააკეთოს ქრისტიანული ფილოსოფია, რომ ჩავარდნები თავიდან აიშოროს და ფილოსოფიაც შეინარჩუნოს. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ ამოცანას აკეთებს იგი დიდი ოსტატობით და პროკლეს თეოლოგიის მოხდენილი გამოყენების მეშვეობით მართლაც ჰქმნის ერთგვარი უნიონის მოჩვენებას ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის.

რა გააკეთა იოანე იტალმა გასამართლების შემდეგ? რაც ყველა მისმა აღმოსავლეთელმა და დასავლეთელმა კოლეგამ: მოინანიო. „დაბოლოს იტალმა შესცვალა თავისი შეხედულება, მოინანიო ცოდვები—სწერს ანა კომენენი—უარი თქვა მეტამფისიზმის თეორიაზე, უარი თქვა წმინდა ხატების გმობაზე, ხოლო მოძღვრება იდეებზე განმარტა ისე, რომ იგი შეგუებული გამოვიდა მართლმორწმუნ-

ნააღმდეგ, მაგრამ აქედან რომ აღარაფერი გამოვიდა, პატრიარქს დაამწყდევია იგი სოფიას ეკლესიის საყრდობილში. „ამ დროს პატრიარქად იყო ესტატე გარიდა—განაგრძობს იმპერატორის ასული,—ამბობენ, რომ მან არა თუ ვერ გაასწორა იტალი, არამედ თვითონ კინალა მადრიკა მის სიანეთა მონაწილედ. იტალმა გარიდა თავის მხარეზე გადაიბირა“ (Alexias, 269). ნათელია, რომ სიტყვა წარმართობას ასეთ შემთხვევაში ძალიან ფრთხილად უნდა მოეპყრათ!

ნე თვალსაზრისთანა. ამ განცხადებიდან უკანასკნელი მომენტია დიდად საყურადღებო. უდავოა, რომ ცოდვების მონანიებისათვის მთავარი მოტივი იმპერატორის მათრახი იყო. მაგრამ ამავე იმპერატორის ასული იმაში უსათუოდ მართალია, რომ პლატონის იდეალიზმი სულ ადვილად შეიძლება იმდაგვარად ინტერპრეტირებული ყოფილიყო, რომ იქიდან მართლმორწმუნე თვალსაზრისის გამართლება გამოვიდოდა. ამის საუცხოვო საბუთია იდეალიზმის ისტორია ძველი და ახალი დროისა.¹

იოანე პეტრიწმა მთელი ეს სკოლა გაიარა და ყველა ამ ამბავში მონაწილეობა მიიღო, და, შესაძლებელია, ასეთი შეცდომისათვის თვითონაც იყო ახალგაზრდობაში დასჯილი, რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ, უკვე მოხუცებულმა კაცმა, იშვიათი ოსტატობით გააქრისტიანა პლატონი და არისტოტელე და, როგორც ქვევით ვნახავთ, დიდი მოხერხებით გაიტანა ბეწვის ხილზე სწორედ ის სამების მეტაფიზიკა, რომელმაც არა ერთი და ორი სქოლასტიკოსი მე-12 საუკუნეში დააყენა უღმობელი საეკლესიო სასამართლოს წინაშე.

მაშ, ასეთი იყო იოანე პეტრიწის განათლების წყარო. როგორი იყო მისი ფილოსოფიური აზროვნების მასალა და ნიადაგი? იოანე პეტრიწი თავის შრომაში ანტიკური მწერლობიდან ასახელებს ჰომეროსს, ჰესიოდეს, პითაგორას, პარმენიდეს, ემპედოკლეს, ჰიპოკრატეს, სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს, სტოელებს, მოგვიანო პერიპატეტელებს, პლოტინს, იამბლიხოს, პორფირეს, ალექსანდრე აფროდისიელს და სხვ. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ამათ იცნობდა იგი უშუალოდ და რომელი მათგანი გაიცნო მან პლატონისა და არისტოტელის მეშვეობით, ანდა საეკლესიო მწერლობისა და ქრისტიანული თეოლოგების დახმარებით, ძალიან ძნელად გადასაქრელია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ისტორიულ გარემოცვას, რომელშიაც მას სწავლა მოუხდა ბიზანტიაში, იმ გატაცებას ანტიკური მხატვრულ მწერლობითა და ფილოსოფიით, რომელიც მიქაელ ფსელლოსის მიერ დაფუძნებული ტრადიცია იყო, მაშინ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ იგი თვითონ იყო მცოდნე ჰომეროსისა და ჰესიოდესი.

რაც შეეხება ისეთს სახელებს, როგორიც არის პითაგორა, პარმენიდე, ანდა სოკრატე, ცხადია, რომ მათი ნაწერები მას თვითონ არ უნახავს, რადგან პითაგორას და სოკრატეს ნაწერების არსებობა

¹ ამ საკითხების ირგვლივ არსებულ მასალათა უდიდესი მკვლევარი და პუბლიკატორი რუსი აკადემიკოსი ფ. უსპენსკი უსათუოდ უტყუარ დასკვნას იძლევა. „ჩვენ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ - სწერს იგი —, რომ იდეათა წრე, რომელშიაც ბრუნავდა ევროპიელი აზროვნება XI და XII საუკუნეში; იგივე იყო, როგორსაც ვნახულობთ ამ დროინდელ ბიზანტიაში“. იხ. Ф. Успенский: „Богословское и философское движение в Византии XI и XII веков“ Ж. М. Н. П. № С. С. XXV, стр. 139.

საერთოდ უცნობია, ხოლო პარმენიდეს და ემპედოკლესი საშუალო საუკუნეების განკარგულებაში აღარ იყო. როდესაც პეტრიწი ბზირად ამბობს, ასე იტყვის სოკრატეო, ეს არის სოკრატე—ლიტერატურული ტიპი პლატონისა, ე. ი. ეს სინამდვილეში არის თქმა პლატონისა, თქმული სოკრატეს მიერ, როგორც პლატონის დიალოგების გმირის მიერ. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, როცა პეტრიწი სოკრატისებურ უმეცრების უმეცნებაზე ლაპარაკობს, ეტყობა მის განკარგულებაში უშუალოდ სოკრატეს სახელთან დაცული ტრადიციის ცოდნა იყო.

რაც შეეხება გვიანდელი ანტიკურობის ფილოსოფოსებს, ესენი ყველა ცნობილი იყო იმდროინდელი ბიზანტიელებისათვის და პეტრიწი იცნობდა მათ. რა გასაკვირია, რომ პროკლეს ასე ზუსტად მცოდნე პეტრიწს სცოდნოდა აგრეთვე პორფირეს „ისაგოგე“ და იამბლიხოსი.

მთავარი საკითხია აქ, თუ რა მოცულობით იცნობდა პეტრიწი საშუალო საუკუნეების ორივე კერძს, არისტოტელეს და პლატონს. ხან ავტორის დასახელებით და ხან ამის გარეშეც მას მოჰყავს ციტატები პლატონის დიალოგებიდან, „პარმენიდე“ და „ტიმეოს“, „ნომოი“, „ფედრო“, „ფედონი“ და „ალკივიადე“. რადგან იგი ერთობ კარგად იცნობს პლატონის კომენტატორებს, პროკლესა, პერმინასა და სხვ., ამიტომ ახალი ძნელი პრობლემა დგება მკვლევარის წინ: რამდენად თვითონ უშუალოდ იცნობს იგი პლატონის დიალოგებს, ან და რამდენად დამოკიდებულია პლატონის ინტერპრეტატორებისა, განსაკუთრებით პროკლესაგან. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გატაცებას პლატონის ნაწერებით, რომელიც მიქაელ ფსელლოსმა დაამკვიდრა და იოანე პეტრიწის მიერ ამ წრეში მიღებულ ფილოსოფიურ განათლებასაც გავიხსენებთ, ცხადია, საკითხი გადაწყდება პეტრიწის მიერ პლატონის უშუალოდ ცოდნის სასარგებლოდ, ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ იოანე პეტრიწი უშუალოდ და კარგად იცნობს პლატონის დიალოგს „პარმენიდეს“ და „ტიმეოს“-ს.

გაცილებით უფრო ნათელია არისტოტელეს ნაწერების ცოდნის საკითხი. პეტრიწი ჩინებულად იცნობს არისტოტელეს ლოგიკურ ნაწერებს, არა მარტო „ორგანონს“, ამ კრებულს არისტოტელეს ლოგიკური ნაწერებისა, არამედ შეიძლება „რიტორიკასაც“, ასეთი უშუალო ბერძნულ ორიგინალზე აშენებული არისტოტელეს „ორგანონის“ ციტირება, მისი ხან მთლიანად და ხან მასში მოთავსებული ნაწერებისა ცალ-ცალკე კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ პეტრიწი იოანე იტალის მოწაფე იყო და აქ შეითვისა მან „ორგანონის“ ჩინებული ცოდნა. იოანე იტალი თავის პედაგოგიურ საქმიანობის საფუძვლად ხომ „ორგანონის“ განმარტებას მიმართავდა.

ჩვეულებრივი შეხედულება, ვითომც იოანე პეტრიწი არისტოტელეს ალმაცერად უყურებდა¹, გაუგებრობაზე და პრობლემის თავისებურების არ გათვალისწინებაზეა აშენებული. არისტოტელეს იგი კიდევაც აკრიტიკებს ძალიან მძაფრად, აკრიტიკებს იმ საკითხში, რა საკითხში იგი მას ქრისტიანსა და „პლატონურ ფილოსოფოსს“ არ შეეძლო არ გაეკრიტიკებია. იგი აკრიტიკებს არისტოტელეს ცნობილ ლოგიკურ თეორიას სახეობითი ცნებების გვარეობითში შერწყმის გზით უმაღლეს გვარეობაზე ასვლის გამოყენებას ღმერთის არსებობის დასაბუთების საკითხში. პეტრიწი არ სცნობს, რომ ღმერთი ლოგიკური გვარეობა იყოს ქვეყნიერ საგანთა სახეობის შიშართ. იგი ემზრობა ნეოპლატონურ თეორიას ღმერთის არსებობის ექსტაზის საშუალებით ხილვისას. ყველა დანარჩენ საკითხში იგი არისტოტელეს მიჰყვება. ლოგიკა, ბუნებისმეტყველება თავიდან ბოლომდე არისტოტელეზეა აშენებული; საერთოდ მეცნიერება პეტრიწთან არისტოტელეზეა დამყარებული და ამაში იგი სოლიდარულია მთელ საშუალო საუკუნეებთან. პეტრიწი განირჩევა დასავლეთური საშუალო საუკუნეების ფილოსოფიიდან იმით, რომ იგი არისტოტელეს იცნობს უშუალოდ ბერძნული ორიგინალების მიხედვით. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ XII საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთულ არც ერთ სქოლასტიკოსს არისტოტელე იმ მოცულობით არ სცოდნია, როგორც ეს პეტრიწთან ვეაქვს მოცემული, თვით პეტრე აბელარსაც კი. პეტრიწი პროკლეს განმარტებათა დასაწყისშივე აცხადებს, რომ არისტოტელეს მიერ, „ორგანონში“ დადგენილი კანონების გარეშე ლოგიკური აზროვნება არ არსებობს და თავიდან ბოლომდე თანმიმდევრად იცავს ამ დებულებას. ეს ადგილი იწყება ასე:

„შეისწავე, ვითარმედ ამას პირველსა სიტყუასა ჰქვან წინამოსაგდებელი სიტყუაჲ... (მოჰყვება ლოგიკის პრინციპების დალაგებას არისტოტელეს „ანალიტიკენის“ მიხედვით, სადაც პეტრიწს მოჰყავს ბერძნული ტერმინები და დაასკვნის): „და ესე მცირედთა მიერ შემოისაზღვრა კანონი არისტოტელის „ორგანონისაჲ“, რომლისა თვნიერ ულონო არს, რაჲსამე გავონებაჲ სულისა მიერ სიტყუერისა.“² აქ გადაჭრით და ნათლად არის ნათქვამი, რომ არისტოტელეს მიერ „ორგანონში“ დაფუძნებული ლოგიკური კანონების გარეშე შეუძლებელია რისიმე შემეცნებაო.

როდესაც პეტრიწს სპირდება ბუნებათმეცნიერული ცნებები, მაგ. ცნება დროისა, ბუნებრივ ოთხ ელემენტთა, ე. წ. მეხუთე, ანუ ეთერის ელემენტისა, სულისა და სხვ. იგი ყოველთვის არისტოტელეს მიჰართავს; იჩენს ცოდნას არა მარტო არისტოტელეს „ფიზიკისას“, არამედ შეიძლება „მეტაფიზიკისასაც“. რამოდენიმეჯერ დასახე-

¹ შეად. H. Я. Mapp, „И. Петр.“ გვ. 33.

² იბ. ი. პეტ. შრომები ტ. II, გვ. 10, 11.

ლებული და ციტირებულია არისტოტელეს ცნობილი ბუნებათმცნეობრივი შრომა De generatione et corruptione¹, უნდა იცნობდეს იგი აგრეთვე არისტოტელეს De coelo-ს, თუმცა ამ უკანასკნელის დამტკიცება უშუალო ლიტერატურული მითითებით არ შეიძლება.

თვით ღვთისმეტყველების საკითხებში არისტოტელე მისთვის უდიდესი ავტორიტეტია. მოათავსებს რა მწეავე კამათს მანიქველურ დუალიზმთან, მოიყვანს რა ყოველგვარ ავტორიტეტსა და გაარჩევს რა ყველა არგუმენტს მონიზმის სასარგებლოდ, დაასკვნის: რა ბევრი ვიმსჯელო, როდესაც ამას „არისტოტელი თან მიეზმავეების ხმითა ბრწყინვალითა“-ო².

ნათქვამიდან ნათელია, თუ რაოდენ ზერელეა ის შეხედულება, რომელიც ფიქრობს, ვითომც პეტრიწი არისტოტელს აღმაცერად უყურებდა. ეკლესიის ფილოსოფოსი მისთვისაც უდიდესი ავტორიტეტი რჩება ცოდნისა და მეცნიერების ყველა დარგისათვის. პლატონური ფილოსოფიის, ე. ი. ნეოპლატონიზმის მიღება მის მიერ სრულიად არ ნიშნავს არისტოტელეს დაგმობას. ნეოპლატონიზმით ქრისტიანული სიბრძნის გამართლება და ღმერთის არსებობის დასაბუთება ერთერთი ზედმეტი არგუმენტია მისთვის, ვინაიდან იგი ფილოსოფიის და რელიგიის უნიონისათვის ლაპარაკობს. ნეოპლატონური მონიზმისა და მონოთეიზმის გამოყენებით პეტრიწს სურს ის ექვი საბოლოოდ გაფანტოს, რომელიც ფილოსოფიის წინააღმდეგ იმ თავითვე არსებობდა ქრისტიანულ თეოლოგიაში.

ამ მიზნით მან ქართულად თარგმნა, განმარტა და დაამუშავა ორი გამოჩენილი შვერალი ნეოპლატონიზმისა, ნემესიო ემესელი და პროკლე დიადოხი. ეს ორი ავტორი და მათთან ერთად მთელი ნეოპლატონიზმი, ცხადია, თვალსაჩინო წყაროა პეტრიწის განათლებისა და ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის.

ამიტომ აუცილებელია უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ამ ორი ავტორის ვინაობაზე და მათ ნაწარმოებებზე, რომლებიც ქართულად თარგმნილი და განმარტებული იყო პეტრიწის მიერ. საჭიროა გამოვიკვლიოთ ხედრითი წონა ამ ორი წიგნისა საშუალო საუკუნეების ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში და დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ სწორედ ეს ორი წიგნი აირჩია პეტრიწმა თავისი აზრების განხორციელების მიზნით.

ნემესიოს იყო ქ. ემესის ეპისკოპოსი. ახალგაზრდობაში ნეოპლატონიკოსი. მეოთხე საუკუნის დამლევეს 385 წლის მომდევნო

¹ პეტრიწი იცნობს ამ შრომის ბერძნულს ორგინალს, რაც ნათელი არის შემდეგი ადგილიდან: „... და აგრეთვე ნაწილი იბრუნა აირისა და არა ყოვლობა, და აგდო რაა თვისი სიმკურნალე, ვითარცა არისტოტელი წიგნსა შორის „ქმნისა და ხრწნისასა“ გუასწავლის, რომელ „პერი გენესის და ფორას“ უწოდა“. იხ. ი. პ. შრომები. ტ. II. გვ. 119.

² იხ. ი. პ. შრომები, ტ. II, გვ. 214.

ხანაში იგი გაიცნო ქრისტიანობის ერთერთმა უდიდესმა ღვთისმეტყველმა გრიგოლ ნაზიანზელმა და ნებისთ თუ უნებლიეთ გააქრისტიანა. ეკლესიამ მას ეს „ღვაწლი“ დაუფასა და 400 წელს ეპისკოპოსად აკურთხა.

მე-5 საუკუნის დასაწყისში მან დასწერა თავისი შესანიშნავი წიგნი *περί φασεως ძωριπασα*, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ ენციკლოპედიას მეცნიერებისა და ფილოსოფიისა, შეგუებულს ქრისტიანობასთან. ძირითადში ავტორი ამოდის ნეოპლატონიზმიდან, მაგრამ ბუნებისმეტყველებისა და ფსიქოლოგიის საკითხებს მთლიანად არისტოტელეზე აშენებს, ძალიან ფართოდ იყენებს სტოელების მოძღვრებასაც აფექტების შესახებ, აშენებს არისტოტელეზე ნებისყოფის თავისუფლების საკითხს და ასე ასრულებს თავის კომპენდიუმს.

ამ წიგნს არაჩვეულებრავი ფართო გავრცელება ხვდა წილად აღრინდელ საშუალო საუკუნეებში, მას ერთნაირი ნდობით მიმართავენ დასავლეთში და აღმოსავლეთში. რამოდენიმე საუკუნის მანძილზე მის ავტორად აღიარებული იყო ეკლესიის ცნობილი მამა გრიგოლ ნოსელი. ამ წიგნზე ააშენა თავის დოგმატიკის ფილოსოფიური საფუძველი იოანე დამასკელმა¹. იგი ფართოდ გავრცელებული იყო XI საუკუნის ბიზანტიაში. მისი პირველი ლათინური თარგმანი გამოვიდა 1159 წელს. ქართული კი 50 წლით ადრე 1109 წლის მომდევნო ხანაში.

თავისთავად ცხადია და გასაგები, რომ ქრისტიანობის მიერ მიღებული ეს ფილოსოფიისა და მეცნიერების ენციკლოპედია იოანე პეტრიწის მიზნებს, — გადმოელო ქართულს ენაზე სერიოზული და ამავე დროს ქრისტიანულ დოგმასთან შეთანხმებული ფილოსოფიური წიგნები, დაენერგა ქართველებს შორის მეცნიერული და ფილოსოფიური აზროვნება, — ჩინებულად უპასუხებდა. მაშასადამე, ამ წიგნის გადმოთარგმნა ქართულ ენაზე სერიოზული მოფიქრების შედეგი იყო. ფილოსოფიასთან მტრულად განწყობილი საეკლესიო რეაქცია ამ წიგნის წინააღმდეგ ადვილად ვერ ამხედრდებოდა.

უფრო სახიფათო იყო, რასაკვირველია, იოანე პეტრიწის მეორე წამოწყება, წარმართი ნეოპლატონიკი ფილოსოფიის ქართულად გადმოღება. როგორც ჩანს; პეტრიწი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ პროკლე, პლატონური ფილოსოფოსი, მისდა უნებლიეთ ქრისტიანობის საკმევს აკეთებდა, იგი ფილოსოფიაში იმასვე ამბობდა, რასაც თეოლოგიაში პავლე მოციქული. მაგრამ, ცხადია, ამ დებულებას დასაბუთება სჭირდებოდა და ამიტომ შეამკო პეტრიწმა თავისი თარგმანი წინასიტყვაობით, ვრცელი კომენტარიებით და დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ბოლოსიტყვაობით.

¹ იხ. Ueberwegs Grund II, 82. 185.

პროკლე (410—435) იყო უკანასკნელი მნათობი ნეოპლატონიზმისა და მთელი ანტიკური წარმართობისა. საერთოდ იგი ცხოვრობდა იულიანე განდგომილის მომდევნო ხანაში და თავისი თვალით ხედავდა, თუ როგორ იღუპებოდა ანტიკური ცივილიზაცია და როგორ იმარჯვებდა „მკედლებისა და საფლავების“ სარწმუნოება. ეს ანტიკურობის უკანასკნელი ფაუსტი იძულებული იყო ქედი მოეხარა ქრისტიანობის წინაშე და მას შორიგებოდა, თუმცა იგი იყო და დარჩა შეგნებული წარმართი. იგი ამოად ცდილობდა თავისი ფილოსოფია ექცია ასკეტიზმად და მისტიციზმად და ამით დაეკმაყოფილებია ეპოქის მოთხოვნილება მისტიურზე და ზებუნებრივზე. ეპოქა თავის გზას აგრძელებდა და ქრისტიანობის ბავშვური ზღაპრები უფრო სწამდა, ვიდრე პროკლეს რაფინირებული მისტერიები. ამავე დროს პროკლე იყო უდიდესი მეცნიერი და ფილოსოფოსი მეხუთე საუკუნისა, ტრიადული დიალექტიკის შექმნელი, ეკკლიდესკომენტატორი და ასტრონომი.

პროკლემ შექმნა ნეოპლატონური სქოლასტიკა, დაყრდნობილი არისტოტელეზე და რიცხვთა მეტაფიზიკაზე. ფორმალური ცნებების კონსტრუირებაში მას ბადალი არ ჰყავს; აზროვნების ისტორიაში. პროკლე იყო სქოლასტიკოსი სქოლასტიკის გაფორმებამდე.

მისი შრომა *Σειχλασταις* *μεισλαχη* ჯერ კიდევ ახალგაზრდაში იყო დაწერილი, ამ შრომის მიზანი იყო ლოგიკურ დიალექტიკური კომბინაციებით დაესაბუთებია უმაღლეს არსებათა ერთობა. ამავე დროს იგი ფშვიათ მანიპულაციას ახდენდა პლატონის იდეალიზმის სხეულზე. აძლევდა რა თეოლოგიურ ინტერპრეტაციას პლატონის უმაღლეს ძეგზბნ-ს, აჩვენებდა, რომ პლატონის აზრითაც ყველაფრის დასაბამად ერთი, ანუ სიკეთე, ანუ ლმერთი, იყო მიჩნეულიო. პროკლეს მიზანი იყო თავისი თანამედროვეობისათვის ეჩვენებია, რომ პლატონიზმის ნიადაგზე გაცილებით უფრო მტკიცე და ლოგიკურად უნაკლო ცნება ერთლმერთობისა და მონოთეიზმისა აშენდებოდა, ვიდრე ეს ქრისტიანობას გააჩნდა.

თავის მხრივ ხალკიდონში საბოლოოდ კონსოლიდირებული ქრისტიანობა (451 წ.) და ბიზანტინიზმი ამაში თავის არსების გამართლებას ხედავდა, მის დაუძინებელ მტერს პროკლეს იყენებდა თავისი სიმართლის, ერთერთი ზედმეტი არგუმენტით, დასასაბუთებლად¹.

¹ ე. დ. ცელლერი უსათუოდ სწორად ხედავს, როდესაც სწერს: „კონსტანტინტური გამოყენება ტრიადული სისტემისა პროკლემ ყველაზე მეტად განაოთარა, და მან ჩამოაყალიბა სამკაროს სურათი, რომელიც ყოველივე ხილულსა და უხილავს ითავსებდა, იყო ერთიანი და თან დანაწევრებული ერთისა და იმავე სქემის მიხედვით, რომელიც მისი ზეციური იერარქიით წარმოადგენდა საპატიო ორეულს ბიზანტიის საეღმწიფოს მოხელეთა იერარქიისა და მთლიანად გამოდგებოდა იმისათვის, რათა ყოფილიყო ნიმუში და მისაბამი მაგალითი ბიზანტიელთა სახელმწიფო იერარქიის სულეფრ მონათესავე საეკლესიო იერარქიისათვისაც“... იხ. Ed. Zeller: *Philos. der Griech.* ტ. III. ნაწ. 2, გვ. 851.

სხვაგვარად აბა რით ავხსნათ მე-5, მე-6 საუკუნის სირიელი და ბიზანტიელი ქრისტიან თეოლოგების ცნობილი კავშირი პროკლესთან. ეს კავშირი საბოლოოდ განმტკიცდა მას შემდეგ, რაც იოანე დამასკელმა დიონისე არეოპაგელი თავიდან ბულომდე ქრისტიანულ დოგმატიკონში შეიტანა და მასთან ერთად შევიდა იქ მისი მასწავლებელი პროკლეც¹.

პროკლეს დასახელებულ შრომას თავისი ყურადღება მიაქცია იმთავითვე არაბულმა აზროვნებამაც, რომელიც აგრეთვე მონოთეიზმის დასაბუთების ძეგნაში იყო. პროკლე არაბულად. ითარგმნა შემოკლებული რედაქციით (IX საუკ.) და ძალიან ფართო გავრცელება პპოვა მთელს ხალიფატში.

არაბული მოკლე რედაქციიდან იგი გადავიდა დასავლეთში სახელწოდებით Liber de causis მე-12 საუკუნეში და დიდი გავლენა მოახდინა სქოლასტიკაზე. ამიერიდან სქოლასტიკურ აზროვნებაში პროკლემ დაიჭირა საპატიო ადგილი არისტოტელეს გვერდით.

ამ წიგნის უდიდესი გავლენა განიცადეს ალბერტ დიდმა და თომა აკვინელმა. გადაქარბებული არ უნდა იყოს ის შეხედულება, რომ აკვინელმა თავის კონცეფციისათვის პროკლედან არანაკლები ისესხა, ვიდრე არისტოტელედანაო. ფაქტია, რომ მის კალამს ეკუთნის ამ წიგნის აღფრთოვანებული სტილით დაწერილი კომენტარიები. ამ ხანებისათვის აკვინელმა იშოვა პროკლეს ბერძნული ტექსტი, საჩქაროდ გადაათარგმნინა იგი თავის ლიტერატურულ მდივანს, ვილჰელმ მოერბეს და საბოლოოდ დაადგინა, თუ რა კავშირი იყო Liber de causis და პროკლეს Στοιχειώδεις შორის. 18 მაისს 1268 წელს მოერბემა აკვინელს ჩააბარა პროკლეს თარგმანი და აღმოჩნდა, რომ ქრისტიანობის ფილოსოფიურ ქვაკუთხედად მიჩნეული Liber de causis გამოჩენილი ნეოპლატონიკოსის კლასიკური ნაშრომის დამახინჯებული რედაქცია ყოფილიყო. ამიერიდან პროკლე არისტოტელეს გვერდით მოთავსდა და თომა აკვინელის ჩრევითა და კურთხევით შეიქმნა ეკლესიის ფილოსოფოსი.

აი ეს წიგნი იყო, რომელიც აირჩია თავისი მუშაობის საგნად ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა ასორმოცდა ათი წლით ადრე თომა აკვინელამდე და გამოიყენა იგი დაახლოებით ისე და იმ მოხნებისათვის, როგორც დასავლეთური სქოლასტიკის მწერვალმა თომა აკვინელმა.

პროკლეს ამ წიგნის ამდაგვარი გამოყენება იოანე პეტრიწმა ნამდვილად მიქაელ ფსელლოსისა და იოანე იტალის მიერ შექმნილ ფილოსოფიურ მოძრაობის წრეში შეითვისა. XI საუკუნის ბიზანტიის სქოლასტიკაში, ე. ი. კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, არისტოტელესა და პლატონის გვერდით პროკლე ყველაზე მიღებული ავტორი იყო.

¹ შეადარე ედ. ცელდერის: Ph. d. Gr. t. III, ნაწ. 2, გვ. 847.

საერთო ფილოსოფიურ ინტერესს გარდა ბიზანტიელებისათვის პროკლეს რესტავრაციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. ბიზანტიელები პროკლეს მკაცრ მონიშვნას და მონოთეიზმს იყენებდნენ იმ საუკუნეში სწორედ ბიზანტიაში ფართოდ გავრცელებული მანიქვეელური დუალიზმის წინააღმდეგ. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ქართველ ფილოსოფოს იოანე პეტრიწთანაც ჰპოვა. როგორც ცნობილია, იტალის გასამართლება-განადგურებას ალექსი კომნენმა მანიქვეელების განადგურებაც შეაყოლა და ამით გამოწვეულმა რეაქციამ ბიზანტიაში იმდენად კარიკატურული ფორმა მიიღო, რომ ნიკოლოზ მეთონელის ცნობილ პლაგიატობამდე მივიდა¹.

მე-12 საუკუნე ბიზანტიის სახელმწიფო სხეულის გახრწნის საუკუნე იყო. დრომოკმეული და დაუძლეურებული იგი ეხეთქებოდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებს. ცხადია, რომ ის ფილოსოფიური მოძრაობა და ინტერესი მეცნიერებისადმი, რომელიც XI საუკუნემ წარმოშვა, საბოლოოდ ლიკვიდირებული და განადგურებული იყო. საეკლესიო რეაქცია მძინეარებდა კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ამიტომ ბიზანტიის სქოლასტიკას განვითარების ის ფორმები არ მიუღია, რომელსაც ისტორია იცნობს მისი უმცროსი დის, ე. ი. დასავლეთელი სქოლასტიკის სახით, აღარ განვითარებულა ე. წ. მაღალი სქოლასტიკის დონემდე და აღარ დაწყებულია მასში ის პროცესი, რაც თომა აკვინელისა და ლუნ-სკოტის სპეკულაციაში დაიწყო: სქოლასტიკის შინაგანი დაშლის პროცესი.

ბიზანტიაში დაწყებული სქოლასტიკის ერთგვარ გაგრძელებას და დამთავრებას ჩვენ XII საუკუნის საქართველოში ვნახულობთ. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნება ამის უტყუარი საბუთია. პეტრიწის წამოწყება მდგომარეობდა იმის ჩვენებაში, რომ ფილოსოფია და ისტორია რელიგიის განმტკიცებისათვის გამოეყენებია. ამ სამსახურის გაწევისათვის კი იგი ფილოსოფიას არსებობის უფ-

¹ ქრისტიანული ეკლესიის დაცდილი ტრადიცია იყო ის, რომ თუ ეკლესიის რაიმე გასაჭირს დროს, ერეტოკოსებთან ბრძოლის დროს და სხ., ანტიკური ფილოსოფია მოკავშირედ დასჭირდებოდა, იგი ასეთ კავშირს სიამოვნებით მიმართავდა და როგორც კი ეს საჭიროება გაიარდა, საეკლესიო რეაქცია მოკავშირეს დაუწყებდა განადგურებას. ასე მოექცა იგი პროკლესაც XII საუკუნეში. პროკლეს ვაზრდილი ავტორიტეტი ეკლესიისათვის უხერხული აღმოჩნდა. პროკლეს განადგურება იკისრა მეთონის ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა. ამ პროფესიონალმა პლაგიატორმა მოხრდილი წიგნი დასწერა პროკლეს წინააღმდეგ, მაგრამ მთავარი ნაწილი ამ წიგნისა სიტყვიდან სიტყვამდე გადმოსწერა პროკლეს დროინდელი საეკლესიო მწერლის პროკლასი გახელის წიგნიდან (468—529). ამ ახირებულმა ხუცესმა სხვა ათიოდე შრომა გადმოწერა წინა საუკუნეების მწერლებსაგან და ბიზანტიის იმპერატორს თავის ნაშრომებად მიასალა. გარემოება, რომელიც ძალიან ნათლად გვიჩვენებს ბიზანტიის კულტურის საბოლოო დეგრადაციას. იხ. კრუმბახერის დას. შრომა გვ. 85—86.

ლებას ანიჭებდა და რელიგიისაგან დამოუკიდებელ ღირებულებად აქცევდა.

რასაკვირველია, იოანე პეტრიწი მარტო არ იყო, მხოლოდ მას კი არ სდევნიდნენ, არამედ მას მსმენელი და წამყობთავიც ჰყავდა. მარტო XII საუკუნის მანძილზე ჩვენი საისტორიო წყაროები ათიოდე სახელგანთქმულ ფილოსოფოსს ასახელებს, თითოეულ მათგანს ახასიათებს ეს ცნობები „ღვთაებრივ“, თუ სამღვთო-ფილოსოფოსად, ზეციერად, თუ კიმიქიმელად, მეცნიერად, თუ გრამატიკოსად, ქართული ეკლესიის დასაყრდენად, თუ ბერძენთა შორის სახელგანთქმულად¹. მათ შორის სამი „იოანე ფილოსოფოსი“ გვხვდება, — გარემოება, რომელიც ძალიან ხელის შემშლელია იოანე პეტრიწის ისტორიული ვინაობის საბოლოო გამოკვლევისათვის.

პროკლეს იოანე პეტრიწი იცნობს, რასაკვირველია, არა მარტო „კავშირის“ შემეგობით, არამედ მთლიანად. კომენტარიების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იგი პროკლეს მიმართავს მრავალგვარ შემთხვევის დროს და ხელმძღვანელობს პროკლეს მიერ შექმნილი პლატონის ეგზეგეტიკური ლიტერატურით. პეტრიწის ბოლოსიტყვაობის ერთი ადგილი გვარწმუნებს იმაში, რომ იგი პროკლეს იცნობს დეტალურად. იქ ლაპარაკია იმის შესახებ, რომ არ არსებობს ბოროტების სუბსტანცია, რომ ბოროტებას დამოუკიდებელი არსებობა არა აქვს, რომ ბოროტების არსებად მიღება სიკეთის გვერდით მანიჭეველური და ერეტიკული აზრია. ებრძვის რა ასეთს მოძღვრებას, პეტრიწი დასძენს, რომ პროკლე ნაცარტუტად აქცევს ბოროტების დამოუკიდებელ არსებად აღიარებას; ამ აზრის აღება პეტრიწს პროკლეს თეოლოგიიდან არ შეეძლო, პროკლემ ეს დებულება გამოთქვა თავის ეთიკურ ნაწერებში, სადაც პროკლე დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ არ არსებობს ბოროტება თავისთავად და სუბსტანციის სახით, რომ ბოროტების ერთადერთი მიზეზი აღამიანია, რომ ბოროტება იბადება აღამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გამო —

¹ შეად. H. H. Март. И. Петр. გვ. 58, ნიკო მარის უდიდეს დამსახურებას შეადგენს, რომ მან პირველად გააცხოველა ყურადღება XI—XII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის მიმართ, და იმ მასალის ფარგლებში, რაც მაშინ მარის განკარგულებაში იყო, მან მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით, გააშუქა უყელა საკითხი. მარი გადაცდა მხოლოდ ერთი საერთო ხასიათის საკითხში; რაღაც უმართებულო წყაროებით სარგებლობის გამო იგი ფიქრობდა, ვითომც XI საუკუნის ბიზანტიაში მომხდარიყოს ნეოპლატონიზმის აღორძინება, და ეს ნეოპლატონიზმი გადმოსულიყოს საქართველოში. მასთან ყველაფერი რიგზეა ნეოპლატონიზმის გარდა, ბიზანტიაში ხდებოდა სქოლასტიკის გარკვეული ეტაპის კონსოლიდაცია, რისთვისაც ამ მოძრაობის მეთაურების მიერ ნეოპლატონიზმიც იყო გამოყენებული და სხვა რამაც მრავალი. ფსელდოსი, თუ გნებავთ, უფრო პლატონისტი იყო, ვიდრე ნეოპლატონისტი, ხოლო იოანე იტალის ნეოპლატონობა არ ჩანს არც ერთ მისი სახელით დარჩენილ შრომაში და იგი არ არის მოხსენებული არც სინოდოკონის სტატუტში.

Τὸν ἀναγὰν ἔαυτὸν το ἄνθρωπος ἔδειξεν, აქედან პროკლეს ნებისყოფის თავისუფლების თეორია გამოყავს და სხვ. ცხადია, რომ პეტრიწი ეშენიერად არის ორიენტირებული პროკლეს ეთიკურ ნაწერებშია¹.

5. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობისათვის

იოანე პეტრიწი დიდი და მრავალმხრივი მოაზროვნე იყო ეპოქისა და გარემოების მიხედვით ხუცესისა და ბერის ტანთსაცმელში გახვეული, იგი ცდილობს აზროვნება შეიტანოს ქრისტიანული სარწმუნოების ქვეყანაში. მას, როგორც ჩანს, ნათლად შეგნებული ჰქონია თავისი ფილოსოფიური მოწოდება და მისია. ბერძნებსა და ქართველებს უსაყვედურებს, რომ მას არ დაანებეს გამხდარიყო მეორე არისტოტელე და ამ გზით—„ღმრთისმეტყველება ნივთისაგან მიუხებელი წარმოეყენა“,—ე. ი. შეექმნა თეოლოგია ამალღებული ყოველივე ნივთიერისაგან და ქვეყნიერისაგან.

პეტრიწი მტკიცედ დგას იმ აზრზე, რომ სარწმუნოებას თავისი საკუთარი ძალებით ამის გაკეთება არ შეუძლია, ამიტომ მიმართავს იგი ფილოსოფიის დახმარებას, და რათა გაამართლოს ასეთის შესაძლებლობა, ეწევა რთულ ძიებასა და მტკიცებას იმის საჩვენებლად, რომ ქეშმარიტება და სიტყვა (ლოგოსი), რომელიც გამოცხადების სახით გამოვლენილია ქრისტიანობაში, „ხედვითი“ ცოდნის სახით მოცემული იყო ბერძნული ფილოსოფიის კლასიკოსებში, კერეტიანი და განცდითი შთაგონების სახით იგივე ქეშმარიტება ლოგოსისა მოცემული ყოფილა მრავალ სხვა აღმოსავლეთიდან მომავალ სიბრძნეში, უპირველეს ყოვლისა „მოსესა და მოსიანთა“ მსოფლგაგებაში, მაგრამ აგრეთვე ხალდეელებთანა და სხვ.

რადგან გზა „ხედვითი“, ანუ თეორეტიული ცოდნისა ყველაზე უფრო დამუშავებული და ნათელია, რადგან ამ გზის გაკაფვისათვის ბერძენ ფილოსოფოსებს უმუშავნიათ, ამიტომ მას სჭირდება ბერძენებისაკენ უკან დაბრუნება და მათი დიდი საქმის გამოყენება. ვინ გამოდგება ამ დიდი საქმისათვის ბერძენთა შორის? პლატონი, არისტოტელე და პლატონური ფილოსოფოსი პროკლე².

¹ შეად. Zeller, B, III. abt., 2, გვ. 874.

² სახელწოდება „პლატონური ფილოსოფოსი“ არის სინონიმი სიტყვისა „პროკლეს ფილოსოფია“. ანტიურობიდან გადაჩენილი პროკლეს შრომების ხელთნაწერები გვიჩვენებენ წარწერას *Διδοχος* და *Πλατωνικός*, შემდეგი ლიტერატურა მას მოიხსენიებს მონაცელებდ პლატონისა. ასე შავ. სიმპლიციუსი წერს: (*Προβλός ὁ ἔκ Λυκίας διτῶν πρὸς θεοῦ γυσιῶν τὸν Πλάτωνα διδοχός*) იტყობა, ყოველივე ეს ჩინებულად სცოდნია პეტრიწს და ამიტომ უწოდებია თავისი შრომისათვის: „პროკლე დიაღობოსი, პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ (ასეთი სათაური აქვს ჩვენს მუხედებში და უკლ ყველა ხელნაწერს). პეტრიწის შრომების მეორე ტომისათვის კი გამომცემლებს გაუყვებიათ აზრის შემცველი და გაუგებრობაზე, თუ რაღაც სხვა მოსაზრებებ-

მთლიანად არც ერთს ამათავაგან პეტრიწი არ ლებულობს, თითო-ეულისაგან იგი იმას იყენებს, რაც -მისი საკუთარი მსოფლ-მხედველობისათვის საჭიროა. ამ კონტექსტში თავის თავად ნათელი ხდება, თუ რაოდენ არის პეტრიწი ნეოპლატონიკოსი. შეხედულება, ვითომც იგი იყოს პროკლეს პირდაპირი მოწაფე და ვითომც პროკლეს გადმონერგვას ეწეოდეს საქართველოში, შეიძლება შენდებოდეს ერთის მხრით საშუალო საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის უცოდინარობაზე და მეორის მხრით იოანე პეტრიწის მიერ შედგენილ პროკლეს ტექსტის განმარტებათა გადაუკითხველობაზე. თუ ამ განმარტებას გულდასმით გადავიკითხავთ, ნათელი გახდება, რომ პეტრიწი ძალიან ხშირად ეკამათება პროკლეს და მყისვე იმიჯნება მისგან, თუ კი შეამჩნევს, რომ პროკლეს აზრის ესა თუ ის ნაქანსი მას ეწინააღმდეგება. მაგ. პეტრიწი ნათლად ხედავს, რომ პროკლესეგური დიალექტიკა ხშირად ხედვითი—ე. ი. თეორიული ცოდნის გზას სტოვებს, ამ შემთხვევაში პეტრიწი აღარ ეთანხმება პროკლეს და მტკიცედ იცავს ხედვითი ცოდნის სისწორეს. ასე რომ, ნეოპლატონელობა იოანე პეტრიწისა ძალიან პირობითი ცნებაა და ქრისტიანული ფილოსოფიის გარკვეული სკოლისა და განვითარების დონით არის გაპირობებული.

საქმის ზუსტი გამოკვლევა გვარწმუნებს, რომ პროკლე სჭირია მას სამი გარემოებისათვის: 1) ერთისა და მისგან გამომდინარე სიმრავლის დიალექტიკურობის დადგენისათვის, ე. ი. უმაღლესი ერთისაგან ქვეყნიერებათა საფებურობრივ წარმომდინარეობის თეოლოგიური საკითხის ფილოსოფიურ დიალექტიკური ხერხით გათვალნათლიობისათვის; 2) სიკეთისა და ბოროტის სუბსტანციონალური დუალიზმის დაძლევისათვის და სიკეთის მონიზმის დადგენისათვის (აქ სჭირდება მას პროკლესეგური ინტერპრეტაცია პლატონის *ჲქამაზი-ისა*); 3) ღვთის მტერ და მგმობელ ფილოსოფოსთა, ე. ი. ეპიკურეელთა (წაიკითხე მატერიალისტები) განადგურებისათვის.

ხოლო არისტოტელე სჭირდება მას: 1) ყოველივე მდაბიო ცოდნის, იმის, რასაც დღეს მეცნიერება ეწოდება, დადგენისათვის, არისტოტელე ცისა და მიწისაა, ნივთთა წარმოშობისა და ხრწნის შესაიდუმლეა; 2) არისტოტელე ავტორი „ორგანონისა“ საფუძველია ყოველივე ლოგიკისა და დასაბუთებისა, რადგან პეტრიწმა იცის, რომ არისტოტელეს ლოგიკის გარეშე „უღონო“ არს რისავე გაგო-

ზე აშენებული სათაური: „განმარტება პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის“ და ისიც ძველი ქართული ტრანსკრიბციით დაუწერიათ; ასე რომ მკითხველმა უნდა იფიქროს, ვითომც პეტრიწს შრომა დაუწერია პლატონის ფილოსოფიის განმარტებისათვის. სინამდვილეში პეტრიწი წერს და ბაასობს პლატონურ ფილოსოფოსზე, ე. ი. პროკლესზე და არა პლატონის ფილოსოფიაზე.

ნებაჲ სულისა მიერ სიტყვიერისა, რადგან თვით ღმერთს არ შეუძლია ლოგიკას ეწინააღმდეგოს, ვინაიდან თვითონ არის ლოგოსი. ამიტომ, ცხადია, სადაც ლოგია საჭიროა, იქ არისტოტელეც აუცილებელია; 3) რადგან არისტოტელეს მოძღვრება „სიტყვიერებითი“, ე. ი. სიტყვაში ამოკითხული ჰეშმარიტება და კანონი, და მისი მოძღვრება „ბუნებითი“, ე. ი. ბუნებაში ამოკითხული კანონი, საბოლოო ანგარიშით მიდის იმ აზრამდე, რომ „ერთი არის მეუფე ყოველთა“, ამიტომ არისტოტელეს მეცნიერების საბოლოო დასკვნა მისივე ღვთისმეტყველებაა და, ცხადია, ასეთი ფილოსოფოსი სჭირია ქართველ ფილოსოფოსს, რათა სიბრძნე და სარწმუნოება ფილოსოფიად გადააქციოს.

რაც შეეხება პლატონს, აქ პეტრიწის პოზიცია ძალიან გვაგონებს მაქაელ ფსელლოსის პოზიციას. „ღვთაებრივი“ პლატონის მიერ იგი უფრო აღფრთოვანებულია, ვიდრე დარწმუნებული, პლატონი მას უფრო ხიბლავს, ვიდრე ასწავლის. პლატონს იგი აღიღებს, როგორც პირველ სათავეს იმ სიბრძნისა, რომელიც პავლე მოციქულში გამოცხადდა.

პეტრიწის აზროვნებისათვის ძალიან დამახასიათებელია ის გარემოება, რომ როცა ის წერს მაგ. პლატონზე, არისტოტელზე, თუ პროკლეზე ყოველთვის შთაბეჭდილება იქმნება, რომ თათოგული მსოფლმხედველობრივი პრობლემა აღებული ამ ფილოსოფოსებიდან მისთვის მხოლოდ საბაბია, რაღაც დამოუკიდებელი და საკუთარი აზრის გასაშლელად, რაღაც საკუთარი საკითხის დასასმელად, ამიტომ მისი გამოცხადება რომელიმე ანტიკური ფილოსოფოსის ადებტად არამცთუ ორიგინალობას მოკლებული წამოყენებაა, არამედ საქმის ფაქტიური მხარის საწინააღმდეგო გარემოებაც არის.

მაშ, რომელია ის მსოფლმხედველობა, რომლის გაშლისათვის მას საბაბად ანტიკური ფილოსოფია გამოუყენებია? რასაკვირველია, ქრისტიანობა, და არც შეიძლება სხვა რაიმე ყოფილიყო.

მაგრამ უნდა ითქვას ნათლად: დამასკელის სკოლაში გამოძუმშებულ დოგმატზე იგი ასე თავით მალა ასულა. მაშასადამე, უკვე არსებული ქართული საეკლესიო თეოლოგიისათვის თავისი სიბრძნე დაუპირისპირებია. მას უშუალოდ შეუხედავს ანტიკური ფილოსოფიისათვის და მისი სინათლე დაუნახავს და განუცდია. ამიტომ ვლწოდეთ ჩვენ მას სქოლასტიკის ისტორიაში იმ მამართულების შემქმნელი, რომელიც იძულებული იყო ეცნო ფილოსოფიის უფლება, რომელმაც ზეცა აიძულა იქ გონების არგუმენტები მოესმინათ. რასაკვირველია, მან ეს აზრები პირველად მიქაელ ფსელლოსის და იოანე იტალისაგან ისესხა, მაგრამ რადგან საქართველოს ეკლესიის ზედამხედველი თვალი ისე ძლიერი არ იყო, როგორც ბიზანტიისა, რადგან იმდროინდელი საქართველო ნაციონალური გაერთიანებისა და ახლად წარმოშობილი მონარქიის გამო ერთგვარ აღორძინებას გა-

ნიცილიდა, ამიტომ ბევრ შემთხვევაში სქოლასტიკის ეს აზრი იოანე პეტრიწმა უფრო გაბედულად და უფრო ნათლად თქვა, ვიდრე ვინმე მისმა მოძემ XI საუკუნის დამლევს დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

ნათქვამი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პეტრიწში დავინახოთ ე. წ. რენესანსი ფილოსოფიური აზროვნებასა? ლიტერატურაში ასეთი აზრები მის ირგვლივ და მისი მნიშვნელობის დასახასიათებლად უკვე გამოთქმულია. მაგრამ ეს შეხედულება მოკლებულია ყოველივე ისტორიულსა და ფაქტიურ საფუძველს. მართალია, რომ პეტრიწმა ფილოსოფიის ერთგვარი დამოუკიდებელი უფლება სცნო ანალოგიურად ფსელლოსისა და იტალის წამოწყებისა, მაგრამ იგი რენესანსის ეპოქის თვალსაზრისამდე არ მისულა. რენესანსის შინაარსი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ პლატონსა და არისტოტელეს ბერძნულ ორიგინალებს ბერძნულადვე დაუწყეს წაეკითხვა (აბა ბიზანტიელ ბერძნებს რა ენაზე უნდა წაეკითხათ პლატონი!). არც იმაში, რომ ფილოსოფიაში გარკვეული ღირებულება დაინახეს, არამედ რენესანსის ეპოქის თავისებურება და საკუთარი თვალსაზრისი მდგომარეობს ორმაგი კეშმარიტების თეორიის წამოწყებში, ე. ი. იმის აღიარებაში, რომ არსებობს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი კეშმარიტება, კეშმარიტება ქვეყნისა და ფილოსოფიისა, კეშმარიტება ღმერთისა და თეოლოგიისა; განვიხილოთ შემდგომ საფეხურზე ეს ორი კეშმარიტება ერთმანეთს დაუპირისპირდა და ცნობილი ბრძოლა გაიმართა მათ შორის.

იოანე პეტრიწის (და არც მის მასწავლებლებს ფსელლოსსა და იტალის) სიზმარშიაც კი არ უნახავს ორმაგი კეშმარიტების შესაძლებლობა. მისთვის კეშმარიტება ერთია, მხოლოდ ორი და მრავალი არსებობს გზა მისი გამოთქმისა. იგი არ ზოგავს არავითარ არგუმენტს თავისი მახვილი გონებისა, არავითარ სახეს თავისი მრავალმხრივი ფანტაზიისა და მოქმედებას თავისი კალმის წვერისა, რათა აჩვენოს, რომ ცოდნა, სინათლე და კეშმარიტება, ერთნაირი ძალით ამოსხივოსნდა დასავლეთში და აღმოსავლეთში, ხალდეველთა და მოსიანთა თქმებში, ბერძნებისა და ქრისტიანების სიბრძნეში, რომ ყოველივე ფილოსოფია საბოლოო ანგარიშით იმასვე ამბობს, რასაც ჩვენი პაველ მოციქულიო¹; მართალია, ამ არგუმენტის გამო მან ფილოსოფიასაც არსებობის უფლება მოუპოვა, მაგრამ ეს არის საბოლოო ანგარიშით მაინც სქოლასტიკა და არა რენესანსის ეპოქის აზროვნებაში დაბადებული აზრის თავისუფლება¹.

¹ პეტრიწის შრომების II ტ. წინასიტყვაობაში პეტრიწი არა თუ რენესანსის ეპოქის გმირად არის წამოყენებული და სანოხას ინტელექტუალური ტრაგედიის დამძლეად, არამედ ქართული წარმართობის აღდგენად. ეს შეხედულება, სამწუხაროდ, აშენებულია ძველი ქართულის ვერ გაგებაზე, თუ რალაც ჩვენთვის უცნობ გარემოებაზე. რახედაც არ უნდა იყოს აგებული იგი, ყოველ შემთხვევაში პეტრიწის ნაწერში ამდაგვარი არაფერი სწერია და ვისაც ისტორიის რაიმე კი ესმის, მისთვის ნათელია, რომ წარმოუდგენელია ასეთი რაიმე ეწეროს იქ.

მაშასადამე, პეტრიწთან მოკემულია განვითარებული სქოლასტიკის თვალსაზრისი; ამ თვალსაზრისის გამომუშავება ქართული თეოლოგიური და საეკლესიო აზროვნების დამთავრება იყო, მისი განვითარების იმ წერტილთან მიყვანა, როცა განვითარების პროცესში მყოფი თითოეული მოვლენა თავისთავთან უცხო გახდება და თავის საწინააღმდეგოში გადავა, — ძველი ილუპება და ახალი დაიბადება.

თვითონ პეტრიწი ქართულ კულტურას განვითარების ამ მაღალი დონისათვის არ მიუღწევია; ასი წლის შემდეგ პეტრიწისა ქართული კულტურის ამ სახეს გააფორმებს რუსთაველი და იგიც არა რეფლექსიის სფეროში, არამედ მხატვრული ხედვისა და პოეტური შემოქმედების სფეროში. რენესანსი რუსთაველში დაიბადა, პეტრიწისთან იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა.

წინასიტყვაობა, რომელიც პეტრიწმა პროკლეს შრომის ქართულ თარგმანს წაუძღვარა, იშვიათ ფილოსოფიურ ტრაქტატს წარმოადგენს; მისი მიზანია მოკლედ შემოხაზოს საკვლევი ობიექტის არე, დააყენოს კვლევის მთავარი პრობლემა და განიხილოს საკითხი იმ იარაღის შესახებ, რომლითაც წარმოებებს კვლევა. ამავე დროს აქ გარკვეულია საკითხი პროკლესთან ურთიერთობისა და პროკლეს მნიშვნელობისა და ღვთისმეტყველების თეორიისათვის.

დასაწყისშივე ამბობს პეტრიწი: „ჰაზრი ამის წიგნისა ამათ შინა შემოიციცის: პირველად რაჟთა ერთი წარმოაჩინოს, თუ არს ერთი, და იძულებათა მიერ თანშესიტყუათაჲსა აღმოაჩინოს ესე მრავალსაქადაგოჲ ერთი“ (გვ. 3). ე. ი. წიგნის აზრი იმაში მდგომარეობსო, რომ ერთი აღმოაჩინოს, როგორც საფუძველი ყოველივე სიმრავლისა და სილოგისტური იძულებით დაამტიკოს, რომ სიმრავლის საფუძველი არის ერთი და სხვ. მრავალ მოვლენას აქვს პრეტენზია იყოს ერთი და საფუძველი, განაგრძობს პეტრიწი, მაგრამ „არა არიან იგინი ერთ“ და ის, რაც „არის უზადო და წმინდა ერთ“ პროკლემ აღმოაჩინა ლოგიკის კანონების მიხედვითო. პეტრიწმა იცის, რომ ბერძნულ ფილოსოფიაში ეს აზრი დიდი ხანია არსებობდა, იგი იცოდა პარმენიდემ, იმას ასაბუთებდა „ორგანონის“ ავტორი, ე. ი. არისტოტელე, იგი იყო პლატონის „ხედვათა“ საფუძველი. მაგრამ თვით პლატონთან ერთად-ერთი და კემპარიტი ერთის ბუნება „უცნაურ და მიუწოდომელ“.

ხოლო პროკლეო, განაგრძობს ქართველი ფილოსოფოსი — „თანაჲყუა თვსთა პირველთა, ვიტყვ პლატონისთა და მის უმწუერვალესისაჲსა გონებისაგან მიუწოდომელსა ერთსა. რაოდენ-იყო შესაძლო, იმეცადინა ცნობად მყოფთა სასურვოჲ იგი და სატრფოჲ და ბეკედულნი და დაფარულნი პლატონის მიდმოსიტყვისანი განაცხადნა და მათ შორისი სიბრძნე საუკუნითგან არსთა და თანწარმოდგომილი საჩწმუნოებჲა აღასაკუმილა, და ვითარ მათ შორის სწყურის პლა-

ტონს მის უოცნოასა ერთისათვის და ყოელისა გონიერისა და ზესთ გონიერისა აღმკულისათვს" (გვ. 5).

ე. ი. პროკლე თანგაპყუა მის წინაპართა და ვიტყვი, რომ მიწვდა ბუნებას ერთისა, რომელიც თვითონ პლატონის უმწვერვალესობამდე განვითარებული გონებისათვისაც მიუწვდომელი აღმოჩნდა და რამდენად შესაძლებელი იყო იმეცადინა, რათა იგი სასურველი და სატრფიალო არსებული, ის, რომელიც პლატონის დიალოგებში იყო დაფარული და დაბეჭდილი, გამოეცხადებია, ე. ი. შეეცნო. ამით აღადგინა ის საუკუნეებში აღბეჭდილი სიბრძნე არსთა, რომელიც სარწმუნოებაში იყო წარმოდგენილი და ასახული, ე. ი. აღმოაჩინა ის ყოელისა გონიერისა და ზესთგონიერის სათუქვლად დებულ ერთი, რომელიც პლატონისათვის დარჩა უცნო და გაუგებარი ერთი.

ამ საქმისათვის პროკლემო, განაგრძობს პეტრიწი — აჩვენა გამოუსადეგრობა არისტოტელეს მიერ აღმოჩენილი სილოგიზმების კანონისო, იმ კანონისო, რომლითაც პერიპატეტელები ლამობდნენ პლატონის დამარცხებასო; შესამედ, მან ყოველივე ამას დაურთო სიწმიდე და სიცხადე დამტკიცებათა, სიმაღლე და მაღალი ზედვა განმარტებისა და ყოველივე ამისათვის დაიმსახურა სახელწოდება დიადოხოსისა, „რომელ არს მონაცვალებოა პლატონისი“.

კითხულობ ამ ადგილს პეტრიწის წინასიტყვაობიდან დი გიკვირს. თუ საიდან შეკრიბა XI საუკუნეში მცხოვრებმა ქართველმა ბერმა ასეთი ზუსტი და ფაქტების ცოდნაზე აშენებული გაგება ანტიკური ფილოსოფიის განვითარების გზებისა.

რას ამბობს ფაქტიურად აქ პეტრიწი? აქ მისი მსოფლმხედველობის მთელი პრინციპია მოცემული. საფუძვლად ყველაფრისა გამოცხადებულია ერთი, რომელიც მაღლა და მიღმა მდგომია ყოველივე სიმრავლისაგან, ყოველივე მოვლენისა და ქვეყნიურისაგან. ეს ის პრინციპია, რომელიც სარწმუნოებამ აღმოაჩინა, რომლის აღმოჩენისათვის პერიპატეტელ ფილოსოფოსთა ყოელად ძლიერი სილოგიზმის კანონებიც კი არ გამოდგებიან. ეს ის ერთია, რომელიც თვითონ პლატონისათვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო, თუმცა როგორც პროკლემ პლატონის დიალოგების განმარტებით გვიჩვენა, პლატონიც გრძნობდა, რომ რაღაც ასეთი არსებობდა, მაგრამ მისთვის ეს პრინციპი მაინც უცხო და გაუგებარი დარჩაო. ფილოსოფოსთა შორის პროკლე ყველაზე უფრო კარგად მიმხედარა ამ ერთის ბუნებასა და საიდუმლოებას.

პირველი აღექსანდრიელი ეკლესიის მამებიდან ლაწყებული, კლიმენტი და ორიგენით, ნეტარი ავეუსტინე, და კაბადოკიელ მამათა სკოლით და გათავებული მიქაელ ფსელლოსით და იოანე იტალით, ქრისტიანული აზროვნება თავს იტეხდა პლატონის იდეალიზმთან დამოკიდებულობის საკითხით. ჩინებულად დაამტკიცა ბ რ უ -

ნო ბაუერმა, რომ ქრისტიანობა თავისი ბუნებით ძალიან ახლო მონათესავე იყო პლატონისა. მაგრამ თუ გავიხსენებთ პლატონის მოძღვრების იმ ნაწილს, რომლის თანახმად იმდენი იდეა არსებობს, რაოდენი ზოგადი სახელი, რომ ღმერთი ქვეყანას ჰქმნის იდეის სქემის მიხედვით და სხვ., მივხედვით, რომ პლატონიზმში ისეთი ელემენტებიც მოინახებოდა, რომლების მორიგება ქრისტიანულ თეოლოგიასთან შეუძლებელი იყო. მართალია, პლატონი სცნობდა უმაღლესი იდეის არსებობას, რომელსაც იგი სიკეთის იდეას უწოდებდა და მის ადგილს იდეათა სამყაროში ადარებდა მზის ადგილს ხილულ ქვეყანაში. მაგრამ ეს უმაღლესი იდეა თავისი ონტოლოგიური და ნოოლოგიური ბუნებით დანარჩენი იდეებისაგან არ განსხვავდებოდა და, მაშასადამე, უშუალოდ აღებული, იგი ქრისტიანობისათვის სახიფათო მოკავშირე იყო. ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობამ საბოლოო ანგარიშით პლატონზე უშუალოდ დაყრდნობა ვერ გადასწყვიტა.

ქართული ფილოსოფოსი თავისებურად სწყვეტს ამ საკითხს, იგი პროკლეზე დაყრდნობით აჩვენებს, რომ შესაძლებელი იყო პლატონის იდეათა გზით აღმოჩენა უმაღლესი ერთისა, რომელიც იქნებოდა უცნაური და უთქმელი, ზებუნებრივი და ზეგონებრივი, აბსოლუტურად მიღობი და ქვეყნის მიმართ ინდიფერენტული. პეტრიწი ფიქრობს, რომ ეს ერთი ანუ აბსოლუტი ბნელად ნაგულისხმევი იყო პლატონთან და ახლა მონაცვალემ მისი საყდრისა „თარგმანებითა დენითა განაცხადა“ იგიო. ეს იყო პლატონიზმის ის ფორმა, რომელიც მთლიანად მისაღები იყო ქრისტიანობისათვის.

პროკლეს „კავშირთა“ განმარტების დროს ამ აზრს პეტრიწი ფართოდ გაშლის, ამავე დროს შეეცდება დაამტკიცოს, რომ სრული ერთობა არსებობს ამ საკითხში პლატონსა და არისტოტელეს შორის. აბა, როგორ უნდა გავიგოთ ამ კონტექსტში გამოთქმული კრიტიკული აზრი პერიპატეტელთა სილოგისტიკის კანონების შესახებ, რომლებიც ვერ მისწვდებიან იმ „უზადოსა ერთსა“. ჰგობს პეტრიწი არისტოტელეს ფილოსოფიურ ღვაწლს? რასაკვირველია, არა. პეტრიწის ნაწერის მთლიანი გაცნობა გვარწმუნებს, რომ იგი მთელ თავის „სიტყვიერებითს“ და „ბუნებითს“ ცოდნას თავიდან ბოლომდე არისტოტელეზე აშენებს, ე. ი. ლოგიკა და ბუნებათმეცნიერება არისტოტელეზე უნდა იქნეს აშენებული. მაგრამ ბუნების და ლოგიკის კანონები „გაგონების“¹ და გონების სფეროს ეკუთვნიან, ხოლო ის „უცნაური ერთი“ ამათ მიღმა მოთავსებული. ამიტომ იმ „ერთის“ გაგება და შემეცნება სილოგიზმებით არ შეიძლება. ყოველივე დანარჩენის მიმართ სილოგიზმში ძალაში რჩება და არისტოტელეს

1. პეტრიწის ტერმინი „გაგონება“ ნიშნავს იმას, რასაც ბერძნული *νοησις*, დაახლოებით რუსული *разумъ*, გერ. *Verstand*, თანაბედ. ქართული განსჯა, სჯის უნარი.

უკუგდება არავის არ შეუძლია. პეტრიწმა ისიც იცის, რომ სილო-
გოზმის აღმოჩენი, ე. ი. არისტოტელე, რაღაც ხედვით ცოდნაზე,
ე. წ. წმინდა თედორაზე, ანუ აზროვნების აზროვნებაზე ლაპარაკობ-
და და ეს საესებით ისეთივე გზაა სიბრძნისა, რაც პლატონის დია-
ლოგებიდან პროკლემ „განაცხადა“.

საიდან აიღო პეტრიწმა პლატონიზმის ასეთი ინტერპრეტაცია?
წყარო ჩვენთვის უცნობია და ვფიქრობთ, რომ იგი მისი აზროვნების
შედეგია. შეიძლება პლატონიზმის ასეთს ინტერპრეტაციას ეწეოდა
იოანე იტალი, მისი ნაწერებიდან ჯერჯერობით ეს უცნობია, ხოლო
მის წინააღმდეგ სინოდოკონში წაყენებული ბრალდება მას ტიტელი
პლატონელობას აბრალებს, რომლისაგან იღეათა პლურალიზმი და
მეტამფსიხოზის თეორია გამომდინარეობს. ანა კომნენის ბნელი, თუმ-
ცა დიდად საინტერესო ცნობა, რომ იოანე იტალმა მოინანიო ცოდ-
ვები და პლატონიზმს ისეთი განმარტება მისცა, რომ იგი მართლ-
მორწმუნე თვალსაზრისისათვის მისაღები იყო, შინაარსის მხრივ
ჩვენთვის უცნობია.

შემდეგ პეტრიწი იძლევა შემეცნების წყაროების გამოკვლევას.
იშვიათი გამოყენებით ბერძნული შემეცნება-თეორეტული და ლო-
გიკური წყაროებისა. იგი იძლევა ორიგინალურ განსხვავებას შემეც-
ნების ორ ნაკადს შორის სულსა და გონებას შორის, ზღვიჲა
და სბრჲა.

შემეცნება სულის მიხედვით არ არის მარტივი პროცესი, სულს
„ძალი გაგონებისა“, ე. ი. შემეცნების ძალა მხოლოდ „მიღმოგონე-
ბაში“, აქვს, ე. ი. არის დიალელი; იგი „არა მარტივად მიდრკების
მუნ, სადაცა მიემართოს“, იგი „ამისაგან ამისდად მიდგების მცირედ-
მცირედ“, ამიტომ როგორც სხვადასხვაა სვლა და ის გზა, რომელ-
ზედაც დადიან, ისე ის, რასაც სული დაეძებს და რასაც „გაიგო-
ნებს“, ე. ი. შეიმეცნებს.

რაც შეეხება შემეცნებას გონების გზით, ამის შესახებ პეტრიწი
ამბობს: „ხოლო გონებაჲ ზედ მიესხმის მარტივად, ვითარ აღმოჰქდეს
რაჲ მზე და აჰა შარაჲანდნიცა მისნი უჲამოდ და მიუდრეკელად
დაჰფარავენ ყოველსა, და არა მცირედ-მცირედ მიდგებიან, არამედ
მუის თანავე აღმოჩენსა მზისა დისკოჲისასა აჰა და მიფენაჲცა შა-
რაჲანდელთაჲ“ (გვ. 7) ე. ი. გონება მარტივად მომდინარეობს, ისე,
როგორც გამოჩნდება თუ არა მზე, მუისვე შარაჲანდელი მისი სხივისა
ყოველივეს დაფარავს და ეს არ ხდება თანდათან და დროში, არა-
მედ ხდება „უჲამოდ“ ე. ი. დროის გარეშე, აქ არ არის ჯერ მზე
და შემდეგ შარაჲანდელი. ასეთია გონების გზაც—განაგრძობს პეტ-
რიწი—ვინა აჰა გონება და აჰა გაგონება, „ერთბამად გონება და
გასაგონო მისი“, ე. ი. ერთი და იგივეა გონება და აზრი, თუ გონე-
ბა, „ერთბამად“ აზრიც არის.

შესამე ცნება; რომელსაც აქ პეტრიწი არჩევს, არის ცნება ნოეტონის (νοητον), იგია „საგონი“, ანუ „გასაგონი“, ე. ი. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, იგი ყოფილა ობიექტი გონებისათვის და, როგორც ასეთი, სუბიექტზე წარჩინებული, უმჯობესი. პეტრიწი ამბობს: „ხოლო ყოველი გასაგონი უმჯობეს არს გამგონესა, რამეთუ დაუზესთავდების გასაგონოა გამგონესა“. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ეს იქნება ასე: ყოველივე ობიექტი უმჯობესია სუბიექტზე, რადგან ობიექტი აპრიორი და წინასწარ არის მოცემული სუბიექტისათვის.

შემდეგ ეს დებულება პეტრიწს გადააქვს სულისა და გონების განსხვავების დასადგენად და ამბობს: „სულსა დაუზეედების გონებაჲ, და სხუაჲ არსებაჲ მისი და სხუაჲ სულისაჲ, და არს სული გამგონე, ხოლო გონებაჲ გასაგონოა“ (გი. 7) ე. ი. სულს ზე უდევს გონება, სული სუბიექტია, გონება კი ობიექტი.

ამ ჩინებულ დიალექტიკას მოჰყვება მეტაფიზიკა, გაკვირვების გამომწვევეი თავისი გაბედულობითა და აღფრთოვანებისა—თავისი არქიტექტონიკით.

პეტრიწი მსჯელობს ასე:

იწყებს თუ არა გონება ნამდვილ მყოფი არსების შემეცნებას, ნამდვილ მყოფი იქცევა ობიექტად და გონება სუბიექტად. შევუდგებით აღმოჩენას ნამდვილ მყოფისა, მყისვე მას ზე დაუდგების „ერთებრივი რიცხვი“, ახლა სუბიექტი არის ნამდვილ მყოფი, ხოლო ობიექტი ერთებრივი რიცხვი; როგორც კი რიცხვს ამავე კანონის მიხედვით განვიხილავთ, განმეორდება იგივე დიალექტიკა, „სახლვარსა და უსახლვროობას“ შორის, აქაც უსახლვროობა იქნება ობიექტი და სახლვარი სუბიექტი; და თუ კვლავ მიმართ უსახლვროებისა გამოვიყენებთ ამავე დიალექტიკას, მაშასადამე, თუ უსახლვროება იქნება სუბიექტი, ახლა იქნება ის ობიექტი, რომელიც მის მიმართ არის აპრიორი და ზესთდებული, ე. ი. რა იქნება გასაგონო? და პეტრიწი უპასუხებს: „ხოლო გასაგონო (იქნება) სწორად ყოველთაგან ზესთ მდებარე იგი უცნაური ერთი და კეთილობაჲ, რომელსა წადილმან პატივისამან ჰკადრა მას და მამადცა წოდებაჲ“, ¹ ე. ი. ობიექტი იქნება ყოველივეთაგან ზესთ მდებარე (აპრიორული უცნაური ერთი, რომელსაც ფილოსოფოსები უწოდებდნენ) სიკეთეს და რომელსაც პატივისცემის წადილმა ჰკადრა და სახელად უწოდა „მამა“ (ეს არის ქრისტიანობის „მამა“, ანუ ლმერთი).

მივიდა რა ასე დიალექტიკის გზით ლმერთამდე, გამოიმუშავა რა სრულიად ახალი მეთოდი ლმერთის დასაბუთებისა, გამოიყენა რა მთლიანად პროკლეს დიალექტიკის ყველა ხერხი, ახლა პეტრიწი მოაბრუნებს ამ მეთოდს მიმართ ქვეყნისა და მისი მამოძრავებელი

¹ იხ. იოანე პეტ.: „შრომები“ ტ. II, გვ. 8.

ძალებისა, მიმართ ქვეყნის შემეცნებისა და გაგებისა, მოქმედებისა და ძალისა, გამოძრავებელისა და მოძრავისა, აქაც ყოველგაბ ამავე დიალექტიკურ პროცესს ხედავს და ასაბუთებს ამას, არისტოტელეს სახელის ამ კონტექსტში დაუსახელებლად, არისტოტელეს დიალექტიკიდან აღებული კლასიკური ნიმუშით: „და კჯალად სათანადო არს შესწავებაჲ, რამეთუ პირველნი ბუნებით შორის გაგონებასა გაგონისასა უკუანაჲსკნელ ომნებთან, და ბუნებით შემდგომნი პირველ, ვითარ არსებაჲ თითოეულისაჲ და მოქმედებაჲ“ და სხვ. (გვ. 8). დღის სინათლესავით ნათელია, რომ პეტრიწი აქ ათამაშებს არისტოტელეს ცნობილ დებულებას იმის შესახებ, რომ შემეცნებაში ჩვენგან პირველი ბუნებისაგან მეორეა და ბუნებისაგან პირველი ჩვენგან მეორე.

მაგრამ ამ იშვიათ დიალექტიკის ავტორს არ ავიწყდება, რომ ეს კეშმარიტება საბოლოოდ და ნათლად დადგინდება „შეწვენითა პირველისა სიტყვათა უფლისა ქრისტესითა“ და რომ პროკლე და არისტოტელე აქ დამხმარე ძალაა და არა მიზანი.

ნათქვამიდან ცხადია, პეტრიწის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ისეთს საინტერესო მოაზროვნესთან, რომელმაც ანტიკური ფილოსოფიის დეტალური ცოდნით თავისი ეპოქის მოწინავე პრობლემები ორიგინალურად და ოსტატურად გაიაზრა. ძირითადში იგი მიჰყვება დიალექტიკის ნეოპლატონურ სახეს, მაგრამ სრულიად არ არის იგი მონურად განწყობილი ნეოპლატონიზმის მიმართ, იგი ფართოდ იყენებს არისტოტელეს, პლატონს, პერაკლიტე და დემოკრიტეც კი არ ყავს დაიწყებული, მაგრამ მთავარი მისი მიზანია, რომ ყოველივე ამისაგან განსხვავებულია, ესეც ნათლად ესმის. ანტიკური ფილოსოფიის ისეთი სპეციალური საკითხების ცოდნას იჩენს ეს ქართველი ფილოსოფოსი, რომ თანამედროვე საქმეში ჩახედული მკითხველი გაკვირვებული რჩება.

მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ დიალექტიკის იშვიათს ნიმუშებს შორის პეტრიწს ჩართული აქვს ვოდება იმის გამო, რომ ქართული ენა არაა ფილოსოფიისათვის დამუშავებული, რომ ქართველი მთარგმნელები სამ სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ბერძნულ სიტყვას ქართულად ერთი სიტყვით გამოთქვამენ, რის გამო „ენაშე“, ბერძნული სიტყვა ბუნდოვანდება და სხვ. ცხადია, დავრწმუნდებით იმაშიაც, რომ უსაფუძვლოა ნიკო მარის ეკვი, პეტრიწმა ვინმე მისი სახელის მოზიარე ბიზანტიელი ხომ არ თარგმნაო, და ყოველივე ამის შემდეგ ვაკვირვების გრძნობა პატივისცემის გრძნობად იქცევა ამ გელათელი ბერის მიმართ.

ჯერხნობით, მაშასადამე, ჩვენ შევჩერდით იმ ძირითად პრობლემებზე, რომლებიც წამოყენებულია პეტრიწის წინასიტყვაობაში. რაც შეეხება კომენტარიებს, დაწერილს პროკლეს „კავშირთა“ განმარტებისათვის, იმათ ჩვენ ამ გამოკვლევაში მხოლოდ ნაწილობრივ

შევეხებით. ამ კომენტარიების სრული შესწავლა დამატებითს ძიებასა და დამატებისას მაშალას მოითხოვს. ამ კომენტარიებში ბევრი მარგალიტი მოინახება, ზოგი ადგილი შედეგია ლოგიკური და დიალექტიკური აზროვნებისა, მაჩვენებელი პეტრიწის აზროვნების ორიგინალობისა და დამოუკიდებლობისა, მაგრამ რა ნიკიერდაც არ იყვნენ ისინი შედგენილი, მათი ავტორი მაინც ხელშეკრულია განსამარტებელი მასალის ბუნებით. *

სამაგიეროდ ჩვენი აწინდელი მიზნებისათვის, ე. ი. იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის დადგენისათვის, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. პეტრიწის შრომის ბოლოსიტყვაობა. იგი ორიგინალურ, მოზრდილ და მთლიანად დამოუკიდებელ ფილოსოფიურ ტრაქტატს წარმოადგენს. განმარტავს რა კომენტარიებში პროკლეს შრომას, პეტრიწი ნათლად ხედავს, რომ მან ახლა თავისი სიტყვა უნდა თქვას; ქრისტიან მკითხველს სურს აჩვენოს, თუ რა ფარგლებშია მისაღები წარმართი ფილოსოფოსი და თუ რა გარემოებისათვისაა საჭირო მისი დახმარება. მაშასადამე, ბოლოსიტყვაობა წინასიტყვაობის გაგრძელებაა.

წინასიტყვაობის ბოლოს ყველა ხელნაწერში (რამოდენიმე ხელნაწერში არშინაზე, დანარჩენში კი თვითონ ტექსტში) მოიპოვება საინტერესო მინაწერი, აი ის:

ქ. რასა ეწერ ანუ რასა გლახ ემოკმედებ: გარნა გვსწავიეს გუპლთაგან თერიაჲ: და წარმოესტყუსნავე: ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ: ამის წიგნისგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ: და ამისგანვე განათლებულთა სამგზის: მოიგეს ღმრთისმეტყულებისა სახელი: და დიდთა ბრძენთა დიონოსი: და ღრილორი: და ვასილი: და სხუათაცა ვიეთმე: შენ გონებაჲ განწყმედილი მოიგე ღმრთისა მიმართ: და საზღვარსა მამათა წმიდათასა: ნუ გარდაეჰლდნები: და არა საცთურ გეჰმნეს: ¹

ფილოლოგები ფიქრობენ, რომ ეს მინაწერი თვითონ პეტრიწს არ ეკუთვნის, არამედ ვილაც XIII საუკუნის გადამწერს. ეს უსათუოდ ასეა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ზემოთმოყვანილი სტრიქონების ავტორი უბრალო გადამწერი არ არის. მას ძალიან კარგად ესმის ქრისტიანობისა და ფილოსოფიის დამოკიდებულების საკითხი. გამოდის დამასკელ-ეფრემ მცირესებური დებულებიდან, რომ გველის ნაკბენი გველისავე შხამით უნდა განიკურნოს, მაგრამ აკვირვებს ის გარემოება, რომ ერთი და იგივე ფილოსოფია ერთის მხრივ ყოველივე წვალებლობის საფუძველია, ფილოსოფიისაგან „წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ“, მაგრამ ამავე ფილოსოფიისაგან მოიხვეჭეს უდიდესი და უგანათლებულესი სახელი ღვთისმეტყველისა დიდმა ბრძენმა დიონისემ, გრიგოლ ნაზიანზელმა და ბასილ დიდმა. წარ-

¹ იხ. იოანე პეტრიწი: შრომები, ტ. II, გვ. 9.

წერის ავტორი ადამიანის გონებისაგან მოიხსოვს არ გადაცდეს „საზღვარსა შამათა წმიდათასა“ და განწმენდილი წარსდგეს ღვთის წინაშე.

პეტრიწმა ეს შიში ფილოსოფიის წინაშე უკვე გარკვეულად გადალახა, იგი უყოყმანოდ იმ აზრისა არის, რომ ფილოსოფია ადამიანს ეხმარება უკანასკნელი ამოცანის გადაწყვეტაში, ფილოსოფია მისი აზრით გამწმენდია და არა დაბნელებელი. როგორ უნდა ჩატარდეს ეს განწმენდის ოპერაცია? როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ფილოსოფია და არა მხოლოდ ფილოსოფია, შექმნილი ბერძნების მიერ, არამედ სხვა ძველ ხალხთა სიზრძნე და აზრი? პასუხს ამ კითხვაზე იძლევა მისი ბოლოსიტყვაობა.

ბოლოსიტყვაობის დასაწყისშივე პეტრიწი რადიკალურად და ეპოქალურად აყენებს საკითხს:

„მამმრუმენი დღისანი და მარღუნნი გონებათა ჩუენთანი განვიშორნეთ ჩუენგან, ანუ მარჯულობდეს ბოროტი, გინათუ და მარცხულოს“ (გვ. 207).

ე. ი. დღის დამაბნელებელი და გონების შემცდენი მოვიშორეთ თავიდან, სულერთია ბოროტი მოვა მარჯვნიდან, თუ მარცხნიდანაო.

აი ეს არის ძირითადი პირობა. ფილოსოფია თავისთავად კი არ არის საშიში, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სწორი გზიდან არ მოდის, თუ გონების მაცდურია. ხოლო თუ იგი სწორად გამოხატავს გონებას და სწორად წარმართავს მის საქმეს, მაშინ იგი ისეა მისაღები, როგორც სარწმუნოეა. როგორც „უფალმან მსახმან ბუნებისამან“ თავისი თავიდან გამოყო ძე და სული და არის ერთი სამად და სამი ერთად, ასე გამოჰყო მან თავისი თავიდან ბუნება, კაცი და „სული სიტყვითი“ და იგიც არის სამება და ერთ-არსება, ე. ი. გონება. ამიტომ „სული სიტყვითი“ ე. ი. ლოგოსი იმასვე გამოხატავს, რასაც გონება, გონება კი იმას, რასაც ღვთაება.

ვინც ფილოსოფიას ასე სწორად გაიგებს, იგი აღარც მარჯვნიდან მოსულ ბოროტს დაუჯერებს და აღარც მარცხნიდან, მან იცის, რომ „სიტყვითი სული“, ე. ი. ლოგოსის კეშმარტება „საბოლოო ანგარიშით იგივეა, რაც არსება ღვთაებისა.

ასეთ ქრისტიანულ ენაზე გადათარგმნილი პლატონიზმით იწყებს პეტრიწი თავის ბოლოსიტყვაობას. „სული სიტყვითი“ ანუ ლოგიკური სული, პეტრიწის აზრით, ადამიანისათვის არის მისი შინაგანი არსება და ამავე დროს ის ხიდი, რომელიც ადამიანს აკავშირებს ღმერთთან, რომლისა გამო ადამიანის სული მეტექსეობს (ეზიარება) ღვთაების ერთარსებასა. ადამიანი გვევლინება ვითარცა „ნაზავი“ ბუნებისა და ღმერთისა, ე. ი. საბოლოო ანგარიშით, ყველაფერი იმ დასაბამობრივ ერთთან მიდის, რომელსაც პატივისცემის სურვილმა სახელად „შამა“ უწოლა.

ამას მოჰყვება დიდად საინტერესო მსჯელობა პეტრიწისა. რომლის მიზანია დაამტკიცოს, რომ არა მარტო ბერძნულმა ლოგოსის ფილოსოფიამ, არა მარტო ხორცშესხმულმა ლმერთმა-ლოგოსმა ქრისტიანობისამ, არამედ ყველა სხვა ხალხისა და ეპოქის სიბრძნე სხვადასხვა გზითა და საშუალებით მივიდა ამ დასაბამობრივი ერთის აღმოჩენამდე. ეს ქეშმარიტება შემჩნეული იყო „ორფეოსა წიგნისა“ შემწყობის მიერ, „აბრაჰამისა მიერ, ვითარ ხალდეელთა მიერ და კუალად ელლენთა მიერ. ვინაჲ შემოდლურე ჩუენისა ამის ეკლესიისაჲ პა ვ ლე თვთ მისევე სულისაგან და სიბრძნედ უწოდს ღმრთისად“ (გვ. 208). ამას მოჰყვება მოზაიზმის (მოსესა და მოსენათა) გარჩევა და ნაჩვენებია იგივე.

შემდეგ გარჩეულია უძველესი სიბრძნე „ხალდეელთა“, „ვითარ შვიდთა ამათ მნათათვის“ და უძველესი ასტრალური სპეკულაციის გარჩევითაც პეტრიწი თავის დასაბამობრივ ერთს ასაბუთებს. ხალდეელთა ასტრალურ მსოფლმხედველობაში დასაბამობრივი ერთის როლი მზეს აქვს მინიჭებულიო, მისგან არის ყოველივე წარმოშობილი და მისგან „განიმტკაელების ყოველივე ეამი“-ო, იგია სათავე წარმოშობისა და დაღუპვისა, ყოველივე ქცეადისა და ხრწანდისა. ყოველის „მბადი“ მზე არის, იგი ზემდგომია ყოველივე დგომაზე და დრეკაზე (გვ. 208).

დაასაბუთებს რა ასე, რომ აღმოსავლეთში დაბადებული ნამდვილი სიბრძნე, იყო იგი აბრაჰამისა, მოსესო, თუ ასტრალური ჰიმნის მთქმელისა, საბოლოო ანგარიშით, „ერთის“ ქეშმარიტებამდე მივიდა, „ერთის“ დასაბამობრივობაში სიბრძნის სახით განსახიერდა, პეტრიწი გადავა „ელლენთა“ მიერ თქმულზე და უპირველეს ყოვლის შეჩერდება პლატონზე და ამბობს, რომ იგი იყო „მწუერვალი ფილოსოფოსთა დღისასა“ (გვ. 209), მისი სიბრძნე უკვე ღვთისმეტყველების მირონს ნაზიარები იყო და ამით მან ეს უძველესი სიბრძნე თეორიის სახით ჩამოაყალიბაო. პლატონი უკვე ერთის ანუ ღმერთის სამობით ხედვის თეორიას აყენებსო და ეს პლატონის ღმერთის თეორია „სამობით ხედვისა“ ისეა გაკეთებული, როგორც ეს ამას აკეთებს „ჩემი ესე ღმერთის მეტყველიო“, რომელიც მამის მიმართ ამბობსო, „ნათელსა შორის შენსა ვიხილეთო ესეო“, ანდაო, „სულსა შენსა შორის ვიხილეთო ნათელი ძე შენიო.“ როგორც ეს უდიდესი უდიდეს ღვთისმეტყველთა შორის, მთლად ასე ლაპარაკობს ფილოსოფოსი (ე. ი. პლატონი). და ეს აღმოჩნდა მას შემდგომ, რაც „ტიმეოს“ და „პარმენიდი“ ჩემმა ატრიკულმა (ე. ი. პროკლემ) ოქრომძივთა ძაფზე ააცვაო („აღუმიღეს ოქრომძივთა მათ თვისთა“), ე. ი. რაც პროკლემ მოგვცა პლატონის დასახელებული დიალოგების ეგზეგეტიკა. პროკლეც იტყვისო, იგი ერთი „მხოლოდ დასაბამსზე დრეკა და ვიდრე სამობამდის დადვა“.

მოკაეს რა პროკლეს დიალექტიკის ეს იშვიათი ადგილი, ტრი-
ადის ეს თეორია, პეტრიწი მყისვე გაიხსენებს, რომ ამ ერთის დასა-
ბამშივე სამად დადგომას პროკლემ გაცილებით ადრე მიხვდა ფსალ-
მუნების ავტორი „დიდი დავითი“. მოხერხებულად და სქოლასტიკუ-
რი დიალექტიკის ენაზე ალაგებს პეტრიწი მამის, ძისა და სული
წმიდის იგივეობას და ერთიანობას, და შესძახებს გახარებული:
„ე ი თ ა რ და თ ა ნ ა მ ე კ მ ე ო ბ ს ჩ ე მ ი ც ა პ ა ვ ლ ე.“ ამას მო-
კვება პავლე მოციქულის მიხედვით დალაგება სამების ერთ-
ღმერთობის თეოგენიისა. შემდეგ პეტრიწი ხელახლავს უბრუნდება
პროკლეს და აჩვენებს, რომ უშაღლეს არსებას, ამ „საკუთრად მყოფს“
პროკლეც „სიკეთეს“ უწოდებს: „ხოლო ა ტ ტ ი კ ე ლ ი ეს ე საკუთ-
რად მყოფთა წარმოობისათვის კეთილობას დასდებს საფუძვლად“
(გვ. 210).

მაშასადამე, განვითარებულია ის აზრი, რომ თუმცა ერთარსე-
ბის უშაღლეს სიბრძნეს პლატონი მიუხვდა, მაგრამ ნათლად ვერ
გამოავლინა და პროკლემ ამოიკითხა ეს პლატონის დიალოგებიდან,
გასაგები და ნათელი გახადა. პროკლეს განმარტების შემდეგ გავი-
გეთ, რომ მწვერვალი „ფილოსოფოსთა დღისასა“ „სიტყვიერებითი
სულის“ გზით იმასვე გამოთქვამს, რასაც პავლე მოციქული, ეს
მწვერვალი თეოლოგიისა.

მაშასადამე, უაზრობაა ფილოსოფიის გმობა და უკუგდება.
ფილოსოფიას უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია სარწმუნოები-
სათვის, მას ლოგიკური გზებით შეუძლია იმის თვალნათლივყოფა,
რაც სარწმუნოებას სწამს.

ამის შემდეგ პეტრიწის ბოლოსიტყვაობა დაყოფილია ქვესათაუ-
რებად, რომელთაგან თითოეული განცალკევებული პრობლემის განხილ-
ვის შეიცავს. პირველი ასეთი პრობლემა არის „გ ე ბ ი ს ა თ ე ი ს გ ა ნ-
გ ე ბ ი ს ა“ ე. ი. აქ დასაბამობრივი ერთი დახასიათებულია, როგორც
განგება. ცნობილია, რომ განგების პრობლემა დიდი თავსა-
ტები საკითხი იყო იდეალისტური ფილოსოფიისათვის და თეოლო-
გიისათვის. ცნობილია აგრეთვე, რომ ანტიკურმა სტოიციზმმა
ღმერთი განგებად აქცია, და ბუნების კანონზომიერებას განგების
დგომად ახსნა. სტოიციზმიდან ეს მსოფლმხედველობა გადმოვიდა
ქრისტიანობაში, მაგრამ ქრისტიანობაში იგი ერთგვარი ხორცმეტის
შთაბეჭდილებას სტოვებდა. ქრისტიანული ღმერთი უპირველეს ყოვ-
ლისა იყო პერსონა, იუდაიზმიდან ნასესხები ტირანის ტიპი, რომე-
ლიც მოქმედების დროს ცვლიდა თავის განზრახვას და ამიტომ ქრის-
ტიანობა იძულებული იყო განგების თეორია შეეცვალა ლოზუნგით:
მიაგლე უფალსა ზრუნვა შენი. და უთხარი მას: „სად დავიმალო, უფა-
ლო, პირისაგან შენისა“. პეტრიწმა, ცხადია, ქრისტიანული დოგმა-
ტიკის ეს ელემენტები ჩინებულად იცის და ცდილობს ეს გამოიყე-
ნოს ქვეყნის წყობის საკითხის გასაგებად. ქვეყნის მოწყობილობა

დასაბამობრივი ერთის ანუ ღმერთის განგებად არის გამოცხადებული და საშუალო საუკუნეში გავრცელებული ფსევდო-არისტოტელური მოძღვრება მეხუთე ელემენტის შესახებ განმარტებულია, როგორც განგება ბუნების ძალებს შორის არსებული.

ამ კონტექსტში ერთი დიდად საინტერესო ისტორიული გარემოება გვხვდება. პეტრიწს ებადება საკითხი, რა სამსახურის გაწევა შეუძლია ამ დოგმისათვის პროკლეს?

პასუხი თუმცა მოულოდნელი არ არის, მაგრამ განცვიფრების გამომწვევია:

„ვინაჲ და ატიკელიცა ესთენ ემეტქუების და მძლავრთა ადამატინებრთა აღმოსაჩენელთა ქუხილსა მიუვლენს უგანგებოთა და უმსახურებელთა ღმერთისადმი ეპიკურელთა და წმიდასა და ზესთა ბრძენსა ყოველთა ღმერთისა განგებასა“ (გვ. 211).

ე. ი. პროკლეც ეთანხმება ამ მოძღვრებას მთლიანად და ამის გამო გასრეს და გაანადგურებს ეპიკურელებს, რომლებიც არ სცნობენ განგებასა და გმობენ ღვთაებასა, ხოლო ღვთის განგებას იგი (პროკლე) განამტკიცებს წმიდისა და მაღალი სიბრძნით.

უფრო ნათლად და უფრო გარკვეულად აღარ შეიძლება თქმა! თითქმის 2000 წლის მანძილზე სიტყვა „ეპიკურელობა“ იყო სინონიმი სიტყვისა მატერიალიზმი. სქოლასტიკა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა ეპიკურეიზმთან. კარლ მარქსი სწერს ამ ბრძოლის შესახებ: -ეპიკურე ნამდვილი რადიკალური წარმომადგენელი იყო ძველი ქვეყნისა, ის პირდაპირ თავს დაესხა რელიგიას... ამიტომ ეკლესიის მამები პლუტარხოსიდან დაწყებული ლიუთერამდე ეპიკურეს უყურებენ, როგორც უღმრთო ფილოსოფოსს *par excellence*, — როგორც ღორს. კლიმენტი ალექსანდრიელი ამბობს, პავლე მოციქული რომ ფილოსოფოსების წინააღმდეგ არის ამხედრებული, მას მხედველობაში ეპიკურელები ჰყავსო“¹.

შემქმნელი ქართული სქოლასტიკისა არ სტოვეს თავისი ეპოქისა და თავისი კლასის ტრადიციებს, იგიც ზიზღით თავს ესხმის ანტიკური ქვეყნის უდიდეს მატერიალისტს და ეკლესიას ეუბნება, თუ გინდ იმისათვის შესაწყნარებელია პროკლეს იდეალიზმი, რომ იგი გამანადგურებელ „ქუხილს მიუვლენს“ ღვთის მგმობელს და უგანგებო ფილოსოფოსსო.

ამით ჩვენ მივედით პეტრიწის ბოლოსიტყვაობის ცენტრალურ ნაწილთან. აქ პეტრიწი ეხება მთელი საშუალო საუკუნის ფილოსოფიისა და თეოლოგიის უდიდეს პროპლემას. პეტრიწს თავისი ტრაქ-

¹ იხ. K. Маркс и Энгельс: „Сочинения“, ტომი IV, გვ. 121.

ჯატის ამ ნაწილისათვის ქვესათაურად მიუცია: „ბოროტთა უარსობისათვის“.

მაშასადამე, საკითხი შეეხება კეთილისა და ბოროტის ურთიერთობის პრობლემას. პეტრიწი გვევლინება უმკაცრესი სუბსტანციონალისტური და მორალისტური მონიშნის მქადაგებლად, უმკაცრეს მოწინააღმდეგედ სუბსტანციონალური და მორალური დუალიზმისა. არ არსებობს ორი სუბსტანცია, მაშ, არც ორი მორალური პრინციპი, ბოროტს არა აქვს არსება, ბოროტებას არა აქვს საკუთარი სუბსტანცია, „არა არს რა ბუნებითი ბოროტი“, „ზესტა ყოველთა არსებობასა“ არის „კეთილობა ღმრთისა ბუნებისა“ და ყოველივე ამ „კეთილობათა კეთილობისაგან გაკეთილდებიან“ (გვ. 213)— აი ძირითადი თეზისები, რომლებსაც აყენებს და ასაბუთებს პეტრიწი. აქ დიალექტიკა სკოლასტიკოსისა იშვიათი ოსტატობით შეერთებულია ნეტარი ავგუსტინედან მომავალ ცნობილ მორალისტურ მეტაფიზიკასთან. დასამტკიცებლად თავისი აზრისა პეტრიწი ჯერ მიმართავს სამღვთო წერილის ტექსტებს, შემდეგ კოსმოგონური სპეკულაციის დახმარებით ამტკიცებს წამოყენებულ დებულებას და გადადის თავის მსოფლმხედველობის ძირითადი მოტივის გადმოლაგებაზე. „და თან დაედასებნიან მას პლატონ და პლატონურნი მონაცვალენი საყდართანი ყოველნი“ (გვ. 213). ე. ი. ერთ სუბსტანციონალობის თეორიას, თეორიას, რომელიც უარჰყოფს დამოუკიდებელ უარსობას ბოროტისა, რომელიც ამბობს, რომ „ღმერთი თვინიერ და ერთი მიზეზი ყოველთაჲ“, მთლიანად ეთანხმება ფილოსოფია პლატონისა და პროკლესი და მიხი სკოლისა. არისტოტელეცო დასძენს დასასრულ პეტრიწი, რომლის ლოგიკური და ბუნებისმეტყველური ცოდნა ამავე დროს იყო ცოდნა ღმრთისმეტყველებითიო. „მიეკმაფების კმითა ბრწყინვალითა“ ამ შეხედულებას და „იტყჳს ესთა ზესთ ნათლად, ვითარმედ ერთი არს მეუფლე ყოველთაჲ“ (გვ. 214—215).

მაშასადამე, პეტრიწმა შემოკრიბა ეხლა თავის ირგვლივ პლატონი, არისტოტელე, პროკლე და მისი სკოლა და აჩვენა, რომ ერთერთ უდიდეს საკითხს ფილოსოფოსები ისე სწყვეტენ, როგორც ამის მოგვარება ქრისტიანობას სჭირდება. ეს არის საკითხი ბოროტების არარსების შესახებ. ამ მსჯელობათა მანძილზე პეტრიწი ლაპარაკობს გამარჯვებული ტონით და განსაკუთრებული დამაჯერებლობით. აქ ეტყობა, რომ მან მიაღწია იმას, რის დამტკიცებას ლამობდა, შესძლო გიგენტებია ქრისტიანობისათვის ფილოსოფიის აუცილებლობა. რაშინა საქმე? რამ გაამხნევა პეტრიწი?

როგორც ირკვევა, პლატონური ფილოსოფოსებისა და ეკლესიის საერთო ბრძოლამ მანიქეელობის წინააღმდეგ. მანიქეე და მისი მიმდევარი შწვალბებლნი ქადაგობენ „ბოროტ“ მოძღვრებას დუალიზმისას და პეტრიწი აჩვენებს, რომ მანიქეეელობის განადგურება შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ ფილოსოფიას, აშენებულს მონიზმზე

და იდეალიზმზე. მაშ, მან ფაქტიური მასალით ხელში დაამტკიცა დიდი უპირატესობა მიღებული ფილოსოფიისა და ქრისტიანობის უნიონისაგან. მოუსმინოთ თითონ პეტრიწს:

„მანენს, და ყოველთა წვალებისა მისისა თანმისუმურთა, რომელნი ორთა წარპრევდეს მიზეზთა. ვითავე კეთილისასა, ესთავე და წინმეწყვისა ბოროტისასა და მყოფობითსა არსებასა მიუქმან მას, ვითავე კეთილობასა. ვინაჲ ვინათათჳს იტყჳს ჩუენი ესე მნათი, ვითარმედო ისიტყუა უცნობომან გულსა შინა თჳსსა, რამეთუ არა არს ღმერთი, არამედ მწყობრი ესე ფილოსოფოსისა მონაცვალეთაჲ, რომელთაჲ ერთი არს პროკლე დიადოხოჲ ესე ვითართა აღმოსაჩენელთა წინა ჟუოფს, რომელთა მიერ ავლნი ნაცეცხლავისა მათისანი განიქარვიან მოღებად“ (გვ. 213).

ე. ი. მანი და მისი ერესის მიმდევარნი ამტკიცებენ, რომ ორი მიზეზი არსებობს და ორია არსება, იმდენად კეთილისა, რამდენად ბოროტისა, და ამ ბოროტსა და ღმერთის უარისმყოფელ მოძღვრებას დავძლევთ მხოლოდ მწყობრი ფილოსოფიის დახმარებით, რომელსაც აღიარებენ მიმდევარნი პლატონური ფილოსოფიისა, რომელთაგან ერთერთი არის ეს პროკლე დიადოხი; და იგი სწორედ ნათელყოფს შეცთომას იმ მოძღვრებისას; და ცეცხლის აღში დასწავას და გაანადგურებს მის მოჩვენობითობას.

მაშასადამე, ბრძოლა გამართულია მანიქველური დუალიზმის წინააღმდეგ. პლატონი, არისტოტელე და პროკლე სანდო-მოკავშირეებად არიან გამოცხადებული. თუ ახლა გაეიხსენებთ ამბებს, რომლებიც მოხდა XII საუკუნის დასაწყისში, მიეხვდებით, რა დამაჯერებელი და დროული უნდა ყოფილიყო ეს ქადაგება იდეალისტურ ფილოსოფიასთან უნიონისა პეტრიწის მიერ.

როგორც ცნობილია, მანიქველური დუალიზმი XI საუკუნეში არაჩვეულებრივად გაერცელდა. ბიზანტიაში მთელი პროვინციები და ეკლესიები გადავიდნენ მანიქველობის მხარეზე. მანიქეიზმი ასწავლიდა არსებობას ორი ღმერთისას, მათ სწორ უფლებიანობას, ორი პრინციპისა და ორი ხელისუფლების სუვერენობას. ქვეყანა მას ესმოდა, როგორც შედეგი: სიკეთისა და ბოროტებისა, სინათლისა და სიბნელის ღმერთს შორის ბრძოლისა, ქრისტიანობის მიმართ იგი უარპყროფდა სამების თეორიას და ორი ღმერთის პრინციპს აღიარებდა, დუალიზმით ძველი ალთქმისა და ახალი ალთქმის ღმერთს შორის.

ბულგარეთი, რომელშიაც პეტრიწონის მონასტერი იყო და რომელშიაც იოანე პეტრიწი ცხოვრობდა, მთლიანად მანიქველურ ქვეყანას წარმოადგენდა; ათეული წლების მანძილზე გააფთრებული ბრძოლა არსებობდა ბულგარელ ბოგომილებსა და კონსტანტინოპოლის ხელისუფლებას შორის. მალე მანიქველობა დასაველეთში გადა-

ვიდა, იქ საქმე იქამდე მივიდა, რომ მანიქეველური პაპიც კი იქნა არჩეული. ქრისტიანობა განადგურების წინ იდგა.

მართალია, თვითონ მანიქეველობა იყო მისტიკურ-სექტანტური მსოფლმხედველობა, მაგრამ ეკლესიის მიერ შევიწროებული და გაძვალტყავეებული მასების თვალში მანიქეველურ აგიტაციას, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქრისტიანული ხუცობა დიდხანია ეშმაკის მხარეზეა გადასული და ქრისტიანობას დღეს მოძღვარი აღარ ჰყავსო, ცხადია, რომ დიდი მიზიდველობითი ძალა გააჩნდა.

ცნობილი უზურპატორი, იმპერატორი ალექსი კომნენი მანიქეველობის განადგურებაში ხედავდა თავის ერთერთ მოწოდებას. არ არსებობს არავითარი სისაძაგლე და მუხანათობა, რომელიც არ გამოეყენებინოს მართლმორწმუნე ქრისტიანობის ამ „გადამრჩენს“ მანიქეველობასთან ბრძოლაში. დაბოლოს იმპერატორმა მიმართა ასეთ ხერხს: უეცრად თვითონ გამანიქეველდა. ამ საშუალებით გაიცნო მანიქეველობის იმდროინდელი ბელადი ექიმი ბასილი, გამოსტყუა მას ორგანიზაციის მეთაურების სია და საერთოდ მთელი მათი საიდუმლოება. ერთ მშვენიერ დღეს კი შეიპყრო ბასილი და მისი მეგობრები და 1111 წელს კონსტანტინოპოლის უდიდეს ჰიპოდრომზე ასიათასი მკურებლის თანდასწრებით ცეცხლს მისცა ბასილი და მისი მეგობრები¹.

იოანე პეტრიწი ამ ეპოქის შვილი და ამ ამბების თვალთ მნახველი იყო. და რა გასაკვირია, თუ ზის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას მანიქეველური დუალიზმი და გნოსტიციზმი მხედველობიდან არ გამოჰპარვია. მანიქეველური მოძრაობა² იმდროინდელ საქართველოშიც არსებობდა, და პეტრიწმა ბრძოლა მანიქეველობის წინააღმდეგ თავისი ფილოსოფიური მიზნებისათვის გამოიყენა. მანიქეველობის შემორტევებით გაქვირებულ ქრისტიანობას ურჩია ანტიკური იდეალისტური ფილოსოფია აეყვანა მოკავშირედ.

იოანე პეტრიწი არც იმაში შემცდარა, რომ თავისი არჩევანი უპირველეს ყოვლისა პროკლესთან შეაჩერა. როგორც XI—XII საუკუნე იყო საუკუნე უდიდესი ბრძოლებისა გაქრისტიანებულ მანიქეველურ სექტანტობასა, პაველიკიანელობასა, ბოგომილობასა, კათარობასა და ქრისტიანობას შორის, ისე იყო V-საუკუნე უდიდესი ბრძოლების საუკუნე მანიქეველობასა, ნეოპლატონიზმსა და კათოლიკურ ქრისტიანობას შორის. ნახევარი ხაუკუნის მანძილზე პროკლე ნეოპლატონიზმის მესიტყვე იყო იმ ბრძოლების დროს. პროკლე უკვე მაშინ აწვითარებდა თეორიას იმის შესახებ, რომ ბოროტებას არა აქვს დამოუკიდებელი არსება, რომ ბუნებით ბოროტება არ არსებობს, დროთა მსვლელობამ და ქრისტიანობამ პროკლეს მონიზმიც

¹ იხ. J. g. n. Döllinger: „Beiträge zur Sectengeschichte des Mittelalters“, Erster Teil, გვ. 70—120.

დაამარცხა და მანიქვეელობაც და ახლა, როცა მანიქვეელობა ქრისტიანულ სექტანტობის ტანთსაცმელში გამოწყობილი ხელახლავე უღდეს სოციალურ ძალად იქცა, ახლა პროკლეს მონიზმი ხელახლა ინტერესის ცენტრში დადგა და მისი შესწავლა და გამოყენება დღის წესრიგში დაისვა. დიდი ინტერესი პროკლესადმი XI—XII საუკუნის ბიზანტიაში და დასავლეთ ევროპაში ამ მიმართულებითაც უნდა ევციოთ, და პეტრიწის წამოწყების სათავეებიც აქ მოინახებიან.

მეორეს მხრივ საეკლესიო რეაქცია ბიზანტიაშიც, დასავლეთშიაც და ჩვენშიაც ასეთ კავშირებს და ასეთს უნიონს ფილოსოფიასთან ძალიან გაურბოდა, და სქოლასტიკის შემქნელებს საეკლესიო სასამართლოს წინ აჩერებდა. რასაკვირველია, საბოლოო ანგარიშით სქოლასტიკა მაინც ეკლესიის საქმეს აკეთებდა, თუმცა მისდა უნებლიეთ იგი ხშირად მასალას აგროვებდა, რომელიც ეკლესიის ციხე-სიმაგრეს მომავალში შიგნიდან გასტეხდა. პეტრიწიც უსათუოდ ასეთ აღამიანთა კატეგორიას ეკუთვნოდა.

უკანასკნელი პრობლემა, რომელსაც პეტრიწის ბოლოსიტყვაობა იხილავს, არის პრობლემა სამეზბისა და ერთარსებისა. ეს აგრეთვე უდიდესი თავსატეხი პრობლემა იყო საშუალო საუკუნეების სქოლასტიკისა და თეოლოგიისათვის.

XI—XII საუკ. თითქმის ყველა გამოჩენილმა სქოლასტიკოსმა კისერი მოიტეხა ამ პრობლემის გარჩევის დროს და გაკიცხვასა და ანათემას ვერ გადაურჩა. ზოგს სამი ღმერთი გამოსდიოდა ერთის მაგივრად და ზოგს კი ხელში ერთერთი პირი და ერთი არსება რჩებოდა. არ ყოფილა არც ერთი სქოლასტიკოსი მთელი საშუალო საუკუნეების მანძილზე, რომელსაც თავისი აზრმახვილობა არ გამოეცადა ამ საკითხის გადაჭრაში.

თავისთავად ეს პრობლემა ქრისტიანობის მიერ ისტორიულად შენაძენი პრობლემა იყო. პირვანდელ ქრისტიანულ აპოლოგეტურ და გნოსტიკურ მწერლობაში იმას ჯერ კიდევ ვერ ვნახულობთ, პირვანდელ ალექსანდრიელ ქრისტიან თეოლოგებთან ღმერთის ორი პირი აქვს და თვით ნიკეის კონგრესზე ატეხილი დავა ღმერთის ორი ბუნების ირგვლივ ტრიალებს. ნეოპლატონიზმის მიერ შემუშავებული ტრიალის ზეგავლენით კაპადოკიელმა და ანტიოქიელმა თეოლოგებმა შეიტანეს სამეზბისა და ერთარსების პრობლემა ქრისტიანობაში და გაადაქციეს იგი დოგმის საჭირბოროტო პრობლემად.

დროთა განმავლობაში ამ პრობლემის შიგნით წამოიჭრა საკითხი ორი ბუნების არსებობისა ერთს ჰიპოსტასში და გამოიჩვენა, რომ ნეოპლატონური ტრიალა და ქრისტიანული სამეზბე შეურიგებელი იყო, ქრისტიანობას გარეგნულად მიელო სამეზბის ერთარსებობა, ხოლო იმანენტურად ეს მის ბუნებას ვერ ეგუებოდა. საქმე იმაშია, რომ ნეოპლატონურად ტრიალის სამ ელემენტს შორის ერთარსობა არ არსებობს, სამეზბე მთლიანად ერთარსებაა, მაგრამ

სამების შიგნით არავითარი თანასწორუფლებიანობა არ არსებობს პირველი ყოველთვის მეტია მეორეზე, მეორე არა მარტო ქვემდებარეა მომენტის მიხედვით, არამედ ნაკლებიც არის არსების და ლოგიკის მიხედვით პირველთან შედარებით. თუ ამას ქრისტიანობას შიგუყენებდით, გამოვიდოდა, რომ ქრისტე რაღაც მდარე ხარისხის, ღმერთი იყო „მამასთან“ შედარებით როცა ეკლესია ამ საიღუმლოებაში გაერკვა, მან ეს ერესად გამოაცხადა. ამიერიდან მას იარაღი ჰქონდა ხელში ნეოპლატონიზმისადმი სიმპატიებით გამსჭვალული თავისი წვერისათვის ერეტოკოსობა დაებრალეზია.

რას შერება იოანე პეტრიწი? როგორ ეპყრობა იგი თეოლოგიის ამ თავსატეხ პრობლემას. მისი აზრმახვილობა გვაკვირვებს. ასე ვთქვათ, ფილოსოფოსი პოეზიაში გადავარდბა და იტყვის: როგორც უაზროა ვილაპარაკოთ „ჯერ და შერე“ მზის დისკოსის და სხივთა შარავანდელის შესახებ, ასე უაზროა ვილაპარაკოთ ღმერთის ბუნების „წინა-უკუმოზე“. თუ არის დისკოსი, არის შარავანდელიც, თუ არის შარავანდელი, არის დისკოსიც. თუ არის. ღმერთი-ლოგოსი, არის ღმერთი-ძეც და თუ არის ღმერთი-ძე, არის ღმერთი-ლოგოსიც. თუ არის ღმერთი, თან არის მისი „თანმებუნებე“. მოუსმინოთ თვითონ პეტრიწს:

„ვინაჲ თუ სიტყუა მამისა ღმრთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ აწ მთი, მაგრა თანმებუნებე მათდა და ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი. და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამის-შარისი, რომელ არს დასაბამი თვს-შორისისა სიტყუსაჲ, ვითარ დისკოჲ თუალი მზისაჲ შარავანდელთად“.
(გვ. 219).

მოავარა რა ასე პიპოსტასის საკითხი სამების და ერთარსების შიგნით, გაიტანა რა ბეწვის ხილზე ეს სახიფათო პრობლემა, პეტრიწი გადადის სამების ფილოსოფიურ, ლოგიკურ, მეცნიერულ, ისტოლოგიურ და სხვ. დასაბუთებაზე. ყველაფერი რაც არსებობს, არსებობს სამებისა და ერთარსების სახით, ე. ი. არსება ერთია, სუბსტანცია ერთია, ხოლო არსობა მისი არის სამება—აი ნეოპლატონისტურად შეფარდებული ქრისტიანული სქოლასტიკის დებულება.

რასაკვირველია, სქოლასტიკის უსულ-გულო, შინაარსს მოკლებულ სპეკულაციებში დაბანდებული ეს ფორმალისტურ სიტყვათა თამაში თავისთავად ყოველივე პოზიტიურ მეცნიერულ და შემეცნებით მნიშვნელობას მოკლებული მეტაფიზიკაა,—სულ ერთია მას გააშუქებს ქართველი სქოლასტიკოსი, თუ პეტრე აბელარი. ლიტერატურისა და ისტორიული მნიშვნელობის მქონეა ის დამხმარე მალა, რომელსაც იყენებს ამ შემთხვევაში ქართველი სქოლასტიკოსი და ჩვენც ამ მასალაზე შევჩერდებით.

ყველაფერი, რაც დასაბამობრივი ერთიდან გამოვლენილა და მყოფების სახე მიუღია, მდინარეობს სამების სახით. პეტრიწი ფიქ-

რობს დაამტკიცოს ეს არა მარტო ღმერთის ქრისტიანული სამების მეტაფიზიკით, არა მარტო ნეოპლატონიზმიდან ნასესხები ცნებათა ტრიალული დიალექტიკით, არამედ „ქვეყნის სამზომლოდთ“, „რიცხუნით“, „სამუსიკელოდთ“, „ბუნებით“ და სხვ.

პეტრიწის ტრაქტატში გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკის თეორია და სხვ. გამოყოფილია: ცალ-ცალკე ქვეთავებად და თითოეულის ძირითადი პრინციპების განხილვით ამტკიცებს ჩვენი ავტორი თავისი დებულების სისწორეს. მაგ. გეომეტრიის მიმართ მისი არგუმენტაცია იწყება ასე: „აჰა ვით ესე აჰის ერთისა სიმიახსგან წარმოიჩინნეს, რომელ არს წენტილი. რამეთუ წაილუაროს რაჲ წენტილი, შეიქმს წრფელსა, რომელ არს ძე პირმშოჲ მისი“ (გვ. 215), ხოლო შემდეგ, რომ ვთქვათ თანამედროვე ენით, წრფელის გაერცობა მოგვეცემს სიბრტყესა, ხოლო მარტივი ფორმა სიბრტყისა არის სამკუთხედი. მაშ, აქ პირველი პროცესი დამთავრებულია. თუ ახლა სამკუთხედს ავიღებთ, როგორც საფუძველს, აქედან მივიღებთ ოთხკუთხედს, გინდ მრავალკუთხედს, ხოლო მრავალკუთხედზე კუთხეთა ოპერაციების გაძრავლებით „შესფეროებულს, რომელსა არცა არს დასაწყისი და არც დასასრული, რამეთუ, სადაჲთ იწყო წყებად, მუნვე მისრულდა“. აქ დიალექტიკური პროცესი სამობისა სრულყოფილ სახეს არის მიღწეული. „შესფეროებული“ წენტილიც არის და „სამყურიც“, უსასრულობის ცნება ორივეს შეიცავს თავის თავში.

გეომეტრიიდან ეს სპეკულაცია პეტრიწს გადააქვს ბუნებაზე, აქ მეხუთე ელემენტს, ანუ ცას შეასრულებიებს იმ როლს, რასაც „შესფეროებულს“ გეომეტრიაში აკეთებოებს. მეხუთე არსება ანუ მეხუთე ელემენტი ახდენს დიალექტიკურ სინთეზს და აწვევებს, რომ „სადაჲთ იწყებს, და მასეე ზედა შეისრულებს, ვითარ და ულევნელი და დაუღვენელთა საუკუნეთა თანა განმტკაცლებული“ (გვ. 216).

შემდეგ პეტრიწი გადადის რიცხეთა თეორიაზე. დასაწყისშივე დაადგენს უდაო დებულებას: „სადაცა აილო რიცხვ, ყოველი ერთისა მიერ იწარმოებვის“ (გვ. 216), აქ გაასკეცებული ყურადღება ებადება თანამედროვე მკითხველს, მას ანტერესებს, აბა როგორ ააშენებს რიცხვებიდან ტრიადასა და სამების ერთარსობას ქართველი სქოლასტიკოსი. მაშ ასე, ყოველი რიცხვი ერთისაგან იწარმოების, „ხოლო სამი დასაწყის სხუათა რიცხუთა შობისაჲ, ვინაჲცა ორი არ რიცხუ არს, რამეთუ გზა მხოლოჲსა. ეგრეთვე და არსცა სამი, რამეთუ დასაწყისი არს რიცხუთა შობისაჲ. ესთავე და ზესთ მექონეობაჲ წმიდისა სამობისაჲ“ (გვ. 216). ე. ი. აქ ტრიადაა გათამაშებული; აზრი ამ სპეკულაციის ასეთია: რიცხვი დაიბადა ერთის სახით. ეს იყო თეზისი. რიცხვი იყო მხოლოდითი. როდესაც ორი მივიღეთ, ამით გაჩნდა ანტითეზისი და ვითომც დასაბუთდა, რომ რიცხვი არ არის მხოლოდითი. მაგრამ სინთეზის სახით წარმოიშვა შემდეგ რიცხვი და საბოლოოდ დასაბუთდა, რომ რიცხვი მხოლოდითი

ყოფილა. მაშ, სამის მიღებით უზრუნველყოფილი იქნა რიცხვის ბუნების თავისებურება და ამიტომ სამი არის დასაწყისი სხვა რიცხვთა შობისათვის და რიცხვთა ქვეყანა არის წმინდისა სამობის ერთი არსების კიდევ ერთი ზედმეტი გამართლება.

დასასრულ, პეტრიწი პითაგორას დაიხმარებებს და რიცხვში ამოკითხულ სამობის და ერთარსობის თეორიას გაავრცელებს ყველაფერზე, რაც კი არსებობს ან „საკუთრებით“, ან „ხატოვნებით“ და ან „შემთხვევით“.

ერთგვარ დამაჯერებლობას აღწევს ეს სპეკულაცია შემდეგ ქვეთაურში, სადაც პეტრიწი მუსიკის რაობას არჩევს. პეტრიწი აიღებს ნამდვილად იმპროვიზირებულ ქართული მუსიკის ხმათა გამომხატველ ტერმინებს: მზახრ, ძირ, და ბამ, და აჩვენებს, რომ მუსიკალობა, რომელსაც ჩვენ განვიცდით, როგორც ერთ მშვენიერებას და სიამოვნებას, ერთ სიტკბოებას და კეთილობას, სინამდვილეში არის ერთ არსებად ქცეული სამება. ხედავთ, როგორ გამართლა რიცხვთა შორის წმინდა სამება მუსიკამო, გვეუბნება პეტრიწი და უდიდესი პოეტური აღფრთოვანებით შეჰქმნის იშვიათ სახეს თავისი მეტაფიზიკის სადიდებლად:

„ვინაჲ მბადმან ღმერთმან საპირმშოთა ხატთა პირველსა მას გონებასა თვისა შორის პყრობითა მორთნა და ამუსიკელნა ნაბადთა ყოველთა მეწყუეობანი, და ვიდრე ნივთამდის დააქვენა გუარნი მისვე და ერთისა ნივთისაგან სხუაებითა მეძიებელმან.“ (გვ. 217).

და რომ საბოლოოდ დაარწმუნოს მკითხველი თავისი თეორიის სისწორეში, რომ საბოლოოდ მოაჯადოს იგი, პეტრიწი თავის რიცხვთა მეტაფიზიკით აუხსნის მას, თუ რატომ შეიღი თვის ბავშვი თუ დაიბადება, იგი გადარჩება და გაიზრდება, როგორც ცხრა თვის ბავშვი, ხოლო თუ ბავშვი დაიბადა რვა თვისა, იგი უსათუოდ დაიღუპება¹. როგორც ცნობილია, რაღაც ემპირიულ დაკვირვებაზე აშენებული ეს შეხედულება დღემდე გავრცელებულია და მისახედრია, თუ რა დამაჯერებელი ძალა ექნებოდა ამ მაგალითს XII საუკუნეში.

შემდეგ პეტრიწი გადადის სტრატეგიის საკითხებზე და აჩვენებს, რომ სამობის პრინციპი ომის ხელმძღვანელობასაც საფუძვლად უდევს, ომის დროს მეფენი „სამყურად უდასებდიან წყობასა სპასთა თვსთასა“, რადგან იციან „სადაცა ძალმან სამობისამან შიომოქმედოს“, იქ გონება, გამარჯვება და ზესთნეტარება უზრუნველყოფილია და სხვ. და სხვ.

¹ „ბუნებითთაჲ ზედა იხილო მემეჭობაჲ ნამეტ რიცხვსა ამის, რომელ არს სამი; რამეთუ ჩხელი პირველ სრულ ქმნისა საროსა შინა უყუეთუ დააკლდეს სრულქმნისაგან თთვსა მეცხრისა, და მერჯესა ნაკუეთსა შორის იშვეს თთუესა, რომელ არს მერვე, და არ დარჩების, ხოლო მეშვდესა შორის ნაკუეთსა თთვსასა იშვეს, კეთილ იქნების და დარჩების“—გვ. 217.

ერთი სიტყვით, პეტრიწი ყოველივე ძალას ხმარობს, რათა სამობის მეტაფიზიკა მეცნიერებისა და ფილოსოფიის დახმარებით დასაბუთოს და თეოლოგიას და ეკლესიას მეცნიერებისა და ფილოსოფიის დახმარების აუცილებლობა დაუმტკიცოს. სრული ცოდნით არა მარტო ბერძნული ფილოსოფიისა და ლიტერატურისა, არამედ თავისი დროის ბუნებისმეტყველებისა და მათემატიკისა, მუსიკისა და სტრატეგიისა აჩვენებს იგი, რომ ქეშმარიტება ერთია, რომ სარწმუნოებაში ამას ღმერთი-სიტყვა ეწოდება, რომ პლატონური მონაცვალებნი მას დასაბამობრივ ერთს ანუ კეთილობას უწოდებენ, რომ იმ ფილოსოფოსმაც კი, რომლის თითოეული სიტყვა ღვთისმეტყველურ სიბრძნეს შეიცავდა, და რომლის ავტორიტეტი ეკლესიის თვალში საერთოდ აღიარებული იყო, ე. ი. არისტოტელემ, ერთში მიიჩნია მეუფე და დასაბამი ყოველივე ნივთთა.

კიდევ მეტი: თვითონ მთავარი დოგმა ქრისტიანობისა სამება ერთარსებისა დამაჯერებლად და სიტყვიერებითი ბუნებითი ხედვანით სწორედ პლატონური ფილოსოფიის წარმომადგენლებმა დაამტკიცეს, სწორედ პროკლემ გამოიყენა ამ საქმისათვის მათემატიკური ცოდნის ყველა დარგი და ტრიაღულობა ყოველივე განვითარებაში მყოფი არსისა დაამტკიცა.

მაშასადამე, „სამობით ხედვისათვის საღმრთოესა ბუნებისა“, თავისი პირველი სიტყვა თქვა „მწუერვალმან ფილოსოფოსთა დღისასა პლატონმან“ (გვ. 209). ატტიკელმა პროკლემ, მონაცვლემან პლატონურისა ფილოსოფიისა, გამოავლინა რა ფარულად თქმული პლატონის დიალოგებში, საბოლოოდ ნათელჰყო ყოველივე ეს. და ყოველივე ამას „თანა მეხმეობს ჩემიცა პავლე“ (გვ. 210).

ასე დამაჯერებლად დაუმტკიცა იოანე პეტრიწმა თავის ეპოქას ფილოსოფიასთან უნიონის დადების აუცილებლობა, ასე შეჰქმნა მან საქართველოში სქოლასტიკის ის განვითარებული სახე, რომელიც დასაველეთმა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ გააფორმა.

6. მოძღვრება მართის შესახებ

ამრიგად ქრისტიანობის მთავარი დოგმა, ერთარსების სამებად ყოფნა, ფილოსოფიის დახმარებით მოგვარებულა. ყოველ შემთხვევაში გარეგნულ ეფექტს პეტრიწი აღწევს და ერთგვარ მოჩვენებითს ფორმალურ დამაჯერებლობას ტრინიტეტის მეტაფიზიკისათვის იძლევა.

მაგრამ XI საუკუნეში ქრისტიანულ თეალსაზრისს ამით დაკმაყოფილება აღარ შეეძლო. საკითხი რადიკალურად იყო დასმული. დასაბამი რა არის, სამი თუ ერთი? იოანე პეტრიწი არაჩვეულებრივი აზრმახვილობით და სპეკულატიური განყენებით აღწევს ამ საკითხის, ასე ვსთქვათ, მათემატიკურ მოგვარებას. იგი, რასაკვირვე-

ლია, ხელაღებით ლებულობს ქრისტიანული ღვთისმეტყველების პასუხს: დასაბამიდან და მარადიულად არსებობს ერთი.

მაგრამ განიხილავს რა ერთს, როგორც რიცხვს, აღმოაჩენს რა რომ რიცხვი ის არის, რაც მხოლოდითია, გარეშე ამისა რიცხვი ის არის, რაც დაითვლება, ისმება საკითხი ორი არის თუ არა რიცხვი? პასუხი ნათელია: ჰოც და არაც. ორი რამდენად დაითვლება რიცხვით, მაგრამ რამდენად იგი, როგორც რიცხვი, არის უარყოფითი მხოლოდობის ბუნებისა, ამდენად არ არის რიცხვი. სამი კი ნამდვილი რიცხვია, იგი კიდევაც დაითვლება და მხოლოდითიც არის. ამიტომ, ამტკიცებს პეტრიწი, რომ სამი „დასაწყისი არს რიცხვითა შობისაჲ“, ე. ი. ნამდვილი რიცხვი ყოფილა სამი. ე. ი. ერთსა და სამს ერთხანეთს ვერ მოვაშორებთ, თუ კი რიცხვითა ქვეყანა გვსურს ავაშენოთ.

აქ ერთგვარი შერიგება გვაქვს ქრისტიანული და ნეოპლატონური მსოფლმხედველობისა. ე. ი. მიღწეულია იმის დამტკიცება, რომ თუმცა მარადიული დასაბამი ერთია, მაგრამ რაოდენ იგი იქნება განხილული, ვითარცა რიცხვი, ეს სამის არსებობის გარეშე არ შესრულდება, მაშასადამე, ერთის დასაბამად არსებობა გულისხმობს სამის თანარსებობას. აქ აღმოჩენილია ერთისა და სამის „თანამებუნებობა“.

მთავარი მიზანი, რასაკვირველია, ის კი არ იყო პეტრიწისათვის, რომ დიალექტიკის დახმარებით არითმეტიკის, თუ გეომეტრიკის ლოგიკური ბუნება ნათელი გაეხადა. არა, ეს ყველაფერი მაგალითი და დამხმარე გარემოებაა, მთავარია დამტკიცდეს „თანამებუნებე-ძე“ მამისა, ე. ი. *μᾶλλον ἢ τὸν πατέρα* მახარებლისა. ფილოსოფია, მისი აზრით, ეხმარებოდა სარწმუნოებას, რათა „თანამებუნებობის“ თეორია მოცემული სახარებაში, გასაგები და ნათელი გახდეს. აქ პეტრიწი იხმარებს ქართულს გარემოცვას. მისი აზრით სახარების ქართულს თარგმანში დარღვეულია ის პრინციპი, რომ თანამებუნებე მამისა დასაბამშივე არის „დასაბამი თვის-შორისისა სიტყვისაჲ, ვითარ დისკოჲ თუალი ზვისაჲ შარავანდელთად“ (გვ. 219) და ამის გასწორებას და დოგმატურად სწორი თარგმანის გაკეთებას პეტრიწი ამ პრობლემის ფილოსოფიურად სწორი გადაწყვეტიდან მოელის.

პეტრიწი, ცხადია, ვერ ამჩნევს იმ გამოუვალ ჩიხს, რომელშიაც შესულია აქ მისი სპეკულაცია. მას ერთის მხრით სჭირდება იყოს გაცილებით უფრო მკაცრი მონისტო, ვიდრე ეს ქრისტიანობისათვის შეაწყენარებელია. აქ იგი იხრება ბერძნებისაკენ, კერძოდ ნეოპლატონიზმისაკენ; მეორეს მხრივ, გამოყავს რა პირველი რიცხვის, ე. ი. სამის არსებობა უშუალოდ ერთისაგან, უარყოფს შინაგან განვითარებას და შორდება ნეოპლატონურ დიალექტიკას.

ნამდვილად ამით აიხსნება, რომ პროკლეს მარტივდებულებას, რომ „ყოველი სიმრავლე ეზიარების რამათვე ერთია“—და ამის იმ

მარტივ დასაბუთებას, რომ თვითეული რაობა ან ერთია ან არა-ერთი, ე. ი. მრავალი, ანუ არა-რამ, ხოლო არა-რამ, ანუ სიმრავლე, უსაზღვროებამდე გაგრძელებული, ან იქნება უსაზღვრობა, სადაც თვითეული რაობა იქნება ერთიც და სიმრავლაც, ანდა იქნება უსაზღვრო უსაზღვრობა, სადაც ერთი და არა ერთი ერთი და იგივეა, მაშასადამე, არ არსებობს სიმრავლე, რომელიც ერთისაგან არ წარმომდგარიყოს, — პეტრიწიმ თავის კომენტარიებში დაურთო მთელი გამოკვლევა დაახლოებით ოცჯერ უფრო დიდი, ვიდრე პროკლეს „კავშირთა“ პირველი თავი და შეეცადა, ქრისტიანულ მსოფლმხედველობის საკიროებათა მიხედვით და ნეოპლატონური დიალექტიკის გამოყენებით, წარმოედგინა საესეებით დავისებური ფილოსოფია ერთისა.

აქ საკითხი უმთავრესად შეეხება არა ერთს, როგორც მტკიცება უარყოფის მიღმა არსებულ დასაბამს, არამედ გამოკვლევას იმ გზებისა, რომლებსაც მიყვებართ ერთთან. ვინც პეტრიწის „განმარტებაჲ“-ს შესაფერის ადგილებს კარგად ამოიკითხავს, მიხედვება, რომ მთავარ საკითხში ქართული ფილოსოფოსი შეგნებულად დაშორდა მის ფილოსოფიურ სახელმძღვანელო ხაზს, ნეოპლატონიზმს; აქ მან მოგვცა საინტერესო საკუთარი ძიება. თუმცა არსებული მასალა გვაფიქრებინებს, რომ მთლად თეორიის სინათლეზე პეტრიწს თავისი თვალსაზრისი არ გამოუტანია.

პეტრიწის მთელს ნაშრომს თუ გადავსინჯავთ, აღმოვაჩინებთ, რომ ყველაზე დიდი ენერჯია მას დაუხარჯავს ერთის, როგორც დასაბამის, დადგენაზე. მიელო მას ამ საკითხში ან პლატონი, ან არისტოტელე, თუ გინდა პროკლე, მაშინ ცხადია ეს საკითხი იმოდენ თავსატეხი არ იქნებოდა. იგი ეთანხმება ბერძნებს იმაში, რომ ყოველივე სიმრავლე ერთისაგან უნდა ამოდიოდეს, ამიტომ ხედავს იგი ბერძნებში ქრისტიანობის წინაპრებს; მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს ამოსვლა? აქ იწყება გამიჯვნა. აქ მას თვით მისი ატრეკლიც, ე. ი. პროკლეს აღარ აკმაყოფილებს.

ერთი, ანუ აბსოლუტი, გინა ღმერთი, პროკლესათვისაც. ყოველივე რაციონალურ განსაზღვრის მიღმა იდგა, მასთან არც გრძნობადი ქვეყნის გზა მიდიოდა და არც რაციონალურის. ლოგიურ გვარეობათა აბსტრაქტიზმის გზით ღმერთთან მისვლა და ღმერთის არსებობის რაციონალური დასაბუთების გზები არისტოტელის შეტაფიზიკისა მიუღებელი იყო არა მარტო იოანე პეტრიწისათვის, არამედ მთელი ნეოპლატონიზმისათვის და ფსევდო-ლიონისე არეოპაგელისაგან გამომდინარე ქრისტიანული თეოლოგიისათვისაც.

აბსოლუტი ან ღმერთი პროკლესათვისაც იყო ყოვლის შემკველი; უთქმელი, უხილავი, შეუცნობელი და შეუხებელი. მიუხედავად ამისა პროკლემ მაინც წამოაყენა ღმერთის არსებობის დასაბუთების თეორია. ამ თეორიის თანახმად ჩვენ თუმცა არ ვიცით, თუ რა

არის ერთი, არავითარი ლოგიკური გზით არ შეგვიძლია გავიგოთ, რა არის ერთი, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ყოველთვის ვთქვათ, რა არის ერთი.

ამიტომ როგორც კი ერთს ან ღმერთს მივადგებით განსაზღვრის მიზნით, მივიღებთ პოზიტიურისა და ნეგატიურის აქტუალურ შეერთებას. მართალია კითხვაზე, რა არის ღმერთი ანუ ერთი, ჩვენ ვერ ვიტყვი, რა არის იგი, სამაგიეროდ უსასრულობამდე შეგვიძლია ვიძლიოთ მისი ფორმალურ ნეგატიური განსაზღვრა და არც ერთი შეცდომა არ დაეუშვათ, მაგ. ერთი არ არის სახლი, ქვეყანა, მიზეზი, შემეცნება და სხვ. იგი თვითველ ამაზე მეტია, იგია მიზეზი უმიზეზოდ, სინათლე უსინათლოდ, საქმე უსაქმოდ, საზღვარი უსაზღვროდ, უსაზღვრო საზღვრით და სხვ. და სხვ.

ღებულაზს თუ არა იოანე პეტრიწი ღმერთის ასეთს განსაზღვრას? ქრისტიანული თეოლოგია მისი ეპოქისა დაახლოებით ასეთსავე თვალსაზრისზე იდგა, თუმცა ამოდენ რაფინირებული მეტაფიზიკა მას არ გააჩნდა, მაგრამ დაახლოებით იგიც ამას იმეორებდა, რასაკვირველია, გაუფლგარებული სახით. ღმერთის არსებობის რაციონალური დასაბუთების თეორიები, ონტოლოგიური და სხვა მოჩვენებითი დამტკიცებანი, ჯერ კიდევ უცნობი იყო.

ფორმალურად, რასაკვირველია, პეტრიწი წინააღმდეგაა აბსოლუტის ანუ ერთის ყოველივე დამტკიცებით და სილლოგიზმით გაგებისა, არსებითად კი ოთხი მეზუთედი მისი კომენტარიებისა ტრიალეზენ ერთისა და მისი კორრელაციების განსაზღვრათა ირგვლივ. უნდა ითქვას პეტრიწის, როგორც ფილოსოფოსის და მოაზროვნის, სასარგებლოდ, რომ ამ კომენტარიებში უაჩრავი უკიდურესობამდის აზრმახვილი დიალექტიკური არგუმენტები გვხვდება, ასე რომ ეს კომენტარიები აზრმახვილობაში და ცნებათა ფორმალურ დიალექტიკურ თამაშში ეჯიბრებიან აზრმახვილობისა და ფორმალ-დიალექტიკური კონსტრუქციების ოსტატს, პროკლეს. მაგრამ გავასაღოთ ყოველივე ეს პეტრიწის ფილოსოფიად, ეს გადაჭარბებული ამბავი იქნება. იგი ამ შემთხვევაში მაინც დამოკიდებულია ნეოპლატონიზმის მიერ დამკვიდრებულ ცნებათა ქვეყნისაგან.

საინტერესო და დიდად მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით ის, თუ როგორ ოსტატურად ნეგატიური თეოლოგიის მეტაფიზიკურ ცნებებს პოზიტიურად იყენებს პეტრიწი ქრისტიანული მეტაფიზიკისათვის: ის კი უსათუოდ სწორია, რომ ასეთს შემთხვევებში ძალიან ხშირად ქრისტიანული ცნებები უცხო ზინაარსით იყვება.

ერთის გაგების საკითხში იგი ყველა ბერძენ ფილოსოფოსთა შორის უპირატესობას პროკლეს ანიჭებს. პროკლე მისწვდა „გონებისაგან მიუწვდომელსა ერთსა“, იმას რის სიღრმეს პლატონის გენიაც ვერ ჩასწვდა, რომლის რაობა არისტოტელესათვის

ნათელი იყო, მაგრამ მეთოდი, რომლითაც ყოველივე რაობასთან არისტოტელე მიდიოდა, აქ არ გამოდგებოდა.

პეტრიწი ამ მიმართულებით გვიჩვენებს არისტოტელეს ლოგიკური მეთოდის იშვიათსა და უნაკლო ცოდნას, დაყრდნობილს „ორგანონის“ უშუალო ცოდნაზე. პეტრიწმა იცის, რომ ყოველივე დამტკიცება არისტოტელესთან საბოლოო ანგარიშით არის სილლოგიზმი, რომელიც არის „კანონი არისტოტელის „ორგანონისა“, რომლისათვის უღონო არს რადაცაე გაგონება სულისა მიერ სიტყვებისა“¹ ე. ი. არისტოტელეს მიერ ორგანონში მოცემულ ლოგიკურ კანონებს გარეშე, შეუძლებელია გაგება რაიმე ლოგიკური ურთიერთობისა. ლოგიკური კანონის ძალა და მნიშვნელობა შენდება საშუალო ტერმინის იგივეობაზე სილლოგიზმში. ეს პეტრიწმა ისე მტკიცედ და უნაკლოდ იცის, როგორც ჩვენ დღეს. „იხილე, — იძლევა პეტრიწი მოკლე ფორმულას — ვითარ ყოველი ცნობაჲ და ძიებაჲ საშუალისაჲ არს, და იგი აზიარებს და შეჰყრის ურთიერთას ორთავე კიდურთა“².

არისტოტელეს ლოგიკას მხოლოდ ისეთს მოვლენებში შეუძლია კანონი აღმოაჩინოს, რომლებსაც მიუღებდა ეს ფორმულა, ე. ი. თანამედროვე ფორმალური ლოგიკის ენაზე რომ ვთქვათ ფორმულა:

$$\begin{array}{l} M \text{ est } P \\ S \text{ est } M \quad \text{სადაც } M=M, \\ S \text{ est } P \quad \text{ამიტომ } S=P. \end{array}$$

გამოდგება ეს კანონი, რათა აღმოჩენილ იქნას დამოკიდებულება ერთსა ანუ ღმერთსა და ქვეყანას, გინდ ერთსა და ადამიანს, გინდ ერთსა და შემეცნებას შორის? რომელია აქ იგი „საშუალო, რომელიც აზიარებს და შეჰყრის ურთიერთას ორთავე კიდურთა“.

ასეთი „საშუალო“ არ არსებობს და, მაშასადამე, არც ლოგიკური გზა არსებობს ღმერთისაკენ.

ამას პეტრიწი მოაყოლებს ასეთს კოლოსალურ მსჯელობას:

„იტყვს, ვითარმედ ეზიარების რადაცაე ერთსა“. აწ ესე სიტყუაჲ უკუნ არღუევს ყოველთა, რომელთაცა დასხნეს დასაბამნი მრავალნი და შეშალეს საუკუნესა შორის დამყარებული წესი, არამედ და მყის უჩინო ჰყოფს მათ, ვითარცა ნადედაზარდღევთა. იტყვს „ეზიარებისო სიმრავლე ერთსა“. ვინაჲ აწ ესე საძიებელი დიდად ძნიადი განჰჰმარტოთ“³.

აზრი ამისა შემდეგია, პროკლეს მიერ წამოყენებულმა დებულებამ „ეზიარების რადაცაე ერთსა“ და სხვ. დაარღვია კანონიერება მრავალ პრინციპთა, რომელთაც დასხნეს „დასაბამნი მრავალნი“,

¹ იხ. შრომები, ტ. II, გვ. 11.

² იხ. იქვე, ხაზი ჩვენ გაუსვით. მ. გ.

იხ. შრომები, ტ. II, გვ. 12, ხაზი ჩვენია. მ. გ.

რითაც მყისვე უძალო და უჩინო გახდეს მრავალ სჯულებათა მანძილზე დამყარებული წესი, ე. ი. არისტოტელეს და შისი სკოლის მიერ აღმოჩენილი ლოგიკური კანონები და პეტრიწი მოგვიწოდებს ეს დიდად ძნელი საკვლევი გამოვიკვლიოთ.

საკითხია მხოლოდ პროკლეს ახალი გზა თუ აკმაყოფილებს პეტრიწს? მიიღო მან ნეგატიური დიალექტიკის ხერხები, რომლის შედეგი იყო ნეგატიური თეოლოგია?

საქმე იმაშია, რომ მას არ მიუღია ეს, საქმე იმაშია, რომ ამ ყველაზე გადამწყვეტ და უძირითადეს საკითხში პეტრიწი არ გააჰყვა ნეოპლატონიზმსა და პროკლეს. იგი ასობით გვერდებზე გაშლილ კომენტარებში ცდილობს ჩაურიოს თავისი ფილოსოფია ერთისა. შეგნებულად და მტკიცედ, დამოუკიდებლად და სრული გაგებით, იგი აქ დგება ქრისტიანობის თეალსაზრისზე და როგორც ერთხელ იოანე დამასკელი ლოგიკის კატეგორიების ცნებების გადაშუშაების და ქრისტიანულ შინაარსში გამოთქმით ცდილობდა შეექნა ქრისტიანული ლოგოკა, ასე ახლა იოანე პეტრიწი ქრისტიანობის მოთხოვნილებათა გამოყენებით ცდილობს შექნას ახალი და დამოუკიდებელი ფილოსოფია ერთისა:

აქ ჩანს მთელი გენია და ორიგინალობა ამ კაცისა, და ყველა იმით, ვინც პეტრიწში მხოლოდ და მხოლოდ ნეოპლატონიკოს ხედავდნენ, ჩვენ ამერიდან მოვუწოდებთ, რევიზია გაუკეთონ თავიანთ შეხედულებას.

საბოლოო ანგარიშით პროკლეს ნეგატიური დიალექტიკაც ლოგიკური გზა იყო მტკიცებისა, იგი საბოლოოდ განბანდილი იყო არისტოტელეს ონტოლოგიზმისა და რეალიზმის გადმონაშთებისაგან და ამიტომ იყო უკიდურესი ფორმალიზმი და იდეალიზმი. პეტრიწისათვის კი „ერთი“ ყოველნაირი მტკიცება-უარყოფის მიღმა დგას. აზრმახვილ რიცხვთა სპეკულაციით ამტკიცებს პეტრიწი, რომ ყოველივე რიცხვი ერთს გარეშე არის გაშლილი საზღვარსა და მიზნეს შორის. ამიტომ სიმრავლეში ერთი არ გაითქვითება, სიმრავლე ერთებად რომ აქციო, ერთი მაინც მეტი იქნება, ხოლო „ყოველივე სიმრავლე ერთსა შორის იხილვების“, არამეთუ ყოველსა შეერთებულსა პირველ თვისსა ორნი უნებან: სიმრავლე რიცხუთაჲ და ერთი, რომელმან სიმრავლე შეაერთოს, ვითარცა აღმოიჩინა. რომლისათვისცა ჩანს, ვინამე ერთსა შორის რიცხვ არა შეერთებული, არამედ ერთებრი. და კუალად იხილე უფრომასად შეენიერთა ხედვათა და უმხილებელთა აღმოსაჩენთაჲ.¹

დაადგენს რა აქ პეტრიწი სრულს დამოუკიდებლობას ერთისა, ვითარცა რიცხვისა, მაშ, აჩვენებს მის უპირატესობას სამხედლად, აჩვენებს რა რომ ამ „ერთის“ გაგებისათვის რიცხვის კანონები სა-

¹ იხ. ი. პ. შრომები, ტ. II, გვ. 13.

კმარისი არ არის, არამედ ამისათვის საჭიროა „შუენიერის ხედვა“, იგი გააგრძელებს მსჯელობას და აჩვენებს, რომ „ერთი“ მეტია, ვიდრე ყოველივე მოქმედება, მეტ-ა ვიდრე სრული, თუ ზესთა სრული („არცა სრულობაა ეკადრებრს მას“) ძალა და არსება, და დაასკვნის: „და მიერ ზესთ ჰნათობენ ყოველთა, ღმერთებრივთა და ერთებრივთა თვსთა-ნათელთაჲთ, და თან მისცემენ თვსთა კეთილობათაჲთ და აკეთილებენ ყოველთა. აქ დიდად სათანადოა რიცხუსა ერთებრივისა და სიმრავლისათვს. კანონთაებრ საღმრთისმეტყუელთასა დაიდვა ფრიად ცხადად“. ¹ მაშასადამე, ერთი ყოფილა ის, რომელსაც ნათელი შეაქვს ყოველსავე სინათლეში, რომელიც კეთილობით აკეთილებს ყოველივეს, რომლის „მშვენიერის ხედვით“ შეიძლება ცხადყოფა და გაგება ყოვლისაო, გვარწმუნებს პეტრიწი შეთანხმებული ღმრთისმეტყუელობასთან. როცა ეს ერთი იშლება ქვეყანაში, მას თავისი ბუნება, თავისი დასაბამისობა თან მოაქვს, პეტრიწის ენაზე თუ ვიტყვი, ერთის სინათლე იმ თავითვე მოთესულია ყველაფერში. ამიტომ ყოველივე არსი, ვთქვათ ადამიანი, რომელიც სინათლითა და თვალთ შერთდება ქვეყნიერებას, მონაწილეობას ღებულობს ერთში, თუმცა ეს ზიარება და მონაწილეობა ამ ყოველს მთლიანად არც შეგნებული აქვს და არც შეუძლია შეიგნოს. პეტრიწი პირდაპირ ამბობს: „თანმოაქუს მას ყოველი, ხოლო ყოველნი ერთბამად ვერ უქმებენ თან მოქონებად მისდა“ ². ამაშია, ძირითადი და გადაულახავი წინააღმდეგობა ერთის „ერთბამად“, მას სპონტანურად მოაქვს მთლიანობა, ჩვენს ადამიანურს შემეცნებას, ე. ი. ლოგიკურ შემეცნებას კი ნაწილ-ნაწილ შეუძლია იმუშავოს, ერთში არ არის ჯერ და შემდეგ, ჩვენს შევეცნებაში კი ყოველივე ჯერ და შემდეგ იშლება და ლაგდება. ამიტომ პეტრიწის აზრით, და ეს არის მთავარი, ის რაიც იქმნა ერთის მიერ, არის ხატება ერთისა.

მაშასადამე, ქვეყანა, ადამიანი, თუ შემეცნება პეტრიწის მიერ ხან მოთესულ სინათლედ არის გამოცხადებული, ე. ი. ერთის სინათლეთ, ხან ერთის ხატებად. უნებლიედ გვახსენდება სქოლასტიკის დამთავრებისას და დასავლეთური რაციონალიზმის გაფორმებისას წამოჭრილი ცნება *Lumen naturale*-ისა, რომელიც პეტრიწსავეთ ნეოპლატონიზმის შორეული წყაროებიდან ამოდიოდა და ქრისტიანობის დამოუკიდებელ თვალსაზრისს ეძებდა.

ერთის ანუ აბსოლუტის, გინა ღმერთის საკითხში პეტრიწი უდაოა ნეოპლატონიზმიდან ამოდის, მაგრამ თავიდან იშორებს რა იმ ნეგატიურ, მაგრამ მაინც ლოგიკურ და რაციონალურ გზას, რომლითაც ნეოპლატონიზმში ერთი მოდიოდა, დგება საცესებით ახალს პოზიციაზე და თავის სიტყვას ამბობს იმ მეტაფიზიკური ინტუი-

¹ იხ. შრომები, ტ. II, გვ. 14.

² იქვე გვ. 16.

ციონიზმისათვის, იმ შინაგანი ხილვის თვალსაზრისისათვის, რომლის ამბავი ავგუსტინესთან დაიწყო და რომლითაც ასე მდიდარია ქრისტიანული ეპოქის სპექულაცია.

ზერად პეტრიწი იძლევა ერთს იშვიათ ამომწურავ ფორმულირებას, ნიშნებს მისი ფილოსოფიური აზროვნების მაღალი სიზუსტისა და დიალექტიკური გაწვრთნილობისა. აი მაგ. ნიშნუში:

„ვინაშთგან აღმოჩნდა ერთი უზადოდ და წმიდად და თვთერ-
თად და ზესთ მდებარედ, თუ მას ვიტყვ დასაბამობასაცა, ავით
რომელ დასაბამი ყოველი თან მოაქუს დასაბამიერთა, ვითარცა
ხუროა ნახუროებთა და ბუნებაა ნაბუნებებთა“¹.

ეს კლასიკური ნიშნუში პეტრიწის აზროვნების ელევანტობისა და მაღალი დიალექტიკური გამართულობისა, არისამავე დროს კლასიკური ნიშნუში სრული დეფინიციის. სრულია ის დეფინიცია, რომელიც შეიცავს მხოლოდ ლოგიკურად კმარ ნიშნებს, ნიშნების გადაქარბება ისეთივე კოქლი საქმეა დეფინიციისათვის, როგორც მათი დაკლება. ამ დეფინიციაში ექვსი ძირითადი ნიშანია წამოყენებული. უზადო, წმიდა, თვთერთი, ზესთმდებარე, დასაბამი და ის რასაც თან მოაქვს დასაბამი ისე, როგორც ხუროა ნახუროებთა და ბუნებაა ნაბუნებებთა, ე. ი. თუ ვნახავთ ხუროს მიერ აშენებულს თავისთავად ნათელი და ცხადია, რომ იყო ხურო, ესე მის მიერ აშენებული არ იქნებოდა, თუ ვნახავთ შედგეს ბუნებისა, ცხადია ბუნება იყო. ასეთივე ხილული, თავისუფალი შინაგანი სიცხადეა ერთიც. მის არსებობას დამტკიცება კი არ სჭირია, არამედ ცხადყოფა. რა კონსტრუქციული და აზრმახვილი არ იყოს ეს დიალექტიკა, მისი სათავე მაინც ქრისტიანული გამოცხადების მეტაფიზიკა იყო. ნეოპლატონიზმი თვითონ შეიცავდა ასეთს ელემენტს, იგი თვითონ იყო გამოცხადების ფილოსოფია.

იოანე პეტრიწმა ქრისტიანობის ფონზე დაამთავრა ეს მეტაფიზიკა, რითაც ქრისტიანობის ნიადაგზე შეიქნა დამოუკიდებელი ფილოსოფია. რასაკვირველია, აქ მთლიან დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი ისე ზედმეტია, როგორც ზედმეტია ქრისტიანობის დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი საერთოდ.

თუ ვნებათ ქრისტიანული მსოფლმხედველობის სამარეც იყო ეს სპექულაცია. ერთის მიმართ მტკიცების და გონების ხერხების უარყოფა. თვითონ იყო მტკიცება და გონება. ჩინებული მაგალითი ამისა თვითონ პეტრიწისთან მოიპოვება. ჩვენ ეს წინათავეში განვიხილეთ.

დაიწყებს რა პეტრიწი შემეცნების წყაროების უნარის კვლევას, აპყვება რა აბსტრაქირების გზას, მოგვეცეს ასეთს იშვიათს კონსტრუქციას: აღამიანს შემეცნების რიი წყარო აქვს, სული და გონება,

შემეცნების მიზანია ნამდვილ მყოფ არსებათა შემეცნება; ეს მიზანი სუბიექტ-ობიექტის მიმართებაში სახიერდება, ობიექტი პეტრიწის აზრით უფრო მალა დგას სუბიექტზე, გონება სულზე, ხოლო ნამდვილ მყოფი არსება მალა დგას გონებაზე, ამ შემთხვევაში გონება სუბიექტია, ნამდვილ-მყოფი—ობიექტი; მაგრამ ნამდვილ-მყოფ არსებაზე მალა „ერთობრივი რიცხვი“ დგას; ახლა თუ რიცხვს აუილებთ როგორც საზღვარს, მის მალა უსაზღვროება მოთავსდება, საზღვარი სუბიექტი იქნება, უსაზღვროება ობიექტი. თუ უსაზღვროება იქნება ალბულის სუბიექტად, რა შეიძლება იყოს მისი ობიექტი, რაა უსაზღვროებაზე უფრო მალალი, პეტრიწის ტერმინით რომ ვთქვათ, რაა ზესთმდებარე უსაზღვროებისა? ეს იქნებაო, ამბობს პეტრიწი, „ყოველთაგან ზესთ მდებარე იგი უცნაური ერთი და კეთილობაჲ, რომელსა წადილმან პატივისამან ჰკადრა მას და მამადცა წოდებაჲ“,¹ ე. ი. იგი ყოფილა პლატონის სიკეთე, პროკლეს და ნეოპლატონიზმის ერთი, ქრისტიანობის ღმერთი, პატივისცემის წადილის გამო მამად წოდებული.

რა არის ეს თუ არა თავისებური ორიგინალური ცდა ღმერთის არსებობის რაციონალური ხერხებით დამტკიცებისა? თუმცა პეტრიწი აქვე გვარწმუნებს, რომ იგი უცნოა, მაგრამ გზა, რომლითაც იგი მასთან მივიდა, ცოდნისა და მტკიცების გზაა და ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ აქ შეიძლება შეუგნებლად, მაგრამ ფაქტის სახით ქრისტიანობის ისტორიაში იწყება ღმერთის არსებობის დამტკიცების გზების ძებნა.

პეტრიწი ამ საკითხში თავისი ეპოქის მოწინავე პოზიციებზე იდგა. დაუწყო რა მან მტკიცება დებულებას, რომ ღმერთის არსებობას მტკიცება არ სჭირდებაო, გაპოიგონა რა ამის დასამტკიცებლად უამრავი აზრმახვილი არგუმენტი, მან მტკიცების მოთხოვნისება შეიტანა სარწმუნოებაში და ამით ნიადაგი მოამზადა მამავალი კატალიზმებისათვის.

პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნების იშვიათი ნიშნულების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ნათქვამიკ საქმარისია იმის დასაანახავად, რომ ეს ქართველი ფილოსოფოსი უდიდესი მოაზროვნე იყო თავისი ეპოქისა, ეპოქის მიერ დასმული საკითხების მკვლევარი და ამით მომავალი განვითარების იეგზური.

7. იოანე პეტრიწი და ძართული კულტურა

იოანე პეტრიწი სრულმქნელი და დამამთავრებელია ქართული კულტურის იმ ისტორიული გზისა, რომელიც ქრისტიანობიდან მოდიოდა. ქართული კულტურის ეს გზა ბერძნების კლასიკურ ცივილიზაციას დასაწყისიდანვე უკავშირდებოდა რა ბერძნული ენის მე-

¹ იხ. ი. პეტ. „შრომები“, ტ. II, გვ. 8.

შეეობით, საბოლოო ანგარიშით მას შინაარსეულადაც უნდა დაკავშირებოდა. პეტრიწი საუკეთესო წარმომადგენელია ამ გზისა, ამიტომ ძველს ქართულს მწერლობაში იგი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია კლასიციზმისა.

პეტრიწის წინაპრები და თანამედროვეები ბერძნული სალიტერატურო ენით მუშაობდნენ, ბერძნულ ავტორებს ქართულად თარგმნიდნენ, თუ ზოგ შემთხვევაში ქართულიდანაც ითარგმნებოდა ბერძნულად, მაგრამ მათი ბერძნული საეკლესიო ბერძნულს არ გაშორებია; პირველად იოანე პეტრიწმა კლასიკური, საზროვნო და ფილოსოფიური ბერძნული აჩვენა ქართველებს. იყო რა მიმდევარი სქოლასტიკის იმ განვითარებული სკოლისა, რომელმაც დამასციონურ ამოკრებას კლასიკური წყაროებიდან თავი გაანება და წყაროებს უშუალოდ და მთლიანად კითხვა დაუწყო, იოანე პეტრიწმა ქართველებს უთარგმნა, წაუკითხა თუ ასწავლა არისტოტელე, პლატონი, პროკლე, ნემესი და სხვ.

მისი წინაპარი და თანამედროვე ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი მასზე არანაკლებად დაბელოვნებული იყვნენ ბერძნულის ცოდნაში, კარგად იცნობდნენ აგრეთვე ბერძნულ კლასიკურ წყაროებს, მაგრამ იდგნენ რა დამასკელის პოზიციაზე, რომ ქრისტიანი ავტორი თავისას არაფერს არ უნდა ამბობდეს, ისინი დამასკელთან ერთად იმეორებდნენ „არა რას თავით ჩემით ვიტყვდი... არამედ [უნდა] ვემსგავსო სახეობასა ფუტკრისასა და უტხოთავან თვისნი მსგავსნი ნივთნი კეშმარიტებასა შემოუკრიბნე“¹-ო.

საკითხის დეტალურად შეწავლამ უფრო თავისებური გარემოების წინ დაგვაყენა, ირკვევა, რომ ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი აწარმოებდნენ ამოკრებას თვითონ იოანე დამასკელიდან. არ ნახულობდნენ საჭიროდ ყველა ბერძნულ-ფილოსოფიური წყაროსაგან შრამავალი მასალა ქართველი მკითხველისათვის მიეწოდებიათ.

ჩვენ ამ მიზნით შევადარეთ არსენ იყალთოელის თარგმანი დამასკელის „დიალექტიკის“ ტექსტს და აღმოჩნდა, რომ იგი არა თუ ორჯერ უფრო მცირეა ვიდრე დამასკელის „დიალექტიკის“ ე. წ. ვრცელი ვარიანტი, არამედ იგი უფრო შემოკლებულია, ვიდრე ე. წ. დამასკელის მოკლე რედაქცია. ქართველ მთარგმნელს დამასკელის შრომიდან ამოღლია ყველაფერი, რაც კი მცირეოდენ თეორეტიული და ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობისა კი იყო იქ, ყოველივე რაც კი შორიდან ანტიკურ დიალექტიკას და ონტოლოგიას მოგვაგონებდა და ხელუხლებლად დაუტოვებია მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ფორმალ-ლოგიკური მასალა; მას მოუტია მკაცრი, მოკლე

¹ ამოღებულია დამასკელის ეფრემ მცირესეული თარგმანიდან. იხ. „მიმოხილვები“ გვ. 191.

და „ფილოსოფიიდან გაწმენდილი“ კომპენდიუმი ფორმალური ლოგიკისა.

ვის შეამოკლა დამასკელი ამდაგვარად?

რასაკვირველია პირდაპირ იმის დამტკიცება არ შეიძლება, რომ ეს შემოკლება თვითონ მთარგმნელს ეკუთვნის, შეიძლება მის ხელთ ჰქონდა უკვე ასე შემოკლებული ბერძნული დედანი, მაგრამ რადგან ქართული თარგმანი არსებითად განსხვავდება დღეს ცნობილი ბერძნული შოკლე რედაქციისაგან, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს შემოკლება, თუ ამოკრება ქართველი მთარგმნელის საქმეა.

პრინციპიალურად სხვა პოზიციაზე დგას იოანე პეტრიწი, იგი არა თუ ეკლესიის მამების ფილოსოფიური შრომების შემოკლებას ეწვევა, არამედ ქართულად თარგმნის ბერძნული ფილოსოფიის კლასიკოსებს, იგი ფილოსოფიიდან ამოკრებილი და ქრისტიანულად გადაკეთებული ფრაზებით კი არ უმასპინძლებდა თავის თანამედროვეობას, არამედ უშუალოდ ასწავლის ფილოსოფიის და მეცნიერების ორიგინალებს.

პეტრიწს ამ ნოვატორობის გასამართლებლად მთელი მსოფლმხედველობა გამოუმუშაებია. იგი თავის თანამედროვეობას უმტკიცებს, რომ ბერძნული ფილოსოფიის სახით ღმერთმა-სიტყვამ პირველად თქვა სიტყვა-გონიერი, იგი ამტკიცებს, რომ პირველად ლოგოსის სინათლე პლატონის ფილოსოფიაში ამობრწყინდა, რომ ქრისტიანობამ ლოგოსი ღმერთად აქცია და რაც პლატონთან ბუნდოვანი ზმანების სახით იყო მოცემული, რაც არისტოტელესთან ლოგიკურ თეორიაში იყო განხორციელებული, იგი ქრისტიანობაში გონების სინათლედ და ქეშმარიტებად არის გამოცხადებულიო.

საკითხზე, რომელი უფრო მაღლა დგას, გამოცხადების ქეშმარიტება, თუ ლოგიკის ქეშმარიტება, პეტრიწი უყოყმანოდ, ცხადია, პირველის მხარეზე დგება და მეორეში ხედავს საპირო და კანონიერ ხერხს პირველის გასამართლებლად. ამიტომ არის იგი სქოლასტიკოსი და ქრისტიანობის ფილოსოფოსი.

ქრისტიანული აზროვნების ისტორიაში იგი წარმომადგენელია განვითარების იმ შედარებით მაღალი საფეხურის, რომლის დროს ქრისტიანობამ გადაწყვიტა არა მარტო ანტიკური ფილოსოფია, არამედ მთელი ანტიკური ცივილიზაცია გამოეყენებია თავისი საქმისათვის. ამან, რასაკვირველია, აუცილებელი გახადა ანტიურობის უშუალო შესწავლა, წარმოშვა კლასიციზმის თავისებური ფორმა.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ასი წლით ადრე დასავლეთელ გამოჩენილ სქოლასტიკოსებამდე ქართველი ფილოსოფოსი შედგა განვითარების ამ გზაზე და შეჰქმნა საკუთარი ლიტერატურული, ქრისტიანულ-ფილოსოფიური, ძეგლი, რომელიც ერთერთი უდიდესი დოკუმენტია XI და XII საუკუნის მიჯნაზე აღმოსავლეთიდან დაწყებული ძიებისა და განახლებისა.

როგორც ვიცით, იმდროინდელ საქართველოში განახლების ფართო მასშტაბით დაწყებისათვის ხელსაყრელი სოციალ-პოლიტიკური პირობებიც არსებობდა. ამ ხელსაყრელი სოციალ-პოლიტიკური პირობებიდან ამოსვლით ქართველები იმდროინდელ, სხვა მოწინავე ხალხებთან ერთად, და ხან პირველადაც, იწყებენ ახლის ძიებას. ნიკო მარის შესანიშნავი შენიშვნის თანახმად, ეწევიან მუშაობას შემოქმედების მოწინავე პოზიციებზე.

ყოველივე ნამდვილი, ეპოქის გამომხატველი კულტურა ყოველთვის ინტერნაციონალური მოვლენაა და იმ ეპოქაშიც წამოწყებული განახლების ძიება ქრისტიანობის შიგნით ინტერნაციონალური იყო თავისი ბუნებით. XI საუკუნეში ეს ძიება დაიწყო ბიზანტიაში, პეტრიწის სახით გაგრძელდა საქართველოში, მაგრამ ისტორიის ბედის უკუღმა დატრიალების გამო ამ ქვეყნებში იგი მალე შეწყდა და ცოტა მოგვიანებით დასავლეთში გაიშალა და დიდი ისტორიული განვითარების შარა-გზაზე დადგა.

XI—XII საუკუნეში ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდ პოლიტიკურსა და ეკონომიურ განვითარებას თავისი გზები მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო რომ არ შესწყვეტოდა, პეტრიწის ფილოსოფიური საქმეც უნიკუმის სახით არ დარჩებოდა ჩვენს ისტორიაში. მას მოწაფეები და მიმდევრები უსათუოდ ჰყავდა, მაგრამ გამგრძელებლები აღარ ჰყოლია.

ჩვენი ძველი ლიტერატურული ცნობები მეთორმეტე საუკუნეში მცხოვრებ თითქმის ათიოდე ფილოსოფოსს ასახელებს, მაგრამ ყველა მათ შესახებ ჩვენ ხელთ შეგვრჩა მხოლოდ სახელები და იოანე პეტრიწის ფილოსოფიური საქმე უნიკუმის სახით დგას ჩვენს ისტორიაში. უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანად ძველი ქართული მწერლობა, XIII საუკუნიდან XVI დასასრულამდე, მუდმივ დიდი დიდებით იხსენიებს იოანე ფილოსოფოსს, აქებს მას, კითხულობს, სწავლობს, მაგრამ ვერ აგრძელებს. შეიდი საუკუნის მანძილზე საქართველოს ხელში გვირა ამ კაცის მიერ XII საუკუნის დასაწყისში გადმოთარგმნილი და გაკეთებული მეცნიერება, სწავლობდა და იმეორებდა მას. ამ საუკუნეების მანძილზე არა მარტო ქართული ეკლესიის განუყრელი სახელმძღვანელო იყო პეტრიწი, არამედ პეტრიწის ნაწერებში განსწავლული იყო დიდი შოთა რუსთაველი, პეტრიწს სწავლობდნენ მწიგნობარი ქართველი მეფეები. ერთ-ერთ უძველეს ხელთნაწერზე პეტრიწის „კავშირებისა“ ენახულობთ არჩილ მეფის ავტოგრაფს და წარწერას, რომლისაგან ვტყობილობთ, რომ ეს წიგნი არჩილ მეფეს შეუსწავლია¹.

საბა ორბელიანს თავისი უკვდავი ლექსიკონისათვის პეტრიწის ლექსიკა საფუძვლად დაუდგია. პეტრიწის სტილსა და ენას, მის სქოლასტიკას, ენმანებოდა ანტონ კათალიკოსი.

¹ საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერი № 69A.

ქართული ფილოლოგიის შემქმნელმა აკადემიკოსმა ნიკო მარმა იშვიათი გამოკვლევა უძღვნა პეტრიწის ლიტერატურულ მოღვაწეობას, მან გამოიშუშა პირველად პეტრიწის წაკითხვის ტექნიკა. ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა პროფ. კორ. კეკელიძემ მოგვცა პეტრიწის ლიტერატურული მოღვაწეობის სრული ისტორია, პეტრიწის ტექსტებზე დიდი მუშაობა ჩაატარა სერგი გორგაძემ; მანვე შეადგინა პირველად პეტრიწის ვრცელი ბიოგრაფია.

ერთი სიტყვით, ძველს და ახალს დროში პეტრიწს პატივის-მცემელნი და შემფასებელნი არ ჰკლებია.

მაგრამ მთელი ეს მოძრაობა შეეხება პეტრიწს, როგორც გარკვეული ლიტერატურული სკოლისა და ენის მამამთავარს, პეტრიწი, როგორც ფილოსოფოსი და მოაზროვნე, ჯერ თითქმის არავის უყვლევია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არაფერი უცდილა გვეგო, თუ რა ეწერა შინაარსის მხრივ პეტრიწის სახელგანთქმულ განმარტებებში; ნიკო მარიც აღნიშნავდა, რომ ქართული ლიტერატურის მკვლევარნი პეტრიწის ნაწერებს, მსოფლმხედველობისა და შინაარსის მხრივ, არც კი შეხებიანო. გამოჩენილმა მკვლევარმა, პეტრიწის აზროვნება მიაკუთვნა ნეოპლატონურ მსოფლმხედველობას, სამართლიანად დაუკავშირა პეტრიწის მოღვაწეობა მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალის სახელთან დაკავშირებულ ლიტერატურულ მოძრაობას, მაგრამ პეტრიწს—ფილოსოფოსს არც ნიკო მარი შეხებია. მარმა მხოლოდ ნეოპლატონელობის ნიშანი ჩამოჰკიდა პეტრიწს მკერდზე.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ისტორიული კვლევისათვის მიუღებელი მეთოდით მუშაობის გამო, პეტრიწის შრომების მეორე ტომის წინასიტყვაობამ სწორედ ვერ გვიჩვენა ის ისტორიული გარემო და პირობები, რომელიც პეტრიწის მსოფლმხედველობის გაპირობებას საფუძვლად ედო. ზოგი ქრისტიანობის აღრინდელი ეპოქის დამახასიათებელი იდეოლოგიური ვითარება აქ გასაღებელია „ქართულ ფილოსოფიად“, მაგ. „სინათლის და ფერის ფილოსოფია“ წინასიტყვაობის ავტორებისა.

დაუშვებელია აგრეთვე ჰიპოთეტური მეთოდით კვლევა ისტორიის საკითხებისა. მეცნიერული ჰიპოთეზი ყოველივე მეცნიერული კვლევის საჭირო და აუცილებელი ხელსაწყოა და მათ შორის ისტორიულისაც. მაგრამ დაუშვებელია ამათუიმ საკითხის გასარკვევად მიღებული ჰიპოთეზი ყოველივე ვერიფიკაციის გარეშე მომდევნო გვერდებზე ფაქტად გამოვაცხადოთ და მისი შეშეობით ახალი ჰიპოთეზი შევადგინოთ. წინასიტყვაობის ავტორები ყოველ ფეხის გადადგმაზე მიმართავენ ასეთს მეთოდს.

მაგალ. იმ ჰიპოთეზის გამო, რომლის თანახმად პეტრიწი ვითომც ქრისტიანობიდან გადამდგარი იყო, იმის ახსნა, თუ რატომ არ გვხდება მისი სახელი რუს-უკრაინის ძველთა აღრიცხვაში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე ზოგი უცილობელი ისტორიული მასალის მხოლოდ სათაურის მიხედვით ცოდნა. მაგალითად იოანე დამასკელისა და აქედან გამომდინარე შეცდომები ფაქტების სფეროში, მაგალითად მტკიცება იმისა, ვითომც ექთიმე მთაწმინდელმა იოანე დამასკელის „ღიალექტიკიდან“ რაღაც „ამოკრიბა“!..

მაგრამ ყველაზე სავალალოა წამოწყება, იოანე პეტრიწი გაასაღოთ ქართული წარმართობის აღმდგენად და ამასთან დაკავშირებული უცნაური და დაუჯერებლობამდე გადაქარბებული განდიდება და შედარება მომდევნო ეპოქების მოაზროვნეებთან. მაგ. მტკიცება იმის შესახებ, რომ პეტრიწი მალა იდგა სპინოზაზე, ვითომც შექმნა რაკიონალიზმის ის მალალი ფორმა, რომლის „ინტელექტუალურ სიყვარულს არ გამოურიცხავს ადამიანური ვნებიანი სიყვარული, როგორც ეს მრავალ საუკუნეთა შემდეგ სპინოზას მოუვიდა“. ეს იშვიათი ნიმუშია ზომიერების დაკარგვისა და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზომიერების გარეშე არავითარი მნიშვნელოვანი საქმე არ გაკეთებულა მსოფლიო ისტორიაში!

პეტრიწის მნიშვნელობა იმაში იყო, რომ იგი ბიზანტიაში დაწყებული მოძრაობიდან ამოსვლით ცდილობს შექმნას დიდო სტილის ქრისტიანული ფილოსოფია და ამისათვის მთლიანად გამოიყენოს ძველი ბერძნები. ქრისტიანიზმისათვის საერთოდ ეს საქმე, როგორც ცნობილია, თომა აქვინელმა დაამთავრა. მან დაუმტკიცა დასავლეთს, რომ ქრისტიანობას შეუძლია მთლიანი არისტოტელე და პროკლე გამოიყენოს. და ჩვენს გაკვირვებას და ერთგვარ პატივისცემას და სიამაყის გრძობას იწვიეს ის გარემოება, რომ თითქმის 150 წლით ადრე თომა აქვინელამდე ქართველმა ფილოსოფოსმა იოანე პეტრიწმა წამოიწყა იგივე საქმე მთლიანი არისტოტელესა და პროკლეს გამოყენებით ქრისტიანობის ხედვითი, ე. ი. თეორეტიულ ცოდნაზე აწინებდა.

ავიღოთ უბრალო საკითხი. რატომ აირჩია იოანე პეტრიწმა ნემესი თუ პროკლე სათარგმნელად? მეორე ტომის წინასიტყვაობის ავტორები ამტკიცებენ, რომ „ამ არჩევანს ყველაზე ნაკლები საბაბი აქვს სწორედ ბიზანტიური ფილოსოფიური რენესანსის მხრივ და ყველაზე მეტი ქართული ფილოსოფიური ტრადიციისა და სინამდვილის მიხედვით“. გამოდის, რომ არაებულა რაღაც ქართული ფილოსოფიური ტრადიცია, რომელიც იმ თავითვე ნეოპლატონიზმის მონათესავე ყოფილა და პეტრიწს, აღმდგენს იმ ქართული ფილოსოფიური ტრადიციებისა ქრისტიანობის წინააღმდეგ, ნ. მისიოს, თუ პროკლეს თხზულები უთარგმნია. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსიდან პროკლესთან მისვლა არ შეიძლებოდა.

ისტორიისათვის უცნობ „ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციებზე“ და ისიც ანტიქრისტიანულზე ვერაფერს ვიტყვით, ხოლო მე-

ორე ნახევარი ამ დებულებისა ფაქტების დამახინჯებაა. იოანე პეტრიწამდე ათიოდე წლით ადრე პროკლეთ გატაცება უდიდესი ლიტერატურული მოდა იყო ბიზანტიაში; მიქაელ ფსელოსი აღფრთოვანებით აცხადებდა, რომ მან დაიწყო საქმე ფილოსოფიისა პლატონით და არისტოტელით და როცა მოვიდა „წარმტაც და საუცხოოვ პროკლესთან“, მაშინ იხილა ძალა და მშენიერება ფილოსოფიისო. ამავე აზრის იყო იოანე იტალიც. მართალია, საეკლესიო რეაქციამ ბიზანტიაში პროკლეთი ასეთი გატაცება სარწმუნოების საქმეებთან შეუთანხმებლად გამოაცხადა, მაგრამ პროკლეთი ეს გატაცება და პროკლესთან კავშირის დამყარება ქრისტიანობაში ამიერიდან აღარ შეწყვეტილა. მას ეზმანებოდნენ ალბერტ დიდი და თომა აკვინელი, არაბები და ევროპიელები. უტყუარ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ზემოთ ჩვენ გამოვიკვლიეთ ეს მსვლელობა პროკლესა ქრისტიანულ დასავლეთში და, ცხადია, იოანე პეტრიწსაც ქრისტიანული აზროვნების ის განახლების საკითხები აწუხებდა, როგორც მის დასავლეთელ მოძმებს და ამ საკითხებიდან ამოსვლით მიმართა მან პროკლეს და არა ქვეყნისათვის უცნობი ქართული ფილოსოფიური ტრადიციების გამო.

მაინც რა უნდა ყოფილიყო ეს „ქართული ფილოსოფიური ტრადიციები“? ეს ყოფილხ თურმე „სინათლისა და ფერის ფილოსოფია“.

არაგითარი ფერის ფილოსოფია პეტრიწთან არ არის. სიტყვა „ფერი“ მრავალჯერ არის მასთან ნახმარი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ როგორც შედარების ხერხი, როგორც გურულ დიალექტში დღემდე იხმარება „ამფერი“, „იმფერი“, „სხვაფერი“ და სხვ. დიდი ჯამბაზობაა საჭირო, რომ აღამიანმა ეს „ფერის ფილოსოფიად“ გადააქციოს!

რაც შეეხება „სინათლის ფილოსოფიას“, ეს რამდენიც გსურდეთ, იმდენია პეტრიწთან, სინათლის მეტაფიზიკაც ნათლად არის მასთან წარმოდგენილი. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს ქრისტიანული მეტაფიზიკის ერთ-ერთი სახეობაა. რა შუაშია აქ ქართული ფილოსოფიური ტრადიცია!

სინათლის მეტაფიზიკა იდეალნიზმის უკიდურესი სახეობაა. იგი აღმოსავლური შთამომავლობისა არის, მაგრამ ბერძნული ნეოპლატონიზმის. თვალსაჩინო ფილოსოფოსსაც წარმოადგენს. ქრისტიანობა, მანიქვეელობა და ნეოპლატონიზმი დიდიან მათი წარმომშობისა სინათლის ფილოსოფიას ეყრდნობოდნენ. სინათლის მეტაფიზიკა საიგე დიდი რელიგიურ-ფილოსოფიური მოძრაობის საერთო დასაყრდენი იყო. ქრისტიანული გზით შემოვიდა იგი ძველს ქართულს მწერლობაში და პეტრიწთან ქრისტიანობის გარდა იგი საზრდოობდა ნეოპლატონური ნატურფილოსოფიის წყაროებიდან. იგი იყო ინტერნაციონალური პრობლემა და არა ნაციონალურ-ქართული.

მაგალითისათვის განვიხილოთ ორიოდ ფაქტიური მასალა: მანიქეველობა თავიდან ბოლომდე სინათლის მეტაფიზიკაზე იყო აშენებული, სინათლე მანის მოძღვრებაში მთავარი პოზიტიური ძალაა. ერთ ერთ ძველ მანიქეველურ ლოცვაში ნათქვამია მანის შესახებ: „ეურთხეულ არს ჩვენი ბელადი პარაკლეტი, მაცხოვარი სინათლისა“¹.

ქრისტიანული გნოსტიციზმი და ამის წყარო იოანეს სახარება ხომ თავიდან ბოლომდე სინათლის მეტაფიზიკაზე შენდებოდა. სახარების ავტორი მაცხოვარს ხომ პირდაპირ უწოდებს „ქვიყნის სინათლეს“ (8, 12) და ისეთი დინჯი და ინტელექტუალისტი, როგორც იყო იოანე დამასკელი, იმეორებდა რა წერილს, უწოდებდა ღმერთს, ხან Παρθ; ἄν φάραχ—სინათლეთა მამას, ხან φάραχ; ἄν; მხოძებელს სინათლისა.² რა უცნაური ამბავი იქნება, რომ ვინმემ ამის გამო იოანე მახარობელი და იოანე დამასკელი გამოაცხადოს „წარმართად“ და „ქართული ფილოსოფიური ტრადიციების“ (რომლებიც თურმე წარმართული ტრადიციები იყო) წარმომადგენლად. მეტი უფლებით არც პეტრიწის გამოცხადება შეიძლება ქართული წარმართული სინათლის ფილოსოფიის რესტავრატორად.

სინათლის ფილოსოფია, რომელიც მოცემულია პეტრიწის მიერ „განმარტებათა“ ნატურფილოსოფიურ ნაწილებში, არის ქრისტიანული ნეოპლატონიზმი და სხვა არაფერი. პეტრიწი გარკვეულად ასწავლის.

„გესმა, რამეთუ ყოველთა მყოფთა შორის მითესულა ნათელი ერთისაჲ. ხოლო გესმას რაჲ ნათლად, ნუ გარეთ და ზედშემოსრულად იქნო, არამედ გაიგონე იგი თუალად, რამეთუ ვითარ თესლად და მიზეზად არსისად“³.

მართლაც დღის სინათლესავით ცხადია, რომ აქ არსის მიზეზად და თესლად გამოცხადებული ნათელი არის სინათლე ერთისა, ანუ ღმერთისა, აქ დასაბამს ნათელი კი არ წარმოადგენს, არამედ ერთი ანუ ღმერთი. პეტრიწი ამბობს, რომ ეს სინათლე გარედან შემოსული კი არ არის, არამედ დასაბამიდანვე იგი „ყოველთა მყოფთა შორის მითესულია“. ამ ტიპიურ ქრისტიანულ გნოსტიციზმში რომ კაცმა წარმართული და იგივე ქართული ნაციონალური, თუ ტრადიციული ფილოსოფია ამოიკითხო, მართლაც რომ მდიდარი ფანტაზიით უნდა იყო დაჯილდოვებული!..

იოანე პეტრიწის ვინაობის გამოსარკვევად უსათუოდ აუცილებელია იმდროინდელი ბიზანტიის იდეოლოგიური მდგომარეობა მიმოვიხილოთ.

¹ იხ. Kessler: „Mani und Manichäer“, Real-Enzyklop. für protestant. Theol. und Kirche, Bd XI. გვ. 246.

² იხ. Migne, Patrolog. Graec. tom. XCIV გვ. 524.

³ იხ. ი. პეტრ. შრომები, ტ. II, გვ. 48.

დიდი მნიშვნელობა აქვს მაგ. პეტრიწის დამოკიდებულების საკითხს მიქაელ ფსელლოსთან და იოანე იტალთან, საერთოდ იმ ლიტერატურულ რენესანსთან ბიზანტიაში, რომელიც ამ ორი კაცის სახელთან არის უმთავრესად დაკავშირებული. ნიკო მარის ცნობილი ჰიპოთეზის სავერიფიკაციოდ საჭირო იყო დაძმობარე ისტორიული ფაქტების გამოანახვა და იმის დამტკიცება, რომ უსპენსკის მიერ გამოქვეყნებული იტალის წერილი ვინმე იოანე აფხაზის ანუ ქართველის მიმართ, ადრესატად „განმარტებათა“ ავტორს, იოანე პეტრიწს გულისხმობს.

დასახელებულ წინასიტყვაობაში მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნულია, რომ XI საუკუნის ბიზანტიაში ფილოსოფიური რენესანსი დაიწყო, ამ რენესანსის ავტორებად ფსელლოსი და იტალია მიჩნეული. მათ მოღვაწეობაში ანტიკური წარმართობის აღდგენასაც კი ხედავენ. ჩვენ ზემოთ ვნახეთ, რომ არავითარი ნამდვილი რენესანსი XI საუკუნის ბიზანტიაში არ ყოფილა, იქ იყო ერთგვარი ლიტერატურული რენესანსი, ფსელლოსი და იტალი თავიანთ მრავალრიცხოვან მსმენელებს უკითხავდნენ მთლიან პლატონს, არისტოტელეს, პროკლეს. მთელი იმდროინდელი ბიზანტიელი ახალგაზრდობა გატაცებული იყო ანტიკური პოეტებით და მწერლებით, ნებადართული იყო მათი სწავლება და სწავლა. დამწყები და ლიდერი ამ მოძრაობისა ფსელლოსი მაინც იმ ნათლად გარკვეული სქოლასტიკური აზრის წარმომადგენელი იყო, რომ ანტიურობას უფლება არ ჰქონდა დაპირისპირებოდა ქრისტიანობას, იგი ფიქრობდა ანტიური სილამაზით ქრისტიანობა გაელამაზებია. ანტიკური ფილოსოფია ქრისტიანულ ენაზე გადაეთარგმნა და ქრისტიანობის სამსახურში დაეყენებია. მაგრამ ფსელლოსი არასდროს არ მისულა რენესანსამდე შინაარსის მხრივ, ე. ი. ორმაგი ქეშმარიტების აღმოჩენამდე. მისი ქეშმარიტებაც ერთი იყო ე. ი. ქრისტიანული.

მიუხედავად ყოველივე ამისა, დავეთანხმეთ მეორე ტომის წინასიტყვაობას და ვთქვათ, რომ ის მოძრაობა ბიზანტიაში იყო ფილოსოფიური რენესანსის გაჩენა ევროპაში და სხვ.

მაშინ როგორღა გავიგოთ, როცა ეკითხულობთ:

„დამასკელის გარდმოცემა ბიზანტიის რენესანსისათვის ტონის მიქცეში გახდა. მან თავისი მეთოდით მარტო კი არ მოახდინა გავლენა ბერძნულს რენესანსზე: არისტოტელეს ლოგიკისადმი გადამწყვეტი ინტერესი, რომელიც ჰქონდა მიქელ ფსელლოსსა და იოანე იტალს შინაარსის მხრივაც, იოანე დამასკელით განისაზღვრა“.

უდავოა, რომ ამ სტრიქონების დამწერი ან დამასკელს იცნობს მხოლოდ სახელის მიხედვით, ან ფსელლოსსა და იტალს. მართალია, რომ ჩვენ ფსელლოსში და იტალში არ ვხედავთ რენესანსის ეპოქის შემქმნელებს ზაროვნების ისტორიაში, არამედ განვითარებული სქოლასტიკის წარმომადგენლებს, მაგრამ ამ ისტორიული უსამართლობისაგან ისინი მაინც უნდა დავიცვათ.

ბიზანტიის ლიტერატურული რენესანსი ორი გარემოებით გა-
ნისაზღვრა. პირველია გატაცება პლატონით, აღმოჩენა, რომ პლატო-
ნი იყო ღვთაებრივი ფილოსოფოსი, მისაღები ქრისტიანობისათვის,
გამოყენება არა მარტო ქრისტიანულად რედაქტირებული ნეოპლატო-
ნიზმისა, არამედ თვითონ პლატონისა, მისი ნაწერების სწავლა და
სწავლება. იუბერვეგის ცნობილი კომპენდიუმის გამგრძელბელი და
ახლად გამოშვებში, მათიას ბაუმპარტნერი სწერს: „ის მომავალი აღ-
ფრთოვანება პლატონისათვის, რომელსაც შემდგომი გემისტოს პლეთონ-
თან ვხვდებით, ექვს გარეშეა ფსელოსის მიერ იყო მომზადებული“¹.

აბა ვინ არ იცის, ის მკაცრი შეტაკება რომელიც ფსელოსს
პლატონით გატაცებისათვის მოუხდა მის ახალგაზრდობის მეგობარ-
თან იოანე ქსიფილინოსთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, აბა
ვინ არ იცის, რომ ფსელოსი პლატონიზმისათვის უნდა გაესა-
მართლებია ეკლესიას? ვინ არ იცის, რომ ამ მოხერხებისა და დიპლო-
მატიის მსოფლიო ოსტატმა მეფე დაარწმუნა, რომ პლატონიზმი
ქრისტიანობის სამეგობროდ უნდა იქნას გამოყენებულიო.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ წინასიტყვაობის ავტორები ამ გარე-
მოების გამო ხედავდნენ ფსელოსში ფილოსოფიურ რენესანსის დასა-
წყისს და ამ შეხედულებას ყოველშემთხვევაში გარეგნული გამართლე-
ბა ექნებოდა, რადგან ნამდვილი რენესანსი დასავლეთში დაკავშირე-
ბულია გეორგ გემისტო პლეთონის სახელთან, რომელიც ასევე აღ-
ფრთოვანებული იყო პლატონისათვის (თუმცა ნამდვილი რენესანსი
დასავლეთში სულ სხვა შინაარსის იყო). ამის მაგიერ ვნახეთ უცნა-
ურა განცხადება. თურმე „ბიზანტიის რენესანსს პრინციპიალურად
არაფერი განსხვავებული არ გაუქეთებია იოანე დამასკელის „გარ-
დმოცემისაგან“.

ახლა ავიღოთ დამასკელის მოღვაწეობა ამ დარგში. დამასკელნი
ის გამოჩენილი კაცი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში, რომელ-
მაც პირველად პლატონი შეაჩვენა და განდევნა ეკლესიიდან. რო-
გორც ცნობილია, ეკლესიის პირველი გამოჩენილი მამები, ალექსან-
დრიელები, კლემენს და ორიგენე, კაპადოკიელები ბასილ დიდი და
ორივე გრიგოლი პლატონისტები იყვნენ, თვით ნეტარი ავგუსტინეც
პლატონისაქენ აბრებოდა. პირველად იოანე დამასკელმა მოაშორა
ეკლესიას პლატონი. როცა დამასკელმა ერესების წინააღმდეგ ცნო-
ბილი ქრისტიანული წიგნი დაწერა, პლატონიზმი, სტოიციზმი და
ეპიკურეიზმი მწვალებლობად გამოაცხადა². ეს შეხედულება IX

¹ იხ. Ueberwegs, G. d. Ph. II, გვ. 355.

² შეად. Migne Patrol. Graec. tom. XCIV, გვ. 680, 684. ხაზგასმით რომ
აღნიშვნა პლატონის ერეტოკოსობა და მისი მოძღვრების შეუწყნარებლობა ქრი-
სტიანობისათვის, დამასკელმა სხვათაშორის დასწერა პლატონის შესახებ:

„იგი ასწავლიდა, რომ ცოლები ყველას საზოგადო ყოლიდათ (Υπαδή
καὶ κοινῶς) და არაჲს არ უხდა ჰყოლიდა თავის საკუთარი მეუღლე“ იქვე
გვ. 684. ქრისტიანი მკითხველის თვალში, ცხადია, პლატონისათვის ეს სიკვდი-
ლის განაჩენის გამოტანას უდრიადა.

საუკუნეში კანონიზებული იყო ბიზანტიის ეკლესიის დიდი დიქტატორის, ცნობილი ვერაგი პატრიარქი ფოტიოსის მიერ დარი საუკუნის შემდეგ ფსელლოსის მიერ აღფრთოვანება პლატონისათვის თუ რამდენად გამოდგებოდა დამასკელის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებად, ეს გადასწყვეტოს თვითონ მკითხველმა!

ბიზანტიის ლიტერატურული რენესანსის მეორე დამახასიათებელი გარემოება იყო არისტოტელეს ორიგინალების გავრცელება. იმდროინდელი მნახველები, მაგ. ანა კომნენის ქალი, მოგვიხსრობენ, რომ ფსელლოსსა და იტალს ხელში ეჭირათ არისტოტელეს წიგნი „ორგანონი“ და ამას უკითხავდნენ და უხსნიდნენ თავიანთ მსმენელებსო. ეგება ეს იყო დამასკელის საქმის გაგრძელება? გარეგნულად ეს გავს ამას. სინამდვილეში ეს იყო ნამდვილი აჯანყება დამასკელის საქმის წინააღმდეგ. დამასკელის „არისტოტელიზმი“ იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ მან ეკლესიას ურჩია არისტოტელე შეისწავლეო. არა, დამასკელმა აიღო პორფირეს შესავალი - არისტოტელეს ლოგიკური შრომისა „კატეგორიები“, თვითონ არისტოტელეს შრომაც. კარგ დახელოვნებულ პლაგიატორსავით ამ ორი შრომიდან ამოკრიბა ლოგიკური დებულებები, შესცვალა არისტოტელეს მოძღვრება პირველის და მეორე სუბსტანციის შესახებ ქრისტიანული მოძღვრებით ჰიპოსტასის შესახებ და ერთ ჰიპოსტასში ორი ბუნების თანარსებობის შესახებ, ლოგიკის ფორმულებში მოათავსა სამღვთო წერილიდან აღებული მაგალითები, და სხვა ასეთი ქრისტიანული მანიპულაციის მოხდენის შემდეგ შეადგინა სახელმძღვანელო და ქრისტიანობას უთხრა: აგია ჩენი ფილოსოფია და იგია „გარეშეთა ფილოსოფიაო“. რაც მართლა ფილოსოფია იყო დამასკელთან, ის იყო უსინდისო ნაქურდალი და საინტერესოა აღინიშნოს, რომ დამასკელი თვითონ არ ფარავდა, „ელწინეთ ბრძენი“ რომ გაქურდა.

მიქელ ფსელლოსმა და იოანე იტალმა თავის თანამედროვეობას წაუკითხეს და ასწავლეს ნამდვილი არისტოტელე. ეს იყო დასაწყისი დამასკელის და პატრიარქი ფოტიოსის-კრუ-არისტოტელიზმის განადგურებისა: და ახლა ჩვენმა მკითხველმა გადასწყვეტოს ისიც, თუ რამდენად სწორია წინასიტყვაობის ავტორების აზრი, ვითომც მიქელ ფსელლოსის და იოანე იტალის მოძრაობა „შინაარსის მხრივ იოანე დამასკელით განისაზღვრა“.

ამას „წინასიტყვაობაში“ მოჰყვება იმის მტკიცება, ვითომც საქართველოში ისეთი ფილოსოფიური მოძრაობა, როგორცაა XI საუკუნის ბიზანტიაში, ექვთიმე ივერიით დაიწყო და ეფერმ მცირით დამთავრდა.

ეფერმ მცირეს მიერ დიალექტიკის მალლა დაფასება, რომელიც დაემთხვა საქართველოში „გარდმოცემითს ფილოსოფიას“, ემთხვევა და სავსებით ჰგავს ბიზანტიის ფილოსოფიური რენესანსის

მეთაურის—მიქაელ ფსელოსის მიერ დიალექტიკის ასეთსავე მაღალ დაფასებას¹.

ნუ თუ ამ მსჯელობისათვის საბაბია ეფრემ მცირეს განცხადება: „აჲ ესერა გქონიან ასნი თაენი საეკლესიონი ორმ[ე]ოცდაათთა თაეთა მიერ საფილოსოფოსოთა გარეშეზღუდვილნი; და არც ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი უმათოდ“.¹

ეს ადგილი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ეფრემ მცირე ჩინებული და გარკვეული წარმომადგენელი იყო ადრინდელი, დამასცენური სკოლასტიკისა: არც ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი უმათოდ, ე. ი. საეკლესიო უფილოსოფიოდ და საფილოსოფოსო უეკლესიოდ. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს კი არ ყოფილა ფილოსოფია, როგორც ასეთი, არამედ დამასკელის ქრისტიანულად გაკეთებულ ფილოსოფიაზე იყო აქ ლაპარაკი. ამ ქრისტიანულად გაკეთებული ფილოსოფიით ეფრემ მცირეს სურდა გაენადგურებია ყოველივე ნამდვილი, ანუ „გარეშეთა“ ფილოსოფია და ამ წამოწყების მიქაელ ფსელოსის საქმესთან გაიგივება მართლაც რომ რაღაც თვისებურ გარემოებას თუ მიეწერება.

მოჩენებითს ისტორიულსა და ზოგად ფილოსოფიურ არგუმენტებს პეტრიწის წარმართობისაკენ უკან დაბრუნების შესახებ, მოპყვება ლიტერატურული არგუმენტი, რომლის მიზანია თვითონ პეტრიწის ნაწარმოებში ამოიკითხოს იმ დებულების სისწორე, რომლის თანახმად პეტრიწი გარკვეულად ქართული წარმართობის არქაული ფორმების აღდგენაზე ოცნებობდა დავით აღმაშენებლის ეპოქაში.

მეორე ტომასკ წინასიტყვაობის ავტორები სწერენ:

„პეტრიწი მიმართავს ქრისტიან მოწინააღმდეგეთ: „თუმცა სიტყვაჲ სიერცოდმი არ (...) იწარება გიჩუენებცა თქუენთა ულუმპიანთა ძლეენა“—ე. ი. თუ სიტყვის გაგრძელება [უსიამოვნებას] არ გამოიწვევდა თქვენთა—ქართველ ოლიმპიელთა სიძლიერეს“—ო. ვინ არიან ეს ქართველნი ოლიმპიელნი („ულუმპიანნი“)? ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ქართველი წარმართობის ღმერთებზე, რომელთა ახსნას—როგორც ამას სჩადიოდა პროკლე ბერძნული და ქალღური ღმერთების მიმართ—პეტრიწი შეასრულებდა, „კეთილმბქეთა“ „მიხვედრის“ იმედი რომ ჰქონდეს“.²

ჩვენ გადაკრით ვამტკიცებთ, რომ არაფერი ამდაგვარი პეტრიწის ტექსტში არ სწერია. პეტრიწი „ულუმპიელებს“ უწოდებს სამღეთო წერილის ქართველ მთარგმნელებს და არა წარმართ ღმერთებს, ჩვენ მზად ვართ დავამტკიცოთ ჩვენი დებულების სისწორე ყოველგვარი ლიტერატურული სამსჯავროს წინაშე!

საცილობელი ადგილი ამოღებულია პეტრიწის ბოლოსიტყვაობის უკანასკნელი გვერდებიდან, სტამბური გამოცემით 219 გვ. რო-

¹ იხ. „მიმომხილველი“, გვ. 187.

² იხ. წინასიტ. გვ. CII.

მელიც იწყება ასე: „მიზეზი ან კულად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს: პირველ რამეთუ განმრავლდეს გარდმომღებელი“... მეორე მიზეზად ფილოსოფიური წიგნების ქართულად თარგმანისა პეტრიწი ასახელებს იმას, რომ ამ გზით ქართული ენა გაიწვრთნება და სახარებისა და სამოციქულოს სიტყვა უკეთესად ითარგმნება და უკეთესად „განიცხადების“. მას მოჰყავს ორი კლასიკური მაგალითი იმისა, თუ იმ დროს მიღებულ თარგმანებში როგორ დამახინჯებულია საღვთო წერილის აზრი. პირველი მაგალითი შეეხება მეოთხე სახარების ცნობილ დასაწყის ფრაზას. არსებულ თარგმანებში ყოფილა „პირველითგან იყო სიტყვაჲ“, პეტრიწი აკრიტიკებს ამ ფორმულას და თვითონ,—ფილოსოფოსი და თეოლოგი—თარგმნის: „დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ“. ასეთ თარგმანს პეტრიწი ასაბუთებს უფაქიზესი და უაზრმახვილესი თეოლოგიური სპეკულაციით. ეს დასაბუთება ნათელს ხდის, რომ პეტრიწი იყო გამოჩენილი შოაზროვნე და თეოლოგი ორტოდოქსალური ნიკეისა და ქალკიდონის ქრისტიანობისა. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ნიკო მარის აზრი იმის შესახებ, რომ კომენტარიები ქალკიდონისტიკის კალმით არის დაწერილი. ეს ადგილი, რომელშიაც წინასიტყვაობის ავტორებს წარმართობის აღდგენა დაუნახავთ, სინამდვილეში ქალკიდონური ქრისტიანობის უკიდურეს დაცვას ემსახურება, ემსახურება მას აზრმახვილი ლოგიკური არგუმენტაციით.

პეტრიწი არგუმენტირებს ასე: „ვინაჲ თუ სიტყუა მამისა ღმრთისა პირველად დაბადებულთა და წარმოჩენილთა ძალად პირველ მებრ აწ მათი, მაგრა თწმებუნებე მათდა და ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი, და არა პირველ საუკუნეთა ყოველთა მამისა შორისი, რომელ არს დასაბამი თვს-შორისისა სიტყვსაჲ, ვითარ დისკოჲ თუალი მზისაჲ შარვანდელთად“. (ძვ. 219).

ამ ადგილის გაგებისათვის საკმარისი არ არის არც ფილოლოგიური ხერხების მომარჯვება და არც ფილოსოფიის ზოგადი საკითხების ცოდნა. ამის გაგებისათვის ქრისტიანული დოგმების ისტორიისა და რაობის ცოდნა საჭირო. არ ვარგა თარგმანი „პირველითგან იყო სიტყვაჲ“—გვასწავლის პეტრიწი, რადგან თუ სიტყვაჲ მოდის პირველთაგან, მაშინ გამოდის, რომ იგი არ ყოფილა მამალმერთის „თანამებუნებე“, იგი ყოფილა მას შემდეგ, ამიტომ მასზე ნაკლები, ე. ი. ერთბუნება და ძლიერება მამისა, ძისა და სულისა ირღვევა, რაც ქრისტიანობის ორტოდოქსალური დოგმისა გაბრუნდებას ნიშნავს. პეტრიწს სურს ისე სთარგმნოს წერილი, რომ ასელი გაბრუნდებისათვის საბაზი არავის დაურჩეს. ამიტომ იძლევა იგი წინადადებას, ესთარგმნოთო „დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ“, დასაბამი თვითონ არის „თვს-შორისისა სიტყუაჲ“, „ვითარ დისკოჲ თუალი მზისაჲ შარვანდელთად“, ე. ი. როგორც თვალი მზის დისკოსსა და მის შარვანდელს ხედავს ერთი მილიონობის სახით, ისე გო-

ნება მამას და სიტყუას ერთ მთლიანობად უნდა ხედავდეს. დაუშვებელია აქ გამოვიყენოთ ჯერ და შემდეგ, ხოლო ძველი თარგმანი ასეთი გაუგებრობის წარმოშობას ხელს უწყობს.

პეტრიწის მიზანია ფილოსოფიურად გამართულ ცნებათა ენის დახმარებით თავიდან აიშოროს ასეთი შეცდომა და ეკლესიას დაანახოს, რომ მისი დოგმების სისწორის საქმეს ემსახურება სწორად მოხმარებული ფილოსოფია.

შემდეგ პეტრიწი აიღებს მაგალითს ძველი აღთქმიდან. მოსე თარგმნილია ასეო: „მოვედით და ვქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდაო“, იწუნებს ამ თარგმანს და იძლევა წინადადებას ვთარგმნოთ ასე: „მოვედით და ვქმნათ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა“. ამას პირდაპირ მოჰყვება: „და თუმცა სიტყუად სივრცოდმი არ... იწარება, გიჩუენებოთა თქუენთა ულუმპიანთა ძლევანი“ და სხვ. ე. ი. თუ საწყენი არ იქნებოდა, მაგალითების მოყვანას გაეაგრძელებდი და კიდევ გიჩუენებდი, თუ აქვენი ოლიმპიელები რა ძალისა არიან თარგმანის საქმეშიო. დღის სინათლესავით ცხადია, რომ სინონიმი ოლიმპიელი აქ მოხმარებულია ქართველი მთარგმნელების გამოსახატავად და არავითარი კავშირი ამ შემთხვევაში ამ სიტყუას წარმართ ღმერთებთან არა აქვს. რა შუაში იყო იმაზე ლაპარაკი, რომ არსებული თარგმანები ნაკლს შეიცავენო და უეცრად იმის განცხადება, რომ თუ არ გეწყინებთ, გიჩუენებთ, რა ძლიერნი არიან თქვენი წარმართი ღმერთებიო! რა კავშირი უნდა ყოფილიყო საღვთო წერილის ასეთსა თუ ისეთს თარგმანსა და წარმართულ ღმერთებს შორის! ცხადია, არავითარი.

ნათქვამს თუ იმასაც მიუმატებთ, რომ სიტყვა „ულუმპიანთა ძლევანი“ წარმოადგენს ქართულ თარგმანს ბერძნული ἰσλαμῶν(αἰ)η-ს, ხოლო ამ ტერმინს ეკლესიის შამები ხშირად ხმარობდნენ ქართულს საეკლესიო მწერლობაშიც (მაგ. ეფრემ. მცირე), მიხვდებით, თუ რა ღირებულებისა არის ამ ტერმინით პეტრიწის წარმართობის დამტკიცების წამოწყება.

ერთი სიტყვით, პეტრიწის ტექსტში არავითარ წარმართობაზე და არავითარ წარმართ ღმერთებზე ლაპარაკი არ არის. პირიქით, ეს ადგილი სწორედ ერთ-ერთი მთავარი არგუმენტია იმ ღებულების დასაცავად, რომ პეტრიწი უდიდესი ოსტატობით ხმარობდა ანტიკური ფილოსოფიის კლასიკურ ნიმუშებს, რათა ამის საშუალებით ქრისტიანული დოგმის გონებით გამართლების საქმე უზრუნველყო. და თუ ხშირად კლასიკური ფილოსოფიის ცნებები პეტრიწის მსოფლმხედველობას ეწინააღმდეგებოდა, პეტრიწი ისეთს ინტერპეტაციას უკეთებდა ფილოსოფიას, რომ ქრისტიანობას აგუებდა; ანდა იგი თვითონ აკეთებდა ქრისტიანობასთან შეგუებულ ცნებებს, ჰქმნიდა „საკუთარ ფილოსოფიას“, მაგრამ ეს პეტრიწის -საკუთარი ფილოსოფია იყო ქრისტიანული სქოლასტიკა.

მეორე საბუთი, რომლითაც სურთ დაამტკიცონ, რომ პეტრიწი ქართული წარმართობის აღმდგენი იყო, არის სიტყვა „არღი“. პეტრიწთან მართლაც რამდენიმეჯერ ნახვარია სიტყვა არღი და ეს სიტყვა უფლებას აძლევს წინასიტყვაობის ავტორებს დასწერონ: „აქ არა მართო ნაცადია ქრისტიანობასა და წარმართობის შორის წინააღმდეგობის უარყოფა, არამედ ეს გაკეთებულია ქრისტიანობის წარმართობასთან შეგუების გზით... პეტრიწს აღებული აქვს არა ანტიკური ბერძნული წარმართობა, არამედ ქართული, რითაც იგი თავისი დამოუკიდებლობის ხაზს აქაც ინარჩუნებს... თავის წარმართულ სოფლგაგების ცენტრალურ მომენტს—მზეს—ის ძველი ქართული წარმართული სახელწოდებით—„არღით“ გამოხატავს“¹.

შეიძლება უძველეს ქართულში „არღი“ მართლაც მზეს ნიშნავდა, მაგრამ უდაოდ დაამტკიცა პროფ. კორნ. კეკელიძემ, რომ პეტრიწთან ეს ტერმინი არის ბერძნული სიტყვა *ἄρῃ*, რაც ქართულად ნიშნავს „მყის“. პეტრიწი, როგორც ნათქვამი იყო, ბერძნულ სიტყვას ხშირად ქართული ასოებით სწერდა და ტერმინად აკეთებდა. სამივე ადგილს, სადაც ეს სიტყვა „არღი“ ნახვარია პეტრიწთან, ნახვარია იგი „მყის“ ან „უმალ“-ის მნიშვნელობით და არავითარ ღმერთებზე იქ ლაპარაკი არ არის. მეტი საბუთი რაღა საჭიროა, როცა პეტრიწის შრომის ხელთნაწერ ეგზემპლარში სიტყვა „არღის“ პირველსავე დასახელებას განმარტება აქვს მიწერილი: „მყის“.

ყოველივე ამის შემდეგ ლეგენდა პეტრიწის მიერ ქართული წარმართობის აღდგენის შესახებ განადგურებულად უნდა ჩაითვალოს. პეტრიწი რჩება უდიდეს მოაზროვნედ თავის ეპოქისა და თავისი ქვეყნისა არა იმიტომ, რომ იგი ბურჟუაზიის მოკული ქართული წარმართობის აღდგენაზე ოცნებობდა დავით აღმაშენებლის დროს, არამედ იმიტომ, რომ მან წამოაყენა და იკვლია საკითხები, რომლებიც იმდროინდელი მოწინავე კაცობრიობის კვლევისა და ძიების საგანს შეადგენდა. იგი შეეცადა განახლების სინათლე შეეტანა ქრისტიანობაში. მან დაუმტკიცა თავის ეპოქას კლასიკური ფილოსოფიის ძეგლების შესწავლის აუცილებლობა. ეს კლასიციზმი მან გამოხატა იმ დროისათვის იმ ერთად ერთი შესაძლებელი და მისაღები ფორმით, რომლის თანახმად, ვითომც ნამდვილი ფილოსოფია კვშმარატად რელიგიას არ ეწინააღმდეგებოდეს. იგი შეეცადა ეს შეხედულება განსაკუთრებული, საკუთარი მსოფლმხედველობის სახით გამოემუშაებია.

ამ მსოფლმხედველობის კვლევის მეთოდი იყო დიალექტიკა, რასაკვირველია, არისტოტელურ-ნეოპლატონური-შთამომავლობისა; თვითონ ეს მსოფლმხედველობა იყო იდეალიზმი. სხვა რაი-

¹ იხ. წინასიტყვაობა, CIII.

მე იგი არ შეიძლება ყოფილიყო, რადგან იგი ცდილობდა ნეოპლატონური და არისტოტელურ დიალექტიკას კრიტიკულად მოპყრობოდა, იმათი პოზიციები საბაბად აეღო საკუთარი კვლევისათვის, ნაკუთარი მიზნებისათვის, უზადო მონიზმისა და მონოთეიზმის დასაბუთებისათვის, ამიტომ პეტრიწის ფილოსოფიური აზროვნება ძალიან საინტერესო და ერთობ ორიგინალურ მოვლენას წარმოადგენს სქოლასტიკური ფილოსოფიის ისტორიაში.

ჩვენი ღრმა რწმენით სქოლასტიკის ისტორიაში იოანე პეტრიწი შევა როგორც საინტერესო ორიგინალი ქართული კულტურისა, როგორც იმის საბუთი, რომ ქართველებს საშუალო საუკუნეების კულტურაში თავიანთი ორიგინალური სიტყვა უთქვამთ და ისტორიული საქმეაჯუყეთებიან.

იოანე პეტრიწმა ერთი და ერთნახევარი საუკუნით მოასწრო დასავლეთს ეპოქის აზროვნება იმავე მიმართულებით წაეყვანა, რა მიმართულებითაც იგი შემდეგ დასავლეთში განვითარდა. რასაკვირველია, თავის ეპოქის სააზროვნო ფორმებიდან პეტრიწი ისე არ გამოსულა, როგორც მისი იმდროინდელი ბიზანტიელი და დასავლეთელი თანამოძმენი. რასაკვირველია, მისთვისაც ფილოსოფია იყო მხოლოდ *ancilla theologiae*. მაგრამ რადგან ქრისტიანული ეკლესიის ოფიციალურ შესვეურთ ამ ფორმითაც კი არ სურდათ გონებასთან და ფილოსოფიასთან კავშირი დაეკირათ, ამიტომ ხშირად სქოლასტიკის იდეოლოგიები ანათემაქნილნი და გაუბედურებულნი, პროტესტანტის დროშით ხელში, გვევლინებოდნენ. ეს იყო პროცესი სქოლასტიკის შინაგანი ნგრევის დაწყებისა. როგორც ჩანს, იოანე პეტრიწმაც გაიარა ის ისტორიული სკოლა და ნებისთ თუ უნებლიედ ნიადაგი მოამზადა ქართული კულტურის იმ დიდი აღორძინებისათვის, რომელც ასი წლის შემდეგ რუსთაველმა განახორციელა.

პროფ. მონე გოგიბერიძე •

შესავალი

ძველი საუკუნეების ქართველ მწერალთა შორის იშვიათია მეორე ისეთი პიროვნება, რომელსაც ისეთი დიდი სახელი ჰქონდეს მოხვეჭილი, როგორც იოანე პეტრიწს. შეიძლება ადამიანი არ შეცდეს, თუ იტყვის, რომ შოთა რუსთაველის შემდეგ იოანე პეტრიწს, სახელმოხვეჭილობის მხრით, პირველი ადგილი უჭირავს. XIII—XIX საუკუნეთა თაობები მასზე ლაპარაკობენ როგორც ქართული ფილოსოფიური სკოლის ფუძემდებელზე, როგორც „ახალი“ ქართული სალიტერატურო ენის შემქმნელზე, როგორც გრამატიკოსზე.—ერთი სიტყვით, როგორც XI—XII საუკ. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეზე. ქართულ ფილოლოგიურ ლიტერატურაში მისი მოღვაწეობის საუკეთესო შეფასება მოგვცა აკად. ნ. მარამა თავის გამოკვლევაში „Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века“ (ЗВО XIX [1909], 53—113); გამოჩენილ მკვლევარს ისეთ ბუმბერაზ მოაზროვნედ წარმოუდგა იოანე პეტრიწი, რომ მან შესაძლებლად დაინახა პეტრიწის მოღვაწეობის განხილვის საფუძველზე დაისკვნა: „X—XI საუკუნეებში ქართველებს იგივე საკითხები აინტერესებდათ ფილოსოფიის დარგში, რომლებიც აინტერესებდათ მაშინდელ საქრისტიანო მსოფლიოს მოწინავე ადამიანებს, როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში, იმ განსხვავებით სხვებისაგან (მავალითად, ევროპელებისაგან), რომ ქართველები სხვებზე ადრე გამოეხმაურებოდნენ ხოლმე ფილოსოფიური აზროვნების უახლეს მიმდინარეობებს. აღქურვილნი იყვნენ თავისი დროისათვის სანიმუშო ტექსტუალური კრიტიკის უნარით და უშუალოდ ბერძნული დედნების საფუძველზე მუშაობდნენ“ (იქვე, გვ. 113).

§ 1. იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა

ბიოგრაფიული ცნობები იოანე პეტრიწის შესახებ მეტად ღარიბია. პეტრიწის ცხოვრების შესახებ გავრცელებული ცნობები შემდეგს გადმოგვცემენ¹. იოანე პეტრიწი XI საუკ. მეორე ნა-

¹) იხ. [თეიმურაზ ბატონიშვილი], მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის: ძვ. საქართველო, ტ. I, გვ. 14; Н. Марр, I, с; ს. გორგაძე

ხერისა და XII საუკ. დასაწყისის მოღვაწეა. განათლება მას ბიზანტიაში მიუღია. აქ მას უმუშავებია იმ ფილოსოფიურ წრეში, რომლის მეთაურები იყვნენ ჯერ მიქელ პსელლოსი, ხოლო შემდეგ იოანე იტალი. ამ უკანასკნელთა ფილოსოფიური სკოლის მუშაობა მიმართული იყო ზოგიერთი ძველი ბერძნული წარმართული აზრების განახლებისაკენ, რისთვისაც ამ სკოლამ ბიზანტიაში დევნა განიცადა. პსელლოსმა დასამო თავისი პოზიციები და თავისი დროის დოგმატიკოსებს მოურიგდა, ხოლო იოანე იტალი და მისი მიმდევრები გასამართლებულ იქმნენ 1082—1084 წლებში და ისინი, მათი მწვალებლური აზრების გამო, შერყენებულ იქმნენ. იოანე იტალის მიმდევართა შორის იხსენიება ვინმე იოანეც; ამავე დროს ჩვენამდე მოღწეულია იოანე იტალის ერთი წერილი, მიწერილი ვინმე აფხაზისადმი; დასასრულ, ცნობილია ისიც, რომ იოანე პეტრიწმა ბერძენთაგან დევნა განიცადა. აქედან შეიძლება ადამიანს დასკვნა გამოეტანა, რომ იოანე იტალის მიმდევართა შორის ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული იოანე არის ქართველი (აფხაზი) მოღვაწე იოანე პეტრიწი.

შემდეგ, გადმოცემა გვეუბნება, რომ იოანე მოღვაწეობდა ბულგარეთში, პეტრიწონში, იქ გრიგოლ ბაკურიანის მიერ 1083 წელს დაარსებულს (თუ განახლებულს) სემინარიაში. ამ ადგილის სახელწოდებიდან უნდა ჰქონდეს მიღებული იოანეს თავისი მეტსახელი პეტრიწი (ანუ, როგორც მას ზოგიერთები უწოდებენ, პეტრიწონელი).

დასასრულ, იოანე პეტრიწს ვხვდებით საქართველოში დავით აღმაშენებლის დროს (1089—1125). აქ ის დამკვიდრებულა გელათის მონასტერში, რომელიც დავით მეფემ «სხუად ათინად» აქცია, უზრუნველყო იგი როგორც მატერიალური საშუალებებით, ისე სამეცნიერო ძალებით (მშ დედ. ქ. ცხ. გვ. *528).

იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობის შესახებ ჩვენ ვიცით შემდეგი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ფილოსოფიური, ისტორიული და თეოლოგიური ნაშრომი. ასე, მაგალითად, მას გადმოუთარგმნია და განუმარტავს:

1) არისტოტელეს *Τὴ ἀρχὴ* და *Περὶ ἐραυσεῖας*,

2) ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“,

3) პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“,

4) იოსებ ფლავიოსის „მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყუათდასაბამობისანი“,

(ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისა“-ს გამოცემის შესავალი წერილი); ქ. კეკელიძე, ქ. ლ. ისტ. I, 301 შდდ.

5) იოანე სინელის „კლემაქსი“.

ასეთია ის ცნობები იოანე პეტრიწის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის შესახებ, რომლებსაც იძლევიან ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული წყაროები და გამოკვლევები. შეიძლება თუ არა ყველაფერი ზემოთქმული ჩაითვალოს საბოლოოდ დაზუსტებულად? რამდენადაც იოანე პეტრიწის მოღვაწეობის საკითხთა კვლევა მხოლოდ დაწყებულად შეიძლება ჩაითვალოს და რამდენადაც მის ნაშრომთაგან მხოლოდ ერთი იყო აქამდე გამოცემული (ნემესიოსის „ბუნებისათვის კაცისა“, გამ. ს. გორგაძისა, ტფ. 1914), ამდენად, რასაკვირველია, არც არის მოსალოდნელი, რომ იოანე პეტრიწის მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხები — ყველა გამორკვეული იყოს.

წინამდებარე გამოცემის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შემდეგი საკითხების გარკვევა იოანე პეტრიწის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან.

1) იოანე პეტრიწს ფილოსოფიური განათლება მიუღია ბიზანტიაში, სადაც მას ზედმიწევნით შეუსწავლია როგორც ძველ ბერძენ, ისე ბიზანტიელ მოაზროვნეთა ნაწერები. ის სრულიად თავისუფლად ფლობს ბერძენ-ბიზანტიელ მოაზროვნეთა ნაწარმოებების ორიგინალებს, თავისი აზრების დასადასტურებლად მაშინვე აგონდება სათანადო ადგილები ძველ ფილოსოფოსთა ნაწერებიდან და ხშირად არა სიტყვით-სიტყვით მოტანილი ციტატები იშვიათის სიზუსტით გადმოგვცემენ ორიგინალის ცალკეულ გამოთქმებს (იხ. ქვემოთ, გვ. XXVII შმლდ.).

ბერძნული ენა, განსაკუთრებით ბერძნული ფილოსოფიური ენა მას კარგად შეუსწავლია. მისთვის ბერძნული ფილოსოფიური ენა კი არ არის უჩვეულო, არამედ ქართული ფილოსოფიური ენა; ამ უკანასკნელს ის ეხლა ჰქმნის; ზოგჯერ ზედმიწევნითი ქართული საბადლო სიტყვა ვერ მოუძებნია ბერძნული ფილოსოფიური ტერმინისათვის და ის ბერძნულ ტერმინს ხმარობს, ზოგჯერ კიდევ ორივეს ერთად (ონკოს-ზეავი, საბლარდნი-ქიტონისკნი და სხვ. იხ. ქვემოთ დართულ „ბერძნული სიტყვების საძიებელში“).

იოანე პეტრიწს ბიზანტიაში მიუღია ის განათლება, რომელიც ცნობილია „სქოლასტიკურის“ სახელწოდებით და რომელიც ჰგულისხმობდა შეიდი ძირითადი დარგის შესწავლას: გრამატიკის, ფილოსოფიის (დიალექტიკის), რიტორიკის, ჯარიმეტიკის, გეომეტრიის, მუსიკისა და ასტრონომიის (იხ. Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности. СПб 1891, გვ. №159 და 174). განათლების ამ სისტემამ თავი იჩინა პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში, რომლის მეორე ნახევარში ის ალაგებს

და აჯამებს თავის აზრებს სწორედ ამ ძირითადი სამეცნიერო დარგების მიხედვით:

II 215 «ქუეენის-სამზომლომსათუს» (გეომეტრია)

II 216 «და თუ ვითარ რიცხუნი თან დაედასებიან» (არითმეტიკა)

II 217 «სამუსიკოჲ» (მუსიკა)

II 223 «რიტორობისა ზედა» (რიტორიკა)

II 223 «ლრამმატიკოსობაჲ» (გრამატიკა)

II 224 «ფილოსოფოსობაჲ» (ფილოსოფია)

II 224 «ვარსკულაეთ-პრიცხუელობაჲ» (ასტრონომია).

2) ბიზანტიაში ყოფნის დროს მას ბერძენთაგან დევნა განუცდია. ამის შესახებ ის ლაპარაკობს ჩვენი ძეგლის ბოლოსიტყვაობაში (II 222,1—4). ის აქ არ სწერს, რომ ეს დევნა მან ბიზანტიაში განიცადა, მაგრამ ბერძენთაგან დევნა სად უნდა განეცადა მას, თუ არა ბიზანტიაში? არც იმას სწერს აქ, თუ რატომ სდევნიდნენ მას ბერძნები, მაგრამ კონტექსტიდან ცხადი ხდება, რომ მას სდევნიდნენ მისი ფილოსოფიური აზრებისათვის. მისი მსჯელობა ბოლოსიტყვაობის ამ ადგილას შემდეგია: თანამედროვე ქართველთა და ბერძენთა შორის მიხედვითა თავიდან აცდენა მრავალნირი ტანჯვისა, სნეულებათა, უცხოობისა, შურისა და ვერაგობის ცუცხლისა. ქართველები მდევნიდნენ იმის ნაცვლად, რომ დამხმარებოდნენ და ეთქვათ: „ღეთის განგებას ჩვენ ტომში წარმოუშვია ასეთი, სულიერ საქმიანობაში დახელოვნებული და გონებრივ კვრეტაში გამობრძმედილი კაცი“. ამის ნაცვლად ამათ დევნა დამიწყეს ასეთ კაცსო. ცხადია, ქართველებს უჩივის იოანე პეტრიწი იმას, რომ მათ ვერ დააფასეს მისი ფილოსოფიური („კვრეტიით“) საქმიანობა; პირიქით, ასეთი საქმიანობისათვის მას დევნა მოუწყეს. რამდენადაც იქვე ერთად არის მოხსენებული დევნა ბერძენთა და ქართველთაგან, ცხადია, ბერძენთაგან დევნა მას აშკარაივე ფილოსოფიური საქმიანობისათვის უნდა განეცადა. ხოლო შემდეგ იოანემ ცალკე გამოჰყო ქართველების საკითხი, რადგან ის ბერძნებს ვერ მოსთხოვდა იმგვარსავე მოპყრობას მისდამი, როგორსაც ის ქართველებისაგან მოითხოვს.

როდის და რა მოძრაობასთან დაკავშირებით უნდა განეცადა იოანე პეტრიწს ეს დევნა? რამდენადაც დევნის შესახებ გადმოცემის შემდეგ იოანე გვიამბობს, რომ მიუხედავად ასეთი დევნისა (ბერძენთა და ქართველთაგან) მან მაინც შესძლო ფილოსოფიურ-თარგმანებითი მუშაობის შესრულება დავითის დახმარების წყალობით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის დევნა მან განიცადა მანამ, სანამ დაუთ მეთე (გამეფდა 1089 წ.) მას დახმარებას აღმოუჩინდა

(იგულისხმე: სხვა სწავლულ კაცებთან ერთად მიიწვევდა გელათში სამეცნიერო მუშაობისათვის). ეს დრო კი ემთხვევა სწორედ იმ ხანას, როდესაც ბიზანტიაში დევნა დაუწყეს იოანე იტალისა და მის მიმდევრებს და გაასამართლეს კიდევ (1082—1084 წლებში).

ჩვენს ძეგლში არის კვალი იმისა, რომ იოანე პეტრიწი იცნობს. იოანე იტალისა და მის მიმდევართა მოღვაწეობას. ბოლოსიტყვაობის ერთ ადგილას, სადაც მუსიკისა და სამ-რიცხვის შესახებ არის მსჯელობა, იოანე პეტრიწი ამბობს: «...რომელ პირველი მეტ რიცხვ სამი, ხოლო მეორე მეტ რიცხვ ხუთი, არამედ შესამედ მეტ რიცხუად თვთ ესე ყოველად განთქმული შვიდი, რომელი არცა შობს და არცა იშობების. ვინა სადა ყოველმან იტალიელთა წვალებამან ვითარ ქალწულსა პატივსცა და მიემსახურა» (ჩვ. გამ. II 217,26—27). უკანასკნელ წინადადებაში უნდა იგულისხმებოდეს იოანე იტალის მიმდევართა («იტალიელთა») რომელიღაც მწვალებლური აზრი, რომელიც «ქალწულს» ეხებოდა. რომ საქმის ვითარება სწორედ ასეთია და რომ აქ იოანე იტალი უნდა იგულისხმებოდეს, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ იოანე იტალისა და მისი სკოლის წინააღმდეგ წამოყენებულ 11 ბრალდებაში ერთი (მეექვსე ბრალდება) მართლაც «ქალწულის» საკითხს ეხება (იხ. Ф. Успенский, Синодик в неделю православия. Одесса 1893, გვ. 16, § 6).

ზემოთქმულის შემდეგ ჩვენთვის ცხადი უნდა იყოს, რომ იოანე პეტრიწისთვის ბერძენთაგან დევნა ფილოსოფიური აზრებისათვის ცნობილი იყო, რომ ის კარგად იცნობდა XI საუკ. 80-იან წლებში ბიზანტიაში მომხდარ ამბებს. თუ რამდენად ეხებოდა ეს თვითონ მას, რამდენად იყო ის თვითონ ამაში გარეული, ეს შემდგომი კვლევის საკითხია: შემდგომმა კვლევამ უნდა შეაღაროს იოანე იტალის ნაწერები და მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები იოანე პეტრიწის მიერ ჩვენს ძეგლში და სხვაგან გამოთქმულ აზრებს და ამით გამოარკვიოს პეტრიწის პოზიცია იოანე იტალის და მის მიმდევართა მოძღვრების მიმართ. ჯერ-ჯერობით კი დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ იოანე პეტრიწს დევნა განუცდია ბიზანტიაში რაღაც ფილოსოფიური აზრებისათვის და რომ ის იოანე იტალის მწვალებლობის საკითხებსაც კარგად იცნობდა.

რომ ქართველებს შორისაც მას უნდობლად უყურებდნენ და დახმარების მაგიერ სდევნიდნენ და ავიწროებდნენ მას საფილოსოფიო მუშაობაში, ამას, გარდა მისი საკუთარი სიტყვებისა ჩვენი ძეგლის ბოლოსიტყვაობაში (II 222), ადასტურებს სხვა ცნობებიც.

ერთ ცნობას ამის შესახებ შეიცავს უძველესი A-ხელთნაწერის

(და აგრეთვე BDEH ხელთნაწერების) მინაწერი. „განმარტების“ წინა-სიტყვაობის ბოლოს სწერია:

ქ. რასა ეწერ ანუ რასა გლახ ვმოქმედებ: გარნა გვსწავივის გუშლთაგან თერიაჲ და წარმოვსტყუნნაჲ: ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ: ამის წიგნისაგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ: და ამისგანვე განათლებულთა სამგზის: მოიგეს ღმრთისმეტყუელებისა სახელი: დიდთა ბრძენთა დიონოსი: და ლრილორი: და ვასილი: და სხუათაჲ ვიეთმე: შენ გონებაჲ განწმედილი მოიგე ღმრთისა მიმართ: და საზღვარსა მამათა წმიდათასა: ნუ გარდავპლდნები: და არა საცთურ გეკმენც. (იხ. ჩვ. გამ. II 9, შენიშვნა *).

ამ მინაწერის აზრი, ჩვენი შეხედულებით, შემდეგი უნდა იყოს: რას ეწერ—ამბობს რომელიღაც ძველი გადამწერი,—რას ვვაგლახობ! მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ გველისგანვე ვლებულობთ შხამის საწინააღმდეგო საშუალებასო (გარნა გვსწავივის გუშლთაგან თერიაჲ), და ბოლოში ურჩევს მკითხველს: წმიდა მამათა მოძღვრების საზღვარს ნუ გადახეულ და ცთომასი არ გადაეარდეო. რად სჭირდება მკითხველს გაფრთხილება? ჩანს, იმიტომ სჭირდება, რომ გადამწერი საცთურ აზრებს ჰხედავს პეტრიწის ნაწერში, ისეთ აზრებს, რომლებიც „წმიდა მამათა“ მოძღვრებას არ ეთანხმება.

ამგვარსავე გამოლაშქრებას პეტრიწის წინააღმდეგ ჩვენ ვხედავთ მეორე შემთხვევაშიც. XVI საუკუნის A-ხელთნაწერის ყდაზე მიკრულ კონვერტში დევს ცალკეული ფურცლები სადაც პეტრიწის მიერ ნახმარი ზოგიერთი სიტყვაა განმარტებული (იხ. ქვემოთ, გვ. LXX). ერთ-ერთ ფურცელზე მოცემულია შენიშვნა „განმარტების“ 29. თავის შესახებ: «აქა ჰაველე იმოწამების მთქმელი სამ... გვართა გვარად: და საზღვართა საზღვრად: ფილასოფოსი უწოდსო ვითარცა ჰაველე ხატად უცვალებელად და მქონებელად მამისა სიმდიდრისა. ეს თავი მეტადრე გახსნის კრულებასაჲ. უკანასკნელი სიტყვები, საფიქრებელია, წარმოადგენს რომელიღაც კომენტატორის გალაშქრებას იოანე პეტრიწის წინააღმდეგ, ალბათ იმიტომ, რომ იოანემ ჰაველე მოციქული დაიმოწმა თავისი წარმართული აზრის გასამართლებლად.

3) იოანე პეტრიწის სახელით მოღწეულ ნაშრომთაგან ორის (უკეთ—სამის) შესახებ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ისინი მას ეკუთვნიან: 1) თარგმანი ნემესიოს ემესელის თხზულებისა „ბუნებისათვის კაცისა“, 2) თარგმანი პროკლე დიადოხოსის თხზულებისა „კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ და 3) ორიგინალური გამოკლევა „პლატონური ფილოსოფიის შესახებ“ ანუ „განმარტებაჲ“, დაწერილი „კავშირნი“-ს კომენტარების სახით. ამის საბუთებია შემდეგი.

ჩვენი ძეგლის ავტორი მეორე ნაწილის („განმარტების“) ბოლოსიტყვაობაში ფილოსოფიური წიგნების თარგმნის შესახებ მსჯელობას ასკვნის: ვერთავე ამათსა წინათ ნემესიოჲს წიგნისა შეწყობასა შინა მეხარკა»-ო (ჩე. გამ. II 223, 1—2). მაშასადამე, ნემესიოსისა და პროკლეს თხზულებათა მთარგმნელი და განმმარტებელი ერთი და იგივე პირია (იოანე ფილოსოფოსი). რასაკვირველია, ავტორის მარტო ეს განცხადებაც საკმარისია იმისათვის, რომ საცილობელი აღარ გახდეს ის საკითხი, თუ ვის ეკუთვნის ჩვენი ძეგლი, და რომ აღარ დავიწყოთ იმის ძებნა, თუ ვინ უნდა იყოს ის იამელიხოზი, რომელსაც ჩვენი ძეგლის ძველი სომხური თარგმანი ასახელებს „განმარტების“ ავტორად (შეად. H. Mapp, I. c. გვ. 84), მაგრამ გარდა ავტორის ამ განცხადებისა ჩვენ შევიძლია მოვიყვანოთ სხვა საბუთებიც იმის დასამტკიცებლად, რომ „ბუნებისათვის კაცისა“ და „კავშირნი“ ერთი კაცის მიერ არის გადმოღებული ქართულად:

ა) ნემესიოსის თავისი თხზულების პირველ თავში მოჰყავს არისტოტელეს აზრი გონების ორი სახის შესახებ („ძლითი“ და „მოქმედებითი“): «არისტოტელი ძლითსა უკუე გონებასა თანაშემზადებულად კაცისა, ხოლო მოქმედებითსა სარკუმელთათ მუნდად ზედშემოსრულად ითნებს» (ს. გორგაძის გამ. გვ. 4, 10—12). იოანე პეტრიწის თავისი „განმარტების“ 20. თავში იგივე აზრი (და იმავე გამოფქვებით) აქვს განმეორებული: «ცხორებასა უკუე დაბუნებულად განიცდი... ხოლო ძალსა გამგონეობისასა უზესთაესთათ ზედშემოსრულად. ვინაჲ ამისთვის იტყოდა არისტოტელი „თვრათენად“, რომელ არს ეს ვითა ნაკადი მზისა შარაევანდთაჲ სარკუმელთათ და არ შიგნით» (ჩე. გამ. II 58, 2—6),

ბ) ნემესიოსის ქართულ თარგმანში არისტოტელეს ზემოხსენებულ დებულებას „ძლითი“ და „მოქმედებითი“ გონების შესახებ მთარგმნელის განმარტება აქვს მიწერილი: «დაისწავე, რომელ არისტოტელი ორ სახედ იტყვს გონებისათვის: ძლითისა და მოქმედებითისა. და ძლითისა ყოველთა კაცთათვის დაემტკიცების, ხოლო მოქმედებითისა ოდენ მათთვის, რომელთა იფილასოფოსეს. ხოლო თუ რაჲ არს ძლითი გონებაჲ და რაჲ—მოქმედებითი, აწ ცან: ძლითი უკუე არს, რომელ შესაძლებელ იყოს ყოფად და არა იყოს წარმოჩენით, ვითარცა რაჲ კუერცხი ქათმად და მცირე ყმა მამაკაცად» (ს. გორგაძის გამ. გვ. 4, შენიშვნა *). ნემესიოსის მთარგმნელის (პეტრიწის) ეს კომენტარი მეორდება პროკლეს თხზულების კომენტატორის (პეტრიწის) ტექსტში: «რამეთუ ძალად ესვითასა ძალსა იტყოდეს, ვითარ უსრულსა გუარისადმი თვისისა ვისდაცა იყოს ძალ... რამეთუ კუერცხნი ძალად ოდენ არიან მფრინველ და არა მოქმედე-

ბით, და ყრმანი ძალად ოდენ ჭუეყანის-მზომელ და არა მოქმედებით...» (ჩე. გამ. II 18, 1—6).

აი, ის საკითხები იოანე პეტრიწის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელთა გარკვევა საკმაო სიზუსტით ხერხდება ჩვენი ძეგლის შესწავლის საფუძველზე¹.

§ 2. იოანე პეტრიწი და „კავშირნი“

იოანე პეტრიწის დღემდე ცნობილ ნაშრომთაგან პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს პროკლე დიადოხოსის თხზულების („კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“) თარგმანს და კომენტარებს, ე. ი. იმ ძეგლს, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს წინამდებარე გამოცემაში (ტომი I—„კავშირნი“; ტომი II—„განმარტებაჲ“).

პროკლე, სახელგანთქმული ფილოსოფოსი V საუკუნისა (410—485 წწ.), იყო ნეოპლატონიკური მიმართულების ათენის სკოლის მეთაური; იგი ითვლება ფილოსოფიაში „წარმართობის სისტემატიზატორად, ელინიზმის სქოლასტიკოსად“. თავისი მოძღვრების საფუძვლებს ის ლებულობს ელინური და სხვა წარმართული რელიგიებიდან და უპირატესად ეყრდნობა პლატონს, პლოტინეს და იამბლიხეს. მისი ძირითადი მიზანია გაარკვიოს ერთის განვითარება სიმრავლედ და სიმრავლის უკუქცევა ერთში (იხ. ვ. ვინდელბანდი, ძველი ფილოსოფიის ისტორია, რუს. თარგმანი, 1902 წ. გვ. 332; გერმ. გამ. 1912 წ. გვ. 336), რასაც ის ასრულებს თავის თხზულებაში *Πρωκλεως φειλοσοφικη* („კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“)².

პროკლეს ეს, წარმართული აზრებით გაფლენილი, თხზულება, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საშუალო საუკუნეების დასავლეთსა და აღმოსავლეთში, აურჩევია იოანე პეტრიწის სათარგმნელად და განსამარტებლად³. მას გადმოუღია ეს თხზულება ქართულად შემდეგი გეგმით: გადმოუთარგმნია პროკლეს

¹) ჩვენი ძეგლის შესწავლის საფუძველზე შრავალი სხვა საკითხიც გაირკვევა იოანე პეტრიწის შესახებ, მაგრამ ეს შემდგომი კვლევის საქმეა.

²) ამის გარდა მის კალამს ეკუთვნის მრავალი სხვა თხზულებაც: „კავშირნი ბუნებითნი“, „თეოლოგია პლატონის მიხედვით“, კომენტარები პლატონის დიალოგებზე („ტიმოოსი“, „სახელმწიფო“, „პარმენიდე“, „ალკიბიადე I“ „კრატილუ“, „ჰიმნები“ და სხვ. მასვე მიაწერენ „ქრესტომათიის“ ავტორობას (ამ „ქრესტომათიის“ შესახებ იხ. ქვემოთ გვ. L—LI).

³) როგორც ჩანს, ეს თხზულება ქართულად წინათაც ყოფილა გადმოღებული. ამას ვგაფიქრებინებს იოანე პეტრიწის სიტყვები: „არამედ მიხეზი აჲ ქუალად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობსა“ (II 219, 1—2), ე. ი. „მიხეზი ამ წიგნის ხელმეორედ გადმოღებისა ჩემ მიერ შემდეგიაო“.

„კავშირნი“ თავ-თავად, პროკლეს ტექსტის თითოეული თავისათვის (ეს არის „კიმენი“ ან, როგორც თვითონ პეტრიწი ეძახის II 45,7 „მდებარე“) დაურთავს საკუთარი განმარტებანი („სხოლიო“). მთელი ამ ნაშრომისათვის მას წაუშმდღვარებია „წინასიტყვაობა“ და დაურთავს „ბოლოსიტყვაობა“¹.

„კავშირნი“. პროკლეს *Στοιχείαισις* ქართულ თარგმანში წარმოდგენილია სრულად (211 თავი). ქართული ტექსტის შედარება ბერძნულ დედანთან გვარწმუნებს იმაში, რომ ის ბერძნულის სიტყვა-სიტყვითს თარგმანს არ წარმოადგენს. არის შემთხვევები, როდესაც ქართულს აქვს ისეთი გამოთქმები ჩართული, რომლებიც ბერძნულში არ მოიპოვება; არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ბერძნულში არსებული გამოთქმები აკლია ქართულს; დასასრულ, არის შემთხვევები, როდესაც ქართული ტექსტი ვრცლად გადმოგვეცემს ბერძნულის მოკლე გამოთქმას. ასე, მაგალითად:

1) ბერძნულ დედანში სრულებით არ არის ქართულის შემდეგი გამოთქმები: «ფითარცა ზესთ მდებარე» (I 14, 22), «შორის შწყობრსა სირაჲსასა» (I 21, 5) «მეძიებელმან» (I 78, 20), «თანმიცემაჲ და» (I 84, 9) და სხვ.;

2) ქართულ ტექსტს აკლია ბერძნული გამოთქმები: *τῶν πικλῶν* (Dodds 2, 7), *τὸ μὲν ἐν μεθ᾽ ἑξῆς τοῦ πικρῶσιν*, *τὸ δὲ πικρῶσιν τὸ πρὸ τῶν ἐνός* (Dodds 4, 20—21), *πῆ δὲ ἀνῆμια* (Dodds 52, 22) და სხვ.;

3) სრულიად სხვა (ინტერპოლირებული) რელაქციით არის ქართულ ტექსტში წარმოდგენილი შემდეგი ადგილები:

I 39, 26—28: «ვინაჲ იყვნენ შედგმულ და უმრავალკეცეს, და იყვნენ კიდურნი უმარტივესობითა უმჯობეს, ხოლო საშუალნი უდარეს შედგმულობითა» (Dodds 56, 31—33: *ταῦτα μὲν ἕσται σὺνθετα, τὰ δὲ ἀρα τὰ μὲν κατὰ τὸ ἀριστερον ἀπλοῦστερα, τὰ δὲ κατὰ τὸ δεξιον*);

I 45, 23—24: «და კუალად წარმელელი მათი შემდგომთაც მისცემს ნაბრწყინთა თვისთა» (Dodds 66, 12—13: *καὶ δεῦτερον ἐκείνων ἀπὸ ἐπιπέδου τὸ μετασχηθόν*);

I 95, 5—11: «ამისთვის რომელ მყოფობასა თანა აქუს და გონებაჲცა..... გონებისგან». მთელი ამ ნაკვეთიდან ბერძნულ ტექსტში მოიპოვება. შესატყვისი მხოლოდ უკანასკნელი წინადადებისა («ფითარ სრულ მყოფელი და ზესთ განკარგული გონებისაგან»), ისიც არა ამ ადგილას, არამედ უფრო ქვემოთ, თავის ბოლოში.

¹) ჩვენს გამოცემაში პეტრიწის ეს ნაშრომი გაყოფილია ორად: I ტომში მოთავსებულია პროკლეს „კავშირნი“-ს თარგმანი, ხოლო II ტომში პეტრიწის ორიგინალური ნაახრევი (თავიანი განმარტებები, წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა).

გარდა ამისა ქართული ტექსტი საკმაო თავისუფლებას იჩენს გამოთქმათა შერჩევაში. ასე, მაგ., დიდი ადგილი უჭირავს hendia-dys-ის ფორმებს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ გვ. LXIII).

თავების შედგენილობის მხრით ბერძნული და ქართული ტექსტები მხოლოდ ერთ შემთხვევაში შორდებიან ერთმანეთს. თავი 129 ქართული ტექსტისა სრულიად არ მოიპოვება ბერძნულ დედანში, ხოლო თავი 149 ბერძნული ტექსტისა (Dodds გვ. 130) არ მოიპოვება ქართულში.

ბერძნული და ქართული ტექსტების შედარების აქ მოყვანილი ნიმუშები¹ ნათელჰყოფენ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ბერძნული დედნის თავისებურ გაგებასთან მთარგმნელ-კომენტატორის მხრივ.

„განმარტებაჲ“. ძირითად ნაწილს „განმარტებისა“ წარმოადგენს თავიანი კომენტარები. ავტორს მიღებული აქვს კომენტარების ასეთი წესი: ყოველ თავს პროკლეს „კავშირნი“-სა იქვე ურთავს თავის განმარტებებს. ის იღებს მოცემული თავის ცალკეულ დებულებებს² და სათითოდ არჩევს მათ: ჯერ განმარტავს თავისი სიტყვებით, შემდეგ აძლევს შეფასებას (ზოგჯერ ღებულობს, ზოგჯერ უკუაგდებს), ხოლო თავის საკუთარ აზრებს ამ დებულებათა შესახებ ამაგრებს ძველ ფილოსოფოსთა ნაწერებიდან მოტანილი ციტატებით (ზოგჯერ ამ ძველ ფილოსოფოსებსაც ეკამათება).

თავიანი კომენტარების გარდა „განმარტება“ შეიცავს „წინასიტყვაობას“ და „ბოლოსიტყვაობას“.

„წინასიტყვაობაში“ კომენტატორი არკვევს ამ წიგნის მიზანსა და დანიშნულებას (ხოლო ჰაზრი ამის წიგნისა ამათ შინა შემოიკვის: პირველად რაჲთა ერთი წარმოაჩინოს, თუ არს ერთი, და იძულებათა მიერ თანშესიტყუათაჲსა აღმოაჩინოს ესე მრავალსაქადაგოჲ ერთი...» და იქვე დასძენს, რომ ეს საკითხები გამორკვეულია «კანონთაებრ „ორლანოჲსათა“» (II 3, 5—4, 11). შემდეგ ის იძლევა მოკლე ცნობებს პროკლეს ცხოვრებისა და საფილოსოფიო მოღვაწეობის შესახებ. რომ ეს „წინასიტყვაობა“ ორგანულად არის დაკავშირებული თავიანი კომენტარებთან, აშკარაა: თავშივე იმ პრობლემის შესახებაა ლაპარაკი, რომელიც მთელი „კავშირნი“-ს და „განმარტების“ ძირითადი პრობლემაა (საკითხი ერთისა და სიმრავ-

¹) ჩვენ მიერ შესრულებულია სრული შედარება ბერძნული და ქართული ტექსტებისა და იგი დაიბეჭდება ცალკე გამოკვლევის სახით. ერთი ნაწილი ამ შედარების შედეგებისა („კავშირნი“-ს დასაწყისი თავებისათვის) უკვე დაიბეჭდა პროკლეს თხზულების ბერძნული ტექსტის გამოცემაში (იხ. Proclus, The Elements of Theology. A revised text with Translation, Introduction and Commentary by E. R. Dodds. Oxford 1933).

²) ჩვენს ვარიანტში ეს დებულებები დაბეჭდილი გვაქვს შვიი შრიფტით.

ლის შესახებ), და ლაპარაკია ლოგიკური კანონების შესახებ, რომლებიც თავიანთ კომენტარების საფუძველს წარმოადგენენ.

„ბოლოსიტყვაობაში“ შეჯამებითი ხასიათის მსჯელობა აქვს ავტორს იმავე საკითხებზე, რომლებსაც ის „წინასიტყვაობაში“ შეეხო. უფრო დაწვრილებით ლაპარაკობს იმ მიზეზებზე, რომლებმაც აიძულეს ის „ხელმეორედ გადმოელო“ (II 219, 1) პროკლეს ეს წიგნი ქართულად. ამასვე უკავშირებს ის, საერთოდ, ფილოსოფიური წიგნების წერის საკითხს საქართველოში, საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ უყურებს ქართული საზოგადოება ფილოსოფიური წიგნების თარგმნასა და „შეწყობას“ და როგორ ეპყრობა ეს საზოგადოება მას, ავტორს. შემდეგ, ეხება ავტორი ცოდნისა და ჰეცნიერების საკითხებს და თავის აზრებს ამის შესახებ შლის იმ შვიდი ძირითადი სამეცნიერო დისციპლინის საფუძველზე, რომლებიც ბიზანტიური განათლების ქვაკუთხედს წარმოადგენდნენ (იხ. ზემოთ, გვ. XIII—XIV).—ამავე „ბოლოსიტყვაობაში“ უბრუნდება ის პროკლეს მიერ დასმულ საკითხს «ერთის» შესახებ: «ვინაჲ და ატიკელიცა ესთენ ემეთქუების და მძლათრთა ადამატიწებრთა აღმოსაჩენელთა ქუხილსა მიუვლენს უგანგებოთა და უმსახურებელთა ღმრთისადმი ეპიკურელთა და წზიდასა და ზესთა ბრძენსა ყოველთა ღმრთისა განგებასა. იწყე თვთერთისა მისგან და პირველისა სანეტაროჲსა, რამეთუ მის შორის იტყვს გონიერთა მათ მხოლონთა განგებისათა დამსკუალვად და ერთისა მის გამო ყოველთა ზესთა აღმკულებათა მორთვად და ყვანებად შესაბამისაებრ არსებათაჲსა და მოქმედებათაჲსა» (II 211, 10—17). ამგვარად, ცხადია, რომ „ბოლოსიტყვაობის“ „საკითხთა რკალი იგივეა, რაც „წინასიტყვაობაში“ და თავიანთ კომენტარებში¹.

„განმარტების“ ამ სამი ნაწილის (წინასიტყვაობის, თავიანთი კომენტარებისა და ბოლოსიტყვაობის) ერთიანობას ადასტურებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ წყაროები სამსავე ნაწილში ერთიდაიგივეა (იხ. ქვემოთ § 4 „იოანე პეტრიწის წყაროები“).

¹ „ბოლოსიტყვაობა“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში არეული ჩანს. ერთსა და იმავე საკითხზე ზოგჯერ ნაწყუეტ-ნაწყუეტ არის ლაპარაკი სხვადასხვა ადგილას. მაგალითად, თავისი სამეცნიერო მოღვაწეობისა და დეენის შესახებ ის ლაპარაკობს 222 გვერდზე, ხოლო იმავე საკითხზე (პროკლეს „კავშირნი“.ს გადმოღებაზე და თავისი დროის მწიგნობრებზე) 219 გვერდზე; თავდაპირველად ეს ერთად უნდა ყოფილიყო. ასევე ერთად იქნებოდა ლაპარაკი შვიდ „სკოლასტიკურ“ დისციპლინაზე, რომლებიც გაბნეულია 215—217 და 223—224 გვერდებზე.

§ 3. „განმარტების“ ავტორის საკითხი

ჩვენს ძეგლთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საკითხი იმის შესახებ, თუ ვის ეკუთვნის კომენტარები ანუ „განმარტება“ პროკლეს თხზულებისა („კავშირნი“-სა). არსებულ ხელთნაწერებში „კავშირნი“-ს ყოველ თავს მისდევს მისი „განმარტება“ და შეიძლება დადამიანს ეფიქრა, რომ ქართველ მთარგმნელს რომელიღაც ბერძნული ძეგლი, რომელიც პროკლეს ტექსტსაც და კომენტარებსაც შეიცავდა, გადმოუთარგმნია. მაგრამ ამას აბათილებს ის გარემოება, რომელიც აღნიშნულია უძველეს A (და ა) ხელთნაწერის მინაწერში (იხ. ქვემოთ გვ. LXXI), სახელდობრ, რომ თავდაპირველად ძეგლი „კიმენსხოლიოდ“ იყო დაწერილი და რომ იქ ორი ტექსტი იყო: პროკლესი („კიმენი“) და იოანესი („სხოლიო“ ანუ „განმარტება“). ამ მინაწერის მიხედვით საფიქრებელია, რომ „კიმენს“ წარმოდგენდა პროკლეს „კავშირნი“ (ქართულ თარგმანში), ხოლო „სხოლიოს“ — გარშემო მიწერილი განმარტებები ქართველი მთარგმნელისა (იოანე ფილოსოფოსისა). მაგრამ მართლეს გარემოება არ გამოდგება იმ აზრის საბოლოოდ დასასაბუთებლად, რომ „განმარტება“ ქართველი ავტორისაა¹. ამისთვის საჭიროა სხვა საბუთებიც. ასეთებიც მოიპოვება ჩვენს ძეგლში.

ჯერ კიდევ აკად. ნ. მარაშა მიუთითა კომენტარების ორ თავზე, რომლებშიც ნახმარია ისეთი გამონათქვამები, რომლებიც არ შეიძლება არ ეკუთვნოდეს ქართველ მთარგმნელს (Н. Марш, I. с. 85). ძეგლში მოიპოვება რამდენიმე სხვა ანალოგიური მითითებაც. ყველა ეს მითითება უეჭველს ხდის მათ მიკუთვნებას ქართველი კომენტატორისადმი.

ეს მითითებები შემდეგია:

თავი 14. ამ თავში კომენტატორი მთავარ საკითხთან («მიუღრეკელისათვის...») დაკავშირებით არკვევს, თუ რას ნიშნავს „გონიერი“: «გონიერთა გონებით სფეროჲ უზვედების, ვითარ საგონებოჲ და გასაგონი მათი», ე. ი. გონება, ანუ გონებითი სფერო არის ის უზენაესი სამყარო, საიდანაც მომდინარეობს „გონიერი“. და რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ქართული სიტყვის, „გონიერი“-ს წარმოებაო; ეს სიტყვა იწარმოება „რი“-ნაწილაკის მიმატებით; როგორც

¹) სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ კიმენსხოლიოდ უკვე ბერძნულად ყოფილიყო დაწერილი ეს წიგნი, ესე იგი რომ პროკლეს „კავშირნი“ რომელიღაც ბერძენ კომენტატორს (იოანეს) სქოლიოებით შეემოკა, ხოლო ქართველ მთარგმნელს ორივე ტექსტი გადმოუთარგმნა, თუმცა პროკლეს „კავშირნი“-ს კომენტარები ბერძნულად ცნობილი არაა.

სიტყვისაგან „სული“ იწარმოება „სულიერი“, ისე სიტყვისაგან „გონება“ იწარმოება „გონიერი“; როგორც „სული“ არის უზენაესი საფეხური „სულიერისა“, ისე „გონება“ არის უზენაესი საფეხური „გონიერისა“-ო. «და თვთ ქართულთაჲცა—ამბობს კომენტატორი—ესთა დაჰნიშნავს ლექსვაჲ, ვითარმედ „გონიერიო“. აწ ესე თანმიდებჲაჲ ართროჲსაჲ თუ „რიო“ მეორესა პირსა დაჰნიშნავს: ოდეს სთქუა სული, და ოდეს სულიერი, და ეგრეთვე გონებაჲ და გონიერი» (II 47,1—4).

თავი 23. აქ კომენტატორი არკვევს პროკლეს იმ დებულებას, რომ ყოველივე ნაკლულევანი მიისწრაფის ანუ მიეზიდება (ἀνατείνεσθαι) სრულყოფილისაკენ: «ყოველნი თანმოქენენი გუამოვნებანი უმოქენოჲსა მყოფისადმი აღიცისკრებენ». „სრულყოფილმა“ უნდა მოჰქინოს შუქი და ნათელი „ნაკლულევანს“ და ამიტომაც არის ეს მოქმედება („მიზიდვა“) გამოხატული ქართული სიტყვით „აღიცისკრებენო“: «რამეთუ სამართლიეცა უწოდა ენი-თმან (ე. ი. ქართულმა ენამ), ვითარმედ „ცისკარიო“, ცისა კარი, რამეთუ ვინაჲთგან ყოველი განხუმაჲ ნათელთაჲ ცისგამო არს» (II 63,18—20).

თავი 26. ლაპარაკია კრონოსზე, ზევსზე (ანუ ღიაზე, Ζεὺς Διός) და რეაზე, რომლებიც არიან «სამნი იგი ნეტარებითნი წყარონი... კრონოს, რომელ არს სისავსე გონებისაჲ ანუ სიმძღრე, რამეთუ ყოველი მძღარი სავსე; და ღია, რომელ არს ზევს; „ღია“ მიერსა ერქუმის, რამეთუ მის მიერ ყოველი, ხოლო „ზევს“ დუღილსა და გარდამოსაქანსა ცხორებისასა» (II 70,30—31). აქ ეტიმოლოგიური მსჯელობაა: ზევსი იმიტომ არის საწყისი ყველაფრისა, რაც ცხოვრებაშია, რომ მისი ორივე სახელიც (Ζεὺς და Διός) ამ აზრის მატარებელია: 1) «ღია მიერსა ერქუმის»; ცხადია ქართველი კომენტატორი აქ სთარგმნის ბერძნულს Διός და ესმის ის როგორც წინდებული Διός („მიერ“); 2) «ხოლო ზევს დუღილსა და გარდამოსაქანსა ცხორებისასა»; აქაც Ζεὺς გაგებულა, როგორც ნაწარმოები ზმნისაგან ζῆω (ζῆν „დუღილი“), და გადმოთარგმნილია როგორც „დუღილი“, ან ესმის როგორც ზმნისაგან ζῶω (ζῶν „ცხოვრება“) ნაწარმოები სახელი და სთარგმნის როგორც «გარდამოსაქანსა ცხორებისასა».

თავი 30. აქაც ისეთივე ენობრივ-ეტიმოლოგიური მითითებანია მოცემული ქართული ენობრივი მასალის საფუძველზე, როგორც 14. 23. და 26. თავებში. კომენტატორი არკვევს საკითხს შესახებ ჟამისა, რომელსაც ბერძნულში შეესატყვისება „კეროჲ“ (καίρη) და არა „ხრონოჲ“ (χρόνος), და ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს:

«ეჰამი, რომელსა ენითი ქართულთაჲ წელიწდად უწოდსა» (II 109, 7).

ამავე თავის სხვა ადგილას (107, 21) „ხრონოჲს“ გარკვევის დროს კომენტატორი ამბობს: «იტყვს არისტოტელი—ხრონოჲ არს საზომი მიდრეკისაჲ, ვითარად საზომი პირველისა მიდრეკისაჲო. ხოლო პირველი მიდრეკაჲ პირველსა შორის სხეულთასა, რომელსა ცად, ორანოდ, უწოდა გუარამან ელლენთა ენისამან, რომელ არს ზე-ალსახედი, ანუ საზღვარი ზენაჲ¹⁾. ცხადია ამ უკანასკნელი სიტყვებით კომენტატორი იძლევა ὀρθότητος ორნაირ ეტიმოლოგიას ქართული ენობრივი მასალის საფუძველზე: «რომელ არს ზე-ალსახედი (გრძს „ეხედავ“, ძვს „ზემოთ“), ანუ საზღვარი ზენაჲ (გრძს „საზღვარი“, ძვს „ზემო“)²⁾.

ასეთია ხუთი ადგილი ჩვენი ძეგლის კომენტარული ნაწილიდან. ცხადია ასეთი ხასიათის განმარტებები, მოცემული ქართული ენობრივი მასალის საფუძველზე, შეიძლება მომდინარეობდეს მხოლოდ ქართველი კომენტატორისაგან და არა სხვა ვინმესაგან.

ამ ხუთ საბუთს საბოლოოდ ამაგრებს ის მრავალი მოწმობა, რომლებიც გაბნეულია „განმარტების“ წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში.

წინასიტყვაობაში. ჩვენი კომენტატორი შესავალშივე არკვევს, რომ სხეადასხეაა ძალი და მოქმედება სულისა და ძალი და მოქმედება გონებისა; ბერძნულ ენას ამ ორივე ცნებისათვის ცალცალკე სიტყვები მოეპოება: სულისას ჰქვია ψυχή, ხოლო გონებისას—νόησις; ჩვენს ენაზე კი ეს ორი ცნება ერთმანეთშია არეული და ეს მე ძალიან მიშლის ხელსო; «ხოლო ჩუენთამან—ამბობს კომენტატორი—არცა თარგმანთა, არცა სხუამან ვინ

¹⁾ ჩანს, პეტრიწი იცნობს ბერძნულ მწერლობაში გავრცელებულ ეტიმოლოგიებს. ასე, თხზულებაში *Περὶ χρόνου*. რომელსაც ძეგლებივე არისტოტელეს მიაწერდნენ, ვკითხულობთ ზევსის შესახებ: *Καλοῖσμεν δ' ἀπὸ τῆς ψυχῆς καὶ τῆς νοῦς, παρὰ τὴν ἰσχυρὰν τῶν ἀσθενῶν ἄς ἂν εἰ λέγοιμεν τὴν ἰσχυρὰν „შა ეუწოდებთ ზევს და დიას, ერთმეორის გვერდით ვხმარობთ ორივე ἰσχυρὰν. როგორც რომ ვთქვათ ამისი წყალობით ვცოცხლობთა“.* ხოლო იმავე ძეგლში ὀρθότητος შესახებ სწერია: *χρόνος. ἢ ἐκ τῆς ψυχῆς καὶ τῆς νοῦς ἰσχυρῶν* „ადგილი, რომელსაც ჩვენ სიტყვის ძირის მიხედვით ექძებით ὀρθότηს, ვ. ი. ზენათა საზღვარს“ (Aristotelis Opera, Parisiis [Didot] 1833, III, 643 და 641).

²⁾ ასეთი ეტიმოლოგიების მოცემა ὀρθότητος შესახებ შეიძლება პროკლეს ბერძენ კომენტატორს ეკუთვნოდეს. მასაც შეიძლება ოდა ვთქვა: ὀρθότηს წარმოადგება სიტყვებისაგან ὀρθὸς ἰσχυρὰν ან სიტყვებისაგან ὀρθὸς ἰσχυρῶν. ასე რომ მართო ეს ადგილი განცალკევებულად აღებულნი, ქართველი კომენტატორის საკუთარ ეტიმოლოგიად ვერ ჩაითვლება: ხოლო სხვა, ჩვენ მიერ მოტანილ საბუთებთან ერთად ეს ადგილიც შეიძლება ბერძნული ეტიმოლოგიის ვადმოქართულებად ჩაითვალოს.

დასკურიტნა, და აწ მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველსავე ერთად და სწორად იტყვან და დასდებენ ჩუენნი» (II 6,24—27). ამ სიტყვების მთქმელი ბერძენი კომენტატორი არ შეიძლება იყოს, ის უცხოელია, არა ბერძენი. ამ სიტყვებიდან პირდაპირ არ გამოდინარეობს, რომ მათი ავტორი ქართველია; შეიძლებადა ქართველს ბერძნულიდან რომელიმე სხვა ენაზე გადათარგმნილი ძველი გადმოელო ქართულად და სიტყვები «ჩუენთამან», «ჩუენნი» იმ უცხო ენიდან იყოს გადმოსული; მაგრამ დანარჩენ ჩვენ მიერ მოყვანილ ადგილებთან შედარება უდავოდ ამტკიცებს, რომ აქ «ჩუენი» უდრის «ქართულს».

ბოლოსიტყვაობაში. აქ რამდენიმე შემთხვევაა, როდესაც კომენტატორი ქართულ ენაზე და ქართველ მწიგნობრებსა და მოღვაწეებზე მიუთითებს:

1) კომენტატორი დაწერილებით ჩერდება იმ საკითხზე, თუ რატომ გადაწყვიტა მან ამ ძეგლის «კუალად გარდმოღება», და მიზეზად ასახელებს იმას, რომ გარდმომღებლნი გამრავლდენ და [ქართულად] გადმოსაღები ცნებები ზოგს ასე ესმის, ზოგს კიდევ სხვანაირად; ზოგს მოსდის შეცდომები უცოდნელობით, ხოლო ზოგი განდიდებული სახელით გარშემორტყმული ახერხებს უმეცრების მიჩქმალვას; ჩვენ (ე. ი. ქართველებს) შორის არაერთი ისეთი, რომელსაც ესმოდეს «მოქმედებაჲ ძალითისა სიტყვსაჲ», და ეს აშკარადღება «სახარების», «სამოციქულოს» და სხვა წიგნების გადმოღების დროსო. და ამის შემდეგ მოჰყავს მაგალითები: იმის მაგიერ რომ თქვან «დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ» (იოანეს სახარებიდან), ამბობენ «პირველითგან იყო სიტყუაჲ»; ან მოსეს წიგნიდან — იმის მაგიერ რომ თქვან «მოვედით და ვქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდაო», «დამღები ჩუენსა შორის ენითსა იტყვს»: «მოვედით და ვქმნათ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა» (II 219,1—25).

2) მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კომენტატორს ასეთი მაღალი ზრახვები ჰქონდა, რომ მას სურდა კარგი ქართულით და სწორად გადმოელო ღრმა აზრების მატარებელი წიგნები, ის თანაგრძობას ვერსად ხედავდა; ის იღვენებოდა «ქართველთა და ბერძენთა შორის. ქართველნი თანადგომისა წილ და თქუმისა ესთა, ვითარმედ წმიდასა განგებასა ღმრთისასა კაცი ტომისაგან ჩუენისა უწარმოებია, კელოვნებათაგან სული[სა]თა დაკელოვნებული, ხოლო ხედვათაგან გონებისათა გაკონებული», — იმის ნაცვლად, რომ ასეთი კაცისათვის მოელოთ, გაურბოდნენ მას (II 222,1—22).

3) მიუხედავად ასეთი მოპყრობისა ქართველების მხრით, ჩვენმა ავტორმა მაინც შეძლებისაებრ იღონა დავით [მეფის] დახმარებით

და გადმოიღო [ქართულად] ფილოსოფიური წიგნები. ჩვენ შიო — ამბობს ის— მიღებული იყო ადვილი სათარგმნო წიგნების თხზვა, ხოლო მე გონებით ძნელმისაწვდომი და ფილოსოფიური წიგნების გადმოღების დროს კვდილობდი დამეცვა სიმარტივე და ენობრივი სიზუსტე, სანამ ეს სიმარტივე აზრს არ აენებდაო (II 222,23—32).

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი საბუთები სრულის ექვემდებარებით ამტკიცებენ იმას, რომ „განმარტების“ ავტორი ქართველია, და როგორც ჩანს ამავე პირის შენიშენიდან 223 გვერდზე, მასვე წინათ გადმოუღია ნემესიოს ემესელი წიგნი „ბუნებისათვის კაცისა“: «ვითავე ამათსა წინაჲთ—ამბობს კომენტატორი—ნემესიოს წიგნისა შეწყობასა შინა მებარკა» (II 223,1—2). ასეთად კი მთელი ძველი ქართული მწერლობა იცნობს იოანე პეტრიწს, ანუ როგორც ABDEFH ხელთნაწერები შენიშნავენ 223 გვერდის არშიაზე, იოანე ფილოსოფოსს.

„განმარტების“ ორიგინალობა და მისი ავტორის ქართველობა მტკიცდება აგრეთვე მისი წყაროების შესწავლით. „განმარტების“ ავტორი იმ დებულებების დასასაბუთებლად, რომლებსაც ის იყენებს თავიანთ კომენტარებში და წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობაში, იშველიებს ძველ ბერძენსა და ბიზანტიელ მოაზროვნეებს, რომლებსაც ის იცნობს როგორც მათი ბერძნული ნუსხების მიხედვით, ისე— ზოგიერთ მათგანს— არსებული ქართული „შეწყობით“.

§ 4. იოანე პეტრიწის წყაროები

იოანე პეტრიწი ხშირად თვითონვე ასახელებს თავის წყაროებს. წყარობად მას გამოყენებული ჰყავს ძველი ბერძენი და ბიზანტიელი ფილოსოფოსები (პითაგორა, პარმენიდე, პლატონი, არისტოტელე, სტოელნი და პერიპატოელნი, გრიგოლ ნაზიანზელი, პორფირი, პლოტინე, იამვილიხოსი, პროკლე, ალექსანდრე აფროდიისიელი, ასკლიპიოსი და-სხვ.) და მცირედენ შემთხვევაში გამოყენებული აქვს ბიბლია (მოსე, დავითნი, ისაია, პავლე). ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს იმის დაზუსტება, თუ რა შემთხვევაში უშუალოდ იცნობს პეტრიწი ამ წყაროებს და რა შემთხვევაში მას ეს წყაროები სხვათა გამოკვლევებში აქვს ამოკითხული. სრულიად ზედმეტია, მაგალითად, ჩვენ მოველოდეთ იმას, რომ პეტრიწი უშუალოდ იცნობდეს ფილოსოფოსს პარმენიდეს, ვინაიდან ამ უკანასკნელის თხზულება *Περὶ φύσεως* უკვე რამდენიმე საუკუნეა მხოლოდ სხვათა შრომებში მოყვანილი ციტატების სახით იყო ცნობილი.

აქ ჩვენ მოვიყვანთ ზოგიერთ ადგილს პეტრიწის „განმარტებიდან“ იმ წყაროებზე მითითებით, რომლებითაც ის სარგებლობს ამ ადგილებისათვის.

პლატონი

პლატონის დიალოგებიდან პეტრიწს დასახელებული აქვს „პარმენიდე“ „ტიმეო“, „სჯულთა“, „ფედრო“, „ფედონი“ და „ალკივიადე“. გარდა ამისა არ ასახელებს, მაგრამ იყენებს ადგილებს „ნადიმიდან“ და „თეეტეტიდან“¹.

1) „განმარტების“ შესავალშივე არკვევს პეტრიწი რაობას თავისი გამოკვლევის ძირითადი დებულებისა («ერთის» ბუნების შესახებ) და საჭიროდ თვლის კონკრეტული მაგალითების მოტანით იქნეს გაშუქებული საკითხი. პეტრიწი ამბობს: «ესრეთ უკუე მოღებითა სახეთათა უმეტეს განცხადნეს სიტყუაჲ: რამეთუ რაჲცა სიტყუა და მისცე გასაგონოსა, ვითარ ცაჲ, სული, გონებაჲ და გინა თვთ იგი ნამდვლ მყოფი, რომელსა ვიტყვ პირველად არსებად და პირველად შედგმულად, არა რომელი ამათი არს ერთი; რამეთუ იგი და ბუნებაჲ მისი და ნაწილნი, რომელთაგან არს შედგმულ, და არა არს იგი უზადო და წმინდა ერთ, ვითარცა ეტყოდა პარმენიდი სოკრატს. და ამათ აგებულთა და შედგმულთა ტევრად და საცთომად იტყოდა, ხოლო ფილოსოფოსსა ძალლად ლაკონიკელად» (ჩე. გამ. II 3, 11—19). პეტრიწს მხედველობაში აქვს ცხადია, პარმენიდეს და სოკრატეს საუბარი პლატონის დიალოგში „პარმენიდე“, და უკანასკნელი გამოთქმა «ძალლად ლაკონიკელად» ამოღებულია ამ დიალოგის იმ ადგილიდან, სადაც ზენონი ეუბნება სოკრატეს: ἄσπερ ὄντι ἄχαραστα σχήματα εἰ μὴ αἰεὶς τε καὶ ἄχρῆσταις τε λεχθέντα—„მსგავსად ლაკონიკელი ძალლებისა კვალ-და-კვალ სდევ, რომ გაიგონათქვამი“ (Parmenides 128c). გამოთქმა ἄχαραστα σχήματα სხვაგან არსად გვხვდება და ამნაირი შეხვედრა პლატონისა და პეტრიწის გამონათქვამთა შემთხვევითი არ შეიძლება იყოს.

2) «რამეთუ იტყვს პარმენიდი, ვითარმედ ერთისა მიერ ცხოვნდებისო ყოველი. ესე იგი არს ერთობისა» (ჩე. გამ. II 23, 15—16). პლატონის დიალოგში „პარმენიდე“ არისტოტელესა და პარმენიდეს საუბარი აქვთ „ნაწილებისა“ და „მთელის“ ურთიერთობის შესახებ და პარმენიდე ეუბნება თავის მოსაუბრეს: Ἦν μὲρ ἄν ἴσθαι ἔχοντα ἐν τῷ ἅλῳ ἔσται... Ἦν ἄρα τὰ μέρη ἴσθαι τὸν ἅλῳ περὶ ἔχοντα;...—

¹) ადგილები პლატონის დიალოგებიდან მოგვყავს შემდეგი გამოცემით: Platonis opera, I—II, Parisiis (Didot) 1830—1833.

„ხომ ყოველი ნაწილთაგანი მთელშია... ხომ ყოველი ნაწილი მთელის მიერ არის მოცული... (Parmenides 145b).

3) «ვითარცა იტყვს „ტიმეოსა“ შორის, ვითარმედ ყოველთა მბადმან ღმერთმან კრატირსა შორის, რომელ არს ფეშხუემი, შეზავაო საყოველთაო სული» (ჩვ. გამ. II 52, 16—18). მართლაც, „ტიმეოსში“ ვკითხულობთ: *καὶ πάλιν ἐπὶ τὸν πρῶτον ἀρατῆρα, ἔν φ τῆς τῶν πᾶντος ψυχῆς ἀρχῆς ἔμεινε...* — „და კვლავ წინანდელ კრატერში, რომელშიაც ყოველობის სული ჰქონდა მას (ე. ი. ღმერთს) შერეული...“ (Timaios 41 d).

„ტიმეოსის“ იმავე ადგილის გაგრძელება გამოყენებული აქვს პეტრიწს 14. თავის კომენტარში: «პლატონ... მეტყუელი ესთა „ტიმეოსა“ შორის, ვითარმედ თვთ ვითარ სხეული მოკუდავ და უმღგო არს, არამედ იმყოფების და იმდგომობს, ვითარცა საყოველთაო მსა სულისა და თანმიბუნებებული და ოქიმოა მისი» (ჩვ. გამ. II 47, 22--31)—*ἔσθ' ἄρα τὸ πᾶν διελθεῖ ψυχᾶς ἰσχυρῆς τῆς ἀσθενῆς ἔνευε θ' ἐκαστοῦ πρὸς ἑκάστου καὶ ἐμπίπτει ἄς εἰς δὲ χημὰ τῆς τῶν πᾶντος φσίου ἐμεινε* (ყველაფერი რომ შეადგინა, გამოჰყო სულები რიცხვით იმდენი, რამდენიც ვარსკვლავი იყო, თითო სული თითო ვარსკვლავს მიუჩინა და, ჩახხა რა ისინი ვითომც ეტლში [ოქიმაში], ყოველობის ბუნება უჩვენა“: Timaios 41d-e). ორივე ციტატაში ნათელია შეხვედრა როგორც აზრების, ისე გამოთქმების მხრით; ქართულ ვარიანტში ბერძნულიდან სიტყვებიც კი ბერძნულია გადმოსული: პირველ ციტატაში კრატერი, მეორეში—ოქიმა.

4) «ვითარ იტყვს სოკრატი, მზე ხედვისაჲ, რამეთუ სული ოდეს იყო თვსსა მამასა შორის კრონოსს, იყო უხუედრ მისდა, (რასტონინ, აეტარკეს და იკანონ). ხოლო ოდეს განსაზიდსა თანა გონიერისა ცისასა, ვითარ ბრუ-დართულ იქმნა და ვითარ ფრთადაყრილ მიცილებისგან, მაშინ შთამოიქრა უბეთაგან კრონოსსთა და ვიდრე ქმნადთა და შობათამდე შთამოეკუეთა» (ჩვ. გამ. 70, 20—26). ამგვარ საკითხებზე ლაპარაკე აქვს პლატონს დიალოგ „ტიმეოსში“ (Tim. 69d—70d), სადაც შემდეგი აზრია გამოთქმული: დასაბამად ყველაფერი მოუწესრიგებელი იყო, ხოლო კარგისა და კეთილის ხერომ (*ἄριστος*) თითოეულ სტიქიონს თანაწომიერება მიანიჭა, ამ სტიქიონთაგან შექმნა საძყარო და ცალკეული ღვთაებრივი არსებანი, ხოლო მოკვდავთა მოდგმის შექმნა მიანდო ამ ღვთაებრივ არსებებს. ამ უკანასკნელებმა ჩიბარეს მისგან სულის უკვდავი საწყისი, გახეიეს ის მოკვდავ სხეულში და ამრიგად აზიარეს სული მოკვდავ საწყისებს.

ვფიქრობთ, აქ, „ტიმეოსში“ იგივე აზრია გამოთქმული, რო-

მელიც პეტრიწს ზემომოყვანილ ადგილას აქვს განვითარებული. მაგრამ გაუგებრობას იწვევს ის სამი ბერძნული სიტყვა (რასტონინ „სიადვილე“, აეტარკეს „უმოქენო“, იკანონ „საკმაო“), რომლებიც ჩართულია ქართულ წინადადებაში. გაუგებრობა იხსნება პლატონის ბერძნული ტექსტის საფუძველზე: პლატონს „ტიმეოსის“ ზემომოყვანილ ადგილას (68d—70d) ნახმარი აქვს ეს სამივე ტერმინი (ἰχάνος 68d, ἀετάρκη 68e, ῥασιώτης 70d). ჩანს, კომენტატორს პლატონის ამ ადგილის გამოყენების დროს ჩაუნიშნავს თავისი რვეულის არშიაზე ეს, მისთვის მნიშვნელოვანი ტერმინები, რომლებიც შემდეგ—გადამწერის წყალობით—შიგ ტექსტში გადაადგილებულა.

5) „განმარტების“ 31. თავში პეტრიწი ლაპარაკობს ტრფობაზე, სახელდობრ; რომ «ტრფიალებისა მიერ უკუ ეტრფის კუალად არსი ზესთ არსთა შუენიერებისა მორთულებათა», და იმოწმებს დიოტიმას და სოკრატეს საუბარს: «ვითარ ეტყოდა იდიოტიმას სოკრატი, რამეთუ ანალოლოდ სულთა (სულთა) მამისა მიმართ ტრფიალებასა დასდებდა» (ჩე. გამ. II 83, 5—7).

მისან დიოტიმას და სოკრატეს საუბარი გადმოცემულია დიალოგ „ნადიმში“. დიოტიმა უმარტავს სოკრატეს, თუ რა არის ტრფობა. ტრფობა—დიოტიმას განმარტებით—არის მისწრაფება კეთილობისაკენ (ბ ღრავ თბ თბ ძეაზბ თბ ანაჲ ენაჲ ძეჲ); ამავე დროს ტრფობა არის მისწრაფება წარმოშობისა და დაბადებისაკენ მშვენიერებაში ([ბ ღრავ ღთსჲ] თჲს ჳენთჲსაჲ ააჲ თბ თბაჲ ჲ თბ ააჲ). ამით მოკვდავის ბუნება ცდილობს გახდეს უკვდავი და მუდმივი. ამის მიღწევა კი მას შეუძლია მხოლოდ ახალი თაობის გაჩენით, რომ მუდამ სტრეფებდეს სხვა ახალ არსებას ნაცვლად ძველი არსებისა (ბსნათა: ბჲ თბსჲ მბთჲ თჲ ჳენთჲს, მ:ი ბე: ათაჲლ(ბეჲ ჳთერბთ ჳბთ ჳნე: თბ პაჲლბბ). ამიტომ არას, რომ ყოველ არსებას ამ უკვდავების მისაღწევად თან სდევს ტრფობა (Plato, Symposium 206a—208b).

პლატონის „ნადიმში“ დიოტიმასა და სოკრატეს საუბარში განვითარებული ეს დებულება ჩამოყალიბებული აქვს პეტრიწს ბოლოსიტყვაობაში, როდესაც ამბობს: «აწ იხილე მესჯემან, რამეთუ ტრფიალებაჲ გჳჩუენშორისა მბადმან ჩუენმან ღმერთმან ორთა სამიზეზოთათჳს: რაჲთა ვეტრფიალნეთ და აღვეკრნეთ მამასა სულთა ჩუენთასა ღმრთისა, და კუალად რაჲთა ბუნებასა მონაცვალეთა ჩუენთა უშთენდეთ, ვითარ მედინნი» (II 214, 8—12).

ამრიგად, კავშირი პეტრიწის ზემომოყვანილ აზრებსა და პლატონის „ნადიმში“ გამოთქმულ აზრებს შორის ცხადი უნდა იყოს. ხოლო არის ზოგიერთი გარემოება, რომელიც მიგვიჩვენებს

იმაზე, რომ პლატონის „ნადიმის“ გარდა პეტრიწი იცნობს თვით პროკლეს კომენტარებს „ნადიმის“ ამ ადგილების შესახებ. პროკლეს მოხსენებული აქვს დიოტიმას და სოკრატეს საუბარი ტრფობაზე თავის კომენტარებში პლატონის „ტიმეოსის“ შესახებ და დიოტიმას მიერ განმარტებულ ტრფობას უწოდებს «ἀλμύκωνες» ἀναγνώζ (Proclus, In Platonis Timaeum comm. ed. Diehl, III 281, 25), ე. ი. ხმარობს იმ ტერმინს, რომელიც პეტრიწს მოჰყავს იმავე ბერძნული სახით («ანალოლოდ»). თვით გამოთქმა «ანალოლოდ სულთა» პროკლესეულია: ის მას ხმარობს არა „ნადიმთან“ დაკავშირებითაც (ἀναγνώζ δὲ ψυχῶν: In Platonis Tim. I 168, 24 და სხვაგანაც).

6) პეტრიწის მსჯელობა „განმარტების“ 144. თავში იმის შესახებ, რომ თვალდაავადებულნი თავის უსინათლობას მზის მკრელ შუქს აბრალებენ (ჩვ. გამ. II 173, 7—10), ემყარება პლატონის „სახელმწიფოს“ ერთ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ, როდესაც თვალები იმ საგნებისაკენ კი არ არის მიმართული, რომელთა ფერი დღის სინათლითაა გაშუქებული..., მაშინ თვალები სუსტდებიან და თითქმის ბრმავდებიან (Platonis Politeia 508c-d); და თვით გამოთქმა «ამელკოპოპობდენ», ნახმარი პეტრიწის მიერ, მოიპოვება პლატონის დიალოგის ზემომოყვანილ ადგილას (ἀμψύκωνες αἰσῶσι).

7) „განმარტების“ 206. თავში საუბარია იმის შესახებ, რომ, როდესაც სული ჰკარავს კავშირს გონებასთან, ის—როგორც იტყოდა სოკრატე—ემსგავსება ფრთა-მოტეხილ ფრინველს; ხოლო მის შემდეგ, რაც ის კვლავ ეზიარება ცოდნას და სათნოებას, მას კვლავ გამოესხმის ფრთები და უზენაესი სიკეთის მოზიარე ხდება (ჩვ. გამ. II 204, 6—11). ანალოგიურად არის განვითარებული აზრები სულის ფრთების შესახებ პლატონის დიალოგში „ფედროსი“ (Phaidros 246b—248e) და პეტრიწის ნახმარი გამოთქმა. ვითარ ფრთე-დაცვიენებული ფრინველი, პტეროროუსა» ამოღებული უნდა იყოს „ფედროსის“ ზემოაღნიშნული ადგილიდან (περὸ πτερύγεσσι: Phaidros 246c).

8) დასასრულ, შევჩერდებით კიდევ ერთ ადგილზე: «ვითარმედ იტყოდა ვინმე ღმრთისმეტყუელთაჲ, ვითარმედ „მევეცესთე მე თეოს ონანკასი, ტეკეან დე აპეკოლკსენ“. ვინაჲ აწ ხელეჲ ამისი ესთა იტყვს, ვითარმედ „იძულებაჲ ღმრთისა სატრფოთაჲ ამქუმელ მყოფს მე, ხოლო შობად დამიცილებს“. ესე იგი არს, რამეთუ ყოველი ამქუმელი საშვოთა შობადმი აწუფევს და ამეცადინებს» (ჩვ. გამ. II 34, 34—35,3). ხაზგასმული სიტყვები წარმოადგენენ ციტატას პლატონის დიალოგიდან „თეეტეტი“: μαρτυρήσει: με ἢ μήτε; ἀγαγῆς δὲ, γέννην δ’ ἄπεισάλασεν—„ღმერთი მაი-

ძულებს მე ვიბეზიო [ე. ი. სხვას დავაბადებინო], ხოლო მიკრძალავს თვითონ დაეზადო» (Theaitetos 150c). ხოლო ორი გარემოება ჰბადებს იმის აზრს, რომ პეტრიწს ეს ციტატა ამოღებული უნდა ჰქონდეს რომელიღაც ბიზანტიელი მწერლის თხზულებიდან. ჯერ ერთი ის, რომ თვითონ პეტრიწი მიაწერს ამ თქმას არა პლატონს, არამედ «ვინმე ღმრთისმეტყუელს»¹; გარდა ამისა პლატონის სიტყვებთან შედარებით ციტატაში ერთი სხვაობაა: ნაცვლად პლატონის მიერ ნახმარი სიტყვისა $\gamma\epsilon\nu\alpha\epsilon\nu$ პეტრიწი ამბობს «ტეკეან» (ზმნისაგან $\tau\acute{\epsilon}\chi\tau\alpha$ ან $\tau\epsilon\chi\upsilon\acute{\alpha}$)².

არისტოტელე

ლოგიკური ნაწილი „განმარტებისა“ პეტრიწს აგებული აქვს არისტოტელეს შეხედულებათა საფუძველზე და, როგორც შესავალში ისე თავიანთი კომენტარების პირველ თავშივე, აღიარებს, რომ გარეშე არისტოტელეს ლოგიკური კანონებისა («კანონნი სიტყვერებითნი») შეუძლებელია რისამე შეცნობა («ესე... შემოისაზღვრა კანონი არისტოტელის „ორღანოჲსაჲ“, რომლისა თვნიერ უღონო არს რაჲსავე გაგონებაჲ სულისა მიერ სიტყვერისა»). იქვე იძლევა ამ კანონის სქემას, რომლის განმარტებითს შენიშვნებში მთლიანად ეყრდნობა არისტოტელეს ტერმინოლოგიას (იხ. ჩვ. გამ. II 10—11, იქ მოყვანილი სქემები და ტერმინები: პროტასი, საშუალი, სვმპერაზმაჲ [«რომელ არს თანგასავალი ურთიერთას კიდურთაჲ»] და შეად. არისტოტელეს „ანალიტიკა“ I, 1 $\pi\epsilon\rho\tau\alpha\sigma\iota\zeta$, $\mu\acute{\epsilon}\sigma\theta\upsilon$, $\sigma\upsilon\mu\pi\acute{\epsilon}\rho\alpha\sigma\mu\alpha$, $\delta\chi\rho\alpha$).

ბიზანტიურ პერიოდში „ორგანონის“ კრებისითი სახელწოდებით ცნობილი ლოგიკური ნაწერების გარდა პეტრიწი იყენებს არისტოტელეს სხვა ნაწარმებსაც. საერთოდ, არისტოტელეს თხზულებათაგან პეტრიწს თავის წყაროდ დასახელებული აქვს: „პერი ერმინისა“, „ორღანოჲ“, „ბუნებითა“ „აღმოჩენათა პირვე-

— ¹ თუმცა შეიძლება პეტრიწს ზეპირად სცოდნოდ ეს ციტატა და წიგნში ჩაუხედავად მოეყვანა ის, ხოლო რადგან აღარ ახსოვდა, თუ ვის ეკუთვნოდა ის, ეთქვა ზოგადად „ერთი მეცნიერი“ ამბობსო.

² პლატონის გალენა ვტყობა პეტრიწს ცალკეული გამოთქმების ხმარებაშიც. ასე, მაგალითად, გამოთქმების შეხედრას ვამჩნევთ:

II 29 აქერის არტიოჲ ანუ არტიოჲ პერისოჲ...» Gorgias 451b, Protagoras 356e; Politicos 262e.

II 32,14 ყოველთა მაკეთებელი ღმერთი...»—Timaios 29d, 30a.!

II 34, 22 «დათრობსო მყოფთა ნექტართა მიერ, დაამტკიცებს აკმეთა მათთა ამერო ამეროსიათა»—Phaidros 247e.

II 47, 32 «რამეთუ ზევს მიხედვითა გონიერისა ცისათა ჰბადა და აღამყო იგიო»—Phaidros 246e..

ლი“, „აღმოჩენათა მეორე“, „პერი გენესეოს და ფთორას“ (იხ. ქვე-
მოთ გვ. 233 ს. v. არისტოტელი). არის ციტატები სხვა თხზულებ-
ბათაგანაც (მაგ., Περὶ ὄσφρασις), რომელთა სათაურებს პეტრიწი
არ ასახელებს.

მოგვყავს ნიმუშები ამ ციტატებისა¹:

1) მეთერთმეტე თავი „განმარტებისა“ განკუთვნილია «არსთა
მიზეზისათვის»; აქ სხვა დებულებებს შორის გაშლილია ის დებულე-
ბაც, რომ არსთა შეცნობისათვის წინაპირობას წარმოადგენს მიზეზ-
თა გარკვევა და აქ ის ეყრდნობა არისტოტელეს. პეტრიწი
ამბობს: «რამეთუ იტყვს არისტოტელი პირველსა შორის „აღმოჩენა-
თასა“ და უფროჲსლა მეორესა შორის „აღმოსაჩენთასა“ წიგნსა,
ვითარმედ „მაშინლა ვიტყვთო ცნობად ოდეს მიზეზნი ვიუწყენეთო
პირველნი დასაბამნი საქმეთანი“» (ჩვ. გამ. II 41,29—42,2). ამ სი-
ტყვებით გადმოგვცემს პეტრიწი არისტოტელეს სიტყვებს მისი
„ანალიტიკიდან“ (Ἀναλυτικὰ ἤτερα, liber I, cap. II): Ἐπιστάσθαι
ὅτι ὁὶσμεθ' ἕκαστον ἀπλῶς, ἀλλὰ μὴ τὸν σφρασιῶν τέρπον τὸν κατὰ
συμφερίῃ, ὅταν τῶν αἰτίων ὁὶσμεθ' ἕκαστον ἕκαστον
ἢ τὸ πρῶτον ἐστὶν, ὅτι ἕκαστον αἰτίᾳ ἕσται, καὶ μὴ ἔνθ' ἕσθαι
τοῦτ' ἄλλοι ἔχειν (Didot I, 122, 8—12).

ამის შემდეგ კონკრეტული მაგალითების საშუალებით ამტკი-
ცებს პეტრიწი თავის დებულებას, და ეს მაგალითებიც თვით
არისტოტელეს „ანალიტიკიდან“ მოჰყავს. ახლო თუ რაჲ არს ცნო-
ბაჲ მიზეზთაგან, ისინი და სახეთაცა მიერ მოიღე სახედ, რასა თვთ
იგი არისტოტელი მოიღებს: რამეთუ ესე ყოველმან უწყის
უსწავლელთამანცა, ვითარმედ მთარე მოაკლდების, ხო-
ლო, თუ ვითარ ანუ რათა მიზეზთაგან, ესე ბრძენთა ოდენ...» (II
42, 5—9), რაც არისტოტელეს აზრის გადმოცემას წარმოადგენს:
Ἀέγω ὅτι τὸ ὅτι ἢ εἰ ἔστιν ἐπὶ μέρισ καὶ ἀπλῶς, ἐπὶ μέρισ μὲν,
ἄρ' ἕκαστον εἰ σελήνη ἢ ἀστὴρ; εἰ γὰρ ἔστι τὴ ἢ μὴ ἔστι
αἰ, ἔν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν τῶν
(Ἀναλυτικὰ ἤτερα, lib. II, cap. II)
და მომდევნო პარაგრაფებში ამ II თავისა გაშლილია მსჯელობა
იმის შესახებ, რომ მაგალითად, არ არის საძიებელი ის, რომ «მთო-
ვარე მოაკლდების», καὶ γὰρ ὅτι ἔστιν ὅτι ἔστιν ἕκαστον (Didot, I 154,
7—10, 37 და საერთო მთელი ეს თავი).

ამრიგად, აზრებიც არისტოტელესია გადმოცემული „გან-
მარტების“ 11. თავში, გამოთქმებიც მისივეა და მითითებაც თავებ-
ზე ზუსტად არის აღნიშნული («პირველსა შორის „აღმოჩენათასა“
და უფროჲსლა მეორესა შორის „აღმოსაჩენთასა“ წიგნსა»).

¹) ციტატები არისტოტელეს თხზულებათაგან მოგვყავს შემდეგი გა-
მოცემით: Aristotelis opera omnia I—V, Parisiis (Didot).

2) „განმარტების“ 17. თავში, როდესაც პეტრიწი ლაპარაკობს «უსხეულოას» შესახებ, წამოყენებულია არისტოტელეს დებულება: «ვითარცა აღმოაჩინა არისტოტელი, ვითარმედ ურომელო სხეული გარომელდების ოთხთა რომელობათაგან» (ჩე. გამ. II 51, 20—22). საფიქრებელია, რომ აქ პეტრიწს მხედველობაში აქვს არისტოტელეს «კატეგორიების» VIII თავი, სადაც სწორედ ოთხნაირ რომელობაზეა (παιστης) ლაპარაკი: *ἔν μὲν εἶδος παίστητος* (§§ 3—6), *ἔτερον δὲ γένος παίστητος* (§ 7), *ἄλλο δὲ γένος παίστητος* (§§ 8—13), *τέταρτον δὲ γένος παίστητος* (§§ 14—16), რის შემდეგაც § 17-ში არისტოტელე ასკვნის: *παίστητος μὲν οὖν εἶσι αἱ εἰρημύαυ*—«ი, ესენი არიან [ჩვენ მიერ] მოხსენებული რომელობანი» (Didot, I 13—15).

3) „განმარტების“ 20. თავში სულისა და გონების ურთიერთობაზეა საუბარი. «შიგნით სულისა ძალი და მოქმედებად ოდენ ცხორებისად, ხოლო გაგონებისად საზეესთათა ზედმიქმნილად» (ჩე. გამ. II 58, 6—8), და რომ «ძალსა გამგონებისასა [ე. ი. გონების ძალას] უზესთაესთათ ზედშემოსრულად... განიცილი», ამას ადასტურებს არისტოტელი: «ვინაჲ ამისთვის იტყოდა არისტოტელი «თვრათენად», რომელ არს ეს ვითა ნაკადი მზისა შარავანდთაჲ სარკუმელთაჲთ და არ შიგნით» (II 58, 3—6), ე. ი. არისტოტელეს აზრით, გონება სარკმელიდან (μῆραθεν), გარედან შემოდის. ეს დებულება მართლაც მოგპოვება არისტოტელეს: *Ἀεπειται δὲ τὸν γόνυ μόνυ μῆραθεν ἐπεισέσθαι καὶ μείον εἶναι μόνυ*—«მაშასადამე, მხოლოდ გონება გარედან შემოდის და მხოლოდ ის არის ღვთაებრივი» (Περὶ ζῳων γένεσεως, წიგნი II, თავი III; Didot III 351, 52)¹.

4) «ჟამის» განმარტებაშიც (თავი 50) პეტრიწი მისდევს არისტოტელეს. «იტყვს არისტოტელი; ზრონოჲ არსო საზომი მიდრეკისად, ვითარად საზომი პირველისა მიდრეკისაჲო» (ჩე. გამ. II 107, 21—23)—*Πῶς τὸ γὰρ ἔστιν ἡ ἄρῆσις, ἀρῆσις δὲ αἰσῆσεως κατὰ τὸ πρότερον καὶ ὑστερον* (Μαθητῆς ἀρχαίσεως IIb. IV, cap. XI [XVI]; Didot II 301, 4; იგივე განმარტება მდევრული აქვს არისტოტელეს ქვემოთაც, Didot II 302, 14).

5) როდესაც პეტრიწი 54. თავში ცალკეულ ელემენტთა ურთიერთ-შეკვალებაზე ლაპარაკობს («ნაწილი იხრწნა ცეცხლისად

¹ შესაძლებელია, არისტოტელეს ამ დებულებას იცნობდეს პეტრიწი მხოლოდ ნემესიოსის გზით. ნემესიოსს თავისი გამოკვლევის («ბუნებისათვის კაცისა») I თავში უწერია: «ხოლო არისტოტელი ძლითსა უკუე გონებასა თანა-შემზადებულად კაცისა, ხოლო მოქმედებისა სარკუმელთაჲთ ჩუნდლად ზედშემოსრულად ითნებს» (ს. გორგაძის გამ. გვ. 4; იხ. ზემოთ გვ. XVII).

და გაქუეყანდა... ნაწილი იხრწნა წყლისაჲ, გაჰაერდა რაჲ...»), ის მიგვითითებს არისტოტელეს თხზულებაზე Περ: γένεσας αἰ: φθιρα: («ვითარცა არისტოტელი წიგნსა შორის „ქმნისა და ხრწნისასა“ გუასწავლის, რომელ „პერი გენესეოს და ფთორას“ უწოდა» (ჩვ. გამ. II, 119, 3--10), სადაც მთელი ნაშრომის სიერცხზე სწორედ ამგვარ საკითხებზეა ლაპარაკი, განსაკუთრებით პირველი წიგნის მეხუთე თავში (შეად., მაგ., გამოთქმაჲ ἄσπερ ἕαν ἐξ ἰμάτου ἀήρ: Didot 2, 442, 27).

6) პეტრიწი იცნობს აგრეთვე და იყენებს არისტოტელეს ტერმინს σέρησι: «ხოლო ესე სტერიისნი, რომელ არიან მოკლებანი, არისტოტელი არსებად აღმოაჩინნა, დაღათუ არიან უგუარო, და პირველსა ნიფთსაცა შორის განიკლების აობაჲ სტერიისთაჲ, რომელ არიან მოკლებანი» (ჩვ. გამ. II 125, 17--20; შეად. არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ IX, 4; Didot II 578, 35 და ხშირად).

7) ბოლოსიტყვაობაში, სადაც პეტრიწი აჯამებს თავის შეხედულებებს, თავიან კომენტარებში გამოთქმულს, მას ლაპარაკი აქვს „მოძრაობაზე“ და ამბობს: «რამეთუ ყოველი მიდრეკაჲ ანუ ზედმი ვითარ ცეცხლისაჲ, ანუ ქუედმი ვითარ ქუეყანისა და წყლისაჲ, ანუ იმრ და იმრ ვითარ რაჲ გურდიჲ» (215,30). ამით გადმოცემულია ის დებულებები, რომლებიც განვითარებულია არისტოტელეს გაბოკვლევაში Περ: ὁπρῶσιν (შეად. არისტოტელეს გამოთქმები: εἰ μὲν γὰρ ἦ ἄνω, πῦρ ἔσται ἢ ἀήρ, εἰ δ' ἦ ἄνω, ἰμάρ ἢ γῆ—„თუ [მოძრაობა] ზემოთია, იქნება ცეცხლი ან ჰაერი, თუ ქვემოთია—წყალი ან მიწა“: Didot II 368, 47). ეს ეხება ე-წ. პირდაპირ მოძრაობას (ἐπιεία), ხოლო არის კიდევ მეორენაირი მოძრაობა—ἰσχυρῶς („ირგვლივი“, ანუ პეტრიწით „გურდიჲ“)¹:

პარმენიდე

პარმენიდეს სიტყვებს ხშირად იმოწმებს პეტრიწი, მაგრამ ის ყოველთვის გულისხმობს პარმენიდეს საუბარს პლატონის დიალოგში. ხოლო არის ერთი შემთხვევა, როდესაც პარმენიდეს სიტყვები დამოწმებულია არა პლატონის დიალოგიდან. სახელდობრ, 53. თავში პეტრიწი „საუკუნის“ ცნების განმარტების დროს ამბობს: «ვითარცა იტყვს პარმენიდი: „ეონ ეონი პელაზი“. აქა სიტყუაჲ ესე განყოფილებითსა მდგომარეობასა და გათვთებითსა გამიცხადებს ჩუენ, რამეთუ იტყვს, ვითარმედ „საუკუნონოჲ საუკუნესა განვლისო“, ვითარმედ შემოსწერსო...» (ჩვ. გამ. II 117,9--12). პლატონის დიალოგებში („თეეტეტოსში“,

¹) შეად. ქვემოთ (გვ. XLIX) არისტოტელეს ამავე თხზულების გამოყენების შემთხვევა გრიგოლ ნახიანხელის კომენტატორის საშუალებით.

„სოფისტეში“) და არისტოტელეს ნაშრომებში ხშირია შემთხვევა, რომ პარმენიდეს Περὶ φύσεως-იდან ციტატებია მოყვანილი, მაგრამ პეტრიწის მიერ მოყვანილი სიტყვები იქ არ გვხვდება! ეს სიტყვები მოიპოვება პარმენიდეს თხზულების Περὶ φύσεως („ბუნების შესახებ“) ერთ ნაწყვეტში, რომელიც შემოუნახავს სიმპლიკოროსს (VI საუკ.): ἐὶν ἄρ ἔστιν εἰ πελᾶζει (Parmenides, frg. 8,25: H. Diels, Vorsokratiker I, 156), ხოლო ეს, რასაკვირველია, სულ სხვას ნიშნავს, ვიდრე პეტრიწს აქვს გაგებული. ეს ნიშნავს: „მყოფი მყოფს ეყრდნობა“. პეტრიწის მიერ მოყვანილი ქართული თარგმანი კი («საუკუნოა საუკუნესა განვლისო») ჰგულისხმობს შემდეგ ბერძნულ ტექსტს: αἰὼν αἰὼνι πελᾶζει. აღრევა ადვილი გასაგებია საშუალო ბერძნულის საფუძველზე: αἰ γαμοთქმაში უდრის ე-ს, ხოლო ω და ο გათანაბრებულია (αἰ:αυ||ἔόν, αἰ:ἄνι||ἔόντι).

გრიგოლ ნაზიანზელი

„განმარტების“ ბოლო ნაწილი (II 223—227), ალბათ რომელიღაც ძველი ხელთნაწერის რვეულების არევის გამო (იხ. ზემოთ გვ. XXI, შენიშვნა 1), მოწყვეტილად ჩანს წინა ნაწილს. უკანასკნელად პეტრიწი ლაპარაკობდა იმ დევნის შესახებ, რომელსაც ის განიცდიდა ქართველთაგან; შემდეგ ავითარებდა თავის დებულებას ფილოსოფიური წიგნების ქართულად გადმოღების შესახებ, თუ როგორ უნდა შეეფარდებოდეს თარგმანი დედანს იმისდა მიხედვით, თუ რა დარგისაა გადმოსაღები წიგნი (II 222,25—33), და ასკენიდა თავის მსჯელობას «ვითავე ამათსა წინაჲთ ნემესიოჲს წიგნისა შეწყობასა შინა მუხარკა»-ო. ამას მოსდევს მსჯელობა რიტორიკის, გრამატიკოსობისა და ფილოსოფოსობის შესახებ, ხოლო წინა ნაწილისაგან ეს გამოყოფილია საკმაოდ ბუნდოვანი ოთხტაყვიანი იამბიკოთი (II 223,3—6).

მსჯელობა რიტორიკის, გრამატიკოსობისა და ფილოსოფოსობის შესახებ აგებულია გრიგოლ ნაზიანზელის მიერ წამოყენებულ დებულებებზე მის სიტყვაში ბასილ დიდის შესახებ («სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისთჳს»). პეტრიწი არსად არ იხსენიებს გრიგოლის სახელს, მას მარტივად «ღმრთისმეტყუელს» უწოდებს და მისი სიტყვებიდან («ღმრთისმეტყუელი... იტყჳს დიდისა ბასილისთჳს») ნათლად ჩანს, რომ მას მხედველობაში აქვს ზემოხსენებული თხზულება გრიგოლისა.

რომ პეტრიწი თავის მსჯელობას რიტორიკის, გრამატიკისა

¹⁾ ემყარებით დილსის მითითებებს (H. Diels, Die Fragmente der Vorsokratiker, I 154).

და ფილოსოფიის შესახებ გრიგოლ ნაზიანზელის დებულ-
ბათა საფუძველზე ავითარებს, ეს ნათლად ჩანს მათი სიტყვების შე-
დარებიდან¹. პეტრიწს, მისთვის ჩვეული წესის მიხედვით, ჯერ მო-
ჰყავს გრიგოლის სიტყვები და შემდეგ აგრძელებს და მარტავს მათ.

1) რიტორიკის შესახებ პეტრიწი სწერს: «იტყვს [გრი-
გოლ] დიდისა ბასილისთვის, ვითარმედ

«ვინ იყო ეგე ოდენ რიტორიკ- Ἴς μὲν ῥητορικῆν τοσοῦτος, ἢ
ბრიე. რამეთუ ცეცხლებრითა ძა- πῦρ; μένος πνεύμασιν, εἰ καὶ τὸ
ლითა მბერველობდა თვნიერ რო- ἦσθ; ἀντὶ μὴ κατὰ ῥητορᾶ; ἦ;
მელ არა ვისგან მორცხუეობაჲ (Migne, PG 36, 528).

რიტორიკები არა აქუნდა მას? არამედ არცა კმობაჲ უშუერი, არცა ბოროტებაჲ, არცა მე-
ვაქერობაჲ მტყუვარობაჲ, არამედ რიტორი იყო ყოველთავე რიტო-
რებიერთა...» და სხვ. (იხ. ჩვენი გამ. II 223, 12—20)².

2) გრამატიკის შესახებ სწერია:

«ანუ თუ ვინ იყო ეგეოდენ Ἴς δὲ γράμματικῆν, ἢ γλῶσ-
ლრამმატიკოსობასა შინა, რომელი σῶν ἐξέληκται, καὶ ἰστορίαν
ესე მომხუეწულ არს ენისგან ყო- συγάει, καὶ μέτρον ἐπιστάσει,
ველსავე ბარბაროზებრობასა და καὶ νομοθετεῖ ποιήμασιν; (Mi-
გრიან-ყოფელ ექმნების ელადელთა gne, იქვე).

კმასა, და მოთბრობათა შეჰკრებს, ხოლო მოთბრობანი შემოკრე-
ბულნი სიბრძნე იქნებიან, და თითოსახეთა საზომთა იამბიკოთა
მუკლთასა ასწავებს, და ნაქ- მართა სიტყვერთასა განარჩევს,
რომელნიცა საკუთარნი იყვნეს ანუ შერყუნილნი და რომელნიცა-
კეთილად ანუ სხუებრ თანადასხმულ იყვნენ...» და სხვ. (ჩვ. გამ. II 223, 21—34)³.

¹) გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათათვის ვსარგებლობთ Mi-
gne-ის Patrologia Graeca, t. 36.

²) გრიგოლ ნაზიანზელის «სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილის-
თვის» ქართულად თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ და მისი ნუსხები დატუ-
ლია საქ. მუხ. ხელთნაწერებში A—16, A—209 და სხვაგანაც (იხ. კ. კეკელიძე,
ქ. ლ. ისტ. I, 280). რიტორიკის შესახები ნაწილი ეფრემის თარგმანში იწყება
ასე: «ვინმე რიტორიკები იყოდენ ცეცხლ-მბერველი მოიპოვა, დაღათუ სახე
მისი არა რიტორიკები იყო» (ხელთან. A—16, გვ. 288ა; A—109, გვ. 55).

³) ეფრემ მცირის თარგმანში: «ვინმე ლრამმატიკოსობაჲ ელდენ-ყო-
ფად ენათა, და შემოკრებად თბრობათა, და საზომის დადებად, და სჯულის დებად
გამოთქემათა» (საქ. მუხ. ხელთან. A—16, ფ. 288ა-ბ; A—109, გვ. 55).

3) ფილოსოფიის შესახებ:

«ეინ იყო ეგეოდენ ფილოსოფოსობითა, ესე იგი არის რაედენი რაჲ არს საქმითი და რაედენი მხედველობითი ფილოსოფოსობისა, ვის აქუნდა ეგეოდენი და რაედენი შთამოვალს სიტყვერთა მოქმედებათა მოსაჩლეობისათჳს და წინააღმდეგობითა წინადადებათა და გამოსაჩინებელათჳს, რომელსაცა განმსიტყუელობითად კელოვნებად სახელსდებენ. რომელი იგი ეგრე განიხილა და დაისწავა დიდმან ამან, ეიდრე უადვილესმცა ვინ შეუძლო განელაჲ განთქუმულისა მის კრიტეს შინაჲსა ლავეკრინთოჲსა... ეიდრე განლტოლჲაჲ საგდებთაგან და ბადეთა დიდის ბასილის სიტყუათასა, უკუეთუმცა სადმე საკმარ მისდა იქმნა ესე ვითარი აღმთხვეელობაჲ და მეტყუელებაჲ მომმახურებელობად მისსა შიმართ მეტყუელისა» (II 224,1—13)¹.

და ამის შემდეგ პეტრიწი განაგრძობს მსჯელობას «საქმითი» და «მხედველობითი» ფილოსოფიის შესახებ (II 224,15—22).

4) შემდეგ პეტრიწი განაგრძობს მსჯელობას მეცნიერების სხვა დარგების (ასტრონომის, მათემატიკის, მედიცინის) შესახებ:

«ხოლო ვარსკულაეთ-მრიცხუელობისაჲ და ქუეყანის-შზომელობისაჲ და მრიცხუელობითისაგან ესე ოდენი მიიღო, რაედენ ეერ შებრკოლებადმი მათ შორის ბრძენთა

Τίς δὲ φιλοσοφίαν τὴν ὄντως ἰψήλην τε καὶ ἀνα βίονοισαν, ὅση τε πρακτικὴ καὶ θεωρητικὴ, ὅση τε περὶ τὰς λόγικὰς ἀποδείξεις καὶ ἀντιθέσεις ἔχει καὶ τὰ παλαιώματα, ἣν ὅη διαλεκτικὴν ὀνομάζουσιν ἄς ῥῶον εἶναι τοὺς λαβύρινθους διέξελεῖν, ἣ τὰς ἐκείνου τῶν λόγων ἀρχὰς διαφύγειν, εἰ τούτου δεήσειεν (Migne, იქვე).

Ἀστρονομία δὲ καὶ γεωμετρία, καὶ ἀριθμῶν ἀναλογίαι, τῶσιν τῶν λαβῶν, ὅσον μὴ χλονεῖσθαι: τῶς περὶ τῶντα κομψοῖς· τὸ περιετὸν διέπτυσεν, ἄς ἀχρηστὸν

¹) ეფრემ მცირის თარჯმანში ფილოსოფოსობის შესახებ ასე იწყება: «ეინმე ფილოსოფოსობაჲ ნამდვლეე მაღალი იგი და აღმართ მავალი რაოდენი საქმითი არს და ხედვითი, და რაოდენი სიტყუათ-გამოჩინებითი და წინადადებითი და განწყობითი, რომელსა სიტყვსგებითად სახელსდებენ. ეიდრელა უადვილეს იყო განელაჲ ლავეკრინთოჲსა, ეიდრელა განელტოლჲაჲ მისთა სიტყუათა ბადისაგან [ბადეთა ბადისგან A—16] უკუეთუმცა ესე ჯერ იყო» (საქ. მუხ. ხელთნ. A—16, ფ. 238ხ; A—119, გვ. 55).

მათ და მკვერთავან. და სხუანი ნეშტნი განსთხინა, ვითარცა ყოვლად უემარნი ქრისტეანეთათსა» (ჩვ. გამ. II 224,22—25)¹.

«ხოლო კორცთა უძღურებამან პირველით ჰასაკითვე ვიდრე სიბერედმდე მის თანა აღზრდილმან და ღვთისა ბოროტ-მღებარეობამან და ამათ ზედა მოქენეობამან სენთ მოურნეობისამან საჭირო მისსა ყვეს მკურნალობაჲ. რომელიცა მკურნალობისა სიტყუერობით ვიდრემე მოიპოვა ფილოსოფოსობამან, ხოლო საქმიერობით ტკივილთ მოყუარებამან... და ამისთვის უკუე მიმღებელმან თავისა თვისისა სენთ მოურნეობად ანაგებად მოვიდა მკურნალობითისა კელოვნებისა. არა მაშინ სახილველისა სენისა და კელთა შინა ქონებულისა და უნდოჲსა გამოძიებასა ჰყოფდა მდაბიურთა და უსიტყუთა მკურნალთაებრ; არამედ მოძღურებულთაებრ ჰყოფდა და ფილოსოფოსურად², ესე იგი არს ვითარ იგი რაოდენსა რას მკურნალობაჲ ფილოსოფოსობს ბუნებათა და შეზავებათათს, და სნეულებათა დასაბამთათს, რაჲთა აქუნდეს სიტყუასა და მიზეზსა გამოცხადებად თითოეულსა სენისასა მფილოსოფოსებულთა.

გარნა რანი არლა რაედენნი ესე წარმოშობითქუმან ჩუეულებათა და ქებულებათა მიმართ ამის მამრი-

თის ეუსებე:ν ἐμ-ἐλουσ:ν (Mige ne, იქვე).

Ἰατρικῆν μὲν γὰρ καὶ ἡ νοσημάτων ἀρρωστίαν, καὶ νοσηκομίαν, φιλοσοφίας καὶ φιλοπονίας ὀνομαζόμενον, ἀναγκάσαι αὐτὸν πεπεισάσαι· ὅθεν ἀρξάμενος, εἰς ἕξιν τῆς τέχνης ἀφίκετο· καὶ ταύτης, οὐχ ὅση περιτὸ φαινόμενον ἔχει καὶ κάτῳ κείμενον, ἀλλ' ὅσον ὀργματικῶς καὶ φιλόσοφον.

Ἄλλὰ τὴν ταπεινότητα, καίπερ τηλικαυτὰ συγγένειαν, πρὸς τὴν ἕν τῷ ἦθει τοῦ ἀνδρὸς πένθευ-

¹) ეფრემის თარგმანით: «ხოლო ვარსკულავთ-მრიცხველობისა, და ქუეყანის-შობელობისა, და რიცხუთა შემოკრებისაჲ ესოდენი მიილო, რაოდენ არა შეირყოფდა მას შინა ნაშეცნაუთავან. ხოლო ნამეცნაევი იგი განაგდო, ვითარცა უემარი კეთილმსახურებისა მნებებელთათსა» (საქ. მუხ. ხელთნ. A—16, ფ. 288ხ; A—109, გვ. 55—56).

²) ეფრემ მცირის თარგმანით: «ხოლო მკურნალობაჲ და კორცთა უძღურებისა სენთ-კურნებაჲ სიბრძნის-მოყუარებისა და ტკივილთ-მოყუარებისა ღაყოფჲან საჭირო საგმარ მისსა ყვეს. ვინაჲცა იწყო და გუარად განმტკიცებულად კლოვნებისა მის მიიწია. და ესე არა თუ რაოდენ სახილველსა ამას აქუს და ქემღებარესა, არამედ რაოდენი სჯულდებითი არს და სიბრძნის-მოყუარებითა.

სათა. რამეთუ ამას თანა ცულ და
 ამაო სადმე იქმნენ მინიოსი იგი და
 რადამანთჳ...» (ჩე. გამ. II 225,30
 — 226,13)¹.
 იქვე).

ზემომოყვანილი ადგილები ცხადყოფენ, რომ იოანე პეტრიწის წყარო ბოლოსიტყვაობის დასკვნითი ნაწილისათვის არის გრიგოლ ნაზიანზელი. სქოლიოებში ჩვენ მიერ პარალელურად ამოწერილი ნიმუშები ეფრემ მცირის მიერ ნათარგმნი «ეპიტაფიისა» აგრეთვე ცხადყოფენ, რომ პეტრიწი ძველი (ეფრემის) თარგმანით კი არ სარგებლობს, არამედ საკუთარი „შეწყობით“ მოჰყავს ციტატები გრიგოლის სიტყვიდან.

ბოლოსიტყვაობის იმავე დასკვნითს ნაწილში მოთავსებული საკუთარი მსჯელობა „პეტრიწისა“ (შესახებ რიტორიკისა, გრამატიკისა და ფილოსოფიისა) მთლიანად მას არ ეკუთვნის. როგორც ირკვევა, პეტრიწს ხელთ ჰქონია გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვის კომენტარებიანი ვარიანტი.

როგორც ცნობილია, გრიგოლ ნაზიანზელს აღრევე (VI საუკუნიდან) გაუჩნდნენ კომენტატორები, რომლებიც მისი სიტყვების ცალკეული ადგილების შესახებ განმარტებებს სწერდნენ. ეს კომენტატორები არიან: ნონნე, (VI საუკ. დასაწყისი), მაქსიმე ამლსარებელი (VII ს.), ელია კრეტელი (IX—X ს.), ბასილი (X ს.), ნიკიტა სერონელი (XI ს. ბოლო), გიორგი აკროპოლიტე (XIII ს.) და სხვები (იხ. K. Krumbacher, GBL 137—138). ამათი განმარტებები, გრიგოლ ნაზიანზელის ცალკეული სიტყვებისათვის დაწერილი, ჩვენამდე მოღწეულია და, მართალია, ჯერ არ არის გამორკვეული ამ განმარტებათა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი და არც მათი კრიტიკული გამოცემა მოგვეპოვება, მაგრამ იმ გამოცემათა მიხედვითაც, რომლებიც ჩვენ ხელთ არის, უდავო ხდება, რომ იოანე პეტრიწს გამოუყენებია ზოგიერთი ამ განმარტებათაგანი. მოვიყვანთ მაგალითებს:

1) რიტორიკის შესახები მსჯელობა პეტრიწისა (II, 233 იწყება ჰომეროსის „ილიადიდან“ მოტანილი შედარებით: როგორც სამსახე იყო ცეცხლისმფრქვევი ლეგენდარული არსება ჰომეროსისა — თავით ლომს წარმოადგენდა ის, ბოლოთი ვეშაპს, ხოლო შუა ნაწილით ვაცს² — ისევე სამნაირია რიტორიკაო: ბჭობითი, სა-

¹) ეფრემის თარგმანით: ღარამედ რაჲ არიან ესე. დაღათუ ესოდენნი არიან წესიერებისა მის თანა კაცისა ამის სწავლულებისა, ვინაჲცა სიჭჳრ იყო კაცისა ამის თანა მეცადინობად მინოსი იგი და რადამანთჳ...» (საქ. მუხ. ხელნ. A—16, ფ. 288b; A—10b, გვ. 56).

²) ილიადა VI 179—182: — უძლეველი ქიშკრის მოკელა უბრძანა [ბელეროფონტს პროიტოსმა]: ქიშკრა იყო ღვთაებრივი ჯიშისა, არა ადამიანურისა: წინ

პაექრო და საზეიმო. «ომიროს ვიდრემე მბერველობაჲ ცეცხლებრივი თქუა პატრიკულისა თხისა სამად ზღაპრებულისა შვეცისათჳს: რამეთუ წინაჲთ იყო ლომ, ხოლო ბოლოთ ვეშაპ, და საშუალ ვაც. ხოლო ღმრთისმეტყუელი რიტორობისა ზედა დააწესებს ამას, ვინაჲთვან იგიცა სამად განიყოფების: თანამზრახველობისა, შეპაექრობისა და დღესასწაულობისა» (II 223,7—12). ეს შედარება ჰგულისხმობს გრიგოლ ნაზიანზელის მიერ ნახმარ გამოთქმას ბასილ დიდის ენამჭევრობის შესახებ (*παῖδος μέντις πνεύματος*¹ „ცეცხლის მფრქვეველი“); ხოლო თვით განმარტება უნდა მომდინარეობდეს ნონნეს კომენტარებიდან. ნონნეს ამოუკრეფია ცნობები გრიგოლ ნაზიანზელის მიერ იულიანეს წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვებში მოხსენებულ მითოლოგიურ არსებათა შესახებ და საგანგებოდ განუშარტავს² თითოეული მითი. ნონნეს ამ კომენტარებში ერთ-ერთ თავად მოყვანილია

Περὶ τῆς Πατρικικῆς χιμαίρας.

Πατὰρὰ πόντις ἐστὶ τῆς Ἀσσίας. λέγεται δὲ, ὅτι ἐν ταύτῃ ἐστὶν ὄρεα. ἐν ᾧ ὄρει ἦν ψιφίον. ἢ πρῶτον μὲν ἦν ψιφίον, ἠποθὲν δὲ βράζων, μέση δὲ ἦν χιμαίρα³. ἐξ ἧς χιμαίρας πῦρ ἐκ τῶν σωματῶν ἀποδίδοται... (Migne, PG 36, 1012).

პატრიკული ქიმერის შესახებ.

პატარა არის ლიკიის ქალაქი, აზობენ, რომ იქ არის ერთი მთა; ამ მთაზე იყო ერთი მბეცი, რომელიც წინ იყო ცხოველი (ლომი). ბოლოში ვეშაპი, ხოლო შუაში ქიმერა; ამ ქიმერას პირიდან ცეცხლი ვამოსდიოდა.

ფეიქრობთ, ცხადი უნდა იყოს პეტრიწის დამოკიდებულება ნონნეს (ან ბასილის⁴) ტექსტისაგან: სხვაგან მოხსენიება „პატრიკულისა თხისა (ქიმერისა)“ არსად ჩანს⁵. ჩვენამდე მოღწეულ

ლოში, ბოლოში ვეშაპი (*βράζων*), შუაში ქიმერა (*χιμαίρα*); საშინლად სუნთქავდა მგზებარე ცეცხლით“.

¹) იხ. ზემოთ (გვ. XXV1) მოყვანილი ადგილი გრიგოლის სიტყვიდან.

²) მითების ერთი ნაწილი ქართულშიაც არის ცალკე ამოკრეფილი და მოთავსებული გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა შემცველ ხელთნაწერებში (A-16, A-109) სათაურით: „ზღაპრობანი, რომელნი საწარმართთა წიგნთაგან პირველად მოუყენებიაან წიგნთა შინა თჳსთა წმიდასა და ღმრთისმეტყუელსა გრიგოლისს“. ეს „ზღაპრობანი“ გამოსაცემად დამზადებული აქვს პ. ი. ნ. გოროყეას; იხ. მისი გამოკვლევა „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ („რუსთაველის კრებული“, ტფ. 1933), გვ. 51, შენ. 1.

³) იმავე ნონნეს სხვა მოთხრობაში სწერია: *πρῶτον μὲν ἦν ὄρεον, ἠποθὲν δὲ βράζων, ἠποθὲν δὲ χιμαίρα* („წინ იყო ლომი, ბოლოში ვეშაპი, ხოლო შუაში ქიმერა“).

⁴) მოკლე განმარტება „პატრიკული ქიმერის“ შესახებ მოიპოვება აგრეთვე ბასილის სქოლიოებში: „ჰომეროსით მას სამი თავი ჰქონდა: წინ [იყო] ლომი ბოლოში ვეშაპი, შუაში ქიმერა“ (Migne, PG 36, 1116).

⁵) ამის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ილიანე პეტრიწის სიტყვებზეა

„ზღაპრობან“-ში ეს თავი „პატრიკული ქიშერის შესახებ“ არ ჩანს¹, მაგრამ გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვის („ეპიტაფიის“) ქართული თარგმანის იმ ადგილს, სადაც სწერია «ცეცხლმბერველი მოიპოვა», არშიაზე სქოლიო აქვს: «ცეცხლ-მბერველობასა სახედ შემოღებითა იტყვს ზემოთქუმულისა მის ზღაპრობითისა ჰიმერაჲსაჲთა, რამეთუ რაჲ იგი მუნ ომიროს ჰიმერაჲსათჳს თქუა, მისევე

აგებული შეავთელის ნ. ოდა (ნ. მარის გამოცემით გვ. ლე):

პატრიკულისა

ხედვის უფალ ხო

სიწლოთ სიხშოსა.

უთქვამს ებელთა

მეძიებელთა

შენთვის პროკლე

და ღიადლობსა.

¹) მაგრამ არის თავი აქილასთასტუსს, რომელშიაც მოხსენებულია ესამცხოველი მკეცი». მისი ბერძნული დედანი მოთავსებულია იმ კრებულში, რომლის შედგენა მიეკუთვნება ნონნეს. ქართული ვარიანტი ზოგან განსხვავდება ბერძნულისაგან.

მერვე თბრობაჲ არს ანუ პილასოსთჳს, ანუ ველლეროფანტისთჳს, რამეთუ ორივე ესე საეკუველ არს. რამეთუ თბრობაჲ იგი ეუე არს. რამეთუ მამულსა ველლეროფანტისსა აღმოეცენა მკეცი რაჲმე სამცხოველი, რომელსა წინა-კერძოჲ იყო ღომისაჲ, და უკუანა-კერძოჲ იყო მფრინველისაჲ, ხოლო საშუალი მისი მფრინველ. ვინაჲცა მძვნარედ განხრწნიდა სოფელსა მას ლუკიელთასა, სადა იგი მეფობდა პრეტოს, რომელმან უბრძანა ველლეროფანტის მოკლვაჲ მკეცისაჲ და, რომელსა ეწოდებოდა ჰიმერაჲ, მს შევათაგან მისთა აღმოეცინებოდა ცეცხლი, რომლითა ძნად მოსაკლავ იყო. ხოლო ველლეროფანტი ღმრთისა მიერ განმარჯულებითა პოვა ცხენი პილასოჲ, რომლისათჳს ითქუმოდა ქონებაჲ ფრთეთაჲ, და წყალი დამოსწუთოდა ბრჭალთა მისთა. ვინაჲცა მის მიერ მოუკლა ბრძოლად მკეცსა მას, და თანაშემწედ აქუნდა ფრთოვანება იგი ცხენსაჲ, ფრთოვანებისათჳს მკეცისა, და დადვა წუერსა ჰორლისა თვისისა გრგოლი ტყვისაჲ და შთაუგდო იგი პირსა მკეცისა მის ჰიმერად წოდებულისასა, რომლისა მიერ აღმომდინაროა ცეცხლითა განიდნო ტყვი იგი, და მყის მოაკუდინა მკეცი იგო» (საქ. მეხ. ხელთნ. A—16, ფ. 333ა; A—109 გვ. 85).

Περὶ τοῦ Πηγῶσου.

Τῆς Πατρικῆς χιμαίρας ἀναφύσεως, περὶ ἧς μέμνηται καὶ οὗτος ὁ θείος Ἱεροφόρος ἐν τοῖς Σηλητεύταισις, ἐν ἱστορίᾳ πεντηκостῆ, καὶ λυμαιομένης τῆς χάριος τῶν Λυκίων, καὶ τοῦ Προΐτου βασιλεύοντος τῆς Λυκίας, προσεσάχθη ὁ Βελλεροφόντης ἀποκτείνει τὴν Χιμαίραν. Ἦν δὲ τὸ ψηφίον, ὡς ἀκείσοι παρεσησάμεν τοιοῦτον ἀρθσθίε μὲν λέων, ἢ πεισθίεν δὲ δόρακων, μέσον δὲ Χιμαίρα· ἔξ ἧς χιμαίρας τὸ πῦρ ἀνεδίδετο. καὶ ἦν δυσάλωτον τὸ ψηφίον. Τὸν ἑταρον οὖν Πηγῶσον ἐκ θεῶν εὐδύν ὁ Βελλεροφόντης, ὃς ἐλέγετο ἔχειν πτερά, καὶ ὑδωρ ἀπὸ τῶν ὑνύχων ἀποστράζειν, κλῆθῶν, σὺμμαχον εὐδύν τῆν λεύσιν τοῦ ἑταρου, διὰ τὸ εἶναι πτερωτόν, ὡς εἶπον, καὶ σφαιρῶν μολεῖκθου πτεριμείξ ἐν τῷ ἀγκρῶ τοῦ δόρατος, ἀπὸς Βελλεροφόντης ἐνέβαλεν εἰς τὸ στήρα τῆς Χιμαίρας, καὶ ἀπὸ τοῦ πτερός διεκῆθη ὁ μολέκθος, καὶ ἀνέβλε τῆν Χιμαίραν (Migne, PG 36, 1061).

რიტორებისათვის ვითენიმე შემოიღებენ, ვითარმედ ამისსაცა კელოვ-
ნებასა რეცა ცეცხლ-მბერველობისა ძალი აქვს უბრძოლველობისათვის
და დაუპრობელობისა» (საქ. მუზ. ხელთნ. A—109, გვ. 55, სქო-
ლიო). ვის ეკუთვნის ეს სქოლიო, ბერძენ კომენტატორს თუ ეფ-
რემ მციოჩეს, ჯერ-ჯერობით არა ჩანს¹, მაგრამ ვფიქრობთ,
რომ იოანე პეტრიწი ამ კომენტარებსაც იცნობს, ისევე, რო-
გორც ის იცნობს სხვა სქოლიოებსაც, რომლებიც „ეპიტაფიის“
იმავე და მომდევნო გვერდებზეა მოთავსებული.

2) რიტორიკის სამსახეობაც მომდინარეობს გრიგოლ
ნაზიანზელის სიტყვის კომენტარებიდან:

<p>იოანე პეტრიწი</p> <p>«იგიცა სამად განიყოფების: თანამზრახველობისა, შეპაექრობისა და დღესასწაულობისა» (ჩე. გამ. II 223,10—12).</p>	<p>ეფრემ მციოჩე</p> <p>«სამნი სახენი არიან რიტორე- ბრისა სწავლულებისა გამომეტ- ყულებისანი— თანაგამზრახობი- თი და სადღესასწაულობითი» (საქ. მუზ. ხელთნ. A—16, გვ- 280ა).</p>
--	--

3) გრამატიკოსობის შესახებ ნაწილში (II 223,21
შმდლ.) გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვიდან მოტანილ ციტა-
ტას (იხ. ზემოთ, გვ. XXXVI) პეტრიწი ურთავს თავის განმარტებას.
(II 223,26—34). ასევე მოიპოვება განმარტება «ლრამმატიკოსობი-
სათვის» ეფრემ მციოჩის თარგმანთან დართულ სქოლიოებში:

«ლრამმატიკოსობისათვისი არს ელენ ყოფაჲ ენათაჲ. რაჲთა
განარჩევდეს თითოეულსა ნაწილსა მათსა, ვითარ რაჲმე შეჰკავს ად-
გილ-ადგილობასა სიტყუათა და უბნობათა სოფლიოთასა მათ თანა
შეზავებად და კუმევად ღრმათაცა და საწარმართოთა სიტყუათა,
რაჲთა განიგონებდეს თქუმულსა და მიუგებდეს კითხულსა.

«მსეცა ღრამმატიკოსობისათვისი არს. არა ხოლო ყოველსავე
საზღაპროსა თხრობასა კელოვნებით მიცემად და შემოკრებად, არა-
მედ თხრობასა მას შინა მყოფთაცა ლექსთა წიგნურისა სიტყუსათა
არა უმეტრებად, ვინაჲთგან არა ხოლო ყოველსავე გულისკმის-ყო-
ფითსა და სახისმეტყუელებითსა ძალსა უმეტარ ვართ, არამედ მრავალსა
რას თვთ ლიტონად სიტყვთ ოდენ კუმევესა მათსა დაეაკლ-
დებით.

«მსრეთ უქმს ღრამმატიკოსსა უწყებად და ცნობად ძალსა სი-
ტყუათასა, რაჲთა მეუფებრ ზედამდგომელ და მბრძანებელ იყოს

¹) აქაც და ჭეშმთაც მოყვანილ პარალელებში იოანე პეტრიწის
„განმარტებიდან“ და გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვის კომენტარებიდან
ჯერ-ჯერობით ყოველთვის არ ირკვევა, თუ რა ეკუთვნის ბერძენ კომენტატორს
და რა ეკუთვნის ეფრემ მციოჩეს.

მათა მათ განტენათა და შემოკრებათა. და ადგილსა თითოეულისა მარტულათა და ნაწილთასა, ვითარცა ბანაკოებანად განწყობილსა, მისცემდეს თითოსახისაებრ გამოთქუმულთა სიტყვს-მზომელობისა და ყოელისა მუკლედობათაგან კუეთისა და შედგომისა და სხვსა სიტყვთა კელოვნებისა შეწყობად და კრძალულებით ცნობად» (საქ მუხ. ხელთნ. A—109, გვ. 55, არშიაზე).

აქ პეტრიწისა და ეფრემ მცირის განმარტებები სრულიადაც არ ხედება ერთმანეთს გამოთქმების ან აზრების მხრით; ისინი ხედებიან ერთმანეთს მხოლოდ საკითხების დასმაში, სახელდობრ, რომ მწიგნობარი უნდა არჩევდეს იმას, თუ სად რა სიტყვა იხმაროს და როგორ ყოველ მარტულსა და ნაწილს სიტყვისას თავთავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი¹.

4) ფილოსოფიის შესახებ მოცემულ განმარტებას, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვიდან არის ამოღებული (იხ. ზემოთ გვ. XXXVII), მოსდევს იოანე პეტრიწის საკუთარი მჯსელობა: «ხოლო შენ იხილე ჩემდად, თუ ვითარ ღმრთისმეტყუელი ყოველსა ფილოსოფოსობასა უწამებს მეგობარსა თვისსა ბასილის, რამეთუ ფილოსოფოსობა ანუ ბუნებით-მეტყუელებს და ითქუმის მხედველობითად; ანუ ქცევათა და ჩუეულებათა შეამკობს და ითქუმის საქმითად; ანუ სიტყვებებითა წინააღდგომობით წინადადებათათვის შთამოვალს, რომელთა მიერ შექმზადებს ვიდრემე შესატყვისსა სჯულთა თვისთასა და რაჲცა იგი ენებოს, ხოლო უკუნ აქცევს წინააღმდგომთასა და იწოდების წინააღდგომაჲ მეტყუელებითად და განმსიტყუელობითად. ესე ყოველნიო, იტყვს, წარმართნა დიდმან ბასილმან» (ჩე. გამ. II 224, 13—22). ამავე საკითხებზეა მსჯელობა ეფრემ მცირის თარგმანთან დართულ სქოლიოებში:

¹) აქ ყურადღებას მივაქცევთ ერთ ჩამონარქვანს, რომელსაც ხმარობს პეტრიწი: «ღრამმატიკოსობაჲ არს გამომძღელი მოქმედთაჲ (მოქმედი—*ποιητής*) და აღმწერელთაჲ, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამოთქუმელობისა, და გამოაჩინებს მოქმედებითა სახეთა, თუ ვითარ ჯერ არს გამოთქემა, და ენათ-მეტყუელებათა და მატანთა მთქმელობასა გარდასცემს და მზა-მეტყუელებათა, ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებს და შესატყვისობათა გარდმოსცემს, და უმჯობესი არს ნაქმართა განმრჩეველობაჲ» (ჩე. გამ. II 223, 28—34) განმარტება, მოცემული სიტყვისათვის «მზა-მეტყუელებათა» (ესე იგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოიპოებს» და სხვ.), ცხად ჰყოფს, რომ აქ იგულისხმება ბერძნული ტერმინი *ἐπιμορφία*, ხოლო ამ ტერმინის გადმოქართულებისას პეტრიწს შეეძლოა მოსულია, რადგან *ἐπιμορφία*-ში პირველ ნაწილად ამოუკითხავს სიტყვა *ἐνομο* („მზა“) ნაკვლად სიტყვისა *ἐλεος* („ნამდვილი მნიშვნელობა“, „ძირის წარმოშობა“) (საშუალ ბერძნულში ხშირია ორთოგრაფიული აღრევა *ἐ,σι*, რადგან ორივე გამოითქმოდა ოთვორც *πζ*¹).

«სამ სახელ განაჩინებენ ფილოსოფოსობასა: ხედვითად და საქმითად და სიტყვერებითად, ხოლო ვიეთნიმე ორლანობითადცა. და ერთსა მას ნაწილსა მისსა, რომელ არს სიტყვერებითი, კულად განაქოფენ: გამოჩინებითად, და გამოთქუმითად, და მესობრძნობითად, ვინაჲცა დიდი ესე მოძლუარი შემდგომად ხედვითისა და საქმითისა იტყვს, ვითარმედ «რაოდენი არს სიტყვთ გამოჩინებითი და წინადადებითი და განწყობითი, რომელსა სიტყვს-გებითად სახელსდებენ». გამოჩინებითთა უკუე გამოცხადებადობასა მოასწავებს. და წინადადებითთა თანა აქუს წინაგანწყობითიცა, რომელსა სიტყვს-გებად სახელსდებენ. ხოლო არა ერთად შემოკრებილად ყოველსავე სიტყვერებითსა სიტყვს-გებად იტყვს. რომელი ესე ვითარმცა თქუა მან, რომელმან ყოველთასა უფროჲს უწყოდა, ვითარმედ გამოთქუმითი იგი არა ყოველსავე სიტყვს-გებელისა მიმართ ჰყოფს სიტყუასა, არცა საგონებელისა ვისმე მიმართ, რამეთუ სიტყვს-გებაჲ სხვსა მიერ აღძრული არს კეშმარიტად და სხუათა-მიერთთა საგონებელობათაგან შემოკრებების, არამედ შემოღებითა არს სანდა კეშმარიტად შემოსაღებელსა საქიროთა და თვთ მოგონებულთა პირთაგან გამოჩნდების. არცა საჩინოთაგან და საგონებელთა, არამედ რომელი კეშმარიტად იყენეს, თვთ მათგან ოდენ განიწესების, რამეთუ აქუს რაჲმე მესობრძნობითსა სიტყუაჲ, რაჲთა ნუ უკუე და საზოგადო სახელ იყოს ამათ ყოველთა. ხოლო გამოჩინებითსა ესე აქუს საქმედ შემოკლებულად თქუმულად, რაჲთა ბრძნად იტყვს ბრძენსა, რაჲმს თანა შეატყუეს იგი უგრძნოჲსა მიმართ და უსწავლელისა, რაჲთა არა ვითარმედ სულელისა. რამეთუ არცალა ჯერ არს გინებულ-ყოფაჲ აზნაურებასა ბრძნისასა ესე ვითართა გამოსაჩინებელთა მიერ. ვინაჲცა დიდმან ამან მოძლუარმან არა ყოველისავე სობრძნის-მოყუარებისა და ფილოსოფოსობისა სახელად თქუა სიტყვს-გებითი, არამედ მის და დიდისა თქუმაჲ თვს ეყვის. ხოლო წინააღ-ღგომითთა სიტყვს-გებითად, ხოლო წინაგანწყობითთა მესობრძნობითად, გინათუ შემოკლებულად სიტყვს-გებითისა მიერ თქუნა ორნივე. რამეთუ აქუს რაჲმე თვსებაჲ სიტყვს-გებითისა მიმართ მესობრძნობითისა ვითარცა ზემო ითქუა..» (საქ. მუხ: ხელთნ. A—109, გვ. 55, სქოლიო).

5) ვარსკვლავთ-მრიცხველობის შესახებ გრიგოლ ნაზიანზელის სიტყვიდან მოყვანილ ციტატას მოჰყვება შემდეგი განმარტება:

«რამეთუ წმიდამან ბასილი ვარსკვლავთა იგი თხზვანი, რომელთა ნიერ მოსპობილ იქმნების მათდა-ნი მხედველთა და შედგომილთა

'Αστέρων μὲν... πλῆθος καὶ
εὐχίματα, δ' ἄν ἀναρῆται· ἢ
πρόσθεται, καὶ γίνονται καὶ ἐμπαρ-
μένῃ, καὶ τὰ ἀπαιτῆσαι· καὶ

მიერ წინმოუარნობაჲ ღმრთისაჲ და შობასა და ბედსა და სუესა და შესრულებათა რათმე და ქცევასა ვარსკულაგეთასა მიმცემელობაჲ მყოფთა და ქმნულთაჲ, ვითარცა ყოვლად წინააღმდგომი ღმრთისაჲ განწერწყუა და განიშორა; ხოლო ცნობაჲ ოთხთა ეამთა ქცეულები-საჲ, თუ ვითარ იქმნებიან განწყე-სებულისა მისგან მნათობთა მოძრაობისა და ღმრთის-მიერისა წესიერებისა ზეციერთაჲსაგან დაკვრე-ვებაჲ დამბადებელისაჲ და ზომი-საებრ მნათობთა ზათ ხიშანებისა გამომკულეველობაჲ, რომელნი ნო-ტიობასა ცხად ჰყოფენ ანუ უნო-ტიობასა, გინა ქართა მძრველო-ბასა ანუ სხუასა რასმე ესე ვითარსა — ესე არა განავდო, არამედ შეიწყ-ნარაჲ (ჩვ. გამ. II 224,30—225,7).

ბერძნული კომენტარი ეკუთვნის უცნობ ავტორს.

6) მინო სისა და რადამანთის ხსენებაზე (იხ. ზემოთ გვ. XXXIX) იოანე პეტრიწი მოგვითხრობს მათ შესახებ მითს. რომელიც ემყარება ნონნეს კრებულში მოცემულ მოთხრობას Περὶ τῶν Ἡλυσίων ἀνέμων (Migne, PG 36,1041). ეს მითი მოი-პოვება წაგრეთვე ეფრემ მცირის „ზღაპრობებში“, მაგრამ ის არ წარმოადგენს დღეს ჩვენს განკარგულებაში არსებული ბერძნული ტექსტის თარგმანს; არც იოანე პეტრიწის ნაშრომში დაცული ტექსტი ამ მითისა მისდევს ბერძნულ დედანს.

ეფრემ მცირე

«მეათხუთმეტე თხრობაჲ არს მინოოხსა და რადამანთოხსათჳს, ესე იგი არს მინო და რადამანთო ითქუმიან ძედ დიოხსა. მინო იყო სჯულის მდებელად ჩენილი მამის-გან, ხოლო რადამანთო მსაჯულ-სამართლისა, რომელსა მამისგანვე ესწავა სიმართლე. ამისთჳს უკუე იტყვან გამომეტყუელნი და თვთ პლატონცა, ვითარმედ მორაჲკუ-

კა: τὸν τῆς φεραῆ τὸν ἀστραὸν ἐ-
δὴνα: τὴ ζῆτα καὶ τὴ γινόμενα
ἐξέπτυσσε. τὸ δὲ εἰδέναι, πῶς γί-
νεται αἱ τῶν τεσσάρων ἰσῶν
ἐναλλαγῆαι ἐν τῆς τεταγμένης
τῶν φασήρουσιν ἀνίσεως, καὶ τὸ
ἐν τῆς ἀρμενίας τῶν ἀβρα-
νίω, τὴν θεματογραφίαν: φασμάται,
καὶ τὸ σταυμέτρως τὴ ἀπ' ἀν-
τῶν σήμεια περιεργάζεσθαι,
ἐπεμψεῖαν θελήσαντα ἢ ἀγχεῖν
ἢ πνευμάτιον ἀνίσειν ἢ τὴν το-
σαντα, ὅτι ἀπίσταται, ἀλλὰ περι-
σεδῆξαι (Migne, PG 36,911).

პეტრიწი

რამეთუ ამას თანა ცულ და ამაო-
საღმე იქმნენ მინო სისი იგი და
რადამანთჳ, რომელთა იტყვან
ელენნი, ვითარმედ ძენი იყვნეს
დიოხსნი, და თითოეულმან
მამისა თჳსისაგან პატივი მიიღო:
მინოს ვიდრემე განმკაცრებული
სჯულის-მდებელობაჲ, რომელნი
ესე ღირს ყვნეს პლატონიეთ
სამოთხეთა ასფოდელოან-

დეს ესენი, ვერ ეუფლა მათ ბნელი, არამედ ჰალაკმან ნეტართამან და ველმან ილკსიოჲსამან შეიწყნარნა იგინი. ხოლო სახელი ილკსიოჲსაჲ, რომელ არს ალკსიოჲ გინა აპოლკსიოჲ¹, ესრეთ გამოითარგმანების, ვითარმედ «განსასუენებელი უჯაქოჲ», ესე იგი არს ადგილი კსნილი და თავისუფალი ტანჯუათაგან. ხოლო ასფოდელტოჲ სახელი არს მწუჟანვილისაჲ, რომლისა სული სულნელ და ფერი შუენიერ და ძირი მისი წამალ სარგებელ» (საქ. მუხ. ხელთნაწერი A—16, ფ. 335ა; A—109, გვ. 87—88)².

თა, ესე იგი არს სამოთხეთა, რომელთა შინა მრავლად არს ასფოდელტოები, რომელ არს ყოვლად სარგებლიან შუენიერები ნერგები, ასფოდელტოდ სახელდებული. ხოლო ღირს ყვნეს იგინი ველთაცა ილკსიოჲსთა, ესე იგი არს ქუეყანასა რასმესაშუებსა უბრწუნელსა, რამეთუ ილკსიო უჯაქოდ და განკსნილ თავისუფლად ითარგმანების. ხოლო ესრეთ ამათ სახელსდევს ჩუენისა სამოთხისაგან გამო სწაელულთა მპარველობითგან მოსეანთა წიგნთაგან, დალათუ სახელითა სამოთხისაჲთა განსხუაკმადეს, რამეს უწოდოს მას ველად ილკსიოჲსად და სამოთხედ ასფოდელტოსად (ჩე. გამ. II 225, 19—26).

7) ლაბირინთის შესახებ მოყვანილ ციტატაში (იხ. ზემოთ გვ. XXXV¹) იოანე პეტრიწს ჩართული აქვს განმარტება: «რომელი იგი იყო ქუაბი მრავალხრახნილად ქცეული და ძნიალ წიაღსაველი და ძნელად გამოსაველი». ეს განმარტება ამოღებულია იმავე ნონენს კრებულში მოთავსებული მითიდან:

ეფრემ მცირე

ნონენე

მეთათხმეტე თხრობაჲ არს ლავკრინთოჲსათჲს. ლავკრინთოჲ მთაჲ არს კრიტისაჲ და მას შინა ქუაბი მღვმოვანი, ძნელი შთასაველად და აღმოსაველად, სადა შთავდებულ იქმნა

Περὶ τῆς λαβυρίνθου.

Ἐν τῇ Κρήτῃ τῇ νήσῳ ἕρως ἔπειν, ἐν ᾧ σπήλαιον ἀνερῶδες, καὶ δῆσοιδον περὶ τῆν ἀλάσοιδον, καὶ δασοχερὲς πᾶν περὶ τῆν ἀν-

¹) ღინა აპოლკსიოჲ აკლია A—109-ს.

²) ბერძნული ტექსტი: Ἰσοπερ ὁ χειριστικὸς ἰσως ὑπογράφει τὸν εἶναι τοιοῦτον. οὕτω καὶ οἱ Ἕλληρες ὑπογράφουσι τινα χῶρον. ἢ καλοῦσι Μαζάρον νήσον. Καλοῦσι δὲ αὐτὸν καὶ Ἠλύσιον πεδίον, παρὰ τὸ Ἠλύσιον εἶναι τὸν ἄνθρωπον, ἔχει δὲ τὸν δικαστικὸν ἀξίαν. καὶ δικάζων τοὺς ἐν Ἠλῶν καὶ τοὺς μὴ ἀξίους καλοῦσι. πέμπει παρὰ τὸν Κωκροῦν καὶ τὸν Πρωκλεῖ-Μονταροῦν δι' ἀγαθὴν ἐπισημῶν, παρὰ τὸν Μαζάρον νήσον (PG 98, 1011).

მინატაეროს. და ვინაჲთგან ძნელ იყო განვლავ ლავკრინთოჲსაჲ, ამის-თვსცა აწ ღმრთისმეტყუელმან სახელ მოილო ძლიერებისა და განუ-ლტოლველობისა დიდის ბასილის სიტყუათასა. არა ხოლო ესე, არამედ ბადესაცა რასმე იტყვს, რომელსა შეიქმან მსხვლთა საბელთა მიერ სანადიროდ ლომისა, დათვსა, ირმისა და სხუათა უძლიერესთა მკეტთაჲ (საქ. მუზ. ხელთ. A—16, გვ. 334b; A—109, გვ. 87).

ამრიგად, სრულიად ცხადია, რომ ბოლოსიტყვაობის უკანასკნელი ნაწილისათვის იოანე პეტრიწს წყაროდ გამოყენებული აქვს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებები და მათ შესახებ დაწერილი კომენტარები. მაგრამ რამდენადაც ჩვენ ვთქვით ზემოთ, რომ ბოლოსიტყვაობის უკანასკნელი ნაწილი დანარჩენ ნაწილს მოწყვეტილად ჩანს შინაარსობლივად, შეიძლება აღამიანმა იფიქროს, თითქოს ეს უკანასკნელი ნაწილი არც ეკუთვნოდეს პეტრიწს. მაგრამ გრიგოლ ნაზიანზელისა და მისი კომენტატორების გამოყენებას პეტრიწის მიერ ჩვენ ვხვდებით ჩვენი ძეგლის სხვა ნაწილებშიაც, როგორც იმავე ბოლოსიტყვაობაში—ისე თავთან კომენტარებშიაც.

1) ბოლოსიტყვაობის ერთ თავში, რომლის სათაურია «ბოროტთა უარსობისათვის» (II 212, 12—215, 2), მსჯელობაა ბნელისა და ნათელის შესახებ; აქ იოანე პეტრიწს მოჰყავს აზრები ჰესიოდესი, პლატონისა, მანისა და სხვათა და ამბობს: «რომელთა და ისიოდოსცა მოქმედი (πινητής) თან მიუკმობს მეტყუელი: იყო ოდესმე ხაროჲ და ერეოჲ, ვინაჲ ესეობს რური და საწყმედოჲ უკუნობითა, რომელი მბადმან გაადღეა ღმრთისმეტყუელებითთა გუართა ნივთსა ზედა წარმობეჭდვითა; და ზედ კუალად: ვინ ღმერთი თვნიერ და ერთი მიზეზი ყოველთაო. ვინაჲ და ნათლებრ ბრწყინვალედ და თან დაედასებიან მას პლატონ და პლატონურნი მონაცვალენი საყდართანი ყოველნი, და მანენს, და ყოველთა წვალეებისა მისისა თანმისუმურთა, რომელნი ორთა წარპრევდეს მიზეზთა ვითავე კეთილისასა, ესთავე და წინმეწყვისა ბოროტისასა...» (ჩე. გამ. II 213, 4—13). ჰესიოდეს შესახებ ნათქვამი, რომელიც ქართულში გაუგებარია («იყო ოდესმე ხაროჲ და ერეოჲ»), იქნებ გასაგები გახდეს, თუ დავეუშვებთ, რომ აქ ტექსტი შერყვნი-

δ ο ν· ἐν ᾧ λέγεται ὁ Μινώταυ-
ρος; ἐμπίληθῆναι. Ἐπει ὅν ἔσ-
χερὲς τὸ ἐκβῆναι τοῦ λαβύριν-
θου, ὅν ὁ Φεῖος Γρηγορίου ἔλα-
βεν αὐτὸ ἐπὶ τοῦ λόγου τῶν ἀφ-
ύκτων, ὡν οὐδεις ἠδύνατο ἐκφυ-
γεῖν, ἀλλ' ἠλίσκετο. Ἐπιφέρει δὲ
καὶ τὰ: ἄρα· ἄρα· ἄρα· ἄρα· ἄρα·
ὅς ἐστιν εἰδὼς δικτύου παχυσχίνου, ὁ ἐσ-
τάει πρὸς μίθραν λέοντος, ἡ ἄλ-
λου τῶν ἰσχυρῶν ζώων (Migne,
PG 36, 1064).

ლია და უნდა ყოფილიყო იყო ოდესმე 'ხაოა და ეთროია' (იყო ოდესლაც ქაოსი და ეთერი), რაც მოგვაგონებს ნონნეს კომენტარების ერთ ფრაზას, პესიოდეს შესახებ ნათქვამს: *θὺν ἔχ τὸν χάος καὶ ἔχ τὴν αἰθέρα ἐγενηθήθ' ὁ θεὸς* (Migne, PG 36, 1025 *Περὶ τῆς τῶν Ἑσόδδου Θεογονίας*); რაც შეეხება პლატონისა და მანიქველების შესახებ ნათქვამს, ის მთლიანად ამოღებულია პეტრიწის მიერ ელია კრეტელის კომენტარებიდან, სადაც ვკითხულობთ:

ἄσπερ δὲ Πλάτων καὶ οἱ περὶ როგორც პლატონი და მისი
 τούτων... ἰντα καὶ Μανιχαῖσι, მოწაფეები,... ისე მანიქველნიც
 δὲσ ἀρχὰς ληρόντες, ἀγαθὸν καὶ ორ საწყისზე ცულ-მეტყველებენ,
 κακὸν, φῶς καὶ σκότος, ἀγέννη- კეთილზე და ბოროტზე, ნა-
 τὸν τὸ σκότος; ἐσάγουσιν¹ (Mig- თელზე და ბნელზე, და აღუგე-
 ne, PG 36, 900). ბელი ბნელი შემოაქვთ.

2) გამოთქმაც აულუმპინათა ძლევანი», რომელსაც პეტრიწი ხმარობს ქართველ მწიგნობრებთან კამათში (ჩე. გამ. II 219,26) უნდა მომდინარეობდეს გრიგოლ ნაზიანზელისა და მისი კომენტარების ტექსტებიდან. ასე გრიგოლის ერთი სიტყვის («სიტყუაჲ მაკაბელათაჲს») ეფრემ მცირისეულ თარგმანს არშიაზე უწერია: «ესრეთ უწოდიან ულუმპიურთა საბრძოლითა მძლესა: ულომპიო მძლედ: ვითარცა ულუმპიანი მძლესა» (საქ. მუხ. ხელთნ. A—16, ფ. 329b)².

3) ჩვენი ძეგლის რამდენსამე ადგილას ლაპარაკია მეხუთე ელემენტზე: ოთხი კავშირის—ჰაერის, წყლის, მიწისა და ცეცხლის—გვერდით საუბარია ცის შესახებ:

II 53, 10 «დალათუ მეხუთისა არსებისა და უბრწომაჲსა, მაგრა სხეულეე...»;

II 211, 18-19 «ვინაჲ მუნით იწყე მეწარმოემან და მეხუთისა მის არსებისათჲს, რომელსა ჩუენ ცად უწოდოთ, და ყოველთა სამკთა მისთჲს»;

II 211, 31-32 «აწ წინმეტჲე იბუნებათმეტყუელებს მეხუთისა მის არსებისათჲს, რომელ არს ყოველივე მემკუეეობაჲ ცისაჲ»;

II 215, 23-24 «ვითარ შენაკუთებაჲ ესე და შესფეროებაჲ

¹) კომენტარი ეხება გრიგოლის XXIX სიტყვის ერთ ადგილს.

²) სკოლიო მიეკუთვნება გრიგოლის სიტყვის იმ ადგილს, სადაც სწერია: «ვაჲ, ჳ ყრმანო, ვაჲ რჩეულნო ჩემნო, *Εὐγε, ὦ παιδες, εὐγε ἀριστεῖς ἐμοί, ვაჲ განცხადებულად უკორცონო... ვი- εὐγε ἀσάματοι σჯებν... ἄσπερ τῆς* თარცა ულკმპიო მძლემან მაღლი- *Ὀλυμπιουίτης, ἐν ἄσπιδι τῷ φρι- თა ცნობითა და კვლნი განიყრნა... σίματι, καὶ τῆς χεῖρας ἐκτείνασα...*

მეხუთისა ამის არსებისა და სფეროებრ მრგულრივითისა ცისა და ყოველთა სამკთა მისთაჲ;

II 216, 1-2 «მიდრეკაჲ მეხუთისა მის არსებისაჲ უცხო და გამოყოფილ სხუათაგან».

პეტრიწის ეს მსჯელობა ცის შესახებ უკავშირდება არისტოტელეს გამოკვლევას *Περὶ οὐρανοῦ* («ცისათვის»). ამ გამოკვლევაში, განსაკუთრებით პირველი წიგნის მეორე თავში მსჯელობაა სხეულთა მოძრაობის შესახებ; მოძრაობა უმთავრესად ორნაირია: პირდაპირი—*εὐθεία*, ან მრგვლივი—*κύκλι* (არის ამათგან ნარევიც *μακρῆ*). პირდაპირ მოძრაობას განსაზღვრავენ ზევითა (*ἄνω*) მიმართულებით ცეცხლი (*πῦρ*) და აირი (*ἀήρ*), ხოლო ქვევითა (*κάτω*) მიმართულებით წყალი (*ὑδωρ*) და მიწა (*γῆ*). ამგვარად სრულყოფილი მოძრაობისათვის საკმარისი არ არის ის ოთხი ელემენტი. «აქედან ცხადია, —ამბობს არისტოტელე—რომ, გარდა სხეულთა იმ მდგომარეობისა, არის კიდევ რაღაც სხვა არსება სხეულისა (*Ἐκ τε τῆ τούτων φανερόν, ὅτι πέφυκέ τις ὁ σῆμα αἰθερῶς ἄλλῃ παρὰ τὰς ἐναεσθια συστάσεις*); ის არის *μειότερα καὶ πρῶτα* τούτων *ἀπάντων* „უღმრთივესი და უპირველესი ყველა სხვათა“ (*Aristotelis Opera, Parisiis [Didot] 1883, ტ. II, 368-369*). ეს არის *πρῶτος οὐρανός*.

შესაძლებელია, პეტრიწი უშუალოდ იცნობდეს არისტოტელეს ამ აღვილს, მით უმეტეს რომ ცის ყოველობითი ხასიათის შესახებ შედარებით ოთხი კავშირის ხრწნალობასთან პეტრიწი, როგორც ზემოთ დაეინახეთ (გვ. XXIV), იცნობს არისტოტელეს ანალოგიურ ნაშრომს *Περὶ γενέσεως καὶ φθορᾶς*, —მაგრამ პეტრიწის მიერ ცის შესახებ ნახმარი განსაზღვრა (ამეხუთე არსება) უფრო მოგვაგონებს გრიგოლ ნაზიზელიისა და მისი კომენტატორების განსაზღვრას. გრიგოლი თავის სიტყვაში *Περὶ φεοლოγίας*: ამბობს: *εἰ δὲ αἶλον φήσομεν, εἰ μὲν τὸ πέμπτον, ὧς τισιν ἔδοξε, καὶ τῆν κύκλι φθορᾶν φερόμενον: ἔστω μὲν αἶλον τι καὶ πέμπτον σῆμα...* „თუ ჩვენ მას უნივთოს ვუწოდებთ, თუ მას მეხუთეს ვუწოდებთ, როგორც ზოგიერთი [იგულისხმეთ არისტოტელე] ფიქრობს, უნდა იყოს რაღაც უნივთო და მეხუთე სხეული“ (*Migne, PG 36, 36*); ხოლო კომენტატორი ელია კრეტელი სწერს: *Ἀριστοτέλης ὁ φιλόσοφος πέμπτον τι σῆμα τὸν οὐρανὸν ἔδογματίσθη, ἄλλο τι ὃν παρὰ τὰ τέσσαρα στοιχεῖα, γῆν, ὑδωρ, ἀέρα καὶ πῦρ...* „ფილოსოფოსი არისტოტელე რაღაც მეხუთე სხეულად ცას განსაზღვრავდა, რომელიც განსხვავებულია ოთხი კავშირისაგან—მიწის, წყლის, აირისა და ცეცხლისაგან...“.

4) უკანასკნელ, ცალკე გამოვეყოფთ პ რო კ ლ ე დ ი ა დ ო ხ ო - ს ი ს ე, წ. „ქრესტომათიის“ საკითხს.

როგორც ცნობილია, ჩვენამდე მოღწეულია ექსცერპტები ერთი ძველი „ქრისტომათიისა“, რომელშიაც ოთხ წიგნად ყოფილა მოცემული შესავალი ბერძნული ლიტერატურისა და გარკვეული ყოფილა საკითხები ბერძნული სალიტერატურო ენარებისა. იმდენად მნიშვნელოვანია ეს „ქრესტომათია“, რომ დღესაც მისი ცნობები გარდამწყვეტი მნიშვნელობისაა ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხებისათვის, მაგ., ეპიკური ციკლების საკითხისათვის (ჩვენამდე მოღწეულია ფოტიუსის „ბიბლიოთეკაში“ cod. 239 ექსცერპტები პირველი ორი წიგნიდან ბერძნული ეპოსისა და ლირიკის შესახებ). ამ „ქრესტომათიის“ ავტორად ლექსიკოგრაფი სვიდა (X საუკ.) აცხადებს პროკლეს ლიკიელს, ხოლო მეტი წილი თანამედროვე მეცნიერთა შეუძლებლად თვლის ამ „ქრისტომათიის“ მიკუთვნებას ნეოპლატონიკოს პროკლესათვის, თუმცა სვიდას ცნობაზე უფრო სარწმუნო საბუთი სხვა რომელიმე პროკლესთვის მისაკუთნებლად მათ არ მოეპოვებათ¹.

სვიდას გარდა ნეოპლატონიკოს პროკლეს მიაკუთვნებს „ქრისტომათიას“ გრიგოლ ნაზიანზელის ერთი სქოლიასტი, რომელიც სწერს: Περὶ τῆς καὶ Πρώτης ἢ Πλατωνιστὸς ἐν μαθητικῶν βιβλίων περὶ τῆς ἀρχαίας ἐπιχειρημαμένης — იმის შესახებ ამბობს პროკლე, პლატონური ფილოსოფოსი, თავის კრებულში [„მონობიბლოში“] კვიკლოსის შესახებ (Migne, PG 36, 914).

გრიგოლ ნაზიანზელის კომენტატორის ამ სიტყვებს მოგვაგონებს ერთი ადგილი იოანე პეტრიწის „განმარტებიდან“: «ამას ხედვასა თვთ თვისი წიგნი აქუს და „მონოვიელოჲ“» (II 196, 14), ე. ი. იმ დებულებების შესახებ, რომლებიც ამ (მე-190-ე) თავშია წამოყენებული, საკუთარი წიგნი მოიპოვება, რომელსაც „მონოვიელოჲ“ (μονοβίβλος) ეწოდებაო. ჩვენ არაფრის თქმა არ შეგვიძლია იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლებოდა პროკლეს „ქრესტომათიაში“ ყოფილიყო ლაპარაკი „კავშირ-

¹) ვიღამოვიცი ვერავითარ საბუთს ვერ ხედავს ეჭვი იქნეს შეტანილი იმაში, რომ ეს „ქრესტომათია“ პროკლეს ეკუთვნის, და ამბობს: დიდი შეცდომა იქნებოდა უარგვეყო ბიზანტიური გადმოცემა [პროკლე] ლიკიელის შესახებ და გვეძებნა სხვა რომელიმე მატარებელი ამ სახელისა. ამ გადმოცემისა არ სჯერათ, რადგან [ნეოპლატონიკოს] პროკლეს შესახებ ჩვენ რაღაც ვიცით, და ფიქრობენ, რომ სახელის მსგავსებამ წარმოშვა ეს გადმოცემა. და სწორედ სახელის მსგავსების საფუძველზე ასკენიან სხვა რომელიმე [პროკლეს] შესახებ, და, რასაკვირველია, აქ ისინი ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ წააწყდებიან, რადგან ამ [ახალი პროკლეს] შესახებ არაფერი ვიცითო (Homerische Untersuchungen გვ. 330, შგნ. 1).

ნი. ს. მე-190-ე თავში აღძრული „სულის თვითხოვლობის“ საკითხის შესახებ. შესაძლებელია ის წინადადება „მონოვიელოს“ შესახებ არც ეკუთვნოდეს ამ თავს და სხვა ადგილიდან იყოს აქ მოტანილი, მაგრამ, ცხადია, აქ პეტრიწი ლაპარაკობს პროკლეს შრომის შესახებ, რომელსაც ეძახდნენ „მონოვიელოს“. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს გამოთქმა: «თვთ თვისი წიგნი (ე. ი. პროკლეს წიგნი) აქუს და მონოვიელო».

იოანე პეტრიწის მიერ გამოყენებულ წყაროთა ნიმუშების განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ პეტრიწის სახით საქმე გვაქვს ისეთ მეცნიერთან, რომელსაც მეცნიერული საკითხების გადასაწყვეტად კარგად აქვს მომარჯვებული ტექსტუალური კრიტიკა და რომელიც ამ კრიტიკისთვის უშუალოდ მიმართავს პირველწყაროებს, ამ შემთხვევაში ბერძენ მოაზროვნეებს (პლატონს, არისტოტელე და სხვას). გარდა პირველწყაროებისა ის მიმართავს მოგვიანო დროის მოაზროვნეებსაც (მაგ., გრიგოლ ნაზიანზელს), რომლებიც თავის დროზე იმავე პირველწყაროების საფუძველზე მუშაობდნენ. ეს იყო მეცნიერული მუშაობას ის გზა, რომლითაც მიიმართებოდა XI საუკუნის მეცნიერება ბიზანტიაში და რომელსაც მისდევდნენ ბიზანტიური რენესანსის მეთაურები მიქელ პსელლოსი და იოანე იტალი.

არის თუ არა იოანე პეტრიწი ამ საქმის პიონერი ჩვენში? პეტრიწი არ არის პირველი, რომელმაც მეცნიერული მუშაობის ეს გზა აირჩია; ის არის მხოლოდ გამაღრმავებელი ამ გზისა, ის არის დამაგვირგინებელი იმ დიდი მეცნიერული მუშაობისა, რომელიც ჩვენში სწარმოებდა XI საუკუნეში. მასზე უწინარეს მეცნიერულ-აღმორძინებელ მუშაობას ეწეოდა ეფრემ მცირე, რომელიც თავის მთარგმანებლობითს მუშაობაში ისევე, როგორც იოანე პეტრიწი, ემყარებოდა ძველ ბერძენ და ბიზანტიელ მოაზროვნეთა ნაშრომებს.

ეფრემ მცირის სქოლიოებში, რომლებიც მას დაურთავს მის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებული თხზულებებისათვის, მრავლად ვხვდებით მითითებებს ძველ ბერძენ მოღვაწეებზე. აი, მაგალითად, რა სქოლიოები აქვს დართული გრიგოლ ნაზიანზელის ნაწერებს, ეფრემის მიერ გადმოღებულს:

1) «ყოვლისავე კეთილისა საქმისა წინა დადებული ბრწყინვალებაა მიზეზისა ოქროსა სუეტად ითქუმის სიტყვსაებრ პინდაროსსა» (ხელთნ. A — 16, ფ. 287a; ეს შენიშვნა ეკუთვნის გრიგოლის ტექსტის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია «ვა იტყვს პინდაროსს»).

2) «ისოკრატე იტყვს ამას ნიკოკლეოს მიმართ, ვითარმედ „მთავარ-ყოფაა გონდინ ნუ მძვნვარებითა ნუცა ფრიად მტანჯ-

ველობითა, არამედ რაღათა ყოველთა სძლო შენითა გონიერებითა»⁴; «და ამასცა ისოკრატისებრ იტყვის სადღესასწაულოდსგან მისისა. გარნა თუ ვინმე სიმცროვანათს უგულვებელს იქმნა» (იქვე, ფ. 294b; ეს სქოლორები ეკუთვნის იმ ადგილებს, სადაც ისოკრატისულ არ არის მოხსენებული).

3) «დიმოკრატისებრი არს სიტყუაჲ ესე. და მრავალ სახედ გულისკმის საყოფელი, ვითარცა შეეტყუებოდის ეამსა და ადგილსა» (იქვე, ფ. 298a).

4) «დიმოკრატოს და ირაკლიტოს ფილოსოფოსნი ბუნებათ-მეტყუელნი იცნობდეს და ამბილებდეს სოფლისა ამოებასა: ირაკლიტოს ჰგონებდა, ხოლო დიმოკრატოს იცინოდა რომელი შეიკრაცა სიბორჯილისა დაწადებითა რომელი სამარხისა ზედა წერილ არს» (იქვე, ფ. 318a; ეს სქოლიო ეკუთვნის გრიგოლის თხზულების იმ ადგილს, სადაც სწერია: «ვითარ იგი ითქუმის. შემთხუვეაჲ ვისიმე ელლინთა ფილოსოფობისგანისაჲ...»).

ამგვარი შენიშვნებით არის მოუენილი ეფრემ მცირის თხზულებათა ხელთნაწერების არშიები. ნაწილი ამ შენიშვნებისა ბერძენ კომენტატორებისაგან მოჰდინარეობს, ნაწილი თვით ეფრემს ეკუთვნის, ე. ი. მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც პეტრიწის ნაშრომებში დავინახეთ.

ასევე დგას იოანე პეტრიწის ენის საკითხიც. ჩვენში გავრცელებულია აზრი, თითქოს იოანე პეტრიწს რაღაც ისეთი „ახალი“ სალიტერატურო ენა შეექმნას, რომლის ნორმები ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს სცილდებოდეს, თითქოს მას შეექმნას რაღაც ხელოვნური ფორმები და თითქოს ამით იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ იოანე პეტრიწის ენა ძნელი გასაგებია და ბუნდოვანი. იოანე პეტრიწის ენა რომ ჩვენთვის მრავალ სიძნელეს წარმოადგენს, ეს უდავოა. მაგრამ საკმარისია აღამიანმა შეადაროს ერთმანეთს თუნდაც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტები ეფრემ მცირის და იოანე პეტრიწის თხზულებათაგან, რომ დარწმუნდეს იმაში, რომ მათ ნაწერებში არც ისეთი დიდი ენობრივი განსხვავებაა, რომ პეტრიწის ენის „ხელოვნურობაზე“ ვილაპარაკოთ. თავისებურებას იოანე პეტრიწის ენისა ქმნის ის გარემოება, რომ პეტრიწი ფილოსოფიური წიგნებისათვის მოითხოვდა სულ სხვაგვარ დაზუსტებას ტერმინოლოგიურ გამონათქვამთა, ვიდრე ეს მიღებული იყო «ადვილთა და ჩუეულთა სათარგმანთა შორის» (II 222,27).

რომ იოანე პეტრიწის ენა ხელოვნური კი არაა, არამედ მაშინდელი ქართული ენის ნორმებზეა აგებული, ამაში მკითხველს დაარწმუნებს ქვემოთ წარმოდგენილი მასალა.

§ 5. იოანე პეტრიწის ენა

საზოგადოდ, იოანე პეტრიწი იცავს ძველი ქართულის წორმებს. მაგრამ არის მის ენაში ზოგიერთი მხარე, რომელიც ჩვენს ჯურადლებას იპყრობს.

ზმნა. ჩვენს ძეგლში ხშირია შემთხვევა -ოე სუფიქსიანი ზმნების გამოყენებისა. როგორც ცნობილია, ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში თითო-ორჯერადი გადანაშთილაა შემონახული ამგვარი ზმნებისა: მალლოვინ, ცრემლოვინ, პერუვინ, პეროლოდა, თესლოლოდა, ცრემლოლოდა (იხ. აკ. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი... გვ. 10, 11, 16, 137; რომ აქ საქმე გვაქვს -ოე სუფიქსთან, ეს ნათელყოვ. თოფურიამ: ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფ. 1936).

რადგან -ოე სუფიქსიანი ზმნების საკითხში ზოგი რამ ჯერ-ჯერობით გაურკვეველია და ყოველ ახალ მასალას მნიშვნელობა ეძლევა, ამიტომ ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ყველა შემთხვევა. რომელიც კი გვხვდება ჩვენი ძეგლის ორსავე ნაწილში.

იქუნოი (v. l. იქუნოა): «ხოლო ოდეს ქუეშე მდებარედ გესმნენ ნაწილებითნი არსებანი და საყოველთაოდ, ნუ ვითარ არსებასა და შემთხუეითსა იქუნოი ვითარცა იტყვს არისტოტელი შორის „სიტყვერებითთა და ბუნებითთა“» (II 134,19).

«გესმას რაჲ ნათლად, ნუ გარეთ და ზედშემოსრულად იქნო, არამედ გაიგონე იგი თულად» (II 48,29).

ჰმეცადინოჲს: «ჰმეცადინოჲს სიელტოლად და განგდებად მას, და ზედ მოქმნად და შემოხნად სხუასა» («ცდინობს გაქცეს და გაყაროს მას და სხუას შეხედეს და დაუახლოვდეს») (II 73,1)

მრუმოის (იხ. ქვემოთ s. v. ღრიფოის).

ჰნათოის: «რამეთუ საუკუნესა შორის ჰნათოის მასცა უკუდავებაჲ ცხორებისაჲ» («მას [ი. ი. ხელს] სამულამოდ უნათებს უკვდავი ცხოვრება») (II 196,31).

ოცნოჲ: «ხოლო აქა შორობა რაჲ და სიახლე გესმეს, ნუ აღგილითა ოცნოჲ, არამედ სიმარჯჯთა და იგიგეობითა» (II 120,9).

უკუდაოჲს: «რამეთუ ნიადაგ იქმნების ყოველი არსებაჲ ცისაჲ, და უკუდაეოჲს ვითარ მიუდრეკელთა მიზებთაჲთ წარმოარსებული» (II 136,33).

ღრიფოის და მრუმოის: «ამათ ორთა თავთა სიკუოსა მიეც გონებაჲ დაქურეტად, რამეთუ მეტად ღრიფოის და მრუმოის, ხოლო ჩუენ მოეხადოთ საზოგადოსა ერმის» (II 183,23).

- პარალელურად იოანე პეტრიწი ხმარობს „ლრი-
ფობს“: «ესე თავი მეტად ღრიფობს» (II 161,10).
- ჰშუენოის: «და ვითარ ჰშუენოის მარადის ყუაველი საბწინთა.
და, ინდალმათაჲ მის პირველისა შუენიერებისა მიერ»
(II 87,12).
- ძნელოჲს: «რამე მოვე კიდე ვერ წარმოუყენებს განგებასა თვისა
გასაგოსა, და ესთა ძნელოჲს ხედეჲა ამის ხედვისაჲ»
(„... ასე ძნელ დება ამ აზრის განჭერეტა“) (II 161,21).
- წადნოის: «წადნოჲს მათლამი ზიარებასა, გეწადე კეთილობი-
საჲ» („ისწრაფის მათთან შეერთებას“, ოპტუენაი რეს
პერბჲ ანჲ სუაფრეს) (I 24,23).
- «რამეთუ ყოველი უკუნსაქცეველისა მიმართ ისწრა-
ფვის შეერთებად და წადნოჲს მის მიმართ ზიარებასა
და თანშეკრევისა» (... ოპტუენაი რეს პერბჲ ანჲ სუაფ-
რესჲ) (I 26,18).
- «რამეთუ რომლისა არა რაჲ არს აუპირველეს და
იმრრ და რომლისადმი ყოველი მოწლედ წადნოჲს,
ესე ნამდვლ ღმერთ» (... რეს ოპტუენაი რეს პერბჲ ანჲ
(I 69,27).
- «ხოლო კეთილობისა მიმართ ყოველი წადნოჲს
და ისწრაფის მიმთხუევად» (რეს ოპტუენაი რეს პერბჲ ანჲ
სუაფრეს) (I 83,6)¹.
- «ხოლო ერთობითა უბაძავს და უმსგავსებს ზესთ
განკარგულსა ერთსა და, ვინაჲთგან ჰგავს რაჲთვე, წად-
ნოჲს ტრფიალებად მისდმი» (II 83,33).
- «წადნოის მისლამი განცკბრებული» (II 84,25).
- «წადნოჲს მისლამი შემტრფალი» (II 129,5).
- «არლა უკუ ეტრფოს მისლამი და იწადნოჲს
თვისი შაერთებელი მიზეზი» (II 88,9).
- უწყაროის: «რამეთუ სამარადისოდ უწყაროის მათ ნათელი
უკუდავებისაჲ» (II 143,22).
- «რამეთუ ჰგიან და წყაროიან სამარადისოსა
მასვეობასა» (II 120,20).
- «აწ ესე ყოველნი სირანი მთაუართანი, ვითარ უმი-
ზეზონი და უბადნი, დგანან თვის-ქუეშეთა სირაჲს-შორის-
თა ყოველთაგან და წყაროიან თვის გამო არსთა ყოველ-
თა ანაქუსსა» (II 95,22).

¹) იგივე ბერძნული ხმა *ἐφίπτε* პეტრიწს სხვა შემთხვევებში (I 13,5; 26,8; 83,4) გადაკლებული აქვს იწადებს.

პ ა ზ რ ო ჯ: «ხოლო შენ ოდეს ზეობაჲ გესმას ანუ ქუეობაჲ, ნუ აღ-
გილთა წარმოიკერებ და პ ა ზ რ ო ჯ უსხეულოთათჳს და
განუზიდველთა...» (II 190,27).

«ესე არს ესე, ვითარმედ ნუ თუ თვთმდგომობად
პ ა ზ რ ო პირველი კეთილობაჲ...» (II 96,23).

ამრიგად, II Sing. არის წარმოდგენილი: იქუნოი, იქუნო,
ოქნოჲ, პაზროჲ, პაზრო;

III S.—ჰმეცადინოჲს, მრუმოის, ჰნათოის, უკუდავოჲს, ღრი-
ფოის, ჰშუენოის, ძნელოჲს, წადნოის, უწყაროის;

III Pl.—წყაროიან, წყროიან;

III S. Con.—იწოდნოოს¹.

რა ხასიათისაა ეს მოვლენა? წარმოადგენს ეს პეტრიწის
მიერ ენის არქაიზაციას, თუ სხვა რამეს უნდა მიეწეროს ეს მოვ-
ლენა? არის ზოგიერთი ნიშნები იმისა, რომ ეს პეტრიწის
მიერ ძველი წიგნებიდან მოტანილი მოვლენა კი არ არის, არამედ
ცოცხალ სალაპარაკო ენაში დარჩენილი უღვლილების ლიტერატუ-
რაში გადმოტანაა.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს პირველ ყოვლისა შემდეგი გარემოე-
ბა. —ოვ უღვლილება იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია ქართულ
ძეგლებში, ხალხურ ხასიათს ატარებს: ფორმებში. «მალლოვინ»,
«პეროვინ» (პეროინ) «თესლოვინ», «წადნოის» და მისთან. ხაზგას-
მული ი ძველი სალიტერატურო ენის კანონებით ზედმეტია და ის
არც უნდა ყოფილიყო (ამიტომაც არის ნამყოში მოცემული «პერო-
ოდა»), ხოლო ზემომოყვანილ ფორმებში ისევე უნდა იყოს გაჩენილი,
როგორც გაჩნდა ის ზმნებში „ტირ-ი-ს“ („ტირ-ოდა“) კატეგორიისა
ჯერ ხალხურ ენაში და შემდეგ გადავიდა მწერლობაში.

შემდეგ: ძველ ქართულ ძეგლებში შემონახული ნიმუშები —ოვ
უღვლილებისა მხ. რ. მესამე პირისათვის იძლევიან ნ-დაბოლოებას
(მალლოვინ, პეროვინ, თესლოვინ, ცრემლოვინ), ხოლო პეტრიწის
ნაწარმოებში დამოწმებულ ზმნებს მხ. რ. მესამე პირისათვის ყო-
ველთვის ს-დაბოლოება აქვთ. რომ პეტრიწს «წადნოის» ფორ-
მები ძველი ძეგლებიდან მოეტანა (და არა მაშინდელი სალაპარაკო
ენიდან) მაშინ, საფიქრებელია, ის მთლიანად არქაული ფორმით (-ნ)

¹ ჩვენ არ ეფიქრობთ, რომ ყველა ზემო მოყვანილი ზმნა ერთი კატეგო-
რიისა იყოს; ასე, მაგ., ზმნები მრუმოის, უკუდავოჲს, ღროფოის (რომელსაც მოე-
პოვება პარალელური ფორმა «ღრიფობს»), ძნელოჲს—საშუალო გვარისად ჩანს,
ზმნები იქუნოი, ჰნათოის—მოკმედებითი გვარისად, ხოლო წადნოჲს ზოგ შემთხვე-
ვაში გარდამავალი სახით მოჩანს წარმოდგენილი («წადნოჲს მის მიმართ ზიარება-
სა და თანშეკრებასა», «იწადნოოს თჳსი მავრთებელი მიზხვი»), ზოგ შემთხვევაში
კი გარდაუეღლად («წადნოჲს ტრფიალებად მისდმი»).

ისარგებლებდა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ «წადნოს» ფორმები პეტრიწის დროს ცოცხალი იყო და მან ისინი თავისი დროის სალაპარაკო ენიდან მოიტანა.

ზმნის ფორმათა ხმარებაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ერთგვარი დიფერენციაციის შეტანა პრევერბიანი და უპრევერბო ზმნების გამოყენებაში აწმყო—მყოფადის თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, ძველი ქართულის მყოფადი კავშირებითის სახით არის ნაწარმოები. იმ დროს როდესაც ახალი ქართული მყოფადისათვის ხმარობს აწმყოს და ურთავს პრევერბს; ის რაც ქართულში მყოფადია (მაგ., „მოვა“, „ავა“), ძველს ქართულში, ჩვეულებრივ, აწმყოს წარმოადგენს („მოვალს“ „ალვალს“). იოანე პეტრიწიც ძველი ქართულის ნორმებს მისდევს, მაგრამ, ჩანს, მის ეპოქაში ზოგჯერ უკვე შეინიშნებოდა პრევერბის ზედმეტობა აწმყო დროის საწარმოებლად. ეს მოვლენა მკაფიოდ მოჩანს პეტრიწის შრომის თარგმნითის ნაწილში: ერთისა და იმავე ბერძნული სიტყვისთვის ჩვენი ავტორი ხმარობს ქართულ სიტყვას ხან პრევერბით, ხან უნიმისოდ. ქვემო მოყვანილი მაგალითებით ჩვენ იმის მტკიცება კი არა გვსურს, თითქოს პრევერბიანი აწმყო მყოფადს წარმოადგენდეს (განმრავლდების, დაპბრწყინავს, დაეშყარებიან და სხვ.), არამედ მხოლოდ იმის მითითება, რომ პრევერბიანი აწმყოს გვერდით იოანე პეტრიწს მოაქვს (საფიქრებელია, მაშინდელი სალაპარაკო ენიდან) უპრევერბო აწმყო (ამრავლებს, ბრწყინავს, ეშყარებიან და სხვ.), იმ დროს როდესაც ბერძნულში ამ ორსავე ფორმას შეესატყვისება ერთი და იგივე დრო. მაგრამ ამ მოყვანილ მაგალითებში არის მაინც ერთი, რომელიც ზუსტად განსაზღვრავს აწმყოსა და მყოფადს: ესაა მაგალითი მეცხრე, სადაც «უძლებს», «უძლებენ» აწმყოს გამოხატავს და გადმოგვცემს ბერძნულ აწმყოს (δύναται), ხოლო «შეუძლებს» ერთს შემთხვევაში გადმოგვცემს ბერძნულ მყოფადს (δύνησεται).

- 1) გამრავლება: ამრავლებს (I 77,15) *πληθύνω*
 ამრავლებენ (I 77,17) *πληθύνουσιν*
 განმრავლდების (I 77,28) *πληθύνεται*
 გამრავლება (I 92,7) *ἐὶς πληθύνειν*.
 გამრავლებული (I 58,26; 106,33) *πληθυσόμενος*
 გამრავლებული (I 6,28) *πεπληυσσόμενος*
- 2) განწილება: ანაწილებს (I 77,15) *μερίζω*
 [განიწილა (I 40,25) *μερίζεται*]
 განწილებული (I 40,24; 54,22) *μερίζόμενος*.
- 3) დაბრწყინვა: ბრწყინავს (I 45,23) *ἐλλάμπει*

- უბრწყინავს (I 39,1) *ἐλλάμπει*
 დაპბრწყინავს (I 99,72) *ἐλλάμπει*
 დაუბრწყინდებიან (I 46,26) *ἐλλάμπονται*
 [უბრწყინავს (I 98,29) *ἐλλάμπει*].
- 4) დაძყარება: ეძყარებიან (I, 46,17) *ἐδράζονται*
 დაეძყარებიან (I 42,17) *ἐδράζασιν*.
- 5) თან-მიტომება: თან ეტომვის (I 79,8) *συγγενὲς ὅν*
 თანმიტომებული (I 54,18) *συγγενέ-
 στατος*.
- 6) თან-შეცვალება: თან იცვალებიან (I 125,19) *συμ-
 μεταβάλλει*
 თან შეიცვალოს (I 49,29) *μετα-
 βάλλει*
 თან შეიცვალოს (I 50,2) *μετα-
 βάλει*.
- 7) მიცემა: მისცემს (I 8,18; 24,10) *δίδωται*
 მისცა (I 38,6) *δίδωκε*
 სცნეს (I 116,2) *δῶσαν*.
- 8) შეტრფობა: ეტრფობის (I 13,6) *ἐφίεται*
 ეტრფოს (I 13,7) *ἐφίεται*
 შეეტრფის (I 9,15,17) *ἐφίεται*.
- 9) შეძლება: უძლებს (I 50,11; 90,22) *πέφαιεν*
 უძლებენ (I 118,9) *δύναται*
 უძლებენ (I 120,5) *πέφαιεν*
 უძლოს (I 22,3) *δύναται*
 შეუძლებს (I 40,26) *δυναίεται*
 შეუძლებს (I 103,29) *πέφαιεν*.
- 10) შეხება: შეეხების (I 69,11) *συνάπτει*
 შეახოს (I 71,29) *συνάπτει*
 შეიხებს (I 99,3) *συνάπτει*
 ეხნენ (I 15,2) *συνάπτει*.
- 11) ზედ შეხება: ზედ ეხების (I 76,1) *ἐφάπτειται*
 ზედ შეეხოს (I 80, 4) *ἐφάπτειται*.

განზრახ მივაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება ჩვენი ძეგლის თარგმნით ნაწილს: ერთისა და იმავე ბერძნული ზმნის გვერდით ქართული პრევერბიანი და უპრევერბო ზმნის ხმარებას აწყო დროისათვის. ცხადია, იგივე მეორდება ჩვენი ძეგლის არათარგმნით ნაწილშიც („განმარტებაში“), მაგალითად:

განსხუავება: ასხუაებს 74,29; გასხუაებული 125,8.

შეცვალება: სცვალებს 70,17; შეცვალოს 50,25.

ამ მოვლენაში ჩვენ ვხედავთ სალაპარაკო ქართულის გავლენას, იმ ქართულისას, რომელიც XI—XII საუკუნეებში თანდათან იპყრობს ადგილს ქართულ (ე. წ. საერო) მწერლობაში.

ასევე ახალი ქართულის ნორმებს უახლოვებს პეტრიწის ენას ხმარება ყოფნა-ზმნის აწყო დროის მხ. რ. მესამე პირის ენკლიტიკური ფორმისა (-ა).

ჩვენს ძეგლში სრულიად ჩვეულებრივია -ა'ს ხმარება 1) ენებითი გვ. მიმღობასთან და 2) ენ. გვ. ნამყოში (პირველ თურმეობითში):

გაგუარებულა (II 148,20) მითესულა (II 15,26; 153,29;

განყოფილა (I 114,9) 173,19; 216,26).

განყრილა (II 140,2) მოკლებულა (II 125,16)

დაწესთაებულა (II 150,25) პატიეცემულა (II 60,31)

დაკლებულა (II 139,32) შეერთებულა (I 102,43)

დამსკუალულა (II 117,4; შეკრულა (II 9,13)

118,12) შემოსრულა (II 111,17)

დამტკიცებულა (II 118,33) წარმოდგომილა (II 7,17) ¹

დაკშირებულა (II 113,20)

მაგრამ გვხვდება სხვაგანაც, სახელდობრ არსებით და ზედსართავ სახელებთან:

I 8,9: «რამეთუ არა აქუს ძალი ნაყოფიერებისაჲ წარმომჩენელ, რომლისგან უქმა და მოკლებულ».

I 117,3: «მებრ მყოფობით პირველ ასულიერებს რასავე სხეულთასა და სამარადისოდ მისდა სულა» (=სულ არს, *სული*).

II 57,8: «რამეთუ ვიდრემდის წარმოსდგომოდის სული სხეულსა თანმეარსეობითა მისითა, საგონა (=საგონ არს) თვთცხოვლად».

II 108,22: «რამეთუ ხატნი ყოველნი იგავეთანია ხატ».

II 141,29: «რამეთუ მრავალნია მყოფთანი, რომელთა ერქუმის მყოფობაჲ».

II 178,24: რამეთუ მრავალნია, რომელნი შობენ, ხოლო ცხოველ არა არიან» ².

რომ პეტრიწის ენა უკვე ახალი ქართულის ნორმების გზაზე დამდგარი, ეს მტკიცდება თავსართების მაგალითითაც: აღ- და გან- (განსაკუთრებით პირველი) წარმოდგენილია ახალი ფორმებითაც (ა- და გა-). არის შემთხვევები, როდესაც სიტყვები მოცემულია

¹ ერთს შემთხვევაში (I 121,15) დადასტურებულია მრავლობითი რიცხვის ფორმა: «არ თან ართხმულან ერთებრივთა რიცხუთადა».

² შეად. II. М а р. I, p. 130.

ორივე თავსართით (აქ ხშირად მნიშვნელობა აქვს იმას, თუ თავსართის შემდეგ რა ბგერით იწყება სიტყვა).

ა- აგითქუამ (II 214,3)

აკეთილდების (II 32,28; 56,29), აკეთილდებიან (II 63,7)

აკრებაჲ (II 98,30)

ამკაზვი (II 40,10; აღკვაზმავს (II 204,25)

ამქუმელი (II 35,2,3), ეამქუმელების (II 35,10)

ანაგები (II 49,34; 226,3; აღვებული I 32,20; II 104,7).

ანათხზი (II 158,22; 158,31; აღმთხზველობაჲ (II 224,12)

ანამკი (II 19,18; აღნამკი II 126,6,8).

აპურობაჲ (II 123,28)

ართხმულან (I 121,15; აღრთხმაჲ II 86,9)

აუგებელი (I 32,19; 107,31; აღუგებელი I 34,31; II 104,14)

გა- გავრდომაჲ (I 54,31)

გაზიდაეს (II 125,14; 133,20; განზიდაეს II 124,1; განიზიდაეს I 90,10)

გათვთებული (I 118,1; II 65,18; განთვთებული I 120,4; II 122,3)

გაკუთაჲ (II 6,12; განიკუთა II 135,30; განკუთილი I 48,17).

გამგონე (I 101,16; II 186,26)

გამკარგველი (II 211,28; განმკარგველი I 108,22)

გამრავლებული (I 58,26; II 13,13; განმრავლებული I 28,19; II 65,17).

გაცდა: გავიციდით (II 44,29); გაიცადენ (II 189,30; განიცადენ II 17,26; განვიცადოთ II 116,35).

ზესართავი სახელები. ზედსართავი სახელების ჩვეულებრივ წარმოებათა გარდა ჩვენს ძეგლში აღსანიშნავია:

1) შედარებით ხშირი შემთხვევა -იერ სუფიქსით წარმოებისა: (გარდა გავრცელებული სიტყვებისა „გონიერი“, „ძლიერი“) აირიელი (II 150,8), დასაბამიერი (II 16,24; უდასაბამიერეს I 78,2), უთვსიერესი (I 22,16; 30,12; „თვსიერი“ არ გვხვდება), მნათობიერი (II 225,12), უმოქმედიერესი (II 41,20; „მოქმედიერი“ არ გვხვდება, მაგრამ არის «მოქმედიერობაჲ» II 190,29), უმსგავსიერესი (I 41,16; „მსგავსიერი“ არ გვხვდება), ეამიერი (II 107,10), ქუყნიერი (II 150,8), უყოლიერესი (I 46,12; II 133, 14; „ყოლიერი“ არ გვხვდება), ციერი (II 137,29), ცეცხლიერი (II 150,9), წყლიერი (II 150,8; გარდა ამისა გვხვდება არს. სახელი «საქმიერობაჲ» (II 225,35)¹.

¹) შეად. ასევე ხშირი გამოყენება ამ სუფიქსისა „თამარიანში“: საწადიერი, შესატყვიერი, მამბენიერი, გონებიერი, ციერი, შუქოსიერი, უნაოლიერი. შესაჭ-

2) ხშირი შემთხვევა უარყოფითი ზესართავი სახელების წარმოებისა უ-თავსართით და ო-ბოლოსართით: უაოა¹ („არარსი“, II 58,30), უდიდოა (I 54,14; II 141,19), უთვთოა (II 34,27), უთქოა („უთქმელი“, II 34,26), უიგიოა (II 37,25), უმდგოა („არამყარი“, II 5,17), უმრავლოა (II 141,18), უმტყიოა (II 50,30), უნდოა (II 226,5), უოცნოა (II 18,25), უქმნოა (II 17,17), უქონოა (II 116,13), უცნოა (II 43,12), უქნოა („დაუქცნობელი“, II 72,28), უხრწოა („უხრწნელი“, II 53,10).

შედარებითი ხარისხი ჩვეულებრივი წესით იწარმოება (უდარესი, უმარტივესი, უსრულესი და სხვ.), მაგრამ ამის პარალელურად საკმაოდ ხშირია შემთხვევა უსანო წარმოებისა: უდარე (I 106,2; II 91,3; 151,18), უზესთმდებარე (II 13,10), უმარტივე (II 80,33), უმრავალსახე (II 53,22), უმრავლე (I 11,27), უმრუმე (II 55,12), უმსწრაფლე (II 114,23), უსრულე (II 89,18; 91,18), უცხადე (II 221,19), უწმიდე (II 55,21).

როგორც ჩანს, უ-ეს-ის გვერდით ცოცხალი იყო ხალხში უ-ე ფორმები².

ნაწილაკი-რე. ძველს ქართულ მწერლობაში ცნობილია რე-ნაწილაკის ხმარება: მას ვხვდებით ერთი მხრით ზმნისართებთან, ხოლო მეორე მხრით ზმნებთან³. მისი მნიშვნელობის შესახებ საბა

მიერი, სრულ-მყოფიერი, საღმობიერი, მთავრობიერი, ქვეყანიერი, სულ-ცხოვლიერი, მოსამზიერი, სოფლიერი, მადლ-მოსიერი, ადამიერი და სხვ. (იხ. H. M a p y, TP IV 88).

¹) უ-ო წარმოება ზედსართავი სახელებისა ჩვეულებრივია ქართულ ენაში, მაგრამ არსებითი სახელებისაგან, მაგ., პეტრიწთან ხმარებული: უაოა (აა), უგანგებოა (განგებაა), უკიდოა (კიდე), უმანკოა (მანკი), უშიხეზოა (მიხეზი), უნაქუთოა (ნაქუთი), უნაწილოა (ნაწილი), უნიშნოა (ნიშანი), უოქიმოა (ოქიმაა), უჟამოა (ჟამი), უსახლეროა (სახლერი), უსახოა (სახე), უსულოა (სული), უსხეულოა (სხეული), ულონოა (ლონე); ჩვენ კი აქ საკმე გვაქვს ზედსართავი სახელისაგან (ან ნაძველსახელისაგან) ნაწარმოებ ზედსართავ სახელებთან.

²) „ვეფხისტყაოსანშიც“ საკმაოდ ხშირია უ-ე-თი ნაწარმოები შედარებითი ხარისხი, მაგ.:

412. მაგრა მეტი უარეა არა თქმა და ჰირთა მალეა.

484. რა უაშეა პირისპირ საყუარელისა ჳვრეტასა.

685. პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა ზესა.

649. შენ უმართლე ხარ, ვმდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა.

1382. ფრიდონ უთხრა: რასა სდევით, მოგელოდე უწინარე.

³) ხმისართთან: (გარდა სიტყვებისა „ესრე“, „ასრე“, „ეგრე“) დან. 7,7 ილი განხრწნიდა მეტადრე; ვეფხ. 19 აქვემორე მითქვამს; ვეფხ. 159 მაშინ უფრო მომეხმარე ამისგანცა უფრო მხნედრე; ვეფხ. 361 აგული უფრორე დამწვესა.

ხმნასთან: მკ. 1,19 (მადისისა) ადა წარრევიდა მცირედა; თამარიანი III, 14 მწადადარე ძნობა; ვეფხ. 1246; აშერემურა.

ფიქრობს, რომ «ესე არს ართრონი სიტყვათა მშვენიერყოფელი» (ლექსიკონი ს. ვ. რე), ხოლო ნ. მარარი—რომ ეს „ნაირობას“ გამოხატავს (Гр. 69,70: «со члвом რე ინრავა»).

ჩვენი ძეგლის მასალები საშუალებას იძლევიან დადგენილ იქმნას ერთგვარი წესი ამ ნაწილაკის ხმარებაში: ყველა შემთხვევაში¹, რომელიც კი მოიპოვება როგორც „კავშირნი“-ს ისე „განმარტების“ ტექსტში, რე-ნაწილაკი უკავშირდება ზედსართავი სახელის ან ზმნისართავის შედარებითი ხარისხის ფორმას და მნიშვნელობას².

1) ზედსართავი სახელები «უშორესრე» (I 21,27 = ἄριστον ὑπερ-
 γυνέξ, და II 67,16) და «უნაწილესრე» (I 90,33 = μερῶν ἄριστοι) არათერს
 გვიმარტავენ რე-ნაწილაკის მნიშვნელობის შესახებ, ვინაიდან უიმი-
 სოდაც «უშორეს» და «უნაწილეს» შედარებით ხარისხებს წარმოად-
 გენენ;

2) აგრეთვე ახალს არათერს გვძენენ რე-ნაწილაკის მნიშვნე-
 ლობის ნათელსაყოფად ზმნისართები «უსრულესადრე» (I 89,4 = ἄρ-
 νῆσται), «უმდაბლესადრე» (II 107,20) და «უმცირესრე» (II 221,12);

მაგრამ თავისთავად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამ—
 ორივე კატეგორიის—შემთხვევებში რე შედარებითი ხარისხის ფორ-
 მასთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა არის ერთი შემთხვევა,
 როდესაც რე შედარებითი ხარისხის ფორმას ერთი³, მაგრამ კონ-
 ტექსტიდან ნათელი ხდება, რომ მეორე შედარებით ხარისხთან არის
 შედარებული და მის მიმართ უფრო მაღალი ხარისხის მნიშვნელო-
 ბას ატარებს: II 182,23 «და კუალად წარმოჰვლორე გათვთებასა
 შორის გონიერთასა უმეტესს, ხოლო სულსა და სულთა შორის
 უმეტესრე».

3) გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ის შემთხვევები, როდესაც
 რე-ნაწილაკი უკავშირდება არა შედარებითი ხარისხის ზედსართავს
 ან ზმნისართს, არამედ დაწყებითი ხარისხისას და უკანასკნელთან
 ერთად იძლევა შედარებითი ხარისხის მნიშვნელობას:

I 22,22 «რამეთუ წარმოყენებაჲ ყოველთაჲ, ანუ თუ მკობაჲ,
 ანუ სრულ ქმნაჲ, ანუ პყრობაჲ, ანუ ცხოველ ქმნაჲ, ანუ დაბადე-
 ბაჲ,—რომელნიცა (=რომელნიმე) უმრავლესთა იყენენ უმოქმედეს

¹) ეს შემთხვევებია: I 2127 უშორესრე, 2222 უცხორე, 2828 უმსგავსორე, 4028 შორსრე, 5822 იმრრე, 891 უსრულესადრე, 9033 უნაწილესრე; II 5822 იმრრე, 6718 უშორესრე, 6822 ზერრე, 10720 უმდაბლესადრე, 12410 იმრრე, 13018 წარ-
 მრრე, 18218 დაფარულადრე, 18222 უმეტესრე, 22112 უმცირესრე.

²) მხოლოდ ორი შემთხვევა გვაქვს დადასტურებული მისი ხმარებისა
 ზმნასთან: II 4928 «ვითარ დაიღრომს რე, მერმე განავდებს თითოგუარო-
 ბასა გუართასა»; II 18222 «და კუალად წარმოჰვლორე გათვთებასა შორის
 გონიერთასა უმეტეს».

უთვსეს ყოველთა მიზეზისა, ხოლო [რომელნიმე] უდარესთამი უცხო რე და სხუა (ἄλλω-ριστότερον)»¹.

I 40,26 «რამეთუ განიწილა რაჲ, წარმოვლო სიმრავლისადმი; ხოლო თუ ესრეთ, შორს რე (= πείρωστέρος) იქნა ერთისგან; და თუ ესრეთ უდარეს შეუძლებს ერთისა».

I 58,22 «იმრე უკუე და უზესთაეს საუკუნესა (= ἐπιζήσῃα ἄρα τὸν ἀΐωνα) პირველი უსაზღვრობაჲ».

I 28,28 «უმახლობელესნი და უთვსესნი მიზეზთანი უსრულეს... ხოლო უშორესნი უსრულ და უმსგავსო რე მიზეზთა თვსთა».

პირველ ორ შემთხვევაში («უცხო რე» და «შორს რე») შედარებითი ხარისხის არსებობა არავითარ ექვს არ იწვევს, რადგან ქართული ტექსტის მიხედვითაც იქ შედარებითი ხარისხის საკირო და ბერძნულ ტექსტშიაც შედარებითი ხარისხი გვაქვს. რაც შეეხება მესამე შემთხვევას, ბერძნული საბადლო სიტყვა ἐπιζήσῃα ნიშნავს «უფრო იქით», «გადაღმა» «უფრო გადაღმა»; და რომ ქართულ სიტყვაში «იმრე» შედარებითი ხარისხი იგულისხმება («უფრო იქით», «უფრო მიღმა»), ამას ადასტურებს მის სინონიმად გვერდითვე ნახმარი «უზესთაეს» («იმრე და უზესთაეს»), ხოლო მეოთხე შემთხვევაში («უმსგავსო რე») კონტექსტი მხოლოდ-და-მხოლოდ შედარებით ხარისხს ჰგულისხმობს; აზრი ასეთია: «თავის მიზეზთან უფრო ახლო მდებარე წარმონაარსნი უფრო სრულნი არიან, ხოლო უფრო შორს მდებარენი უფრო უსრულნი და უფრო უმსგავსონი მიზეზისა». ქართული კონტექსტით - რე ეხება ორივე პრედიკატს: «უსრულ» და «უმსგავსო», ხოლო ერთხელ არის ნახმარი მეორე პრედიკატთან («უმსგავსო რე»); ხოლო ბერძნულ ტექსტში შედარებითი ხარისხი ეხება პირველს (ἀτελέστερα «უფრო უსრულნი»).

ამის კვალობაზე შესაძლებელი ხდება ანალოგიური შემთხვევების ახსნა ჩვენი ძეგლის მეორე ტომიდან: იმ რე (II 58,28; 124,10), ზერ რე (II 68,25 «და ჰჳოებს მათ ზერ რე ყოველთა ზესთათა»), წარმ რე (II 130,15).

აუხსნელი დარჩება ერთი შემთხვევა: II 182,19 «რამეთუ მიუწდომელობაჲ მათ ზესთა არსთა რიცხუთაჲ პირველ ნამდვლ მყოფსა შორის წარიჩინების, არამედ დაფარულად რე». აქ კონტექსტიდან გერ-გერობით ჩვენთვის ნათელი არაა, თუ რასთან შედარებით არის ნახმარი «დაფარულად რე».

ამრიგად, გარდა ერთი შემთხვევისა («დაფარულად რე») რე ნაწილაკი ჩვენს ძეგლებში ყველგან შედარებითი ხარისხის აღმნიშვნელად ჩანს².

¹) I 241a «უცხო» უღრის ἀλλότριον.

²) ეს მოვლენაც XI-XII ს. ეპოქის დამახასიათებლად ჩანს: ასევე შედა-

სინტაქსში პეტრიწის ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა ე. წ. hendiadys, ე. ი. ერთი ცნების გამოხატვა ორი, ერთმანეთის მონათესავე, სიტყვით. გამოთქმის ეს ფორმა იმდენად ორგანულად არის დაკავშირებული ჩვენი ძეგლის ენასთან, რომ მწერალი თარგმნითს ნაწილშიაც კი (პროკლეს „კავშირნი“-ს ტექსტში), სადაც ის ბერძნული სიტყვებისაგან იყო დამოკიდებული, ტექსტს გადაუხვევს და ერთი ბერძნული სიტყვის ნაცვლად ორს ქართულს ხმარობს. მოვეყავს მაგალითები (პირველი ტომიდან):

- 6,24 უკუანათ და შემდგომად (ὑστέρῃσιν)
 7,1 თან შეკრებოდის და იზიარებოდის (συναίχεται)
 7,2 შეიყრებოდინ და ეზიარებოდინ (συναίχει) .
 8,6 უშე და უნაყოფო არს (ἀχρὸν ἢ ἀφρῶν)
 8,6-7 თუ უშე და უნაყოფო იყოს (εἰ μὲν ἀχρὸν εἴη)
 8,9 უქმა და მოკლებულ (ἀδρανὲς ἔν)
 8,24 მოწადე გულთქუმიერ არს (ἐζέχεται)
 9,6 იმრ არს და ზესთ მყოფთა (ἐπέκειντο ἔσται τῶν ὄντων)
 9,8-9 მოწადე და ტრფიალი (ἐφιέμενος)
 9,10 ტრფიალი და მწადი (τὸ ἰρηγόμενον)
 9,11 სატრფოასა და საწადოასგან (τῶν ἰρηκτων)
 9,16 მარტივი და საყოველთაოა კეთილობა (τὸ ἀπλῶς ἀγαθόν)
 9,21 დაპროთო და ჰმატო (προσθητέ)
 9,22 დაგიმცრვია და დაგიენინებია (ἡλάττωσας)
 9,23 ნაცვლად საყოველთაოასა და მარტივისა კეთილობისა (ἀντὶ τοῦ ἀγαθοῦ τοῦ ἀπλῶς)
 9,25 ამცრო და აენინა (ἡλάττωσεν)
 10,21 უმოქენოა და სრული (τὸ ἀπταρχει)
 10,22 უმოქენობაა და სისრულე (τὸ ἀπταρχει)
 11,17 კელოვნებაა და ზედმიწევნაა (ἐπιστήμη)
 11,19 ზედმიწევნულებისა და კელოვნებისა (ἐπιστήμησ)
 11,25 ეზიარებოდის და ეხებოდის (συναίχεται)
 12,3 ზედმიწევნულებაა და კელოვნებაა (ἐπιστήμη)
 12,5 კელოვნებაა და ზედმიწევნულებაა (ἐπιστήμη)
 12,6 განსაზღვრებულ და განყოფილ არიან (διώριται)
 12,30 თანმიმდებელად და მზიარებელად (μετελληφόρ)
 13,3 არიან მეტრფე და წადიერ ((ἐφίεται)

რებით ხარისხთან რეწაწილაკის ხმარება „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება:

139. ბროლი და ლალი გასრულეარ ქარვისა უხვი თლესად რე;

მაშინ რალა ვქმნა, ვერ კვრეტა რა მომხედეს კელა უგრძესად რე.

- 15,19-20 უმოქენო და კმამყოფ (ἀντάρκης)
 18,16 იმრრე და უზესთაეს ერთი გონებასა (ἐπάκεινα
 τὸ ἐν τῷ νοῦ)
- 21,27 დაშკე და უმორესრე თვს (ἤτρον συγγενές)
 21,27-28 ეძლუანვის და ეპირველების (ἵγεται)
 22,22 უცხორე და სხუა (ἀλλοτριώτερον)
 24,18 სხუა და უცხო იყოს (ἀλλότριον ἢ ἐξ)
- 24,26 განყოფილ და განწვალებულ (διακρίεται)
 29,4 უდარესისა და უსრულისგან (ἀπὸ τῶν ἀτελεστάτου)
 29,5-6 უსრულესნი და უდარესნი (τὰ ἀτελέστατα)
 30,5-6 ეუხუცებიან და ეძლუანვიან (ἵγεται)
 30,21 თვთმდგომარე(ობა) და არ ვისდა მოქენე (ἀσφαπύσαστον)
 36,17-18 საზღვარნი და საზომნი (μέτρα)
 38,11-12 ძალი ქმნისა და წარმოჩენისა (τῆς γεννη-
 τικῆς ὀυσάμεως)
- 39,3-4 მიიღებენ და ეზიარებიან (μετέχει)
 39, 27 იყენენ შედგმულ და უმრავლკეცეს (ἔσται σύνθετα)
 40,24 უმცროსთა და უდარესთა (ἐλάττω)
- 42,20 განწვალებასა და განყოფასა (διακρίσει)
 45,33 ჰგიეს და დაშთების (μένει)
 48,14 ნაწილებითი და განუკუეთელი (ἀτομον)
 49,2-3 უსრულ და მოქენე (ἀτελέστερον)
 52,6-7 განკრადისა და განწვალებადისა (μεριστής)
 52,7 განუკრელნი და განუნაწილებელნი (ἀμερη)
 54,25 განწვალებისა და განკრისა მიერ (διὰ τὸν μερ:αμὸν)
 54,26 განუნაწილებელობისათვს და განუკრელობისა (διὰ τῆς
 ἀμέρειαν)
- 55,18 უზესთაეს და იმრრე (ἐπέκεινα)
 58,22 იმრრე და უზესთაეს (ἐπέκεινα)
 60,1-2 ეძლუანვის და ეპირველების (ἵγεται)
 62,6 პირველი და მთავარი (ἵγεται)
- 62,25-26 ეპირველების და ეძლუანვის (ἵγεται)
 63,12 მცნობელი და მეუწყე (τὸ γνωστικόν)
 63,21-22 აღმეუწყენი და მცნობელნი (τὰ γνωστικά)
 63,22 ცნობასა და უწყებასა (γνώσις)
 63,33 მცნობ და მეუწყე (γνωστικόν)
 64,14 თითოეული დაისახვის და იცნობვის (ἐκάστου χαρακτη-
 ριζομένου)
- 64,23 საგნო და საუწყო (γνωστικόν)
 64,23 ცნობა და საუწყო (γνώσις)

- 65,29-30 გარეშემცველ არს და უზესთაეს (περιληπτικώτερον)
 68,6 განზიდულთა და უშორიელესთა (τὰ δὲ ποικρατέρα)
 69,11-12 შედგმულებისათჳს და განუქრელობისა (ὅσα τῆν συ-
 νέχειαν)
 69,20-21 აქუს მიზეზი უპირატესად და საკუთრებით
 ერთი (αὐτίαν ἔχει προηγούμενην τὸ ἔν)
 69,26 უპირველეს და იმრრ (ἐπέχειναι)
 75,12 ასქეტოდ და მიუნაქუსად (ἀσχετίας)
 76,2 ზესთ და იმრ (ἐπέχειναι)
 76,9 აღკრულთა მიერ და ზიარებულთა (ἀπὸ τῶν ἐξηρηγμένων)
 78,2 უსაყოველთაო და უდასაბამიერეს (δλικώτερον)
 80,18 ერთ-ქმნაჲ და შეერთებაჲ (ένωσις)
 81,22-23 ერთებრივი და შედგმული არს (ἡνωμένως γίνονται)
 82,6 ვინაებული და ნაწილებითი (τις)
 101,6 გაიგონა და ჰხედაეს (ὄρα)
 102,5 მსგაეს და სწორ იყვნენ (ὁμοίως εἰσίν)
 102,11-12 არა სწორად და მსგაესად (μὴ ὁμοίως)
 103,14 უქცევ და უცვალებელ არს (ἀμετάβλητον ἔστι)
 104,10 ზესთანნი და გასაგონონნი (τὰ νοητά)
 106,1 განუყოფელი და განუთვთებელი (ἀνιδίκριτος)
 107,18 პირველთა და ზენათა (τῶν πρώτων)
 114,6 არს მეუწყე და მცნობელ (ἔστι γωναικόν)
 115,9-10 ქმნადი და აღგებადი არს (γενητόν ἔστιν)
 115,18 მქცევი და ცვალებადი არს (μεταβάλλει)
 116,19-20 გონიერნი და პირველნი (τὰ νοητά)
 122,23 რაჲთა აღკრულ იყოს და შიარებელ (ἐξηρηγισθῆαι)
 123,27 შეუდგს და თან ჰყვების (ἔπειται)
 126,7 ჰგიეს და დარჩების (μένει)
 126,15 კიდოვნებითი და უმწუერვალესი (τὸ ἀκρότατον)¹.

შეიძლებაოდა აღამიანს ეფიქრა, თითქოს იოანე პეტრიწი ამ ხერხს მიმართავდეს იმ მიზნით, რომ ერთი უცნობი სიტყვა მეორით განმარტოს; ზემოთ მოყვანილ მაგალითებში არის, მართლაც,

¹) ზემომოყვანილი მაგალითების შედარება ერთმანეთთან გვარწმუნებს იმაში, რომ ჰენდიადისის მოვლენა შემთხვევითი კი არაა, არამედ იგი გარკვეულ სისტემადაა ქცეული იოანე პეტრიწისათვის: განსაზღვრული ცნებებისათვის იგი სისტემატურად მიმართავს ამ ხერხს. მაგ.: განყოფა 126, 2426, 4220, 4814, 528, 527, 5420, 5420, 1061; ზიარება 71, 73, 1125, 1230, 393, 760, 12223; იმრრე 90, 1810, 5518, 5922, 6928, 762; პირველობა 2127, 305, 601, 628, 622; ტრფიალი 824, 98, 910, 911, 133; უშოქენო 1031, 1022, 1510, 492; უშვი 86, 87; შედგმული 3927, 6911, 8018, 8122; ცნობა 6312, 6331, 6322, 6323, 6422, 6422, 1140.

ერთი, სადაც ორი ნახმარი სიტყვიდან ერთი უცხოა, ხოლო მეორე მის განსამარტავად არის განკუთვნილი (75,12 ასქეტოდ და მიუნაქუსად [ἀσκήτωναι]), მაგრამ ეს შემთხვევა გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. ვერც იმით ავსხნით ამ ხერხის გამოყენებას, თითქოს მოცემული ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად საკმარისი არ იყოს ერთი ქართული სიტყვა: იგივე ბერძნული სიტყვები სხვა ადგილებში თითო ქართული სიტყვით არის წარმოდგენილი (იხ. ლექსიკონში). ეს ხერხი პეტრიწის (და მისი ეპოქის) სტილის დამახასიათებელია და რომ ეს ასეა, ეს ჩანს იქიდან, რომ პეტრიწი მას უხვად იყენებს თავისი თხზულების ორიგინალურ ნაწილშიც (მაგალითები მეორე ტომიდან):

- 4,5 უძრავად და შეურყეველად
 31,17 უშე და უნაყოფო¹
 33,11 იმრსა და მეზესთაესა
 34,7 მოირთო და იმკო
 მოპრთეს და აღამევეს (181,17)
 მოპრთნა და ამკენა (211,20)
 მორთულად და აღკაზმულად (220,28)
 35,3 აწუეეს და ამეცადინებეს
 36,18 მრუმედ და ბინდის სახედ
 ბნელ და ბინდის გუარ (79,20)
 37,31 სისრულესაცა და უმოქენეობასა
 სისრულე და უმოქენეობაჲ (37,32)
 სრული და უმოქენოჲ (37,32)
 41,23 მხრწნელი და მშლელი
 ხრწნა და დაარღვიეა (204,25).
 54,25 რაჲც ხროა იყოს გაცდა ხედული იგი
 გაცდა-ქურეტანი (107,12)
 იხილნე და განიცადნე (131,24)
 60,30 ბელსა და ხუედრებასა
 ბელსა და სუესა (224,33)
 69,25 უხატებენ და უძეგლებენ
 საალამოდ გაძეგლებულნი (73,8)
 ხატისა და ალალმაჲსა (118,8)
 ხატნი და ალალმანი (137,21)
 ხატად და ალალმად (149,17)
 ხატის ხატთა და ალალმის ალალმათა (172,3)
 ხატი და ალალმაჲ (181,18)

¹) შეად. პეტრიწის დებულება (II,634): «თუ უშე არს, უნაყოფო არს».

- 73,18 განწვალება ანუ განყოფა
განიყოფოდეს და განიკრებოდეს (73,19)
განყოფადი და განკრადი (73,29)
განყოფელად და განუწვალებელად (113,16)
განბნეადი და განწვალებადი (196,21)
განწვალებულ და განკრილ (200,3)
- 86,23 შეწყობა და ნართი
ნართი და შეწყობა (100,22)
თხზვა და შეწყობა (76,9)
- 97,25 დაუმრავალდებობის და კოლკმორთად ასჩნდების
- 100,2 იოცნების და იხილებიცა
იხილებების და იოცნების (205,25)
- 113,1 განინაწილნეს და განითვსნეს
- 113,13 შეურევნელად და შეურწყმელად (იგივეა 113,16)
- 120,28 ჭავს და ებადვის
- 122,31 ჰბადებდენ და ამყოფებდენ
- 122,32 ხატ და სახე
- 123,22 მსგავსისა და ხატისა თვისისა
ხატნი და მსგავსნი თვისნი (168,25)
- 128,3 უსახო და უმსგავსო
- 128,4 უსახური და უმსგავსო
- 129,34 ნაბრწყინი და ნამზევი
ნამზევთა და ნაბრწყინთა (130,14)
- 148,7 ხატად და იგავად
ხატნი და იგავნი (161,11)
- 149,15 განჰყენს და განზიდაეს
- 151,7 ჰხესთაობს და ჰმეტობს
- 156,5 არიან ერთ და მხოლო
სირაჲ ერთთა და მხოლოთაჲ (156,7)
ერთობასა და მარტიობასა (164,11)
- 167,14 დასაწყთა და დასაბამთა
- 177,13 დრასტიროთა და მოქმედთა
- 204,12 კრეტსაბმელთა და ფარდაგთა
- 210,23 თანმეთანად და მეზიარედ
- 213,9 ნათლებრ ბრწყინავალედ
- 224,10 საგდებთაგან და ბადეთა
- 225,14 მექუელობა და მგონებლობა

აქაც, ორიგინალურ ნიწილში კეტრიწის ნაშრომისა, იგივე სურათია, რაც თარგმნითში: ორი შემთხვევაა, როდესაც ორი ნახ-მარი სიტყვიდან ერთი ბერძნულია, ხოლო მეორე ქართული (97,25;

177,13); დანარჩენ შემთხვევებში კი წყვილ-წყვილი ქართული სიტყვითაა ერთი ცნება გამოსახული.

§ 6. ხელთნაწერები

საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერთა განყოფილებაში დაცულია ჩვენი ძეგლის ათი ხელთნაწერი¹. ამათგან შვიდი (ABCDEFH) შეიცავს ძეგლს სრულად, სამი—მხოლოდ ნაწილებს.

ხელთნაწერი A

A—ხელთნაწერი № 69 ყოფ. საეკლ. მუზეუმისა, გადაწერილია XVI—XVII საუკ. ნუსხა-ხუცურიით: ზომა ხელთნაწერისა 30×20 სმ; შეიცავს 278 ფურცელს. 1—243 ფფ. უჭირავს ჩვენს ძეგლს, ხოლო დანარჩენი ნაწილი—ბასილ ზარზმელის თხზულებას (ხელთნაწერი დაწვრილებით აქვს აღწერილი მ. ჯანაშვილს (ქართული მწერლობა, წ. II, ტფ. 1909 წ. გვ. I—VII). რომ ხელთნაწერი XVII საუკუნეზე გვიანდელი არ არის, ამას—გარდა პალეოგრაფიული ხასიათის ნიშნებისა—მოწმობს ის გარემოებაც, რომ ის ხელთ ჰქონია არჩილ მეფეს, რომელიც პროკლეს თხზულების ბოლოს (ფ. 243) ხელს აწერს («დავათავე წიგნი. არჩილ»).

ხელთნაწერი ორ წყებად გადაუწერიათ: თავიდან და შვიდან (135b გვერდიდან). 135a-მდე რომ მისულა პირველი ნაწილის გადაწერი, შეუმჩნევეია, რომ ველარ დაეტეოდა, და ხელი უფრო წმინდა აულია. ამიტომ იგი შენიშნავს 135a შიდა არშიაზე: «აქა ორთავე ნაწერი ერთად შეიყარა: და არ ეტეოდა. ამა ფურცელსა ზედა: და მისთვის მოუწმიდე: უფალნო ჩემნო:..».

გადამწერს ახასიათებს მ-მეტობა, განსაკუთრებით ა-ს შემდეგ, მაგ.; დიდათაჲ საღიმეტყლოთა, იძულებაჲთა, გრძნობაჲთა, სხაროჲდ (II 19,10), იპყრაჲ, იენოჲ და სხვა (ამის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ტფ. 1935 წ. გვ. 141).

მრავალია შემთხვევა, რომ გადამწერს ორჯერ დაუწერია სიტყვა (და მის მიხედვით B-ხელთნაწერის გადამწერსაც, იხ. ქვემოთ). ზოგჯერ ეს ზედმეტად დაწერილი სიტყვა აფხეკილია; უფრო ხშირად კი ეს ზედმეტი სიტყვა, როდესაც გადამწერს თვითონვე შეუმჩნევეია, წერტილებში—ზევით-ქვევით—ჩაუსევამს, მაგალითად:

¹) ეს ხელთნაწერები მოხსენებული აქვს ს. გორგაძეს («ჩვენი მეცნიერება», 1923 წ., № 4—5, გვ. 2), გარდა ქვემოთ აღწერილი H-ხელთნაწერისა. რამდენადაც საქ. მუზეუმის ხელთნაწერთა ფონდები ჯერ სრულად აღწერილი არ არის, ამდენად მოსალოდნელია აღმოჩნდეს ჩვენი ძეგლის სხვა ხელთნაწერებიც.

II 85,4-5 ზესთა ძალისა ჯამისა

II 86,10 ზენათა თა

II 93,5 არაობისგან არს არს

II 96,2 არ მიზეზად აღმოაჩენენ

II 97,24-25 მიხედოს ვნებამან ხედვამან.

A-ხელთნაწერი (და მასთან ერთად, B-ხელთნაწერიც), როგორც მკითხველი დარწმუნდება კრიტიკულ აპარატში მოყვანილ ვარიანტთა შედარებიდან, ხშირად ამახინჯებს ტექსტს. დამახინჯება გამოიხატება: 1) ხარვეზების დატოვებაში, 2) კორექტურულ შეცდომებში, 3) სიტყვების გამეორებაში (ამის მაგალითები იხ. ქვემოთ გვ. LXXV). ეს დამახინჯებები გამოწვეულია როგორც იმით, რომ გადამწერს შერყვნილი დედანი ექნებოდა, აგრეთვე იმითაც, რომ ის კარგად ვერ ერკვეოდა. თხზულების შინაარსში და მექანიკურად სწერდა: ამის გამო დედნის მკრთალი ნაწერი, გადამწერის მიერ განახლებული ან შევსებული, ხშირად უაზრო გამოდიოდა¹.

მიუხედავად ყველა ამ ნაკლისა A-ხელთნაწერი ძვირფასია ჩვენთვის: ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ქრონოლოგიურად უძველესია. მართალია, ხშირია შემთხვევა, როდესაც მოგვიანო ხელთნაწერს უკეთესი დედანი უდევს საფუძვლად, ვიდრე უძველესს. და თვით გადამწერიც მოგვიანო ხელთნაწერისა უკეთ ჰკითხულობს თავის დედანს, ვიდრე უძველესისა (და ჩვენი ძეგლის მიმართაც დასტურდება ეს C-ხელთნაწერის მაგალითით),—მაგრამ ქრონოლოგიურად ძველი ხელთნაწერი ხშირად იმის გარანტიას იძლევა, რომ მისი დედანი უფრო ძველი იყო, ვიდრე მოგვიანო ხელთნაწერებისა, და თვით გადამწერსაც მეტი ცოდნა შეიძლებოდა ჰქონოდა ძეგლის ეპოქის ენისა (ესეც დასტურდება XVIII—XIX სს. DEH-ხელთნაწერების მაგალითით; ისინი ძეგლის ენას აახლებენ თავისი ეპოქის გრამატიკული წესების საფუძველზე).

გარდა ამისა A-ხელთნაწერის ფასი იზრდება იმითაც, რომ მას დაცული აქვს ერთი შენიშვნა, რომელიც არც ერთ სხვა, ჩვენთვის ხელმისაწვდომ ხელთნაწერს არ მოეპოვება. ეს შენიშვნა ეხება იმას, რომ ჩვენი ძეგლი, რომელიც შეიცავს პლოკლე დიადოხოსის „კავშირთა“ თარგმანს და იოანე პეტრიწის „განმარტებას“, დაწერილი ყოფილა კიმენ-სხოლიოდ. «შეისწავე, რამეთუ ესე წიგნი, კიმენ-სხოლიოდ აღნაწერი, ამისთვის თანაჩართვით დაწერეთ, რაჟთა მწერალთა და მკითხუელთა გაუადვილდეს და, ვითა დედასა ეწე-

¹) ამ მხრივ A-ს გადამწერზე უფრო მაღალხარისხოვანია C-ს გადამწერი, რომელიც ძალიან კარგად ერკვევა თხზულების შინაარსში და ყველა დანარჩენ გადამწერთ სჯობნის ტექსტის სიზუსტის დაცვის საქმეში.

რა, ეგრე შეცვალეზულად დაგვწერია აქაცა. და რომელი პ რ ო კ ლ ე ს ი ა „პარი“ დაგვსვამს თავსა შავი წითლითა შემოკული; და რომელი იოანესია „ინი“¹, რაათა ორთავე ფილოსოფოსთა სიტყუაჲ. თვს-თვს იცნობებოდეს». ეს შენიშვნა სხვა საბუთებთან ერთად, რომლებზედაც ზემოთ იყო ნათქვამი, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ძირითადი ტექსტი, კიშენი, იყო პროკლეს „კავშირნი“; ყველაფერი დანარჩენი წარმოადგენდა სქოლიოს, რომელსაც ძველი ქართველი შვიგნობრები იოანე ფილოსოფოსს მიაკუთვნებდნენ.

ამ სქოლიოს მნიშვნელობა იზრდება შემდეგი გარემოებითაც. როგორც ვთქვით, ეს სქოლიო მხოლოდ A-ხელთნაწერს შემოუნახავს; დანარჩენ ხელთნაწერებს იგი არა აქვთ. მაგრამ ის ჰქონია აგრეთვე „კავშირნი“-ს იმ უძველეს XIII საუკუნის ხელთნაწერს, რომელიც ამჟამად ტფილისში აღარ არის (იგი მენშევიკების მიერ იქმნასაზღვარგარეთ გატანილი სხვა, მათ მიერ გატაცებულ ქონებასთან ერთად).

ეს არის ხელთნაწერი № 1337 ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა. განსვენებულ ს. გო რ გ ა ძ ი ს არქივში აღმოჩნდა ამ ხელთნაწერის მოკლე აღწერილობა:

„დიდი ტანის ხელთნაწერია სქელი ქალაღდის ყდაში, რომელსაც გარედან მოყვითანო ტყავი აქვს გადაკრული, ყდის ყურები შემოკმულია თავგებისგან. ყდას შესაკრავი ჰქონია, რომლის კვალი დღესაც ემჩნევა. ზომა ხელთნაწერისა 34 X 25 სანტიმეტრია.

„შეიცავს 103 ფურცელს, რომელთაც სათვალავს (არაბული ციფრით) ჩვენ ვუკეთებთ. თავში ერთი (პირველი) და ბოლოში ხუთი (99—103) ფურცელი ახალია, როგორც სჩანს მე-XVIII-ე საუკუნეში ჩაკერებული; დანარჩენი ფურცლები კი (2—98) ძველი სქელი ქალაღდისაა და გადაწერილია მე-XII—XIII საუკუნის ლამაზი ნუსხახუცურით; სათაურებში ნახმარია სინგური, დანარჩენ შემთხვევაში კი შავი მელანი, რომელიც დროთა განმავლობაში გადახუნებულა და ალაგ გადაშქალა; ყოველ გვერდზე მოთავსებულია ორმოც-ორმოცი (ზოგან 38) გრძელი სტრიქონი. ხელნაწერს დიდრონი არშიები აქვს დატოვებული, რომელზედაც მოთავსებულია ავტორის თუ მთარგმნელის მოკლე-მოკლე შენიშვნები. ამავე არშიებზეა მოთავსებული თხზულების თავთა სათვალავი ასომთავრული ასოები და თხზულების ავტორისა და მთარგმნელ-კომენტატორის ასომთავრული ინიციალები: Մ (პროკლე) და Մ (იოვანე).

„სასვენებელ ნიშნებად ნახმარია: მძიმე(,) წერტილი(,) ორწერ-

¹) ხელთნაწერებში, მართლაც, ყოველი თავის დასაწყისში არშიაზე სწვრია შვად პ ა ნ ო და ირგვლივ წითელი ხაზები აქვს მიწერილი.

ტილი(:), სამწერტილი(:.); ორწერტილხაზი(:—), და აქა-იქ მრავალ-
წერტილი(:.....:).

აგებვდება პწკარზემოთი ნიშნებიც: ქარაგმა(˘) და მახვილი (').
ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ სიტყვის მეორე სრულ მარცვალზე ზის
ბოლოდან; ერთმარცლოვანი სიტყვები წინა სიტყვებზე არიან მით-
ვლილი. სამწუხაროდ ჩვენს ხელნაწერში ეს ნიშანი ყველა სიტყვაზე
არა ზის (ალბათ გადამწერს გამორჩენია) და ამიტომ ძნელია ამ ხელ-
ნაწერის მიხედვით რაიმე საზოგადო წესის გამორკვევა: თითქმის
ირკვევა, რომ ძველ ქართულში მახვილი დაქტილური არ ყოფილა
(როგორც დღევანდელ ქართულშია), არამედ უფრო ქორეული, ე. ი.
ბოლოდან მეორე მარცვალზე. აი პირველი შეხედრილი მაგალითი:
თვ'სი, 'ერთიერთ'ისა იყოს, ზიარე'ბით. ზიარე'ბითი, ერთობი'საჲ,
„ზესთ'აძეს ყ'თა ზიარე'ბ'ათა“, ძ'ალთაჲთ, „ერთქმნილი ერთცა' არს
ერთასა, „ერთი' არს“, წარმოშობი'ლი, სირბათა, „რ' შე'დგმა ერთებ-
რი'ვთა მხოლოთაგ'ნ, ვ'რ ეტყოდა დიდი პარმენი'დი სოკრატის და
ზი'ნონს“ (ყველა ეს მაგალითი იხ. ფურცელი 65ა).

„ამ ნიშნით (მახვილით) წინამდებარე ხელნაწერში ალბათ გრძე-
ლი ხმოვნები უნდა იყოს აღნიშნული, სწორედ ისე როგორც დღე-
ვანდელს მთიულურში გრძელი ხმოვანი „თითქმის ყოველთვის მეო-
რე მარცვალზეა ბოლოდან“ (ა. შანიძე: კრებული 193).

„მე-2-ე ფურცლის (ძველი ფურცელი) პირველ გვერდზე ქვემო
არშიაზე მე-XIII-ე საუკუნის მხედრული ხელით მინაწერი ყოფილა,
მაგრამ ქალაღი დაზიანებულა და ამ მინაწერისა რამოდენიმე ასო
იკითხება, ამ მინაწერში სასვენებელ ნიშნად ნახმარია ორწერ-
ტილი(:).

„ხელნაწერში იღვა ფოსტის ქალაღის ერთი ფურცელი,
რომელიც ჩვენ წინა ყდის შიგნითა გვერდზე მივაწებეთ. ამ ფურცელ-
ზე აწ განსვენებულის ისტორიკოსის თევდორე ჟორდანიას ხელით
მოთავსებულია შემდეგი: „მისის ყ'დ უსამღვდელოესობის გურია-
სამეგრელოს ეპისკოპოსის ალექსანდრესაგან მივიღე შვიდი თუმანი
და ნახევარი შესაძენად ძველის ხელნაწერის წიგნის კავშირისა'
იოანე პეტრიწისაგან განმარტებულის, რომელიც ვალდებული ვარ 14
ამ აპრილამდი ვიყიდო და წარუდგინო მის მუუფებას ეპისკოპოსს.
1902 წელს აპრილის პირველსა. თევდორე ჟორდანია“.

„შემდეგ ეს ხელნაწერი ალექსანდრე ეპისკოპოსის მემკვიდრე-
ებისაგან შემოვიდა საქ. საისტ. და საეთნ. საზოგადოების წიგნთსა-
ცავში. ხელნაწერში მოთავსებულია იოვანე პეტრიწის მიერ ბერძ-
ნულიდან ნათარგმნი და განმარტებული თხზულება ნეოპლატონური
ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსისა: „კავშირნი ღმრთისმეტყუე-
ლებითნი. თავნი ორას და ათერთნი“. ა) თხზულებას წინ მიუძღვის

მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელსაც უჭირავს ხუთ გვერდამდე (ფურცელი 1ა—3ა). ბ) შემდეგ მოთავსებულია „კავშირთა“ ტექსტი ორასთერთმეტ (ს"ი) თავად და ამდენივე განმარტებით, ზოგჯერ განმარტება ერთი ორად და სამად უმეტესია განმარტებულ ტექსტზე. ტექსტის ყოველი თავის გასწვრივ არშიაზე მოთავსებულია ასო „პ“ ე. ი. პირველი ასო ავტორის სახელისა (პროკლე), ხოლო განმარტებათა ყოველი თავის გასწვრივ ზის ასო „ი“ ე. ი. მთარგმნელ-კომენტატორის სახელის ინიციალი (იოანე). გ) დასასრულ, მოთავსებულია მთარგმნელის ბოლოსიტყვაობა, რომელსაც უჭირავს ხელნაწერის უკანასკნელი 14 გვერდი (95—102ა). მე-102-ე ფურცლის მეორე გვერდი და მთელი მე 103-ე ფურცელი ცალიერია^ა.

ამ მოკლე აღწერილობაში არაფერია ნათქვამი ხელთნაწერის სქოლიოების შესახებ. მაგრამ გარდა ამ აღწერილობისა ჩვენ გვაქვს ზეპირი გარდმოცემა იმ მეცნიერთა, რომლებსაც თავის დროზე, როდესაც ხელთნაწერი № 1337 ტფილისში იყო, უმუშავიათ ამ ხელთნაწერზე. ასე, მკვლევარი პ. ინგოროყოვა გადმოგვცემს, რომ იმ ხელთნაწერშიაც „კავშირნი“ და „განმარტება“ „თანაზართეთი“ იყო დაწერილი და რომ იმ ხელთნაწერშიაც იგივე შენიშვნა მოიპოვებოდა „კიმენ-სხოლიოდ აღნაწერობის“ შესახებ. მაშასადამე, უკვე XIII საუკუნეში, როდესაც № 1337 ხელთნაწერია გადაწერილი, გაბმით დაუწერიათ ორივე თხზულება, და აზრი იმის შესახებ, რომ „განმარტება“ იოანე ფილოსოფოსის ეკუთვნის, XIII საუკუნეშივე არსებობდა. ის გარემოება, რომ ეს შენიშვნა A-ხელთნაწერში მოიპოვება, ანათესავენ ამ უკანასკნელს № 1337 ხელთნაწერთან და ამ გზით A-ს ვარიანტებსაც მერ ფასს აკუთვნებს.

A-ხელთნაწერის ზედაყდის შიგნით დაკრულია კონვერტი, რომელშიაც ჩაწყობილია ცალკე ქალაღდები, სადაც იოანე პეტრიწის მიერ ნახმარი ზოგიერთი სიტყვაა განმარტებული (ეს განმარტებები, მ. ჯანაშვილის თქმით, ქრისტეფორე ურდუბეგაშვილს უნდა ეკუთვნოდეს). აქვე მოგვყავს ზოგიერთი განმარტება¹.

თავი 17: შვიდთა სფეროთა. სფეროცის სიმრგვლეს ჭვიან.

თავი 29: აქა პავლე იმოწამების მთქმელი სამ. გვართა გვარად: და საზღვართა საზღვრად: ფილასოფოსი უწოდს. ვითარცა პავლე ხატად უცვალდებულად და მქონებულად მამისა სიმდიდრისა. ეს თავი მეტადრე გახსნის კრულებასა² (იხ. ჩვენი გამოც. II 787-18).

¹) აქ მოთავსებული ზოგიერთი განმარტება მოჰყავს მ. ჯანაშვილსაც (I. c. XXXVIII—XLIV).

²) ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები წარმოადგენს კომენტატორის გალაშქრებას იოანე პეტრიწის წინააღმდეგ. ალბათ იმიტომ, რომ იოანემ პავლე

ანაქს მფლობელი ¹.

არდო აწ, მაგრა არდი არ უნდაო, არ ტი უნდაო, რომელ არს აწ².

აფანის უჩინოსა ქვიან ³.

გადიონწახებული ვითამ დამთერალი.

ესთი მეგრული სიტყუა: ესრეთო: მეგრულად ⁴.

ეფახა ვითამ თქმასა ⁵.

ზოდოო ეტლი.

კენტრო ამას ქვიან რომელსაც ეტლზე მზე დგას თუ სხვა რომელიმე

შნათობი.

ბერი გარემო ⁶.

პეფესკენ ⁷ არს ვითარცა ით თქვა.

ტირი ⁸ აა დაიკუე.

ფონგთა ⁹ კმა.

ხალეო ფიცხელი.

პიტონ ¹⁰ პერ(ერ)ანგი: ანატყაეისა სამოსელი ¹¹.

ხელთნაწერი B

B—ხელთნაწერი № 74 ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა (ამჟამად საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერი №A—74) გადაწერილია XVIII საუკუნის ნუსხა-ხუცურით; ზომა ხელთნაწერისა 34×21 სმ., ტექსტისა 20×13¹/₂ სმ., შეიცავს 243 ფურცელს (სათვალავში არ შედის, ფორზაცის ფურცლების გარდა, პირველი ფურცელიც. „ქავ-შირნი“-სა და „განმარტების“ ტექსტი დატულია სრულად.

მოციქული დაიმოწმა თავისი წარმართული ახრის გასამართლებლად.

1) *„აუაჯ მართლა მფლობელს“* ნიშნავს, მაგრამ პეტრიწი ხმარობს სიტყვას „ანაქუსი“.

2) იხ. ქვემოთ ლექსიკონში I, 235 „არდი“.

3) *ბრძალვ* „უჩინო“.

4) ეს განმარტება ხელთნაწერის არშიახეც სწორია (II 182, შენიშვნა“).

5) *ბრძალვ* „ეთქვი“.

6) *პედ* „გარემო“.

7) *ბრძალვ* „ბაღუძ“ (I 103ა).

8) *ტირი* „დაიკავი“.

9) *ფონგთ* „ხმა“; მ. ჯ ა ნ ა შ ე ი ლ ს (l. c. XXXXIII) შეცდომით წაუკითხავს „თ ე თ ო ნ გ თ ა“.

10) *ქიტონ* „სამოსელი“.

11) კომენტატორი (ქრისტეფორე ურდუბეგაშვილი ან, იქნებ, მასზე ადრე ვინმე სხვა), ჩანს, ბერძნული ენის მცოდნე ყოფილა. მას სწორად მოჰყავს ბერძნული სიტყვები, იმდენად სწორად, რომ აბერძნულებს ქართულ სიტყვებს და ასახელებს ისეთ სიტყვებსაც კი, რომლებიც თვით ძველში სულ სხვა ფორმით არის მოყვანილი, მაგ.: ანაქს (ძველში ანაქუსი), აფანის (ძველში აფიანისა II 75ა), ეფახა (ძველში ემფახი I 16ა, 116ა), ტირი.

ხელთნაწერი გადაწერილია 1731 წელს, მოსკოვში, მელქისედექ კავკასიძის მიერ. ამის შესახებ ცნობას იძლევა თვით გადაწერი 242b—243a გვერდებზე: «დიდებაა ღმერთსა მიზეზსა ყოვლისა კეთილისასა და სრულმყოფელსა, რომელმან ღირს მუუნადიღსა ამას საღმრთისმეტყუელოსა აღწერად და განსრულებად კელითა ჩემ ცოდვილისა და უნდოსა ძლითისა მდივნის მელქისედექ კავკასიძის აბელის შვილისათა, ქალაქსა დიდსა მოსკოვს იმპერატრობასა ანნა იოანუნასსა, ოდეს მიბრძანდა საქართველოს მპყრობელი სახელოვანი და დიდთა კელმწიფეთაგან შეყურებული მეფეთ-მეფე ვახტანგ, საუკუნო ყოს უფალმან კსენებაა და კურთხევაა მისი ამინ. მაშინ მონა და მიწა მათი თანვეახელ და აღესწერე ქრისტეს აქათ ჩ'დლა, ივნის კ'ე, ქართულსა ქონონიკონსა უ'ით» (419+1312=1731)¹.

ხელთნაწერის მე-2 გვერდზე მოყვანილია ცხრილი-საძიებელი (იხ. ქვემოთ გვერდი VI); საძიებლის გასწვრივ გვერდით მინაწერია. «ესე არა რვეულთაგან თანაშთამომავალ, არცა თარგმანთა და მთარგმნელთა მიერ რიცხუელი ესე საძიებელთა, არამედ ახლად ვისგანმე რაამე მოპოვნებულ არიან, დაღათუ არაეე სრულიად უკმარ არიან. ღმერთო შეიწყალე ცოდვილი მდივანი მელქისედექ და კეთილად აკმარე წიგნი ესე»².

1855 წელს ხელთნაწერი ჰკუთვნებია მცხეთის სევეტი-ცხოველს: ხელთნაწერის მრავალ ადგილას ქვედა არშიაზე სწერია: «ეკუთვნის დიდს მცხეთის სობოროს ჩყნე [1855] წელსა».

B ხელთნაწერი გადმოწერილია უშუალოდ A ხელთნაწერიდან: ამის საბუთია ის, რომ B ზედმიწევნით იმეორებს A-ს ხარვეზებსაც და შეცდომებსაც და A-სთან ერთად სხვა ხელთნაწერებისაგან განსხვავებულ ვარიანტებს იძლევა³. მოგვყავს ზოგიერთი მაგალითი.

¹) ამას მოსდევს ჩვეულებრივი მიმართვა მკითხველისადმი—შემინდვეთ და შემიწყალეთო.

²) პირველი უპაგინაციო ფურცლის პირველ გვერდზე გადაწერისავე ხელით სწერია:

ვინ კელყოს ძნელსა საქმესა,
კამს თავი გაიმწაროსა.

იმევე გვერდზე მხედრული ხელით სწერია:

სურვილით ვსწერ წიგნსა ამას, ვეტრფე თტმეა მიტრფილადა,
ღრმად მანიშნებს ქალატონ სოკრატ პარმენიდ შორს მიფრიალა,
ესე პროკლე დიაღობოს იოვანემ მი. რიალა
და ელინთ წმასნა ღმრთისმეტყუელა, ვითარ დისკო გვკყურტილა.

³) ეს გარემოება სრულიადაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ B-ს გადაწერმა, თავისი მხრით, დაუშვას კორექტურული ან სხვა შეცდომები (მაგ., II 81, 32 შმდდ.) და არც იმას, რომ მან ზოგჯერ შეამჩნიოს A ს ა შ კ ა რ ა

1) ხარვეზები: ა) I 12,28—29; I 36,17—23; I 37,22—38; II 40,7—8; II 115,23—32; II 119,17—30; --ეს ადგილები ჰკლებია ორივე ხელთნაწერს, B-ს შემდეგ შეუესია სხვა ხელთნაწერების საშუალებით: ბ) I 20,22—23; I 39,18—19; I 57,20; I 64,2—5; I 73,21—22; I 91,27—30; I 94,16—20; I 111,6—112,31; I—121,1—123, 4; II 79,8—9; II 194,1—195,29; II 201,20—202,28; --ეს ადგილები აკლია ორივე ხელთნაწერს.

2) შეცდომები:

I 60,13 ესე არს სისრულე] ვისრულე AB

I 77,8 იცვალეზიან] ვვალეზიან AB

I 84,3 რააზომეე] საზომეე AB

I 85,19 ღმრთებრივთა] ათებრივთა AB

II 60,22 წარმოშობს] წარმოობს AB

II 92,32 ეხატვის] ეტრფის AB

II 177,13 დრასტირიოთა] დასასტირიოთა AB

II 192,22-23 რომელ პირველნი] რომელნი AB.

3) ზედმეტი სიტყვები (სხვა ხელთნაწერებთან შედარებით):

I 11,6 და არა თუ და არა პირველი²

I 107,31 რამეთუ არცა ხრწნადთა ვითარ ხრწნადთა იყვნესმცა

II 27,4 და არა არს ერთ

II 28,14 ზიარებითა ერთისათა სიმრავლისათა

II 44,6 გაკეთებული ერთისა კეთილობისა მიერ

II 181,3 შორის სხეულთა.

4) ერთნაირი ვარიანტები:

I 37,20-21 ნაწილთაგან, რომელნი ესე განყოფილ] ნაწილებრივ განყოფილ AB

I 73,20 განგებითისა] განგებულისა AB

I 75,2 იესებს] ალიესებს AB

II 92,26 გუარისაჲ] არსებისაჲ AB

II 179,6-7 სიწმიდისა] სიწმიდისათა AB

შეცდომები და აღარ გაიმეოროს ისინი. მაგალითად, B აღარ იმეორებს A-ს მოგორჯერ ან ზედმეტად დაწერილ სიტყვებს:

I 17,21 მქონებელი შუცნებით ბუნებით

I 33,21 უდარესი უმდარესი უზჯობისისგან

II 468 და თვთ და თვთ

II 85,4-5 ზესთა ძალისა ეამისა

II 97,24-25 მიხედოს ვნებამან ხედვანან.

1) ჩვენს გამოცემაში, როგორც პირველ ტომში (I) ისე მეორეში (II), მკაფიოდენი გამოწკლისის გარდა, ყველა შემთხვევა აღნუსხული სტოლიობნი.

2) A-ს ზედმეტი სიტყვები წახვასით მოგვყავს.

II 182,21 არსებასა] არსებათა AB

II 184,21 მყოფობისა] მყოფობითისა AB.

ხელთნაწერი C

C—ხელთნაწერი № 2235 ყოფ. საისტორიო საზოგადოებისა (ჩამოტანილი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), ამჟამად საქართველოს მუზეუმის ხელთნაწერი № H—2235; ზომა 23×16 სმ., ნაწერისა $16\frac{1}{2} \times 10\frac{1}{2}$ სმ. ხელთნაწერი ლაშაზი მხედრული ხელითაა გადაწერილი და შეიცავს თვით გადამწერის თვლით 24 რეველსა და 6 ფურცელს, ე. ი. 190 ფურცელს (ჩვენ მიერ დანომრილ იქმნა 383 გვერდი). უკანასკნელი ორი [ფურცელი დარჩენილა ცარიელი. 189 ფურცელზე ნუსხა-ხუცურით არის მიწერილი:

«სრულ იქმნა და დიდებაჲ სამებასა ღმერთსა მხოლოსა უკუნისამდე ამინ თთვესა სეკდენბერსა მეორესა რიცხუსა კელითა ისაკ მცირისათა წელთა ჩღწთ». [1769].

190b გვერდზე ხელთნაწერისავე ხელით სწერია მხედრულად¹:

«ძველსა წიგნსა შინა მიხილავნ მე ზაქარია მოძღვარსა და მუნით² გარდამომიწერიეს. მრავლით ქაშითგან უწინარეს ეფთიმი და გიორგი³ წმიდათა მამათა მთარგმნელთასა და ვით და სტეფანე ქართველთა გვარისანი იერუსალიმს მიიწინნეს და მუნ შეემეცნნეს ელლინთა ენამზეობასა და პირველად მათ გარდამოთარგმნნეს რაოდენნიმე საეკლესიონი წიგნნი ბერძულისაგან ქართულად და არაბთა ენისაგანცა საღმრთონი წიგნნი გარდამოიღეს მრავლითა შრომითა. და შემდგომად მრავლისა ქამისა აღეშენა საყდარი იპორტაიტისა⁴ ღმრთისმშობლისა და მუნ შეკრბეს მრავალნი ქართველნი მონაზონნი და, მათ შორის გამოჩნდეს ეფთიმი და გიორგი სანატრელნი მამანი და რაოდენნიცა და ვით და სტეფანეს მიერ თარგმნილნი წიგნნი მწერალთა განერყვენეს, ამათ განაწრთელეს და განმართეს და უმრავლესი ახლად გარდამოთარგმნეს. ამათსა შემდგომად გამოჩნდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი საბათუხბარელი და ეფრემ მცირე მოწაფე იოანე პეტრიწისა. ესე ეფრემ ფრიად აძულა საბათუხბარელმან თარგმანებად რაოდენთამე წიგნთა, რომელნი არა თარგმნილ იყვენეს ენასა ჩვენსა, და გარდამოთარგმნა წიგნი დიონისი არიოპაგელისა და გრიგოლი ღმრთისმეტყველისა ლავსაიკონი, დავითის თარგმანი ორ წიგნად, სჯულის კანონი

¹) იგივე მინაწერი ჰქონია „კავშირნი“-ს სხვა, გრუზინისკის (G) კოლექციის, ხელთნაწერს იმ განსხვავებით, რომ იქ ორთოგრაფია სხვაა. ეს მინაწერი მუყეანილი აქვთ ა. ცაგარელს (См. Служения I, 61-62) და თ. შორდანიას (ქრ. I, 224—225).

²) მუნიოვან G. ³) ეფთიმისა და გიორგისა G. ⁴) პორტაიტისა G.

დიდი და რომელნიმე ცხოვრებანი და წამებანი წმიდათანი, თეოფილონ ისტორია, და თქმულნი კასიანე მონაზონისანი. ხოლო ეფრემ იყო შავსა მთასა და ოდესმე იერუსალიმსაცა».

C-ს გადამწერი განსაკუთრებულის გულისყურით ეპყრობა ძეგლის ტექსტს: მრავალია წემთხვევა, როდესაც თავისი დედნის დამახინჯებულ ადგილს უფიქრდება; თუ შეუძლია მაშინვე მიუხვდეს შეცდომას—იქვე ასწორებს; როდესაც ის თვითონაც ეკვობს, თუ როგორ იქნება უფრო სწორად, სათანადო შენიშვნას უკეთებს არშიაზე (იხ. მაგალითები I 28,24; 49,16;50,13; II 68,6; 222,23).

გადამწერი მექანიკურად არ ეპყრობა საქმეს; ის, ჩანს, ძალიან დაინტერესებულია თვით ძეგლის ვაგებით და გარდა იმ ხელთნაწერისა, საიდანაც იწერს, ხელთ აქვს სხვადასხვა დამხმარე წიგნებიც. პეტრიწის ტექსტის გასაგებად საჭიროდ მიუჩნევია პროკლეს თხზულების ახალი, XVIII საუკუნის, თარგმანიც თან ჰქონოდა. ასე ჩვენს გამოცემაში (I 4, თავი 2.) დადასტურებული გვაქვს ერთი შემთხვევა, როდესაც მას შეცდომით (თუ რაიმე განსაკუთრებული მოსაზრებით) მთელი მეორე თავის თარგმანი და კომენტარი ჯერ დაუწერია ამ ახალი თარგმანიდან (სვიმონ გარნელის განმარტებითურთ), ხოლო შემდეგ პეტრიწის ტექსტს დაბრუნებია.

C-ხელთნაწერი (და მასთან ერთად K, რომელიც C-ს ჯგუფისაგან მომდინარეობს) ერთად-ერთი ხელთნაწერია, რომელსაც ცალკე თავების სათაურები შესაძლებელი სისრულითა აქვს დაცული (სათაურები წითლად არის მიწერილი არშიებზე). როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან ნათელია, სათაურები ყველა თავს არასდროს არ ჰქონია: სათაურები გარკვეულ ნაკვეთებს ჰქონიათ, თითოეულ ნაკვეთში კი რამდენიმე თავი შედიოდა. ქართულ ხელნაწერთაგან მხოლოდ C-ს შემოუნახავს მეტიწილი ბერძნულში დაცული სათაურებისა: 39 სათაურიდან C-ს დაცული აქვს 31 (მას აკლია 6 სათაური ბერძნულ ხელთნაწერებში დაცულთაგან); თვით ბერძნული დედნის ჩვენამდე მოღწეულ ხელთნაწერებს კი დაცული აქვთ მხოლოდ 16 სათაური (მათ აკლიათ 28 სათაური ქართულ ხელნაწერებში დაცულთაგან).

ის გარემოება, რომ C-ს საკმაო სისრულით აქვს დაცული სათაურები და ეს სათაურები ასახავენ ბერძნული ხელთნაწერების სათაურებს, მოწმობს იმას, რომ C-ს განკარგულებაში ყოფილა კარგი ღირსების დედანი; ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ C, შედარებით სხვებთან, უფრო თავისუფალია ტექსტუალურ დამახინჯებათაგან.

თავი	ქართული სათაური	ბერძნული სათაური	ხელთნაწერები
თავი 1.	ერთისა და სიმრავლისათვის		CFK
თავი 6. თავი 7.	წარმომჩენელისა და წარმჩენილისათვის უმჯობესისათვის წარმომჩენელისა (A)	<i>περι τῶνδων περι τῶν ἀγαθῶν καὶ καταρτιστικῶν</i>	ბერძ. ACFK ¹
თავი 8.	პირველისა კეთილობისათვის და უმოკენროსა და მოკენისა, და თუ არს მიზეზი არსთა და ერთი არს, დაღათუ არსთა და საბამი და მიზეზი პირველი კეთილობა არს, და თუ კეთილობა და ერთობა ერთი არს	<i>περι τῶν πρώτων ἀγαθῶν, ἢ καὶ ἐναντίων καλεῖται</i>	ACFK ბერძ.
თავი 9.	კეთილობისათვის (A) უმოკენროსათვის (A) უმოკენროსა და მოკენისა	<i>περι ἀσφάλειας</i>	ACFK ბერძ.
თავი 11.	წარმოობისთვის (A) [მიზეზისათვის]	<i>περι αἰτίων</i>	ACFK ბერძ.
თავი 14.	მიუდრეკელისათვის, თვთომოდრეკისა და სხვსა მიერ მიდრეკადისა	<i>περι ἀκατήτων καὶ ἀτοκατήτων ἀρχῶν ἢ αἰτίων</i>	ACFK ბერძ.
თავი 18.	წესდადებისათვის არსთათვის (A)	<i>περι ὁρίων</i>	ACFK ბერძ.
თავი 19.	მიქმნისათვის		A
თავი 20.	სული, გონება, სხეულთ მიდრეკა		A
თავი 21.	არსთა დაწყებისათვის	<i>περι τοῦ θεοῦ τῶν πρώτων αἰτίων ὁ τοῦ</i>	A ბერძ.
თავი 25. თავი 41.	სხვსა შორის მდგომისა და თვთმდგომისათვის	<i>περι τελείων</i>	ბერძ. CK
თავი 48.		<i>περι ἀίδιων, πρώτων τῶν δεξίων, δευτερίων ὁ τρίτων</i>	ბერძ.
თავი 50.	საუყუნროსა და ეპიფორისათვის	<i>περι γένεσιν καὶ τῶν κατὰ χροῖον</i>	CK ბერძ.
თავი 52. თავი 53.		<i>τί ἐστιν αἰώνιος περι αἰώνων καὶ τῶν αἰώνων</i>	ბერძ. ბერძ.

¹⁾ A-ხელთნაწერში სათაურები ყველგან გვიანი მხედრული ხელითაა მიწერილი.

თავი	ქართული სათაური	ბერძნული სათაური	ხელნაწერები
თავი 56.	შესმენათათჳს და ქუემდებარეთა		CK
თავი 60.	ყოვლადისა და ნაწილთათჳს		CK
თავი 75.	მიზეზთა სხუობისათჳს		CK
თავი 77.	მიზეზთათჳს ძალთა და მოკმედებათათჳს		ABEH CK
თავი 80.	სხეულთათჳს და უსხეულთა		CK
თავი 84.	მარად მყოფისათჳს		C
თავი 86.	სხუობისათჳს მიუწდომელისა		CK
თავი 87.	მყოფისათჳს და სხუობისა მისისა		CK
თავი 89.	განსახლერებულთა და განუსახლერებელთათჳს	παρα ἄπειρον καὶ πέρας	CK ბერძ.
თავი 97.	შესმენათა და ქუემდებარეთათჳს		CK
თავი 104.	საუკუნოჲსა და უკუდავისათჳს		CK
თავი 108.	სქესთა ზიარებისათჳს და შესმენათა და ქუემდებარეთა		CK
თავი 111.	საღმრთოთა საცნაურთათჳს და ლიტონთა საცნაურთა სულთა, და ლიტონთა სულთა, და სიტყუერთა სხეულთა, და უსიტყოთა სხეულთა		CK
თავი 113.	საღმრთოთა რიცხუთათჳს, და ზიარებითა აღმერთთა, რომელ არიან საყოველთაონი		CK
თავი 123.	პირველისა მიზეზისათჳს		CK
თავი 128.	გონებათათჳს და სულისა კაცისა და ცათა		CK
თავი 136.	შესმენათათჳს და ქუემდებარეთა		CK
თავი 141.	წინა განმგებლობისათჳს ღმრთისა რომელა ანგელოსთა მიერ		CK
თავი 145.	შესმენათა და ქუემდებარეთათჳს		CK
თავი 167.	საცნაურთათჳს, ცნობათა და ცნობადთა		CK
თავი 184.	სულისათჳს	παρα ψυχῆς	CK ბერძ.
თავი 207.	ახნაურებიოთისა სულისათჳს, რომელ არს სიტყუერი სული		CK

ხელთნაწერი D

D—ხელთნაწერი № 2182 ყოფ. საისტორიო საზოგადოებისა (ჩამოტანილი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), XVIII საუკუნე სხა-ხუცური თ ნაწერი; ზომა 31×22 სმ., ნაწერისა 22×15; სულ 162 ფურცელი; შეიცავს ძეგლს შოლიანად («გუარსა თანა გუაჲ..... ზედწანაწერისასა»). გადაუწერია არქიელის ტიმოთეს დაეალებით ტფილისის სიონის კანდელაკის ძეს ისაკს, 1751 წელს. 162b გვერდზე გადამწერის მინაწერია:

«ვითარმედ საძნოდ და ღრიფად სამეცნონი და ღრმად საღრიფონი მატანნი მომეცნეს მე აღწერად და განეკრთი საკვირველებასა მწვერვალთა ფილოსოფოსისა და ვედრონის ატტიკულგებრივსა გრძნობისასა პლატონის მიერსა სიბრძნესა და პროკლეს დიადოხოვბრსა აღკაზმვას და მცნოდა უაღრესისა გულისკმისასა კელყოფად არქიერის ტიმოთესგან ვიიძულე მე მდაბალი ტფილურთა დიდებულისა სიონის კანდელაკის ძე ისაკ მონა უფლისა საბაოთისა და ევმანუილისა დედისა მინდობილმან აღესწერე მრავალ საღაღადო ესე ერთი აღწერად ფრიადითა შრომითა და სისწორის ტკივილთ მოყვარებითა აწე მიმთხვეულნი წიგნისა ამის შენდობით მოიხსენებდეთ საფასეთა წარმგებელსა და მე მშრომელსა უსასყიდლოთ მომიკსენებდეთ.

ქრისტეს აქათ ჩღშია [1751] ქორონიკონს ულ³ [438]»¹.

ეს ხელთნაწერი, როგორც ჩანს, შილდაში ყოფილა. ყდის წინა ფიცრის შიდა გვერდზე მხედრული ასოებით სწერია:

«ქ. მე იორამ ვეშაპიძემ მამულის წილი ჩემის ნებით არ ვინდომე; ამაში ბატონი უბრალო არის და ჩემი სახლის კაცებიც. ამას იქით თუ მოვინდომო, ნულარ მომცემთ. არის ამის მოწამე მოსე ბერი, დავით აქიმი და სულ შილდეღნი. სეკდებრის კ, უნ³ ქ.» [457+1312=1769].

ტექსტის პირველი გვერდის ქვედა არშიაზე სწერია: «წიგნი ესე კავშირი ეკუთვნის იოელ აღექსიევს». ბოლოში, კი, უკანა ყდის შიდა კანზე აწერია: В этой рукописи сто шестьдесят два (162) внизу нумерованных листа. 1898, XI 29 (ეს ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის მცველის მიერ არის მიწერილი).

პეტრიწის განმარტების შესავლის ბოლოში, არშიაზე, სინგურით მიწერილია ერთერთი ძველი გადამწერის სქოლიო, ისეთივე, როგორც AB ხელთნაწერებშია (იხ. ჩვენი გამოც. II 9, შენიშვნა*), ხოლო შერყვნილი სახით. ჩანს, D-ს დედნის (ან მისი დედნის დედნის) ის ფურცელი, სადაც ეს სქოლიო ეწერა, ამოკმული ყოფილა. სქოლიო იკითხება შემდეგ ნაირად (ფრჩილებში ვავსებთ დანაკლისს):

¹) თარიღი ასომთავრული ასოებითაა, მთელი დანარჩენი ტექსტი ნუსხა-ხუცურით.

«რასა: [ევწერ ა]ნუ რასა: გლახ ემოქმედებ: გარნა: გვსწვიეს: გუპლთ[აგან თერიაჲ]: და წერმოვსტყვენაე: ყა: ძლსა: ქს: მიერ:.

ამის: წიგნი[საგან წარწყმდა] სამგზის: წყეული: არიოზ: და ამსგანეე: განა

თლებულ[თა სამგზის მოიგე]სა: ღის: მეტყველებისა: სხელი: დიდსა: ბრძე

ნთ[ა დიონოსი და ღრილორი] და ვასილი: და სხათცა: ვიეთმე შენ [გონებაჲ განწყმდილი მოიგე ღმრთისა მიმართ] და საზ

ღვარსა: მამათა: წმიდათასა: [ნუ გარდავკლდნები და არა საცთურ გექმნეს].»

ხაზგასმული სიტყვები და სიტყვათა ნაწილები (რასა, გუპლთ, ამის წიგნი, თლებულ) D-ხელთნაწერში გამოცალკეებულია სტრიქონთა დანარჩენი ნაწილებისაგან და შუაში ხარვეზია დატოვებული დედნის ამოკმულ ადგილებში არსებული სიტყვებისათვის (ევწერ ა, აგან თერიაჲ, საგან წარწყმდა, თა სამგზის მოიგე). ამავე დედნისაგან მომდინარე E-ხელთნაწერის გადამწერს ვერ გაუგია ამ სქოლიოს დანიშნულება: გამოცალკეებული (ჩვენ მიერ ხაზგასმული) სიტყვები მიუჩნევია შენიშენად და არშიაზე დაუწერია, ხოლო დანარჩენი ნაწილი ტექსტში შეუტანია შემდეგი სახით: «ნურას გლახ ემოქმედებ. გარნა გვისწავიეს. წარმოვსტყვნაე ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ: სამ გზის წყეული არიოზ; და ამისგანეე განსა ღვთისმეტყუტლებისაჲ სახელი: დიდსა ბრძენტ და ვასილი: და სხუათაჲ ვიეთმე შენ და საზღუარსა მამათა წმიდათასა». ასევე ვერ გაუგია ეს მინაწერი H-ხელთნაწერის გადამწერსაც, რომელსაც ცალცალკე მოჰყავს არშიაზე მინაწერის ორივე ნაწილი.

D-ხელთნაწერის გადამწერს საკმაოდ შერყენილი დედანი ჰქონია ხელთ, თვით გადამწერს კი ნაკლები უნარი შესწევდა დამახინჯებული ადგილების აზრიანად აღდგენისათვის, მაგ.,

I 17,26 მეორე და შემდგომი—D მეორეთა შემდგომი.

I 19,13 მის ქუეშე—D მოქუტშა

I 35,17 შემდგომად—D ქტლ

I 36,22 ორნი—D რნი

ზოგჯერ ისეთი ვარიანტით ან რედაქციითა მოცემული ტექსტი, რომ არაეითარი. აზრის გამოტანა არ შეიძლება (შეად., მაგ., I 4,10-17; II 26,8-10).

ენობრივი ფორმების მხრით D-ხელთნაწერი მისდევს, საზოგადოდ, ძველ ნორმებს, მაგრამ ზოგჯერ სიახლეს იჩენს უმარცვლო უნის საკითხში და უნის მაგიერ ვინს სწერს: „მოაქეს“, „უთქვისა“, „თვითება“ (მაგრამ გვხვდება აგრეთვე „თვთ“), „ნამდვილ“,

„მხედარ“, „გაგვარებული“, „გვარი“ (იქვე პარალელურად „გუარი“) და სხვ., იშვიათ შემთხვევაში ა-მეტობაც ემჩნევა („შობადასა“, „არსებადას“).

ხელთნაწერი E

E—ხელთნაწერი № 2363 ყოფ. საისტორიო საზოგადოებისა (ჩამოტანილი ლენინგრადის სააზიო მუზეუმიდავნი); გადაწერილია XVIII საუკ. მხედრული ხელით; ზომა $32 \times 20\frac{1}{2}$ სმ., ნაწერისა $25 \times 14\frac{1}{2}$; სულ 176 ფურცელია, დაუნუმრავი, გვერდში 27 სტრიქონია; შეიცავს ჩვენს ძეგლს სრულად («გუარსა თანა გუაც... ზედწანაწერისასა»).

პირველ გვერდზე მოთავსებულია ცხრილი-საძიებელი, მეორე გვერდზე ამ ცხრილის შენიშვნის სახით სწერია: « $\bar{\text{N}}$ შთამომავალ არცა თარგმანთა და მთარგმნელთა მიერ რიცხუდ[ი] ესე საძიებელთა, არამედ ახლად ვითარცა არიან, დაღათუ არავე სრულიად უხმარ არიან»¹.

176ხ გვერდის ბოლოში მინაწერია: «დიდება ღმერთსა სრულმყოფელსა ყოვლისა კეთილისასა უკუნითი უკუნისამდე». შერმე გადაშერის მინაწერი:

«ალიწერა ღმრთისმეტყუელებითნი ესე კავშირნი სამეუფოსა შინა ქალაქსა სანკტ-პეტერბურღს ლავრასა შინა ალექსანდრე ნეველისასა, წელსა 1819, სექტემბრის 15-სა.

ხოლო თქუენ მხილუძლნო, რომელნიცა შეემეცნებით წერილსა ამას შინა ცთომასა რასამე სიტყუათა, ლექსთა, ანუ მარცხალსა, ნუ ჩემ მიერ ჰგონებთ (და რამეთუ არცალა თუ საკრვო არს). გარნა მე მსურჴსლისა მიერ იძულებულმან ყოვლის სიმკაცრით ვიგულს-მოდგინე გარდმოწერად ვითარ დედანსა შინა წრფელობდა უმეტნაკლოდ; ხოლო სადაცა იხილავთ ამას შინა დედნისა მიერ ცთომისა სახესა ლექსთათჳს დაშთომილსა ადგილსა, ამად მე ნუ მწყევე არა რაჲსა ცუდად მკადრენსა; არამედ გვედრთ მცირედ მშრომელი შენდობის მეტყველებასა; გ. ბ. ტარასი»¹.

ხელთნაწერი F

F—ხელთნაწერი № 2238 ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა (ჩამოტანილი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), მხედრული ხელით გადაწერილი. სულ 672 გვერდია, ზომა

¹) ასეთივე სიტყვებია B ხელთნაწერშიაც; ჩანს, ბევრ ხელთნაწერში ყოფილა ერთი და იგივე მინაწერი: B-ში მელქისედეკს ეკუთვნის მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები.

²) ერთერთი ძველი გადაშერის მინაწერის შესახებ იხ. ზემოთ-გვ. LXXXI.

20×17 სმ., ნაწერისა $15\frac{1}{2} \times 11\frac{1}{2}$ სმ. გადაწერილია პეტერბურგში (ლენინგრადში) 1862 წელს ს. ტაბიძის მიერ (მინაწერი გვ. 672: «ალიწერა დიდსა ამას ქალაქსა სანკტ-პეტერბურს შინა; კელითა ჩემ-კოდვილისა ს. ტაბიძისათა. წელსა 1862. თთჳსა ფებერვალსა 19-სა») და შეიცავს ჩვენს ძეგლს სრულად («გჳარსა თანა გუაც... წარმკითხველსა ზედ-წანაწერისასა»). თავების დასაწყისში ყველგან სრულად უწერია «პროკლეს» და იოვანეს» (ე. ი. «პროკლეს თავი» ესადაეს, «იოვანეს თავი» ესადაეს), ტექსტი სუფთად არის დაცული. ორთოგრაფიულად ახასიათებს ჳ-ს ხმარება.

ბოლოსიტყვაობა გამოყოფილია დანარჩენი ნაწილისაგან: თავიანი განმარტებები თავდება 626 გვერდზე, 627 გვერდი დაუწერელია, ხოლო ბოლოსიტყვაობა იწყება 628 გვერდიდან. ბოლოსიტყვაობაში პეტრიწის მიერ მოყვანილ ზოგიერთ ადგილს ძველი და ახალი აღთქმიდან არშიაზე მითითებული აქვს თავებისა და მუხლების სათვალავი.

ხელთნაწერი G

G—ხელთნაწერი № 2297 ყოფ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა (ჩამოტანილი ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), XVIII საუკ. ნუსხა-ხუცური თ გადაწერილი; ზომა $22 \times 16\frac{1}{2}$ სმ., ნაწერისა $14\frac{1}{2} \times 10$ სმ. სულ დაცულია 156 ფურცელი, ვიდრე პროკლეს 71 თავის სიტყვებამდე «რამეთუ ზესთ დაეფუძნებიან თანმიცემათა უდარ[ესთასა] (ჩვ. გამ. I 46,29).

ხელთნაწერი მეტის-მეტად დაზიანებულია თავშიაც და შუაშიაც. თავში აკლია შესავალი და პირველი შეიდი თავი; იწყება „განმარტების“ შერვე თავიდან სიტყვებით «წყურილთა მრ საწა-ლომასათა» (იხ. ჩვენი გამოც. II 34,32).

შუაში აუარებელი ხარვეზია დატოვებული; აკლია არა მართო ცალკე სიტყვები, არამედ მთელი აბზაცები და გვერდებიც: ასე მაგ., აკლია მეთერთმეტე თავის უდიდესი ნაწილი, «კავშირნი»-ს სიტყვებიდან «რამეთუ უკუეთუ ცნობაჲ» (I 11,18) „განმარტების“ სიტყვებამდე «და თუ არცა რაობაჲ რათაჲვე» (II 41,10)¹.

ხელთნაწერი H

H—ხელთნაწერი № 1150 ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა, XVIII საუკუნის მხედრული ხელით გადაწერილი; ზომა $20 \times 15\frac{1}{2}$ სმ., ნაწერისა 14×10 სმ., შეიცავს ჩვენი ძეგლის ტექსტს სრულად. განსხვავებით სხვა ხელთნაწერებისაგან H-ს ახასიათებს ჳ-ს და ანტონის

¹) ჩვენს გამოცემაში მხოლოდ პირველი 21 თავის ფარგლებშია გათვალისწინებული G-ს ვარიანტები.

მიერ შემოღებული ო ასოების ხმარება: 1) ხზრწნილ, გარდაიხილავეს, თხზჭასა, მზბრძოლად, მგრგჳელივ, მესმენელსა, მგგრგულეება, მისცემეს, სხზჭასა, ჳმზნისა, შეიცავეს, ხზრწნილ, წარსუძრავს (2-ს ხმარების შემთხვევები აღნიშნულია ჩვენი გამოცემის ტექსტუალურ აპარატში); 2) სჳეროჲ (II 46,33), სჳეროთა (II 38,8), სჳეროთასა (II 52,35), ჳილოსოჳოსი (II 58,9), ჳილოსოჳოსმან (II 38,31), ეპიჳანიასა (II 51,19).

ვარიანტების შედარება გვარწმუნებს იმაში, რომ H-ხელთაწერი D-ს ჯგუფს ეკუთვნის: იმდენია შემთხვევა ორივე ხელთაწერის წანაკითხთა დამთხვევისა, რომ D და H-ს ერთი წყაროდან მომდინარეობა უდავო ხდება. ასე, მაგ.:

II 19,19: ნუუჳე და

DH: დააღუჳე და

II 23,13: ვითარ გონებისასა, სულისასა, და ბუნებისა, და ცისასა

DH: ვითარ გონებისასა კ`ლის`სა.....

II 24,7: პირველი აღმკული

DH: პირველი აღმოჩენა

II 24,11-12: და კუალად ვითარ ბუნებითა და სწავლულეებითა შორის

D: და კუალად სხუა მიწთომილებათა შორისი

H: და კუალად სხუა მიწთომილებითა და სწავლულეებითა შორის

II 24,13: ურთიერთას ზიარებითა იქმნების ერთ, მოიღე სახედ

D: ურთიერთას ზიარებითა ურთიერთაჲ მოწლე სახედ

H: ურთიერთას ზიარებითა არს ერთ მოწლე სახედ

II 24,18: არცა ვითარ რიცხუთა შორის, არამედ ოდენ გუარ და მხოლო

DH: არცა ვითარ რიცხვ იყოს თვინიერ გუარ და მხოლოდ

II 25,1-2: არცაღა ნაწილნი მისნი

DH: ესეცა და ნაწილნი (D: ნაწილნიცა) მისნი

II 25,21-22: ვითარ ვიხილავთ ყოველთა შემთხუეულთა

DH: და ვითარ ვიხილე არა შემთხუელთა....

II 26,3-4: ამათ კანონთა მიერ და ბუნებისა მიერ საქმეთაჲსა ცხად არს

DH: ამათ და ამის და ყოველთა მის საქმეთაჲსა ცხად არს

II 26,8-10:... ერთისა ქმნაჲ, რამეთუ ყოველსა ქმნასა ანუ ეამი ეუფლების, ანუ საუკუნოჲ, და ვერ ვინაჲ განველთას ამათ ორთა დასაბამთა, რამეთუ ანუ ეამითა შორის ყოველი აგებული

DH: ერთისა ქმნაჲ, და ჟამი ეუწყების ერთსაჲ საუკუნოჲ,
და ერთის მისა მიმართ მისგან განბნევიტა და
მათ არღარა დასაბამთა, რამეთუ ანუ არსსა შო-
რის აგებულთ

II, 47,2-3. თანმიღებაჲ ართროჲსაჲ თუ რ ი ო

DH. თანმიღებაჲ ართროჲსაჲ თუ რ ა ო

II 60,30, რაჲ საზომი აქუს ბედსა და ხუედრებასა

DH. რაჲ საზომი აქუს შჯდსა და ხუედრებასა.

ხელთნაწერი I

I—ხელთნაწერი № 1412 ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა, გადაწე-
რილი XIX საუკუნის მხედრული ხელით. შეიცავს ჩვენი ძეგლის
მხოლოდ 40 თავს. გადაწერილია სხვადასხვა (სულ ცოტა სამი)
ხელით.

იმ გვერდზე, სადაც 22 თავია, კვება არშიაზე სწერია: «რაქას
კათალიკოზთან მოვიდეს ბესარიონთან». იგივე ბესარიონი იხ-
სენიება იმ გვერდის არშიაზე. სადაც 33. თავია: «კლზს ბესარიონს
მიერთვას».

ხელთნაწერი საკმაოდ მდარე ღირსებისაა, როგორც წანაკით-
ხების ისე მართლწერის მხრით. კოლაციისათვის არ გამოგვიყენებია.

ხელთნაწერი K

K—ეს ხელთნაწერი მხოლოდ ერთი, ლურჯი ფერის თაბახისა-
გან შედგება, ეს თაბახი დევს № 2297 ხელთნაწერში ყოფ. საის-
ტორიო საზოგადოებისა და შეიცავს მხოლოდ სათაურებს ჩვენი
ძეგლის ცალკე ნაწილებისა. სულ 28 სათაურია მოყვანილი. ქვემოთ
მოგვყავს ეს ნუსხა მთლიანად.

კავშირის თავთავიანნი ზედწარწერანი

1. პირველსა თავსა ვიდრე მეშვიდედ თავადმდე აწერია ზედა
წარწერად: „ერთისა და სიმრავლისათჳს“¹.
2. მეშვიდით მერტმდმდე აწერია: „წარმომჩენელისა და წარ-
მოჩენილისათჳს“.
3. მერვით ათოთხმეტადმდე აწერია: „პირველისა კეთილო-
ბისათჳს. და უმოკენოჲსა და მოკენისა. და თუ არს მიზეზი
არსთა. და ერთი არს. დაღათუ არსთა დასაბამი და მიზე-
ზი პირველი კეთილობაჲ არს, და თუ კეთილობა და ერ-
თობა ერთი არს“.

¹) ბრკეალბეში ჩასმული სიტყვები ნუსხა-ხუცურიით სწერია. დანარჩენი
მხედრულით.

4. მებათობხმეტით მებათრჭამეტადმდე აწერია: „მიუღრეკე-ლისათვს, თვთმიმდრეკისა, და სხვსა მიერ მიდრეკადისა“.
5. მებათრჭამეტისაგან ორმეოც და ერთადმდე აწერია: „წეს-დადებისათვს არსთასა“.
6. ორმეოც და ერთიღვან ორმეოც და ათამდე აწერია: „სხვსა შორის მდგომისა, და თვთმდგომისათვს“.
7. ორმოც და ათითგან ორმოც და თექვსმეტადმდე აწერია: „საუკუნოჲსა და ეამიერისათვს“.
8. ორმეოც და ათექვსმეტით სამმეოც და ექვსადმდე აწერია: „სმენათათვს და ქუჲმდებარეთა“.
9. სამეოც და ექვსით სამეოც და ხუთმეტადმდე აწერია: „ყო-ვლადისა და ნაწილთათვს“.
10. სამმეოც და ათხუთმეტით სამეოც და ათ შვიდ მეტადმდე აწერია: „მიზეზთა სხუაობისთვს“.
11. სამმეოც და ათ შვიდ მეტით ოთხმეოცადმდე აწერია: „ძალ-თა და მოქმედებათათვს“.
12. ოთხმეოცით ოთხმეოც და მეექვსედმდე აწერია: „სხეულ-თათვს და უსხეულოთა“.
13. ოთხმეოც და მეექვსით ოთხმეოც და მეშვიდედმდე აწერია: „სხუაობისათვს მიუწდომელისა“.
14. ოთხმეოც და მეშვიდით ოთხმეოც და მეცხრედმდე აწერია: „მყოფისათვს და სხუაობისა მისისა“.
15. ოთხმეოც და მეცხრით ოთხმეოც და ათ შვიდმეტადმდე აწერია: „განსაზღურებულთა და განუსაზღრებელთათვს“.
16. ოთხმეოც და მებათშვიდმეტით ასოთხადმდე აწერია: „შეს-მენათა და ქუჲმდებარეთათვს“.
17. ასოთხით ას რეადმდე აწერია: „საუკუნოსა და უკუდა-ვისათვს“.
18. ას რვით ას თერთმეტადმდე აწერია: „სქესთა ზიარებისა-თვს, და შესმენათა და ქუჲმდებარეთა“.
19. ას თერთმეტით ასცამეტადმდე აწერია: „სამღრთოთა სა-ცნაურთათვს, და ლიტონთა საცნაურთა, და საცნაურთა სულთა, და ლიტონთა სულთა, და სიტყვერთა სხეულთა, და უსიტყუთა სხეულთა“.
20. ასცამეტით ას ოც და სამადმდე აწერია: „სამღრთოთა რიც-ხუთათვს, და ზიარებითთა ღმერთთა რომელ არიან საყო-ველთაონი“.
21. ას ოც და სამით ას ოც და რეადმდე აწერია: „პირველისა მიზეზისათვს“.
22. ას ოც და რვით ას ოც და [ათ]ექვს[მეტ]ადმდე აწერია:

- „გონებათათვის და სულისა კაცისა და ცათა“.
23. ასოცდა [ათ]ექეს[მეტ]ით ას ორმოც და ერთადმდე აწერია:
„შესმენათათვის და ქუამდებარეთა“.
24. ას ორმოც და ერთით ას ორმოც და ხუთადმდე აწერია:
„წინაგანმგებლობისათვის ღმრთისა რომელა ანგელოზთა მიერ“.
25. ას ორმოც და ხუთით ას სამოც და შვიდადმდე აწერია:
„შესმენათა და ქუამდებარეთათვის“.
26. ას სამოც და შვიდით ას ოთხმოც და ოთხადმდე აწერია:
„საცნაურთათვის, ცნობათა, და ცნობადთა“.
27. ას ოთხმოც და ოთხით ორას შვიდადმდე აწერია: „სული-სათვის“.
28. ორას შვიდით ორას ათერთმეტადმდე რომელა უკანას-კნელადმდე აწერია; „აზნაურებითისა სულისათვის რომელ არს სიტყვერი სული“.
-

ხელთნაწერთა მარჯვენაგვერდი

- x—ხელთნ. H-1337 (ყოფ. საისტორიო საზოგადოებისა), XIII საუკ.
A—ხელთნ. A-69 (ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა), XVI საუკ.
B—ხელთნ. A-74 (ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა), 1731 წლისა.
C—ხელთნ. H-2235 (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), 1759
წლისა.
D—ხელთნ. H-2182 (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), 1751
წლისა.
E—ხელთნ. H-2363 (ლენინგრადის სააზიო მუზეუმიდან), 1819 წ.
F—ხელთნ. H-2238 (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), 1862
წლისა.
G—ხელთნ. H-2297 (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან),
XVIII საუკ.
H—ხელთნ. A-1150 (ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა), XVIII საუკ.
I—ხელთნ. A-1412 (ყოფ. საეკლესიო მუზეუმისა), XIX საუკ.
K—ხელთნ. H-2297a (ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან), XIX ს

-
- P—პროკლეს „კავშირნი“, თარგმნილი იოანე პეტრიწის მიერ (გვერ-
დები და სტრიქონები ნაჩვენებია ჩვენი გამოცემის მიხედვით
(ტომი I)
S—სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, ი. ყიფშიძისა
და აკ. შანიძის გამოცემა, ტფ. 1928.
Dodds—პროკლეს „კავშირნი“, ბერძნული ტექსტი (Proclus, The
Elements of Theologie. A revised text, with Translation, In-
troduction and Commentary, by E. R. Dodds. Oxford 1933.
-

პროკლე დიბლომატიისა
პლატონურისა ფილოსოფიისა
კავშირნი

ელინურიდან კართულად თარგმნილი
ილიანე პატრიარქის მიერ

ზროკლე დიადოხოსი
ჰლატონურისა ფილოსოფოსისა
კავშირნი

ღთისმეტყულებითნი თავნი ორას და ათ ერთნი

5

თავი 1

ერთისა და სიმრავლისათჳს *

ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა. ხოლო თუ არ ეზიარების, არცა ყოველი ერთ იყოს, არცა თითოეული მრავალ-
 10 მრავალ, და ესე ვიდრე უსაზღვროობამდე, და თითოეულთა ამთ უსაზღვროობათაჲ იყოს კუალად სიმრავლე უსაზღვროჲ. არცა ერთსა
 არ თანზიარებელი, არცა თვისისა საყოველთაჲსადმი და არცა თვის
 შორის თითოეულისადმი, ვინაჲ ყოვლად ყოვლითურთ იყოს უსა-
 15 ზღვრო. რამეთუ თითოეული, რომელიცა შეიპყრა, ანუ ერთი იყოს
 ანუ არა ერთი; და თუ არა ერთი, ანუ მრავალ ანუ არა რაჲ. ხოლო
 თუ და თითოეული არა რაჲ, და არა რაჲთვან არა რაჲ. და კუალად
 უკუეთუ თითოეული მრავალ იყოს, უსაზღვროობით უსაზღვრო თი-
 თოეული. არამედ ესე შეუძლებელ. რამეთუ არ ეგების რაჲვე მყოფ-
 20 თაჲ უსაზღვროობით უსაზღვროჲ (რამეთუ უსაზღვროობასა არა რაჲ
 უფროჲს არს, ხოლო ყოველობასა შორის თითოეულისა უფრო) და
 არცა არარაობისგან რაჲ შესაძლებელ არს წარმოდგენად. ვინაჲ ყო-
 ველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა **.

10 ვიდრე <D.-- 11 არც BD.— 14 თითოეულსა ABD.— შეუპყრა C.

* ხაოჲდა მოკეჲლასი CFK ხელნაწერებჳს.

** ამის შესახებ თეთი თანეს განმარტება ჩარველი თავნათის, ასევე როგორც ყველა
 211 თავს თეთიანის დღესასწაულის თანეს განმარტებებჳს შესახებ, წესს გამოცემა თანეს განმარტებებჳს
 ცალკე წიგნად იქვე. A ხელნაწერს ჩარველი თავს პეტიტ, აბ. ს.უ, გადამწერს უნაუნა იქს:
 «შეისწავე, რამეთუ ესე წიგნი, კი მენ-ს ხოლი იო დ აღნაწერი, ამისთვის
 თანაჩართვით დაწვერეთ, რაჲთა მწერალთა და მკითხველთა გუაუდვილდეს და,
 ვითა დედასა ეწერა, ეგრე შეცვალებულად დაგვწერია აქაცა. და რომელი პ რ ო კ-
 დ ეს ი ა „პარი“ დაგვკვამს თავსა შვეი წითლითა შემოცული; და რომელი ი ო ა-
 ნ ეს ი ა „ინი“, რაჲთა ორთავე ფილოსოფოსთა სიტყუაჲ თვის-თვის იცნობებოდესა.

თ ა ვ ი 2

ნაწილთა მიერ შედგმულისა მართისათჳს *

ჟოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს და არა ერთი.

ხოლო თუ არა არს იგი თვთერთ და ეზიარების ერთსა, იყო სხუაჲ

6 თვნიერ ერთისა, და იენო ერთ ქმნაჲ ერთისა მიმართ ზიარებითა A 132

და დაუდგნა ერთ ქმნასა. ხოლო თუ არა არს სხუაჲ თვნიერ ერთი-

სა, მხოლოდ იყოს ერთი, და არა ეზიაროს ერთსა, არამედ იყოს

თვთერთ. ხოლო თუ არს რაჲვე მისი, რომლითა არ იყოს იგი

თვთერთ, ვინაჲ ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთი არს და არა

10 ერთი, არ ვითარ მარტივად ერთი, არამედ ვითარ ერთ არს მზია- C 25

რებელი ერთისაჲ. ვინაჲცა არა არს ესე თვთერთ და არცა ვითარ

თვთერთ, არამედ იყოს ორივე ერთბამად, ვითარცა ერთი და მზია-

რებელი ერთისაჲ, და ამისთვის არ იყოს იგი თვთერთ, ვინაჲ ერთცა

იყო და არა ერთი, და იყოს სხუაჲც რაჲვე თვნიერ ერთისა; ვი-

15 ნაჲცა რომლითა იზრავლა, არა ერთ; ხოლო რომლითა იენო და

დაუდგნა ერთ ქმნასა, ერთ. ყოველი უკუე მზიარებელი ერთისაჲ

ერთიცა არს და არა ერთი **.

4 5 და ეზიარების—იენო ერთ <D.— 4 იყოს E.— 8 თუ არა არს F.— 8-9 რომლითა არ იყოს იგი თვთერთ] რომლითა სადაც იყო იგი თვთერთ D, რითა რა იყოს იგი ხოლო თვთერთ E.— 9 ერთ არს D.— 10 სტუჳპლან არ ვითარ მარტივად კარგე თვის ბოლოჲც D-ის სხვა კარგე ქცეათა წამოღვენილა: ვინა მზიარებულად აწ იგავად ვითარ ეგე არს მზიარებელი ერთისაჲ: ვინაჲცა განწყოფელი ერთისა თვითოეული მყოფობითა თვთ ერთ: არამედ იყოს ორივე ერთბამად ვითარცა ყოველად არა დამზიარებელი ერთთა მიმართ მის თჳს არა იყოს იგი თვთ ერთ, ვინაჲ ერთიცა იყო და არა ერთი, და მახლობელ რიცხვთვე თვნიერ მერმეთა: ვინაჲცა რომლითა შეზიარეთთა არა ერთ. ხოლო რიცხვ ერთ და და თჳსგნით ერთქმნასა. ერთ იყო უკუე მზიარებელი ერთისაჲ ერთიცა არს მზიარებელი:— 10 ერთი, არამედ ვითარ <F.— ერთ არს] ერთი არსი AB, ერთი არს F.— 11 და <F.— 14 არა ერთ EF.

* საოჳრა მოღებული გუქეს თანეს „განმარტებას“ ჟიარე თვის ბოლოდინ. ეს მჳობას: მეორესა თავსა შორის ნაწილთა მიერ შედგმულისა ერთისათჳს იტყჳს. (ს. „განმარტება“ გვ. 21, 15).

** C სელისწილთა იტყჳს ჰრძის ეს ჟიარე თვის ჟარე ჰოვენილა ისლა, XVIII სუჳენის. თანგანით (ს. სენი-ჟესიკლა) სემიან განსელისუელი განმარტებათჳრ.

ჟოველი რომელი ეზიარების ერთსა. ერთი არს და არა ერთი. რამეთუ რომელი ეზიარების ერთსა, იქმნების სხუა თვნიერ ერთისა და ზიარებითა ერთისათა ივნებს: ხოლო უკეთუ არა არს სხუა ერთისაგან. არა არს ზიარ ერთისა. არამედ არს უზადო ერთი. ხოლო რომელი ეზიარების ერთსა არა არს უზადო ერთ. ხოლო ვითარცა ერთ ზიარ ყოფითა ერთისათა და მეორედცა ერთგზის: ამისთვის არს ერთი და არა ერთი. მით რამეთუ ვითარ იგი რა განმრავლდების არა არს ერთ. და ვითარ იგი ივენოს რა დაუდგნას მიერთობად ერთ არს: მის ჰოსდეგბ სემიან განსელის „ელხანს“ ამ ჟიარე თვისოგახ: ქმნულისა ერთისათჳს იტყჳს ვითარმედ არა არს უზადო ერთიო. რამეთუ უზადო ერთი არა იქმნების ქმნულებითა ერ-

თ ა ზ ი 3

ქმნულისა ერთისათჳს *

1 | შოველი ქმნილი ერთი ზიარებითა ერთისაჲთა იქმნების ერთ. C 31
 ვითარ დაუდგნა ზიარებასა ერთისასა, არს ერთი. რამეთუ ყოვე-
 5 ლი ქმნილი ერთი, და რომელი არა იყოს ერთი, ურთიერთას ზიარებითა
 იქმნების ერთ და დაუდგამს წარმოდგომასა ერთისასა, არა იყო იგი
 ვითარ ერთი. ეზიარების ვიდრემე ერთსა ერთ ქმნითა და ივნებს
 ერთ ქმნასა. ხოლო თუ არს იგი ერთ, არ იქმნას ერთ; რამეთუ A 17a
 მყოფი არა იქმნების, რომელი გუარითა არს და წარმოდგომილ არს.
 10 ხოლო თუ იქმნების არ ერთობისგან, იყოს პირველ მისსა ერთი,
 რომლისგან იქმნა იგი ერთ და დაუდგნა თჳსსა შორის წარმოდგო-
 მასა ვინაჲსავე ერთისასა.

თ ა ზ ი 4

15 | შოველი შეერთებული სხუა არს თვთერთისა. არამედ არს
 თუ შეერთებული, ეზიარების იგი რაჲთავე ერთსა, ვინაჲცა ითქუმის
 იგი შეერთებულად. ხოლო მზიარებელი ერთისაჲ ერთ იყოს და არა
 ერთი. ხოლო თვთერთი არა არს ერთ და არა ერთი. ხოლო თუ ესეცა
 ერთ იყოს და არა ერთი, და კუალად მის შორისსაცა ერთსა მრჩობლ
 20 თვთერთი, რომლისად დადგმად შესაძლებელ იყოს, არამედ ყო- A 19a
 ველივე ერთ და არა ერთ იყოს. არამედ არს ვიდრემე შეერთე-
 ბული სხუა ერთისგან. ხოლო თუ ერთ და იგივე ერთი და შეერთე-

6-7 იგი ვითარ ერთი] ვითარ იგი ერთი AB.—8 არა იქმნას CEF.—
 11 თჳს შორის CDEF.—16 ერთი იყოს AB.—17 არა ერთ ABC.—20 დადგმა CE,
 დადგმა F.—ვე რ შესაძლებელ იყოს AB.

თი. არამედ თავით თჳსით აქუს ერთ ყოფიჲ რამეთუ არს უქმნელი: ხოლო ორი გინა
 სამი ანუ სხუა სახე რიცხვსა, არიან სიმრავლე და არა უზადო ერთი. ხოლო
 დაღათუ ესენი ერთცა არიან. რამეთუ თითოეული სახე რიცხვისა, ერთი რაჲმე
 არს. გარნა ზიარებითა იქმნების ერთ, რომელ არს ქმნულობითა ერთი. რომელსა
 ვნებად უწოდებს. არ ვითარცა გვამისა ვნებაჲ არს. ხოლო რომელი იქმნების
 ქმნულებაჲ თჳს შორის ივნებს. და ქმნულებაჲ მას რომელ არს ზიარება იგი
 ერთისა ვნებად უწოდებს. და ესრეთ რომელი მრავალთაგან იქმნების ერთი. ერთ
 არს და არა ერთი ერთგზის და მეორე ერთისა რამეთუ პირველი არს უზადო
 ერთი და უქმნელი.

* სათაუბი ჩვენ გაყოფიან. იგი ამოდებული იანეს „განმარტების“ მეორე თავიდან,
 ს. 146 ზეჲთა: «წინამდებარესა თავსა შორის იტყჳს ქმნული სა ერთისათჳსა
 (ს. „განმარტება“ გვ. 23, 29).

ბული შეემთხვოს, უსაზღვროა სიმრავლე თითოეულსა მხოლოსა შეერთებულისასა რომელთაგან შეერთებული.

თ ა შ ი 5

ჰოველი სიმრავლე მეორე და შემდგომი არს ერთისა. ხოლო თუ არს სიმრავლე პირველ ერთისა [. . .] არა ეზიაროს ერთსა, ვინაჲთგან პირველ წარმოჩინებადმდე ერთისა იყოს სიმრავლე. ხოლო არა არსსა არ ეზიაროს; ამისთვის რომელ ყოველი მზიარებელი ერთისაჲ ერთბამად ერთ არს და არა ერთი, ვინაჲ პირველ თუ ერთისა არს სიმრავლე, არლა წარმოდგომილ არს ერთი. არამედ შეუძლებელ არს ყოფად რაჲსავე სიმრავლისა არ თუ ეზიაროს ერთსა. არლა ვიდრემე პირველ ერთისა სიმრავლე.

ხოლო თუ ერთბამ და სწორ ერთი ერთისა, ბუნებით ერთი და სიმრავლე (მაშა ეამითა არ დაიცილოს), და იყოს ერთი მრავალ და მრავალი ერთ, ვითარცა სწორგანყოფილნი ერთბამად ბუნებით, ვინაჲთგან ერთი მეორესა არცა უპირველეს, არცა უშემდგომეს იყოს. მაგრა სიმრავლე თვს შორის არ იყოს ერთ, და არცა თითოეული იყოს ერთ შორის სიმრავლესა, და ესე ვიდრე უსაზღვრობადმდე; რომელი შეუძლებელ. ეზიაროს ვიდრემე სიმრავლე ერთსა თვისითა ბუნებითა, და არა რაჲ არს ნაწილთა მისთაჲ, რომელიმცა არ ერთი იყო; ხოლო თუ არ ერთი იყოს ნაწილი მრავლისაჲ, იყოს უსაზღვრო-
თაგან უსაზღვროჲ, ვითარ აღმოჩინა; რომელი შეუძლებელ. ყოველი-
თურთ ვიდრემე ეზიარების სიმრავლე ერთსა.

A 20a
C 36

ხოლო თუ ერთი თვთერთ არს, არ ვიდრემე ეზიარა სიმრავლესა, იყოს უკუე სიმრავლე ყოველითურთ უკუანაჲთ და შემდგომად ერთისა, მზიარებელ ვინაჲსავე ერთისა, არ ზიარებულ უკუე ერთისგან. ხოლო თუ ერთიცა ეზიარების სიმრავლესა, მყოფობით იყოს უკუე წარმოდგომილ, ვითარ ერთი; არამედ ზიარებითა არა ერთ, იყოს ვიდრემე ვითარცა გამრავლებული ერთი, ვითარ იგი სიმრავლე შეერთებულ ერთისა მიერ ეგრეთვე და ერთი გამრავლებულ სიმრავლისა მიერ. ვინაჲ ეზიარა უკუე ერთი მრავალსა და მრავალი ერთსა. ხოლო მზიარებელი რაჲთავე ერთისად, თუ სხვსა

5 თუ არს ერთისა სიმრავლე AB.—6 არა] არცა D.—8 არა ერთი ABF.—10 რაჲსაჲმე ვე სიმრავლესა AB.—ეზიაროჲ AB.—11 ვიდრემე პირველ] ესე მე ვითარ D.—13 დაიწლოს ACEH; F-ის ანაჲჲ სწავა; დაიწლოს ეწერა.—14 და მრავალი ერთ < AB.—ვითარცა სწორგანყოფილნი] ვინაჲ ესრეთცა განყოფილნი D.—15 და არცა უშემდგომეს D.—16 სიმრავლე] წარვე წარსავლე D.—ერთი CD.—და არცა თვთ თითოეული D.—18 შეუძლებელი იყო ს.: უკეთუ ეზიაროს D.—23 ეზიაროს ABD.—27 უკუე იყოს CDEF.—არამედ წარმოდგომითა ზიარებითა AB.

მიერ თან შეკრებოდის და იზიარებოდის, იყოს სხუა იგი პირ-
 ველ მათსა; ხოლო თუ თვთ შეიყრებოდინ და ეზიარებოდინ თვს-
 გნით და არა სხვსა მიერ, არა იყვნენ ვიდრემე ურთიერთას წინაგამ-
 წყობ. რამეთუ წინაგამწყობ არა მიივლტის ერთმანერთისად. ვინაჲ
 5 თუ ერთი და სიმრავლე განწვალებულ არიან ურთიერთობისაგან,
 იყოს ვიდრემე სიმრავლე ვითარ იგი არს სიმრავლე არა ერთ, და
 ერთი ვითარ ერთი არა მრავალ, და არ ვინაჲ წარმოდგეს ერთი
 შორის მეორესა. მაგრა იყოს თუ რაჲეე სხუაჲ წინაჲთ ორთაჲე
 ურთიერთას შემყრელი მათი, ანუ ერთი იყოს ანუ არა ერთი. და თუ
 10 არა ერთი იყოს, ანუ მრავალ იყოს ანუ არა რაჲ. ხოლო მრავალი
 არ ეგების, ამისთვის რაჲთა არ იყოს პირველ ერთისა სიმრავლე, A 20b
 და არცა არა რაჲ ეგების. რამეთუ ვითარ შეკრიბნეს არა რამან?
 რომლისათვისცა იყოს მხოლოდ ერთი; არამედ არა ჯერ არს მისიცა
 ერთისა მრავლობაჲ, რაჲთა არა იყოს ვიდრე უსაზღვრობაჲმდე.
 15 არს ვიდრემე თვთერთი პირველ ყოველისა; და ყოველი სიმრავლე C 37
 თვთერთისგან.

თ ა ვ ი 6
ერთთათვის *

ყოველი სიმრავლე ანუ შეერთებულთაგან არს ანუ ერთთაგან.
 20 რამეთუ თითოეული სიმრავლისაჲ აღმოიჩინა, ვითარმედ არა არს
 მხოლოდ მრავალ ოდენ, რაჲთამცა იყო თითოეული კჳალად მრავალ.
 ხოლო თუ არა არს მარტოდ ოდენ სიმრავლე, ანუ შეერთებული
 იყოს ანუ ერთნი. ხოლო თუ ეზიარების ერთსა, იყოს პირველ შეერ-
 თებული. და სადაჲთ გამო იწყო პირველ შეერთებულმან, მუნით და
 25 ერთთაცა. ხოლო თუ არს თვთერთი, იყოს და პირველ მზიარებელი-
 ცა მისი და პირველ შეერთებული. ხოლო ესე პირველ შეერთებული
 ერთთაგან. და თუ შეერთებულთაგან, კჳალად შეერთებულნი იყვნენ
 სხუათა ვიეთაგანმე; და ესე ვიდრე უსაზღვრობაჲმდე. ჯერ არს
 | უკუე, რაჲთა იყოს პირველი შეერთებული ერთთაგან, და ვპოოთ და- C 40
 30 საბამით-გამოჲ.

4 არ მიივლტის AB.—5 ურთიერთობისაგანი ABDE.—9 ანუ ერთი: ა: იყოს AB.—10 არ ერთი AB.—11 არა ეგების ABDEF.
 * სოთუჩი ზენ გეგუჯახს; იჲ პეღან-ლი პეჩნულ BCD ზელიცაჲჲკჲს ზესე-
 ჯგო, ხადეჲ მ თეს უწიკჲს პეღი ლეძბავ (=b. Dodds, p. 6).

თ ა ვ ი 7

წარმოჩენილისა და წარმოჩენილისათჳს*

ჰოველი წარმომჩენელი სხვსაა უმჯობეს არს წარმოჩენილისა ბუნებასა. ანუ უმჯობეს არს, ანუ უღარეს, ანუ სწორ. ვინაჲცა ამისგან
 6 წარმოჩენილისა ანუ და მასცა აქუს ძალი, სხვსა რომლისამე წარმომ-
 ჩენელი, ანუ ყოვლითურთ უშვ და უნაყოფო არს. ხოლო თუ უშვ
 და უნაყოფო იყოს, მართ თვთ ამით დაკლებულ არს თვისისა წარ-
 მომაჩენელისგან, და არა არს სწორ მისსა; რამეთუ არა აქუს ძალი
 ნაყოფიერებისაა წარმომჩენელ, რომლისგან უქმა და მოკლებულ. ხო-
 10 ლო თუ წარმოჩენილიცა იყოს და წარმომაჩენელ სხუათა, ანუ სწორთა A 23b
 იყოს წარმომაჩენელ, და ესრეთ ყოველთა ზედა მყოფთა. ვინაჲ იყვნენ
 ყოველნი მყოფნი სწორ ერთმანერთისა და არ იყოს სხუაჲ სხვსა უმ-
 20 ჯობეს, უკუეთუ წარმომაჩენელი სამარადისოდ შემდგომითი შემდგომ- C 42
 მად სწორსა აუხსნა წარმოაჩენდეს. არამედ არ ვიდრემე იყოს წარ-
 მოჩინებული სწორ წარმომჩენელისა, რამეთუ სწორისა ძალისა მიერ
 იქმნების წარმოჩენაჲ სწორთაჲ. ხოლო ესე არა სწორ ერთმანერ-
 თისა, არა ვიდრემე სწორ წარმოჩინებული წარმოჩინებელსა.

და უფროჲს ხოლო არც ოდეს უღარეს. რამეთუ არსებასა თუ მის-
 ცემს წარმოჩინებულსა, და ძალსაცა შესაბამსა არსებისასა წარმოუყე-
 20 ნებს. ხოლო თუ თვთ იგი წარმომაყენებელი არს ძალსა ყოველთა მის
 შემდგომთასა, თვთ თავი თვისი ყოს უძლიერეს ყოველთასა; რამეთუ
 არცა უძალოობისგან დაიცილებს, რომლისად წარმოდგომილ არს
 ძალი შემოქმედებითი; და არცა არა წადილისგან. რამეთუ ყოველივე
 კეთილისა მიმართ მოწადე გულმთქუმეირ არს ბუნებით; ვინაჲ სხუათა
 25 თვისთა შემდგომთა სრულ მკმნელი პირველ მათსა თვთ თვისისა თა-
 ვისა არს სრულ მყოფ.

ვინაჲ არცა სწორ წარმომჩენელი წარმოჩენილისა და არცა
 უღარე. ყოვლითურთ უკუე უმჯობეს წარმომჩენელი წარმოჩენილისა
 ბუნებასა.

4 ბუნებისა AB.—9 უქმა] ოქიმაჲ B.—10 წარმომაჩენელ] წარმომჩენელ
 E.—12 ერთმანეთისადა და არა იყოს E.—20 ხოლო<AB.—ყოველთა მისთ CE,
 ყოველთ მისთ F.—22 დაიცილების AB.—23 რამეთუ] და AB.—26 სრულ მყოფი
 AB სრულ მყოფელი E.

* წარმომჩენელისა და წარმოჩენილისათჳს CF, უმჯობესისათვის წარმომ-
 ჩენელისა A კაჲს მსკრულჲ, მეშვიდით მერუსდმდე აწერია: წარმომჩენელისა და
 წარმოჩენილისათჳს K; περι περιουθεναι και παραγομισαισ კჲჲსელჲ BCDM (ბ.
 Dodds, p. 5).

თ ა ზ ი 8

პირველისა კეთილობისათჳს*.

შოველთა რაჲთავე კეთილისა მზიარებელთა ეწინაების პირ-
ველი კეთილობაჲ, და რომელი არა არს სხუაჲ თვნიერ კეთილობაჲ.

3 რამეთუ უკუეთუ ყოველნი მყოფნი კეთილობასა მწადე არიან,
საცნაურ, რომელ პირველი კეთილობაჲ იმრ არს და ზესთ მყოფთა. რა-
მეთუ უკუეთუ ანუ ვითარ ნაწილი იყოს მყოფთაჲ, ანუ ერთ და იგივე
მყოფი და კეთილობაჲ, არლა ვიდრემე იყოს მყოფი მოწადე და
ტრფიალ კეთილობისა, ამისთვის რომელ თვთ იყოს კეთილობა. არა-
10 მედ ტრფიალი და მწადი მოქენე არს სატრფოჲსა და საწადოჲსა
თვისისად და სხუაჲ სატრფოჲსა და საწადოჲსაგან. და თუ სხუა და
სხუა, იყოს კეთილობაჲ ზიარებული მყოფისგან ვითარ მყოფი. ხო-
ლო ზიარებული კეთილობისად იყოს ერთ, რამეთუ ესე არს კეთი-
ლობაჲ ერთ ქმნაჲ. არს უკუე რაჲვე კეთილობაჲ მზიარებელსა შო-
15 რის მისსა ვითარ მყოფი, რომელსა ზიარებულნი შეეტრფვის; არამედ A 25b,
არა თუ მარტივი და საყოველთაოჲ არს კეთილობაჲ, რომლისად ყო- C 45
ველნი მყოფნი შეეტრფვიან, რამეთუ ესე ყოველთა მყოფთა საზი-
აროდ არს შესატრფოჲ. ხოლო რასავე ნაწილსა შორის მყოფთასა
წარმოდგომილი მიხი ოდენ არს მხოლოდ მზიარებელისა. რომლი-
20 სათსცა პირველი კეთილობაჲ არა არს სხუა რაჲვე თვნიერ კეთი-
ლობისა. რამეთუ რაჲცაღა დაჰართო და ჰმატო, დაგიმტრვია და
დაგიკინებთა დართვითა კეთილობაჲ, და ნაწილ და რაჲვე კიქმნია
ნაცელად საყოველთაოჲსა და მარტივისა კეთილობისა. რამეთუ და-
ართული არა არს თვთკეთილობა, არამედ უდარეს მისსა, რამეთუ
25 თვისითა თანაწარმოდგომითა კეთილობაჲ ამტრო და აკინნა.

6 იმრ] იშრ AB, ამის D იმერ E.—8 არლა] არცა F.—10 მწად B.—11
სხუა და<B.—14 ერთ ქმნაჲ<E.—კეთილობაჲ<AB.—17 შეეტრფვიან D.—18
ნაწილთა AB.—19 წარმოდგომილა B.—21 რამეთუ<AB.—22 დაგიკინებთა]
გიკინებთა AB.—და რაჲვე] რაჲვე F.—23-24 დართულ არა არს თვთ კეთი-
ლობა E.

*კეთილობისათვის A გჳთჳს შჳკრულით, [მერვით ათოთხმეტამდე აწერია K]
პირველისა კეთილობისათჳს, და უმოქენოჲსა და მოქენისა, და თუ არს მიზეზი
არსთა და ერთ არს, დაღათუ არსთა დაჰაბამი და მიზეზი პირველი კეთილობაჲ
არს, და თუ კეთილობა და ერთობა ერთი არს CFK, *περι των πνευτων ძ;αμθιν,
in xai edyapov xai eitu.* ჰკანწლო BCDM (იხ. Dodds, p. 9). ლჳს ჰჳკ გჳმოჳოჳილჳს
ოჳურჳს შჳკრულით ოჳთჳს ჰკრჳწჳს ოჳჳმარტჳბისიჳს, სჳკიჳს ლჳწჳს: ოჳოჳლჳს სრულჳს ყო
ხედჳჳჳს პირველისა კეთილობისათჳს თჳჳჳს შორის მერვესა (იხ. ოჳჳ-
ჰირტჳს, აჳ. 26, 5-6).

თ ა ვ ი 9

უმოქმედობა და მოქმედობა *

შოველი უმოქმედობა ანუ არსებით ანუ მოქმედებით უმჯობეს არს მოქმედებასა და სხვა მიზეზისაღმირ აღმკრეველსა მიზეზსა თვისისა 6 სისრულისასა. რამეთუ უკუეთუ ყოველნი მყოფნი ბუნებით ეტრფვიან კეთილობასა, და რომლისაღმირ თან წარმოდგომილა კეთილობაჲ, ხოლო რომელიმე მოქმენე არს სხვსადა და რომელსამე თან მოაქუს მიზეზი კეთილობისაჲ, ხოლო რომლისადამე კიდე არს. რამეთუ რაჲზომითა უმახლობელეს იყოს მომცემსა საწადლომასა, ეგზომცა იყოს უმჯობეს 10 მისსა, რომელსა ქონდის თვისი მიზეზი უშორეს, და სხუადგნით მიითუალვიდეს სისრულესა თვისისა მყოფობისასა ანუ მოქმედებისასა. რამეთუ ვინაჲთვან შორს მყოფსა მსგავსსა და დაკლებულსა უფროჲს არს მსგავსი და უმახლობელესი კეთილობისაჲ და არ მოქმენე. ხოლო C 50 დაკლებული არს რომელი არა თვთ პირველი იყოს კეთილობაჲ, არა- 16 მედ ეზიარებოდის. ვინაჲ რაჲთავე თვს და თანმეტომე არს პირველ-სა კეთილობასა, რაჲზომითა იყოს შემძლე დატევნად თვს შორის კე-თილობასა. ხოლო მზიარებელი მესაშუეღეობითა სხვსაჲთა უფრო განშორებულ პირველისა კეთილობისგან და რომელი არა არს სხუა თვნიერ კეთილობაჲ.

თ ა ვ ი 10 **

შოველი უმოქმედობა და სრული პირველსა და მარტივსა კეთილობასა უდარეს არს. რამეთუ რაჲმცა იყო სხუად უმოქმენე-ბაჲ და სისრულე თვნიერ რომელ თვს შორის კეთილობაჲ მოევოს? ვინაჲცა ესე სავსე არს ზიარებისა მიერ კეთილობითა, მაგრა არა არს 20 მარტივ თვთკეთილობაჲ, რომელი იგი ზიარებასა და სისრულესა ზესთა ძეს, ვითარ აღმოიჩინა. რამეთუ უკუეთუ უმოქმენობამან და

3 უმოქმენობა E.—8 რომლისადამე რაჲსადამე E, რომლისაღმე DF.—10 უშორეს] და უშორეს AB, უშორე CDFG.—12 უფროჲ A, უფრო BG.—16-17 კეთილობისა E.—18 ვაშორებულ ABD.—21 ყოველი <F.—უმქმენობა D.—22 არს <CF.—22-23 უმქმენობა D.—23 რომელ <E.—24 ესე <B.—26 უმქმენობამან D.

* უმოქმენობათვის A (გაინა მკარული ხელით), *περι αυτηδιουδ βεβαιουλο* BCDM (იხ. Dodds, p. 10). 8—13 თავისთავს CK ზელთნიწერესა მოცულ ხედიო სა-თაუბა მისხენულო უმოქმენობასა და მოქმენისათვს, *და რაგად ნის 9—10 თავებს კუთვინს, სთაურა წენ ჰუიდეზული გეჰეს ოგროფ ოანე უტრაწის რეანობტეპისოს*, სიადე 2-9 თავისთავს ჩქრა: აწ კუალად მიზეზისა და უმიზეზობასათვს იწყებს და მო-ქმენისა და უმოქმენობასათვს (იხ. ოანეს რეანობტეპა გვ. 26, 6-7).

** სთაურის შესხე ახ. 2-9 თავის სთაურის სქილა.

სრულმან ადავსო თავი თვისი, იყოს ვიდრემე აღმავსებელი და სრულ მყოფელი ზესთა სისრულისა. არა მოქნენ სხვსა ვისდავე პირველი კეთილობაჲ. რამეთუ არა არს მეტრფე სხუასა თვისსა უპირველესსა, რაჲთამცა იყო ნაკლულ და არა სრულ, და გულმთქუმელ კეთილო-
 5 ბისადმი; და არცა სრულ არს, რამეთუ სრული სავესე ოდენ კეთი-
 ლობითა! არს, და არა თუ პირველი კეთილობაჲ.

A 30a

თ ა ვ ი 11

არსთა მიზეზისათჳს *

შოველნი მყოფნი იწარმოებვიან ერთისა მიზეზისგან, პირველისა.

- 10 რამეთუ ანუ არა რომლისაჲ არს მიზეზი მყოფთაჲსა, ანუ მრგულივ იყენენ მიზეზნი და განსაზღვრებულ ყოველნი, ანუ ვიდრე უსაზღვროობამდე იყოს აღსაეალი და სხუაჲ სხვსა მიზეზ და არ სადა დაეყენოს გუამოენებით მდგომარეობაჲ მიზეზისაჲ. ხოლო თუ არ იყოს მყოფთა მიზეზი, არ ვინაჲ იყოს წესი პირველთა და შემდგომ-
 15 თაჲ, და მასრულებელთა და გასრულებადთაჲ, და მამკობთა და მკო-
 ბილთაჲ, და შშობელთა და შობადთაჲ, და მქმნელთა და ვნებადთაჲ; და არცა კელოვნებაჲ და ზედმიწევნაჲ რაჲქათავე მყოფთაგანისაჲ.
 20 რამეთუ უკუეთუ ცნობაჲ მიზეზთაჲ საქმე და აღსასრული არს ზედ-
 მიწვენულებისა და კელოვნებისაჲ, და მაშინლა ვიტყვთ ზედმიწევნად
 25 კელოვნებასა, რაჲთაჲს მიზეზნი ვცნნეთ მყოფთანი. და კუალად უკუეთუ მრგულივ მოვლიან მიზეზნი, იგივე იყენენ პირველცა და შემდგომ ერთმანერთისადმი, და უძლიერეს და უუძლურეს; რამეთუ ყოველი წარმომჩენელი უმჯობეს წარმოჩენილისა ბუნებასა. რამეთუ არა
 30 რაჲთ განეყოფვიან ერთმანერთისგან, ანუ უმრავლესთა ანუ უმცროსს-
 თა საშუალთა მიერ ეზიარებოდის და ეხებოდის მიზეზოანი თვისსა მიზეზსა და წარმომჩენლსა; და რამეთუ საშუალთაჲ ყოველთა უმ-
 25 ჯობეს იყოს რომელთა და მიზეზცა არს, და რაჲზომცა უმრავლე იყენენ საშუალნი, ეგზომცა უფროეს და უძლიერეს მიზეზნი.

C 54

A 31b

5 სრულ სავესე E.—6 და არა თუ და არა პირველი AB.—10 მყოფთაჲსა ანუ მყოფთაჲსა AB.—11 ვიდრე ვ'რ AB.—14 მყოფთა—იყოს <E (ex homoiotelesu). —15—17 და მასრულებელთა—კელოვნებაჲ D-ის ირულო გარაწერას შაკ.—18-19 მიზეზთაჲ საქმე და აღსასრული არს ზედმიწევნულებისა) მიდ მიწვენულებისა E.—19 და კელოვნებისა <F.—20 ესცნნეთ B, ესცნნეთ F.—20—21 ვცნნეთ—მიზეზნი <D (ex homoioteleuto).—21 მიზეზნი <AB.—24 უმრავლესა F.—28 მიზეზი AB.

* არსთა მიზეზისათჳს წარმოობისთჳნი A კვან- შვდრულოთი. περι αλτίου β'კ-
 3-ელ- BCDO (იხ. Dodds, p. 12); წერ- სთაჲრა ჰელენ-ლი-ბ-12 ოპეისთაჲს შაკ-
 შულო ხაკოთი სთაჲრას ხელუკელ-ზე. სიდაც ხ'წ-ლი: და თუ არს მიზეზი არსთა და ერთი
 არს (იხ. ზემოთ, ევ. 9. ჰენკენა *).

ხოლო თუ ვიდრე უსაზღვროობამდე იყოს აღსავეალი მიზეზისაჲ, და სხუაჲ სხვსა მიერ იყოს მარადის მიზეზ, კუალად არ რომლისაჲ იყოს ზედმიწევნულებაჲ და კელოვნებაჲ. რამეთუ უსაზღვროთა არ რომელთა იყოს ცნობაჲ. ხოლო თუ მიზეზნი ეოცნებოდინ, არცა შემდგომთა იყოს კელოვნებაჲ და ზედმიწევნულებაჲ. და უკუეთუ ჯერ არს, რაჲთა იყოს მიზეზი მყოფთაჲ, და განსაზღვრებულ და განყოფილ არიან მიზეზნი მიზეზოანთაგან, და არა ვიდრე უსაზღვროობამდე იყოს აღსავეალი მყოფთაჲ, იყოს ვიდრემე პირველი მიზეზი მყოფთაჲ, რომლისა გამო ვითარ ძირისგან იწარმოებოდინ თითოეულნი, და რომელნიმე იყენენ უმახლობელეს მისსა, ხოლო რომელნიმე უშორიელეს. ვინაჲ აღმოიჩინა, ვითარმედ ერთ არს მიზეზი პირველი, ამის-თვის რომელ ყოველი სიმრავლე შემდგომად წარმოდგა პირველისა.

12 თ ა შ ი

არსთა დასაბამისათჳს *

შოველთა მყოფთა დასაბამი და მიზეზი უპირატესი კეთილობაჲ არს. ვინაჲ უკუეთუ ერთისა მიზეზისა მიერ იწარმოებიან მყოფნი, ამის უკუე მიზეზისა ანუ კეთილად კამს თქუმაჲ ანუ უმჯობეს კეთილობისა. ხოლო უკუეთუ უმჯობეს კეთილობისა, რაჲ უკუე წარმოვლოს რამანშეა პირველისა მისგან მიზეზისა მყოფთადმი ანუ არა? და თუ არა, იყოს უჯერო; რამეთუ არა დაუცავთ მას წესსა მიზეზისასა, რამეთუ სათანადო არს, რაჲთა წარმოვლიდეს რაჲმე მიზეზისგან მიზეზოანთადმი, და უფროჲს ხოლო მის უპირატესისგან, რომლისადმი ყოველი აღკრულ არს და რომლისა მიერ იარსებს თითოეული მყოფთაჲ. ხოლო თუ არს თანმიარსებაჲ მისი მყოფთადმი, ვითარ და კეთილობისაჲ, იყოს ვიდრემე უმჯობეს კეთილობასა შორის მყოფთასა, წარმომვლელი პირველისა მიზეზისგან; რამეთუ უმჯობესი კეთილობისაჲ და უზესთაესი არ თან მისცემს თჳს-გამო მიზეზოანთა უდარეს კეთილობისა რათავე შემდგომთა თჳს-გამოთადმი. მაგრა რაჲმც იყო უმჯობეს კეთილობისა? ვინაჲ და თვთ მას უმჯობესობასა უმეტესისა კეთილობისა ვიტყჳ თანმიმღებელად და მზიარე-

C 61

1 თუ ვ'ე უსაზღვრობ'ად აღსავეალი მიზეზისა AB.—2 მიერ <CDE.—5-6 რაჲთა) რ' F.—8 მიზეზი მყოფთაჲ) მ. მყოფთა მათ AB.—16 არს) აქუს E.—20 დაუცადაეთ F.—27 კეთილობისაჲ) კეთილობისგან AB—28-29 თჳს-გამოთადმი. მაგრა რაჲმც იყო უმჯობეს <AB (B-მ უკუეგ დაუმატებო); G-ს სძკუიან დ-გლის ზერე დაუმატებო თჳს-გამოთადმი მაგრა რაჲმც იყო.—30 ვიტყვთ CDEFG.—

*სიოზრა ზენ გკუეოგას; აგო ჰედგან-ლია მ-13 აუკუბისოთეს შაკიულა სიოზრა-დან, სედოე სენკაჲ; დადათუ არს თა დასაბამი და მიზეზი პირველი კეთილობაჲ არს (ა. ზემოთ გვ. 9, პენიენ *).

ბელად, რომლისათვისცა არცა თუ უმჯობეს ითქუა არ კეთილობაჲ კეთილობისა. უკუანაჲსკნელ უკუე და შემდგომ კეთილობისა არ კეთილობაჲ. ხოლო თუ მყოფნი ყოველნი კეთილობისა არიან მეტრევე და წადიერ, ვითარ იყოს ამის მიზეზისა სხუაჲ რაჲეე უპირატეს?

8 რამეთუ უკუეთუ იწადებს მას, რად უფრო ეტრფობის კეთილობასა? | A 36a
ხოლო თუ არ ეტრფობის, ვითარ ყოველთა მიზეზსა არ ეტრფოს წარმოჩენილი მისგან? ხოლო თუ კეთილობაჲ არს, რომლისადმი ყოველნი მყოფნი აღკრულ არიან, იყოს დასაბამი და მიზეზი უპირატესი ყოველთაჲ კეთილობაჲ.

თაზი 13

მართისა და კეთილობისათვის *

შოველი კეთილობაჲ მაერთებელი არს მზიარებელთა მისთაჲ, და ყოველი ერთობაჲ კეთილობა, და კეთილობაჲ ერთისად იგივეობა.

ხოლო თუ კეთილობაჲ არს მაცხოვრებაჲ ყოველთა მყოფ-
15 თაჲ (ვინაჲ და საწადელ მათდა ითქუმის), ხოლო მაცხოვრებელი და მპყრობელი არსებასა თითოეულისასა არს ერთი (რამეთუ ერთისა მიერ ცხოვრების ყოველი, ხოლო განმრავლებაჲ თითოეულისაჲ განაყენებს თვისისა არსებისგან), რამეთუ, ვიეთცა კეთილობაჲ წარმოუდგეს, აღიქუაჲს მათ ერთად და იპყრობს ერთებრივად. და თუ ერთი
20 შემომკრებელი არს და შემაერთებელი თითოეულთა მყოფთაჲ, სრულ ჰყოფს მათ თვ'სისა მიერ წარმოდგომისა. ვინაჲ კეთილობა თითოეუ- A 37b
ლისა არს ერთ ქმნაჲ ყოველისაჲ. ხოლო თუ ერთ ქმნაჲ კეთილ მებრ ბუნებით, და კეთილობაჲცა ერთ მქმნელ, რამეთუ მარტივი კეთილობაჲ და მარტივი ერთი იგივეობა, იერთებებიან ურთიერთას და აკეთილებენ
25 მყოფთა. ვინაჲ, რაჲთავე სახითა დასცილდეს რაჲეე კეთილობასა, და ერთისა ზიარებასაცა დასცილდეს; და იქმნეს რაჲ უნაწილო ერთის- C 64
გან, მიდმო განწვალებითა აღიესოს და ამითვე სახითა კეთილობისგანცა მოაკლდეს. არს ვიდრემე კეთილობაჲ ერთობა, და ერთობაჲ კეთილობა, და კეთილობაჲ ერთ, და ერთი პირველი კეთი-
30 ლობაჲ:

4 ვითარ იყოს. <AB; G-ის სარეზი ვოჲლა, პერე სუწაჲთაჲ ვითარ იყოს.— 19 მათ] მას DF.— 21 შემომკრებელი] შემამკლებელი E.— შემაერთებელ AB.— 25 ერთი <E.— 26 რაჲეე სახითა D.

*სათაური ჩვენ გვაუთენის, აგა ამოღებულია ომანის რეპარტიკისა შეცამრე თაგან, სიღაც სწავლა: აწ ათ და მესამესა თავსა ზედა დაპრთავს ერთისა და კეთილობისათვის (ს. რეპარტიკა, გვ. 45, 46).

თ ა ვ ი 14

მიუღრეკელინათვის, თვითმიღრეკისა და სხვსა

მიერ მიღრეკადისა *

შოველი მყოფი ანუ მიუღრეკელი არს ანუ თვითმიღრეკადი ანუ
 5 სხვსა მიერ მიღრეკილი. და თუ მიღრეკადი, ანუ თვთ თვსგნით ანუ
 სხვსა მიერ. ხოლო თუ თვთ თვსგნით, იყოს თვთმიმღრეკ. ხოლო თუ
 სხვსა მიერ, სხვსა მიერცა მიღრეკილ. ვინაჲ ყოველი ანუ მიუღრეკელ C 66
 არს ანუ თვთმიმღრეკ. და თუ მიუღრეკელ, საჭირო არს უკუე თუ არს
 რაჲვე სხვსა მიერ მიღრეკადი მყოფთაჲ, იყოს და მიუღრეკელიცა და
 10 საშუალ ამათსა თვთმიმღრეკადი. რამეთუ უკუეთუ ყოველი სხვსა მიერ
 მიღრეკადი (სხვსა მიერ მიღრეკილი) მიღრეკების, იყოს ვიდრემე მიღ-
 რეკაჲ ანუ მრგულივ ანუ უსაზღვროობამდე, ვინაჲთიგან განსაზღვრე- A 39 a
 ბულა დასაბამი ყოველთა მყოფთაჲ და მიმღრეკი უმჯობეს მიღრე-
 კილთა. იყოს ვიდრემე მიუღრეკელი ჰირველ მიღრეკილთაჲსა.
 15 ხოლო თუ ესე ესთა, ჯერ არს, რაჲთა თვთმღრეკადიცა იყოს.
 ხოლო თუ იძიოს ყოველი, თუ რაჲ არს ჰირველ მიღრეკადი? არ ვიდრემე
 იყოს მიუღრეკელი თვთმიმღრეკ. რამეთუ არა აქუს მას ბუნებით, და
 არცა სხვსა მიერ მიღრეკილი, რამეთუ მიღრეკების სხვსა მიერ. ჯერ არს
 უკუე, რაჲთა თვთმიმღრეკადი იყოს ჰირველ მიმღრეკ; ვინაჲთგან
 20 ესე არს მაზიარებელი მიღრეკადთაჲ მიუღრეკელისა მიმართ, საშუალ
 უკუე არს და მისღრეკს ერთბამად და მიღრეკების. ხოლო იგინი ერთი
 მისღრეკს ოდენ, ვითარცა ზესთ მდებარე, ხოლო სხუაჲ იგი მიღრეკების
 ოდენ. ყოველივე ვიდრემე მყოფი ანუ მიუღრეკელი არს ანუ თვთმიმღრე-
 კადი ანუ სხვსა მიერ მიღრეკილი. რომლისათვისცა საჩინო, რომელ მი-
 25 ლრეკადთა თვთმიმღრეკი უპირველეს, ხოლო მიმღრეკთა მიუღრეკელი.

თ ა ვ ი 15

უსხეულოდესა და სხეულთათვის **

შოველი თვსდადვე უკუნმქევეი უსხეულო არს. რამეთუ არა
 რაჲ სხეულთაჲ შემძლებელ არს უკუნ ქეცეად თვსდადვე. ვინაჲთგან
 30 უკუნმქევეი რაჲსადვე მიმართ შეერთვის მას, რომლისა მიმართცა

4 თვთმიმღრეკადი] თვთ მიღრეკადი AB, თუ მიმღრეკადი D.—6 თვთ თვს-
 გნით] თვთ თვსგნით ABD.—9 მყოფთაჲ] ხოლო მყოფთაჲ AB.—10 ამათსა] ამათ-
 ცა D.—12-13 განსაზღვრებული CE.—15 თვთმღრეკადიცა CDEF.—18 მისღრეკე-
 ბის ABCEF.—რაჲ < AB.—30 რაჲსადვე] რასდავე D.—შეერთვის < F.

* ანუ სოფრს ალკეას CFK. ხოლო ჰედნული BCDM *περι δαυήτου και*
 (ή D) *αρθοκλήτου διχρήσι ή αριστες (αριστε D. ინ C).*

** სოფრის წყნ შეკრას უდგანალი ნდინამტუას (გვ. 48, 21-22) 15. თაგის შესჯგოთ.
 სიდიე სწყნა: ამას თავსა შორის განყოფის უსხეულოსა და სხეულთა. ჰედნ. BCDM:
περι δαυήτου ορθου, και ελ λβου αριστες (Dodds, p. 16).

უკუნ იქცა, საუწყო უკუე, ვითარმედ და ნაწილნიცა სხეულთანი ყოველნი ყოვლისა მიმართ უკუ ეხნენ თვსდავე უკუნ ქცევასა შორის. რამეთუ ესე არს თვსდადვე უკუნქცევაჲ, ოდეს ერთ იქმნას ორივე: უკუნ ქცეული და რომლისა მიმართ უკუ ქცეულა. ხოლო შეუძლებელ

5 არს ესე სხეულთა ზედა, და ყოვლითურთ განნაწილებულთა ყოველთა: რამეთუ არა რაჲ ყოვლად ყოვლითურთ შეიხების და უკუნ იქცევის თვსდადვე განნაწილებული ნაწილთა მიდმო განყრისათვს. სხუაჲ სხუად დებისათვს. არაჲ ვიდრემე სხეულთაჲ შეუძლებს უკუნ ქცევად თვსდადვე, რაჲთამცა ყოველი ყოვლისადმი უკუნ იქცეოდა.

10 ვინაჲ რაჲც რაჲვე თვსდად მიმართ უკუნმქცევი არს, უსხეულო და განუნაწილებელ არს.

A 41a

თ ა შ ი 16

შოველსა თვსდადვე უკუნქცევსა განყენებული აქუს არსებაჲ ყოველთა სხეულთაგან. რამეთუ უკუეთუ რათავე სხეულთაგან იყოს

15 განუყენებელ. არა ჰქონდის რაჲვე მოქმედებაჲ განყენებული სხეულთაგან. რამეთუ შეუძლებელ არს განუყენებლობასა შორის არსებისასა სხეულთაგან, რაჲთამცა არსების-გამოჲ მოქმედებაჲ განყენებულ იყო სხეულთაგან. იყოს ვიდრემე მოქმედებაჲ უმჯობეს არსებისა, ვინაჲთგან რომელიმე მოქმენე არს სხეულთაჲ, ხოლო რომელიმე უმო-

20 ქმენო და კმაყოფ თვსდა, და არა სხეულთა. რამეთუ რაჲცავე იყოს არსებით განუყენებელ, და მოქმედებითცა განუყენებელ, ვინაჲ უფროჲს ხოლო მოქმედებაჲ განუყენებელ. და თუ ესრეთ, არ უკუნ ექცეს თვსდადვე. რამეთუ უკუნმქცევი თვსდადვე სხუა არს სხეულთაგან, რამეთუ აქუს მოქმედებაჲ განყენებული სხეულთაგან, და

25 არცა სხეულთა მიერ, და არცა სხეულთა თანა, ვინაჲთგან რაჲვე მოქმედებაჲ და რაჲსადმი მოქმედებაჲ არა მოქმენე არს სხეულთა. განყენებულ ვიდრემე არს სხეულთაგან ყოველი თვსდადვე უკუნმქცევი.

A 43a

თ ა შ ი 17

შოველი თვთმომდრეკი პირველ თვთ თვსდადვე არს უკუნმქცევ-

30 თუ მისდრეკს თავსა თვსსა და მიდრეკების, მოქმედებაჲცა მისი თვსდად მიმართვე არს, და ერთ ვიდრემე მიმდრეკი და მიდრეკადი. ხოლო თუ ნაწილი მისდრეკს და ნაწილი მიდრეკების, ანუ ყოველი მისდრეკს და ნაწილი მიდრეკების, ანუ ყოველი მისდრეკს და ყოველი მიდრეკების, ანუ წინა-უკუმო. ანუ თუ იყოს ნაწილი სხუა მიმდრეკი და სხუა ნაწილი მიდ-

35 რეკადი, არ ვიდრემე იყოს მყოფობით თვთმომდრეკი, არ თვთ მიმდრეკ-

2 უკუ ეხნენ] უკუც ეხნენ ABD, უკუ ესხნენ F.—20 თვსდა] თვსთა AB.

თავან წარმოდგომილი, არამედ თვთმიმდრეკად ოდენ საპაზროჲ, ხოლო არსებით არ იყოს ეს ვითარ. ხოლო თუ ყოველი მისდრეკს და ნაწილი მდრეკების ანუ წინა-უკუშო, იყოს რაჲვე ნაწილი მრჩობლთა შორის, რომელი ერთბაშად მისდრეკდესცა და მდრეკებოდისცა. და ესე არს C 74

6 პირველი თვთმიმდრეკი. და თუ ერთ მისდრეკს, მისდრეკს თავსაცა თვსსა და მდრეკების. ვინაჲ მოქმედებაჲ მდრეკისაჲ თავისა მიმართ თვისისა ჰქონდის, და იყოს მიმდრეკ თვსდადვე. რამეთუ რაჲსა მიმართ-
ცა აქუნდეს მოქმედებაჲ, და მისდა მიმართცა უკუნტკეულ არს. ყოველი ვიდრემე პირველ თვთმიმდრეკი თვსდადვე მიმართ არს უკუნ-
10 მქცეჲ.

თ ა შ ი 18

წესდადებისათჳს არსთაჲსა *

ყოველი მიმცემელი სხუათა აობისაჲ პირველ თვთ იგი არს, მყოფ და ა, რომელთა მისცემს თვსგნით მიცემადთა. რამეთუ ვინაჲთ-
15 გან თვთ მას მყოფობასა მისცემს, თვისისა არსებისგან ჰყოფს თან- A 46a
მიცემასა. და რომელთა მისცემს, უდარეს ჰქონან თვისისა არსებისგან. ხოლო იგი დაზესთაებულ და უსრულეს არს, ვინაჲთგან ყოველი მაგუამოვნებელი უმჯობეს არს მისგან წარმოჩენილისასა. ვინაჲვე მი-
ცემული მიმცემელსა შორის უფროჲს ჰგვის მიმღებელისასა. და ვი-
20 თარ იგი არს, მაგრა არა თვთ იგი, რამეთუ რომელიმე პირველი არს, ხოლო რომელიმე მეორე. საჭირო უკუე, თუ ერთი და იგივე მიზეზი არს მრჩობლთაჲ, და ერთი და იგივე საზღვარი იყოს მრჩობლ-
თავე; ანუ არაჲ არს საზიარო არცა თვთება მრჩობლთა შორის, გინა თუ რომელიმე იყოს პირველ, ხოლო რომელიმე შემდგომ. ხოლო თუ
25 ერთ და იგივე საზღვარი ორთავე, არ ვიდრემე იყოს რომელიმე მი-
ზეზ, ხოლო რომელიმე წარმონაარს მიზეზისგან; და არცა მეზრ თვთ იყოს და არსებით, ხოლო რომლისაჲმე თანმიცემით და შორის; და არცა რომელიმე მოქმედ, ხოლო რომელიმე ქმნილ. ხოლო თუ არა აქუს არსებითად | და თვთად, არ ვინაჲ შეუძლოს წარმოყენებად მე- C 76
30 რისა, ვინაჲთგან მამყოფებელობით არ ეზიარებოდის მას. აკლს უკუე რაჲთა იყოს პირველ მიმცემელი, ხოლო მეორედ მიცემული, რომელ-
თა შორის თვთ იგი აობაჲ სხუასა სხვსგან მიეკმნების.

1 სააზროჲ E.—2 ესე ვითარ E.—5 ერთ მისდრეკს| ერთ E.—13 მიმცემელ AE.—17 და ზესთა აებულ ABD.—23 ანუ ანუ E.—25 იგივე| იგი B.—32 მეკმნების E

* წესდადებისათჳს არსთაჲსა CF, შეათრუამეტრისაგან ორმეოც და ერთადმდე აწერია: წესდადებისათჳს არსთასა K, აობისათჳს A გვინა უკრულთ, პედს ბუთოც ჰკმნულ. BD.

თ ა ვ ი 19

მიქმნისათვის*

შოველი, რაჟცა პირველ მიეკმნებოდის რომელსავე ბუნებასა მყოფთასა, ყოველთადა სწორად წარმოდგომილ არს ბუნებასა მის 5 ქუეშე დაწესებულთა ერთისა მიერ საზღვრისა და სწორად.

ხოლო თუ არ სწორად ყოველთადმი, არამედ რომელთადმი და რომელთადმი არა, საუწყყო, ვითარმედ არა არს მის ბუნებისა უპირველეს, არამედ სხუათა შორის პირველ, ხოლო სხუათა შორის შემდგომ, 10 ოდესმე თვსთა მზიარებელთა. რამეთუ ოდესმე მყოფი და ოდესმე არა მყოფი არ პირველ არცა მეტრ თვთად მყოფ, არამედ ზედმემოსრულ და სხუაგნით მომავალ, ვიეთცა ესრეთ ემყოფდის.

თ ა ვ ი 20

სული, გონება, სხეულთ მიდრეკა**

| შოველთა სხეულთა დაუზესთაედების სულიერი არსებაჲ, და ყო- C 82
ველთა სულთა უზესთაეს გონებაჲ გონიერი, და ყოველთა გუამოვნებათა 15 გონიერთა ზესთ ერთი. ყოველი უკუე სხეული მიდრეკადი არს სხვსა მიერ, თვთ თვსდა მიდრეკად ვერ შემძლე, არამედ თანწეარსებობითა სულისაჲთა მიდრეკების მისგან, და ცხოველობს სულისა მიერ; და ვიდრე იყოს სული წარმოდგომილ მისდა, ვითარცა რაჲ თვთმიმდრეკი 20 იყოს; ხოლო განეყენოს რაჲ სხვსა მიერ მიდრეკილ, ვითარ თვთ ამისი მქონებელი ბუნებით; და ვითარ მხუდარ არს სულისადა თვთმიმდრეკი ბუნებაჲ. და ვინათაცა წარმოუდგეს, თან მისცემს მათ თვთმიმდრეკობასა; ხოლო რომელთა თან მისცემს მყოფობასა, უფროჲს ხოლო პირველ თვთ მოუგვის. ვინაჲვე ზესთა სხეულთაჲსა არს, 25 ვითარ არსებით თვთმიმდრეკი, თანმიცემით თვთმიმდრეკი კმნილთაჲსა.

ხოლო კუალად სულსა მიდრეკილსა თვსგნით მეორე და შემდგომი აქუს წესი მიუდრეკელისა ბუნებისაჲ და მოკმედებით მიუდრეკელად 30 მდგომარისაჲ; ამისთვს რომელ ყოველთა მიდრეკადთა ემძლუარვის თვთმიმდრეკი, ხოლო ყოველთა მიმდრეკეთა მიუდრეკელი. ვინაჲთგან

4 მის] მას codd. ჰეგსწორად იანვ ჰემიარტესი* შეხვე- (ი. ე. ვ. 6.)—8 პირველ ხოლო სხუათა შორის <E (ex homoioteleuta).—10 თვთად] თვსად AB.—11 ვიეთაცა E.—ემყოფდის] მყოფდის AB.—14 სულიერი EFC (C-ში ვრი სტრუქტურის ჰეგსი იანვ ჰემიარტესი), სული ABD.—17 თანწეარსებობითა] თანვე არსებობითა AB.—18 ცხოველობს C.—21 მქონებელი შუ მ ნ ე ბ ი თ ბუნებით A.—22 ვინაჲთაცა F.—25 კმნილთა AB.—26 მეორე და] მეორეთა D.—28 ემძლუარვის F.

* მიქმნისათვის A გე-ი მხარულთ.
** ახეთი სხეულისა მიცემული A-ში. გე-ი მხარულთ.

სული მიდრეკადი თვთ თვსგნით მისდრეკს სხუათა, ჯერ არს რაჲთა პირ-
 ველ მისსა იყოს მიუდრეკელად მიმდრეკი. ხოლო გონებაჲ მისდრეკს,
 ვითარ მიუდრეკელი, და საშარადისოდ მასვეობასა ზედა მოქმედი.
 და რამეთუ სულსაცა გონებისა მიერ აქუს ნიადაგ გაგონებაჲ, ვითარ
 5 სხეულთა სულისა მიერ თვისი მიდრეკაჲ. რამეთუ იყო თუმცა სულსა
 შორის ნიადაგ პირველ გაგონებაჲ, ყოველთა სულთადმცა იყო სას-
 წორო, ვითარ იგი და თვთმიმდრეკელობაჲ. არ ვინაჲ საპირველოდ
 ესე სულსა შორის. ჯერ არს, რაჲთა პირველ მისსა იყოს პირველი
 გონიერი, ვინაჲვე პირველ სულთა გონებაჲ. არამედ პირველ გონე- C 83
 10 ბისა ერთი. რამეთუ დაღათუ მიუდრეკელ გონებაჲ, მაგრა არა ერთ;
 რამეთუ გაიგონებს თვთებასა თვისსა და იმოქმედებს თვსადმი. ხოლო
 ერთსა ყოველნივე თან იქონებენ რაჲზომობითვე მყოფნი, ხოლო გო-
 ნებასა არა: რამეთუ სადავეცა წარმოდგომილ იყოს თანმეარსეობაჲ
 გონებისაჲ, საჭირო არს, რაჲთა თან მოაქუნდეს ძალი მეუწყეობისაჲ,
 15 ამისთვის რომელ გონიერი ცნობაჲ არს დასაბამი და მიზეზი მცნო-
 ბელობისაჲ. იმრრე* ვინაჲვე და უზესთაეს ერთი გონებასა. და არაჲ
 არს ზესთა ერთისა. რამეთუ იგივეობაჲ ერთი და კეთილი; და დასა-
 ბამ ყოველთა კეთილი, ვითარ აღმოიჩინა.

თ ა ვ ი 21

არსთა დაწყებვისათჳს**

20 ჰოველი წესი მხოლოობისგან დამწყებელი იწარმოებს სიმრავ-
 ლისადმი შედარებულად მხოლოჲსა, და ყოველისა წესისა სიმრავლე
 ერთისადმი აღიყვანების მხოლოჲსა. ხოლო თუ მხოლოსა აქუს სა-
 ზღვარი დასაბამობითი, და წარმოშობს საკუთარსა და სახუედრსა A 51b
 25 თვისსა სიმრავლესა; ამისთვის რომელ ერთი წარმონათხზი და ერთი
 წესი არს ყოველი მხოლოჲსა მიერ სიმრავლედ შთამოობაჲ; რამეთუ
 არ ვინაჲ იყოს წესი არცა წარმონათხზი, ეგოს თუ მხოლოჲ უნაყო-
 თო თვს შორის. ხოლო კუალად სიმრავლე აღიყვანების ყოველთა
 საზიაროჲსა მიზეზისადმი. რამეთუ ერთი ყოველისა სიმრავლისათჳს
 30 იგივე, რამეთუ არა თუ ერთისგან სიმრავლესა შორის ჰქონდის
 წარმოქმნაჲ. რამეთუ ერთისგან გამრავლებულთა ოდენ მის ქუეშე,
 და არა საზიარო ყოველთა, არამედ თვთება ოდენ მისისა ზემექო-
 1 თვთ < AB.—3 მასვეობასა E.—11 თვსდამი DEF.—13 სად-
 ვეცა CEF.—თანმეარსებაჲ AB.—16 იმმრრე F.—18 აღმოაჩინა E.—27 წარმონა-
 ათხზი D.—31 რამეთუ ბ E;

* ამ სიტყვასჳს მათხოობით იმნიშვნელობა: ნუ უმე იმრ გურდიე F.

** ასეთ ხითობას აღკვეთს A გვიანი მხედრელთი. ხოლო პერმულუს BCDArgO პერდი
 ძე თჳს პერდითი ანითი ო თვის (Dodds, p. 24).

ნეობისა. ვინაჲთვან თითოეულსა წესსა ზედა არს ვიდრემე ზიარებაჲ და შეერთებ'აჲ და იგივეობაჲ, რომლისა მიერცა რომელიმე თანდა- C 87
 წესებულად ითქუმის, ხოლო რომელიმე სხუა ტომად, საუწყო, ვი-
 თარმედ ერთისა დასაბამისა მიერ წარმოჰველის ყოველსა წესსა ზედა
 5 იგიობაჲ. არს ვიდრემე მხოლოობაჲ ერთი პირველ სიმრავლისა, და
 თითოეულსა წესსა შორის დამცველი ერთსა საზღვარსა და მორ-
 თულებასა თვს შორის მქონებელი დაწესებულთა ურთიერთსაცა და
 ყოველობისადცამდის. რამეთუ სხუაჲ სხვსა იყოს მიზეზ ნათხენსა ქუეშე
 ამის სირაჲსასა. ხოლო ვითარ ერთ ქმნისა სირაჲსა ამის მიზეზი,
 10 საჭირვო, რაჲთა პირველ ყოველთასა იყოს, და მის გამო ყოველნი
 ვითარ თანდაწესებულნი წარმოიშვნენ, არ ვითა ეს რაჲვე თითოეუ-
 ლი, არამედ ესეითა ამის ვინაჲსავე წესისა მყოფი. ვინაჲ ამის მიერ A 52a
 საცნაურ, რამეთუ ბუნებასაცა შორის სხეულთასა არს ერთი და მის
 ქუეშე სიმრავლე; და მას ერთსა ბუნებასა ჰქონან მრავალნი თვს
 15 ქუეშე თანაღობულად ბუნებანი და ბუნებანი მრავალნი ერთისა
 მიერ ბუნებისა საყოველთაოჲსა, და ერთადვე წესსაცა ზედა სულ-
 თასა წარმოდგომილ არს, რამეთუ იწყებს ერთისა და უპირველესისა
 სულისაჲთ და სულთა სიმრავლედმი შთაღვა, და კუალად სიმრავ-
 ლესა სულთასა ერთისადმი აღყვანებად; და ერთადვე გონიერი არ-
 20 სებაჲ არს მხოლო გონიერ. და სიმრავლემან გონებათამან ერთის
 მიერ გონებისა იწარმოა, და მისდაღვე უკუნ იქცევის, და ერთისად-
 ვე ყოველთა პირველისა სიმრავლე ერთთაჲ, და ერთთაჲ ერთისად-
 მი აღკრეჲა. ვინაჲ შემდგომად ერთისა პირველისა ერთნი, და შემ-
 დგომად გონებისა პირველისა გონებანი, და შემდგომად სულისა
 25 პირველისა სულნი, და შემდგომად ყოველთა ბუნებისა სიმრავლე
 ბუნებათაჲ.

თ ა მ ი 22

დასაბამებრისა ერთისათჳს *

შოველი პირველი და დასაბამებრივ მყოფი თითოეულსა შორის
 80 წესსა არს ერთი, და არცა ორ და არცა უმრავლეს ორობისა, არა-

4 წარმოვლის CDEF.—5 ვიდრემე] ვიდრე AB.—6 ერთისა საზღვარსა D.—7
 ურთიერთსაცა F.—8 ყოველობისადცამი CDE, ყოველობისადმიცამი F.—10 საჭირვო
 ა რ ს CDEF.—რაჲთა] რ' E—13 ბუნებასაცა] ბრუნებასაცა B.—13-14 მის ქუეშე]
 მოქუმსა D.—14 და ა ჰქონან AB.—15 და ბუნებანი <BD.—16 წესსა D.—17 ერთისა]
 ერთსა AB.—21 მისდაღვე F.—22-23 და ერთისადმი აღკრეჲა AB.—29 და <AB.

* სოთაჲნი ნენ რკვეუთენან. იგა ამოდებულაჲ იანკვ ნტამარტეპან 22. თაჲდან. ზღვე
 სწერაჲ: კუალად მოჰმართა და ა ს ა ბ ა მ ე ბ რ ს ა ე რ თ ს ა მიზეზსა ყოველისა სირაჲსასა
 (ახ. რკვეუთენან კვ. 61, 23).

მედ მხოლოდ ქმნილ ყოველი. იყოს ვინაჲვე, თუ არს შესაძლო, ორო- C 61
 ბაჲ; რომელ არს ესე შეუძლებელ და ეგრეთვე უმრავლესთა ზედა
 იხილვოს. უკუეთუ მრჩობლნი ითქუნენ პირველად, ანუ თუ ორთა-
 განვე სხუაჲ; და თუ ორთაგანვე, კუალად იყოს ერთ პირველი და
 5 არა ორ. [ხოლო უკუეთუ მრჩობლნი], ანუ სხუაჲ სხვსგან, და არა
 პირველ მრჩობლნი; ანუ ერთბამად ორნივე. და თუ სწორ, არ
 იყოს სხუაჲ სხვსა უპირველეს. ხოლო თუ სხუაჲ უპირველეს, მეორი-
 სად არ იგივეობაჲ, იყოს რაჲვე მის სირაჲსა? და არ ერქუმოდის სხუა
 თვნიერ პირველობისა. ვინაჲ ესე ორთაგანვე იყოს სხუაჲ, რომელი იგი
 10 ითქუა პირველად. და თუ ესე განეყოფვიან ერთი ერთისგან, არა ვი-
 თარ მეორე მეორესა, არ ვინაჲ იყენენ მრჩობლნი დასაწყისი და პირველ.
 ვინაჲ ამათგან საცნაურ, რომელ პირველ მყოფი ერთ არს
 მხოლოდ და არა ორ, ანუ თუ უმრავლეს. და პირველი გონებაჲ
 ერთი მხოლოდ და არა ორ პირველნი გონებანი. და ერთ უპირვე-
 15 ლესიცა სული; და ესრეთვე თითოეულსა ზედა გუარათასა, ვითარ
 პირველი შუენიერებაჲ, და პირველი სწორი; და ეს სახედ ყოველ-
 თა; ზედა; ეგრეცა და გუარი ცხოველისა ერთ პირველი და კაცისაჲ; A 54b
 რამეთუ ესევე აღმოსაჩენელი ყოველთა ზედა.

თ ა ვ ი 23

უმოქენოდასთჳ *

20

ჴოველი უმოქენოჲ წარმოიყენებს თვსგნით მოქენეთა, და ყოველ-
 ნი თანმოქენენი გუამოენებანი უმოქენოჲსა მყოფობისადმი აღიცისკრე-
 ბენ. რამეთუ უმოქენოსა მხოლოჲსა დაუპყრიეს ადგილი და საზღვა-
 რი, ვითარ თვსდად მყოფჲსა და არა სხვსად, და ვითარ დაზესთაებული A 55b
 25 თვსთა მოქენეთაგან, რამეთუ წარმოშობს ზიარებისა მისისა მიღებად
 შემძლებელთა. ხოლო იყოს თუ უშე იყუნდეს თვს შორის, არა
 ვინაჲ ჰქონდის პატიოსანი, რაჲთამცა თან მისცა მის-გამოთა, ვინაჲ
 ყოველი მიმღები ეზიარების, ხოლო მიცემული წარმოდგა, ვითარ
 ზიარებული; და ყოველი ზიარებული, იქმნა ვისდავე რომლისგანცა
 30 იზიარა, მეორე და შემდგომი არს მისი, რომელი ყოველთა

3 უკუეთუ უკუ A, უკუ B. —5 ხოლო უკუეთუ მრჩობლნი <codd.; დღგა-
 ნლი სენ ჰერ ჰემელას მხედვო: *et de exáctesou*. —7-8 მეორეობა C, მეორეობა
 F. 8 ექუმოდის AB. —17 ეგრეთვე F. —ერთი F. —და კაცისაჲ კაცისაჲ
 AB. —22 თანმქენენი F. —მყოფობისადმი DE-F. —22-23 მყოფობისადმი აღიცის-
 კრებენ. რამეთუ უმოქენოსა <AB (*ex homoioteleuto*). —26 იყუნდეს F. —29 რომ-
 ლისგან AB.

* სიაჲრა მოღებულა აბჲჲჲ პერსულა BCDM ხელნაწერებოჲს: *περι των ἀνε-
 θέτων* (Dodds p. 26).

მიმართ სწორებით წარმოდგომილ არს, და ყოველთა თვს-გამო სრულ ჰყოფს. ხოლო რომელი იყოს თვთებასა შორის თვსსა, სხუათად არა არს; ხოლო რომელი ყოველთადმი სწორებით წარმოდგომილ იყოს, რაჟთა ყოველთა უბრწყინვიდეს. და არა ვითარ

⁵ გათვთებული შორის მწყობრსა სირაჟსასა, არამედ უპირატესი ყოველთაჲ. რამეთუ ანუ ყოველსა შორის არს, ანუ ერთებრივობასა ყოველისასა. ანუ უპირატეს ყოველთა. არამედ ყოველთა შორის მყოფი განწვალეზულ არს ყოველთადმი, ვინაჲ მოქენე არს სხვსა ნაწილთა მებრთებელისა. და არ ვინაჲ ეზიაროს მას ყოველი, არამედ რომელიმე

¹⁰ სხუასა, ხოლო რომელიმე სხუასა, განიწვალოს რაჲ ერთი. ხოლო ერთებრივი და ნაწილი ყოველისაჲ არ იყოს ყოველთა საზიარო, არამედ ერთისა. ვინაჲ საზოგადოდ შემძლე ყოველთა ზიარებად და მისდა ყოველნი იყოს უპირატესი ყოველთაჲ და არ მოქენე სხვსა.

თ ა ვ ი 24

მიზეზი, მიზეზოანი, უმიზეზოჲ *

C 97
A 58a

ზოველი მზიარებელი ზიარებულსა უდარეს არს, და ყოველი თანზიარებული უზიარებელსა. რამეთუ ყოველი თანზიარებელი პირველ თანზიარებულისა უსრულ არს, სრულ იქმნების ვიდრემე თანზიარებითა, უდარეს განალა ზიარებითა, რომლისა მიერ სრულ იქმნების. ხოლო თუ იყო უსრულ, ზიარებითა მისითა იქმნეს სრულ, საჩინო, ვითარმედ უდარეს მისსა არს. ხოლო თანზიარებული ერთისა რომლისადვე არს, და არა ყოველთა წარმოდგომილ და რომელსა

²⁵ რაჟსადვე ერთისათვს ზედეს მას კუალად უდარესი მყოფობაჲ ყოველთა პირველისა მიმართ, და რამეთუ რომელიმე ყოველთა მიზეზისადმი უთვსიერეს, ხოლო რომელიმე დამხე და უშორესრე თვს. ეძლეანვის ვიდრემე და ეპირველების თანუზიაროჲ თანზიარებულთა, ხოლო თანზიარებული თანმეზიარეთა. ვითარ რაჲ შემოკლებით იყოს საჩინო,

⁸⁰ არს უკუე ერთი პირველი მრავალთაჲ. ხოლო თანზიარებული შორის მრავალთა ერთბამად ერთ და არ ერთ. ხოლო თანზიარებულნი არა ერთ და (არ) ერთ, ერთბამად.

2 თვსსა| მისსა AB.—3 სხუათად| სხუად და B, სხუად A. 6—7 რამეთუ—ყოველთა <D (ex homiolelento).—7 ყოველთა შორის| შორის AB.—9 ეზიარო F.—10 ხოლო რომელიმე სხუასა <EF.—23 მისსა| მისა F.—26 მიზეზისაში C.—27 ხოლო რომელიმე < ABD.EF.—32 და არ ერთ, არამედ <E.—ერთ არამედ ერთბამად ABEH.

* სითური წესი ეკვეთენს. აგ. ჰედენილია იანეს ატმარკეისჲ 24. თაჲს ჰეუე. გლეჲ: -ქ სწრაჲ: ამას თავსა შორის სამად გაჰყოფს: მიზეზსა, მიზეზოანსა და უმიზეზოსა (ან. „გამარტეპა“ გვ. 64. 25).

თ ა ვ ი 25

ს რ უ ლ ი ს ა თ ვ ს *

შოველი სრული აღმოშობადი იწარმოებს, რომელთაა უძლოს
 წარმოყენებად შებაძვე მის ერთისა ყოველთა დასაბამისა. რამეთუ
 5 ვითარ იგი კეთილობისათჳს თჳსისა ყოველთა არს ერთებრივ მა-
 გუამოვნებელი მყოფთაა (რამეთუ ერთ და იგივეობაა კეთილობაა
 და ერთი, ვითარ და კეთილ გუარობა ერთებრივობისად იგივეობა),
 ესთავე და შემდგომთა თჳსთა ზესთ სრულებითა თჳსითა აღადგენს
 და წარმოაარსებს შემდგომთა თჳსისა არსებისათა. რამეთუ სრუ-
 10 ლებაა ნაწილ ვიდრემე კეთილისაა არს, და სრული, ვითარ იგი
 არს სრული, ჰბაძავს კეთილობასა. რამეთუ იგი არს ყოველთა მა-
 გუამოვნებელ. ეგრეთვე და სრული, რომელთაა უძლოს, წარმომაარ-
 სებელი არს ბუნებით. და უსრულესი, ვითარ იგი იყოს უსრულეს,
 ესე ზომევე იყოს უმრავლესთა მიზეზ. რამეთუ უსრულესი უფროჲს მაზია-
 15 რებელ კეთილობისა; ესე უკუე უმახლობელეს კეთილობისა; ესე ხო-
 ლო უთჳსიერეს ყოველთა მიზეზსა; ესე ვიდრემე მიზეზ უმრავლესთა.
 ხოლო უსრული, ვითარ იგი იყოს უსრულ, ესე ზომ უმცირესთა მი-
 ზეზ. რამეთუ უშორეს არს ყოველთა წარმომაარსებელსა, უდარესთა
 არს მაგ უამოვნებელ. რამეთუ წარმოყენებაა ყოველთაა, ანუ თუ A 612
 20 მკობაა, ანუ სრულ ქმნაა, ანუ ჰყრობაა, ანუ ცხოველ ქმნაა, ანუ
 დაბადებაა, რომელნიცა უმრავლესთა იყვნენ უმოკმედეს, უთჳსეს ყო-
 ველთა მიზეზისა, ხოლო უდარესთამი უცხორე და სხუა. ვინაა ამის-
 გან საცნაურ, რამეთუ უშორიელესი ყოველთა დასაბამისაა უმეშეო
 არს და არ ვისდა მიზეზ. ხოლო თუ შობს რას და აქუს შემდგომი
 25 თჳსსა, საუწყო, რომელ არ ვინაა იყოს უშორიელეს; არამედ რომელი C 102
 წარმოქმნა, იყოს უშორეს მისსა, ხოლო იგი უმახლობელეს წარმო-
 ქმნილთა და მბაძავ ყოველთა წარმოქმნელსა მიზეზსა მყოფთასა.

თ ა ვ ი 26

წ ა რ მ ო მ ა ა რ ს ე ბ ე ლ ი ს ა მი ზ ე ზ ი ს ა თ ვ ს **

20 შოველი წარმომაარსებელი მიზეზი სხუათაა ჰგიეს იგი მოუკ-
 ლებელად თჳს შორის და წარმოაარსებს შემდგომსა თჳსსა და შემ-

9 არსებისა AB.—10 კეთილისაა] კეთილობაა AB.—14 [რამეთუ] რი AB.—
 16 ყოველთა მიზეზსა] ყოველთამი ზესა C.—22 უდარესთადმი E.—25 [რომელ] რა
 D.—26-27 წარმოქმნითა ABCDF.—27 მყოფთასა] მყოფსა F.

* სოაურა წკნ ბაკუოჯანს; ავა უდგენილია ზემნ. BCDM-ის მიხედვით: პერი ნელისთ

** სოაურა წკნ ბაკუოჯანს; ავა უდგენილია თჳსთა მრავლეს ტაქსტს სოუოქალზე; ყოველი წარმომაარსებელი მიზეზი სხუათაა... (გვ. 22, 30).

დგომისა შემდგომთა. რამეთუ ჰბაძავს თუ ერთსა, იგი უკუე მიუღრე-
კელად წარმოაარსებს შემდგომთა თვსთა და ყოველსა წარმომაარსე-
ბელსა, ესრეთვე აქუს მიზეზი წარმომაყენებელობითი. არამედ ერთი
მიუღრეკელად წარმოაყენებს. და თუ ესეცა მიღრეკისა მიერ, იყოს
5 მის შორის მიღრეკაჲ და მიღრეკილი, და მერმე არღ იყოს ერთი და
თან შეიცვალოს ერთობისგან. ხოლო თუ შემდგომ მისსა არს მიღ-
რეკაჲ, და ერთისა მიერ, ანუ ვიდრე უსაზღვრობამდე იყოს, ანუ
მიუღრეკელად წარმოაარსოს ერთმან. რამეთუ ყოველი წარმომაარ-
სებელი ჰბაძავს მას ერთსა და ყოველთა წარმოყენებისა მიზეზსა.
10 რამეთუ ყოველგან პირველისგან არა პირველი. ესთავე და ყოველთა
წარმომაჩინებელისგან რათავე წარმომაჩინებელი. და ყოველი წარ- A 63a
მომაყენებელი თვს გამო წარმოაყენებს შემდგომთა. ვინაჲ მოუკლებე-
ლად ეგნენ წარმომაყენებელნი, და წარმოიყენენ მათგან შემდგომნი;
რამეთუ რაჲზომევე მოკლებული, ვერ უძლებს ვებად იგივეობასა ზეჲა
15 თვსსა.

თ ა მ ი 27

ყოველი წარმომაყენებელი სრულებისა მიერ დაზესთაებითა
ძალისაჲთა წარმომაყენებელი არს შემდგომთაჲ, ხოლო თუ არა ზესთ
სრულებითა, არამედ მოკლებითა წარმომაყენებელისა ძალისაჲთა, C 108
20 არ ვინაჲ შეუძლოს მიუღრეკელად დაცვაჲ წესსა თვსსა. რამეთუ
რომელსა მოკლებისა მიერ და უძლურებისა ჰქონდის სხუათა წარ-
მოყენებაჲ, ქცევისა მიერ თვსისა და შეცვალებისა იპყრობს გუამო-
ნებასა წარმოყენებულთასა. არამედ ჰგიეს იგივეობასა ზედა ყოველი
წარმომაყენებელი; და ეგოს რაჲ, შემდგომნი იწარმოებვიან. ვინაჲცა
25 არს სრულ და სავსე, და შემდგომთა წარმოაყენებს მიუღრეკელად
და მოუკლებელად, და ჰგიეს თვსსავე მყოფობასა და იგივეობასა
ზედა, და არა შეიცვალების მათდამი და მოაკლდების. რამეთუ არა
თუ განწეალებაჲ არს წარმომაარსებელისაჲ წარმოაარსებულთაგან; A 65!
რამეთუ არ შეერაბამების ესე ბუნებითსა ქმნასა და არცა ქმნის და-
30 საბამთა მიზეზთა. და არცა ადგილით შეცვალებადთა: რამეთუ არა
თუ ნივთი იქმნების საწარმო; ხოლო ესე ჰგიეს იგივეობასა ზედა
თვსსა, და ასხუაებს მისგან წარმოქმნილსა. შეუცვალებელად უკუე
დამყარებულ არს მეშვე და მოუკლებელად, და მაარსებელითა ძალითა
თვსითა დაუმრავალკეცდების და იპყრობს თვს გამო შემდგომთა
გუამოვნებათა.

თ ა მ ი 28

ჰოველი წარმომარსებელი თვსდადმი მსგავსთა პირველ უმსგავ-
 სოთაჲსა წარმოაარსებს. ვინაჲთგან საჭიროდ უმჯობეს არს ყოველი
 წარმომარსებელი მისგან წარმოარსებულსა, რამეთუ არ ვინაჲ იყე-
 5 ნენ ესე სწორ ურთიერთას ძალითა. და თუ არა სწორ იყენენ, სხუა
 ვინაჲვე და უსწორო, | ანუ ყოველითურთ განჭრილ ურთიერთისგან, ანუ C 112
 შეერთებულცა და განჭრილცა. არამედ უკუეთუ ყოველითურთ გან- A 68a
 ჭრილ, იყოს უზიარებელ, და არა ჰქონდის მისდამი მიზეზსა თანა-
 მელმეობაჲ, და არ ვინაჲ თან ექონოს და ეზიაროს სხუაჲ სხუასა,
 10 იყოს რაჲ ყოველითურთ სხუაჲ; რამეთუ თანქონებული მისცემს ზია-
 რებასა თვისსა თანქონებელსა, რომლისა მიმართცა თან ექონების.
 არამედ საჭირო არს, რაჲთა მიზეზოანი თან იქონებდეს მიზეზსა,
 ვითარ მის გამო მქონებელი არსებისაჲ. ხოლო უკუეთუ რაჲთამე
 განეყოფვის, და რაჲთამე შეეერთების წარმომარსებელსა წარმოარსე-
 15 ბული; და თუ სასწოროდ ორთავე ჰენებია, და სასწოროდცა ორნივე
 ურთიერთას ეზიარენ და არ ეზიაროს შემდგომი უპირველესსა;
 ვინაჲ ჰქონდის არსებაჲ მისგან, არამედ არ ამით სახითა. ხოლო
 იყოს თუ უმეტეს განწვალებულ, უმეტესცა და სხუა და უცხო იყოს
 თვისისა წარმომეშვისგან, გინა თუ საკუთარ მხოლოდ შობილი, და
 20 მიუზავებელ მისდა მიმართ, ვიდრელა მიზავებულ; იყოს ვიდრემე
 თანულმო, ვიდრელა თანმელმე. ხოლო თანტომი ღმრთიეთაჲ თვთ
 მით მყოფობითა თვისითა და თანლმობილი მათგან, აღთხზულ არს
 მებრ ბუნებით, და წადნოჲს მათდამი ზიარებასა მეწადე კეთილო-
 ბისაჲ, და მიემთხუევის თვისისა მიზეზისა მიერ საწადსა. საუწყო,
 25 რომელ უფროჲს ხოლო შეერთებულ წარმომარსებელსა წარმოარ- A 68b
 სებული, ვიდრელარა განყოფილ და განწვალებულ. ხოლო უფრო
 შეერთებული უფროჲს მსგავს მისდა, ვიდრელარა და უმსგავსო რო-
 მელთადაცა უმეტეს შეერთებულ იყოს. ვინაჲვე მსგავსთა პირველ
 უმსგავსოთაჲსა წარმოაყენებს ყოველთა წარმომაყენებელი მი-
 ზეზი.

2-3 უმსგავსოსათა F.—3 უმჯობს A.—4 არ| არს D.—6 ურთიერთისგან] ერთობისგან A, ურთიერთობისგან B.—14 განყოფვის] იყოფვის AB, გუწყ'ვის D. - შეერთების ABCD, შეერთდების E.—18 იყოს] იყო AB.—უმეტეს<AB.—განწვალებულ] განწვადე AB.—19 მხოლოდ შობილი] წარმოშობილი CDEF.—20 მიზავებელი E.—23 მეწადე F.—24 მიზეზისგან მიერ AB.—26 ვიდრელა F.—27 უფროჲს] უფრო F. - 27-28 რომელთადაცა F.

თ ა ვ ი 29

მსგავსისა და უმსგავსოებისათვის *

შოველი გზავნაა არსებითი მსგავსებისა მიერ სრულ იქმნების შემდგომთაა პირველთაღვე მიმართ. ხოლო თუ წარმომარსებელნი პირველ უმსგავსოთაჲსა მსგავსთა წარმოაყენებენ, ეინაჲ მსგავსებაჲ წარმომარსებელთაგან წარმოაყენებს წარმოარსებულთა; რამეთუ მსგავსნი მსგავსებისა მიერ იქმნებიან მსგავს და არა უმსგავსოობისა მიერ. ეინაჲ გზავნაა არსებითი შორის უდარესობითსა შთამოობასა დაიცავს მასვეობასა შობილისასა მშობელისა მიმართ, და ვითარ არს იგი პირველ, ესსახეცა წარმოაჩენს შემდგომსა, ეინაჲ მსგავსებისა მიერ აქუს მას მდგომარეობაჲ.

A 71b

C 117

თ ა ვ ი 30

მიზეზისა და მიზეზოანისათვის **

შოველი წარმოარსებული ვისგანე უსაშოველოდ ჰგიეს ვიდრემე შორის წარმომარსებელსა და წარმოიარსების მისგან. ხოლო თუ ყოველი წარმონარსი გებ(თ)თაჲ იქმნების და პირველთაჲ, და მსგავსებისა მიერ სრულ იქმნების მსგავსთაჲსა პირველ უმსგავსოთაჲსა წარმოდგომილი, ჰგიეს რაჲთვე წარმოარსებული შორის წარმომარსებელსა. ხოლო თუ ყოველითურთ წარმოიარსოს, არა ეინაჲ ჰქონდის იგივეობაჲ და გებაჲ შორის წარმომარსებელსა, არამედ იყოს ყოველითურთ განჭრილ მისგან. ხოლო თუ აქუს რაჲვე საზიაროჲ და შეერთებული მისდა მიმართ, ეგოს ვიდრემე იგი მის შორის, ვითარ იგი ჰგიეს თვის შორის. ხოლო თუ მხოლოდ ოდენ ჰგიეს, არ წარმოიარსოს და არაჲთ განეყოს მიზეზსა თვისსა, რომლისადცა არს, ეგოს რაჲ იგი და იქმნას სხუა. ხოლო თუ სხუა, განწყვალეზულ და განყენებულ მისგან; და თუ განყენებულ, ეგოს უკუე მის შორის და წარმოელოს მისგან, რაჲთა განეყენოს გებული მის შორის. ეინაჲ იგივეობაჲ მიმართ წარმომარსებელისა აქუს წარმოარსებულსა და ჰგიეს მის შორის; ხოლო სხუაობითა წარმოელოს მისგან. და არს

A 73b

C 120

5 მსგავსთა H.—7 უმსგავსობისა AB.—9 მასვეობასა E, მსგავსეობასა F.—14 წარმომარსებული წარმომარსებელი E.—26 მისგან და თუ განყენებულ <E (ex homoioteleuto).—28-29 და ჰგიეს მის შორის <ABD.

* სთიური წესი გვეყუენის; იგი აქმნებულა იანეს იგანმარტვის 29. თავიან, სჲ დაჲ სწრაჲ: ხოლო აქა საძიებელნი შემოვლენ დიდნი მსგავსისა და უმსგავსისოებისათვის (იხ. იგანმარტვის გვ. 76-33).

** სთიური წესი გვეყუენის; იგი აქმნებულა იანეს იგანმარტვის 30. თავიან. სჲ დაჲ სწრაჲ: ამით თავთა შორის ყოველსა მიზეზისა და მიზეზოანისათვის დაჰლექსავს (იხ. იგანმარტვის გვ. 79-31).

ერთბამად მსგავს რაათვე იგივეობითა, და კუალად სხუათაცა. ვინაჲ ჰგვის ერთბამად და იწარმოებსცა, და არცა სხუაჲ სხვსა თვნიერ.

თ ა ვ ი 31

ჰოველი წარმოჩენილი ვისგანეჲ არსებით უკუნ იქცევის მის-
8 დადვე, სადაჲთ იწარმოებს. ხოლო თუ იწარმოებდეს ოდენ და არ უკუნ
იქცეოდის მიზეზისადმი ამის წარმომარსისა, არ ვინაჲ იწადებს მიზეზსა
თვსსა; ყოველი უკუე მეწადე უკუნ ქცეულა | საწადლოჲსადმი თვსისა. ვინაჲ A 75b
ყოველი იწადებს კეთილსა, და მიმთხუევაჲ მისი უმახლობელესისა მი-
ზეზისა მიერ ექმნების თითოეულსა. იწადებს ვიდრემე და თვსსაცა
10 მიზეზსა თითოეული. რამეთუ რომლისა მიერ აქუს მყოფობაჲ თი-
თოეულსა, მის მიერცა და კეთილობაჲ; ხოლო რომლისა მიერ კე-
თილობაჲ, მისდა მიმართცა საწადლოჲ თვისი პირველად; ხოლო რომ-
ლისა მიმართ საწადლოჲ პირველად, მისდა მიმართცა და უკუნქცევაჲ.

თ ა ვ ი 32

ჰოველი უკუნქცევაჲ მსგავსებისა მიერ აღესრულების უკუნქცე-
ულთაჲ მისდა მიმართ, რომლისა მიმართცა უკუნქცეულ იყვნენ. რა-
მეთუ ყოველი უკუნსაქცეველისა მიმართ ისწრაფვის შეერთებად, და
წადნოჲს მის მიმართ ზიარებასა და თანშეკრავსა. თან შეჰკრავს უკუე
ყოველთა მსგავსებაჲ, ვითარ იგი განსწვალებს უმსგავსობაჲ და გა-
20 ნაყენებს. ხოლო თუ უკუნქცევაჲ ზიარებაჲ ვინაჲვე არს და შეერთე- A 77a
ბაჲ, ხოლო ყოველი ზიარებაჲ და შეერთებაჲ მიერ მსგავსებისა,
ვინაჲ ყოველი უკუნქცევაჲ მსგავსებისა მიერ სრულ იქმნების.

თ ა ვ ი 33

ჰოველსა მეწარმოესა ვისგანეჲ და უკუნმქცევისა მრგულივი
25 მოქმედებაჲ აქუს. ხოლო თუ ვისგანცა იწარმოებს, მისდა მიმართცა C 127
უკუნ იქცევის, დასაბამისადვე უკუ ახებს და შექცეობებს დასასრულსა, A 78 b
და არს ერთ გაუწყუედელ მიდრეკაჲ, რომელიმე მგებისგან. ხოლო
რომელიმე გებულისა მიმართ: ვინაჲ ყოველნივე მრგულივი იწარმოე-

1 მსგავს H.—რაათვე E.—ვინაჲ <F.—2 არცა| არა H.—5 ოდენ| ოდეს
F.—10—11 აქუს—მიერ <AB (ex homoioteleuto).—12 მისდა|. მის D. —17 შეერთდ-
ბად E.—18 მის| მისდა EH.—19 განსწვალებს| გასწავებს ABCEFH (C-ზე არააჲ
მ სიტყვაჲ; შიჲთა ეწარა: განსწვალებს).—21 ხოლო—შეერთებაჲ <AB (ex ho-
moioteleuto).—24 მრგულივი AB.—26 დასაბამისად ეჲ ADEFH, დასაბამისადმი ეჲ
B.—27 ერთი F.

ბენ მიზეზთაგან მიზეზთავე მიმართ. ვინაჲ იყენენ ნამრგულევი უფროჲს და უმცროჲს. ხოლო რომელთაჲ მიქცევედთაჲ თვისთა მიმართ უზნესთაჲსთაჲ იქმნების რომელიმე უმახლობელეს, ხოლო რომელიმე უზნენაჲსთა მიმართ, და ვიდრე ყოველთა მიზეზისადმი: რამეთუ მისგან⁵ ყოველნი და მისდა მიმართვე ყოველნი.

თ ა ვ ი 34

ყოველი ბუნებით უკუნქცევადი მისდა მიმართ ჰყოფს უკუნქცევასა, ვისგანცა ჰქონდის წარმოებაჲ თვისისა გუამოწმებისაჲ.

ხოლო თუ ბუნებით უკუნქცეულა, ვინაჲ არსებითი წადილი მისდა მიმართვე მოუგის, რომლისადცა უკუნქცეულა. ხოლო თუ ესრეთ, და მყოფობაჲცა თვისი ყოველი მისდა მიმართვე აღუთხზავს, რომლისა მიმართ ჰყოფს არსებითსა უკუნქცევასა, და მსგავს მისდა არს არსებით. ვინაჲცა და თანმევენ მისდა ბუნებით, ვითარ არსებით თანტომი. ხოლო თუ ესე, ანუ ერთ და იგივეობა მყოფობაჲ მრჩობლთაჲ, ანუ მეორისგან მეორე, ანუ ერთბამად ორთავე, სხვ'სა არსებისგან აქუნდეს მსგავსებაჲ. ხოლო თუ ერთ და იგივეობა მყოფობაჲ ორთაჲვე, ვითარ უკუნ იქცეოდის მეორე მეორისადმი ბუნებით? ხოლო თუ ერთისგან ორნივე, იყოს და მისდა მიმართ უკუნქცევაჲ ორთაჲვე. აკლს უკუე, რაჲთა ჰქონდის მყოფობაჲ მეორესა მეორისგან. და თუ¹⁰ ესრეთ, იყოს წარმოარსებაჲ მათგან, რომლისა მიმართცა ბუნებით უკუნქცეულა.

საჩინო უკუე ამისგან, რომელ ყოველთა საწადო არს გონებაჲ, და ყოველნი იწარმოებიან გონებისგან, და ყოველსა აღმკულსა გონებისგან აქუს არსებაჲ, დაღათუ იყოს სამარადისო. და სამარადისოობისათჳს მისისა, და კეთილ წესიერებისა უკუნ იქცევიან მისდა, და იწარმოებიან მისგან სამარადისოდ არსებით, და არიან დაუქსნელ ნიადაგ წესითა. A 80a

თ ა ვ ი 35

ყოველი მიზეზოანი ჰგიეს შორის მიზეზსა თვისსა და იწარმოებს მისგან და უკუნ იქცევის მისდადვე. ხოლო ეგოს თუ ოდენ, არაჲთ განეყოს მიზეზსა, იყოს განუყოფელ მისგან; რამეთუ განყოფასა თანა, დაუერთბამდების წარმოობაჲ მისი. ხოლო თუ წარმოვლის ოდენ მხოლოდ, უზიარებელ იყოს მისდა მიმართ და თანაუენ, არა სადა მზიარებელი მიზეზსა. ხოლო თუ უკუნ იქცევის მხოლოდ,

 21 მყოფთა.

თ ა ვ ი 173

სამ სახედ განცდისათჳს გონებისა *

შოველი გონებაჲ გონიერ არს და პირველთაჲ მიმარდ თვსთა
 და შემდგომთაჲ. რამეთუ რომელთამე არს მიზეზონობით შემდგომ-
 26 თა თვსთა მიმართ, ხოლო პირველთა მიმართ მებრ ზიარებით. რა-
 მეთუ თვთ გონებაჲ არს და გონიერი ხელდა მას არსებაჲ. და თვსსა-
 ცა მყოფობასა განასაზღვრებს ყოველსა, და ვითარ იგი არს მებრ მი-
 ზეზებით, და ვითარ მებრ ზიარებით. და თითოეულსა ვითარ იგი
 (ჰე ფ ი კ ე ნ) ძალ უც, ეგრეცა ეზიარების უმჯობესთა და არა ვითარ

2 რომელსა ABDEH.—12 უმახლობელესად და] უმახლობელესთა C.—12-13
 თვსთ არსებით უცვალებელთა C.—13 წარმოაყენებელ] წარმოყუანებელ ADEF,
 წარმოაყენებს C.—14 უქცევ და] უქცევთა D.—17 თუ<D.—23 მიმართ] შრ [!].
 —27 განასაზღვრებს EF.—29 პეფისკენ AB.

* ხათურა ჩვენ შეყარა ჰედასილი „განმარტობს“ 177. ოგის მ-სეკოთ. ხიდე სწედა:
 ყოველი გონებაჲ, ვითა მეტყვან ზედვანი. სამ სახედ განიცდების (ახ. „განმარტობს“
 კი. 188, 21-22).

იგი არიან. ხოლო ძალ თუმცა ედვა ვითარ იგი პრიან ზიარებად, ყოველთა მიერმცა იზიარებოდა. რამეთუ ეზიარების სხუაჲ სხუებრ, არამედ თვთებათაებრ მზიარებელთაჲსა და ძალნიცა მზიარებელთანი. რამეთუ გონიერად გონებასა შორის პირველნი მისნი. არამედ და შემდგომნიცა მისნი გონიერევე, რამეთუ არა თუ მისასრულთაგან არს და არა თუ იგი ჰქონან თჳს შორის, არამედ მიზეზნი მათნი. რამეთუ ყოველთა აობისა არს მიზეზ. ხოლო ესე რომელ არს იგი გონიერ, და მიზეზნიცა ყოველთანი გონიერად ჰქონდის თჳს შორის. რომლისათჳსცა ყოვლითურთ გონიერ არს ყოველი გონებაჲ: და პირველიცა მისსა, და შემდგომიცა მისსა. და ვითარ ზესთანნი და გასაგონონი^{A197^a} თჳსნი გონიერად ჰქონან ყოველნი, ესრეთევე და გრძობადნიცა ყოველნი გონიერად.

თ ა ვ ი 174

გონებისათჳს და ნაქმისათჳს მისისა *

¹⁵ შოველი გონებაჲ თჳსსა გაგონებასა შორის წარმოაყენებს შემდგომთა; და ნაქმი მისი გონებასა შორის და გონებაჲ ნაქმსა შორის. ^{C 315} რამეთუ მის-შორისი გასაგონი და თვთებაჲ გონებისა თჳსისაჲ იგივე და ერთ. და მყოფობაჲ თითოეულისაჲ ნაქმსა თჳსსა შორის იგივე და ერთ: იქმს უკუე, რასა იქმს, და ამყოფებს და წარმოაყენებს, ²⁰ რაჲცა რაჲვე იყოს მყოფობისაებრ; და გაიგონაჲ რაჲ, წარმოაყენა წარმოყენებადი. რამეთუ მას შორის მყოფობაჲ და გაგონებაჲ ერთბამად, და გონებაჲცა თჳს-შორისისა მყოფისა ერთ და იგივე. და თუ იქმს, რაჲთამცა იყო, ხოლო ქმნაჲ და გაგონებაჲ მისი იგივე და ერთ. და იქმს გამგონე და გონებაჲ მოქმედებითი გაგონებასა შორის. ²⁵ ხოლო ესე და მყოფობაჲ მისი იგივე და ერთ. და მყოფობაჲ ქმნასა შორის (რამეთუ მიუღრეკელად მოქმედსა მყოფობაჲ მოქმედებასა შორის ჰქონდის სამარადისოდ); და გაგონებაჲცა ვიდრემე შორის^{A197^b} მოქმედებასა.

თ ა ვ ი 175

²⁰ შოველი გონებაჲ ერთბამად არსებით და მოქმედებით გონიერთა მიერ იზიარების პირველ. საკირო არს უკუე, რაჲთა ანუ ამით

1 ძალ] რ'ლ H, რომელ F.—8 ჰქონდეს F.—18 ნაქმსა F.—19 რასა იქმს AB.—21 მას] მის AB.—22 ერთ] ერთა AB.—27 შორის< AB.

* სთავაჲ წენ კაკუთჳსნი: აჲ შედგინლია თჳთ : რთჳს ლეს დეზუდუჳს მახედითი (ზღა. 17-18).

მიერ ანუ სხუათა მიერ რომელთა ჰქონდის არსებაჲ გონიერი, ხოლო სამარადისოდ არ იყვნენ გამგონე; არამედ ამათ მიერ შეუძლებელ. რამეთუ მოქმედებაჲცა გონებისაჲ შიუდრეკელ არს. და რომელთაგანცა იზიარებოდის, იგიცა სამარადისოდ არიან გამგონე; რამეთუ სამარადისოდ ეზიარების გონიერსა მოქმედებასა, სამარადისოდ გამგონე ჰყოფს მზიარებელთა თვისთა. რამეთუ საუკუნოსა შორის დამსკუალული მოქმედებაჲ რასავე ნაწილსა შორის ეამისასა მოქმედებასა თანალუწმასნელ არს. ხოლო საშუალ, ვითარ და არსებათაცა შორის, ეგრეთვე და მოქმედებათაცა ცვალებასა ზედა რამეთუ ყოველთა მოქმედებასა საუკუნოვანსა-შორისსა და რასავე ნაწილსა ეამის-შორისსა, დაღათუ იყოს სრულ, უმეტეს ეთვისების რომელსა ჰქონდის სრულებაჲ ყოვლობასა შორის ეამისასა. რამეთუ არ ვინაჲ იქმნებიან გზავნითნი მოქცევენი უსაშუელოდ, არამედ თანტომთა და მსგავსთა მიერ მეტრ გუამოვნებათაებრ და მსგავსადვე მოქმედებათაცა სისრულე. ვინაჲვე ყოველი გონებაჲ მათ მიერ იზიარების პირველად, რომელთა გაგონებაჲ მოეგოს სამარადისოდ ყოველსა შორის ეამსა. დაღათუ ეამებრივე, არამედ არ საუკუნესა შორის გამონებაჲ. ვინაჲ ამის მიერ საცხადო, რამეთუ სულმან, ოდესმე განგონემან და ოდესმე არა, უსაშუელოდ გონებისა ზიარებად ვერ უძლო*.

თ ა ვ ი 176

ჰოველნი გონიერნი გუარნი ერთმანერთსაცა შორის არიან და თვისსაცა შორის თითოეული. ხოლო განუნაწილებელ თუ არს ყოველი გონებაჲ და შეერთებულ; გონიერისა მიერ განუნაწილებელობისა ყოველი მის-შორისი სიმრავლე, და ერთებრივ ყოველნი და განუნაწილებელად შეერთებულ ურთიერთას და მიენერგვიან ყოველნი ყოველთა მიერ. ხოლო თუ უნიეთო არს ყოველი და უსხეულო, შეურწყმელ ვინაჲვე იყვნენ ურთიერთას, და განყოფილ თითოეული, და დამმარხველი თვისისა სიწმიდისაჲ ეგოს ვითარ იგი იყოს.

საცნაურ უკუე ჰყოფს შეურწყმელობასა გონიერთა გუართასა თითოეულთა მზიარებელთა გათვთებული ზიარებაჲ. რამეთუ უკუეთუმცა არ გაყოფილ იყვნეს ურთიერთას საზიარებელნი, არცამცა თითოეული მზიარებელთა მათთაჲ იყო მზიარებელ გათვსვით, და

2 გამგონე] გონიერნი F. — 4 — 5 არიან — სამარადისოდ <FI] (ex homoiotetulo). — 5-6 გამგონე <F. — 8 თანალუწმასნელ F — 21 ერთმანერთისაცა AB. — 27 და განყოფილ თითოეული <AB. — 29 ჰყოფს H. — 32 მზიარებელთა მათთაჲ იყო (u) ... 4. კარა CD. — იყო] იყოს FH. — მზიარებელ გათვსვით] მზიარებელთა გათვთებით AB.

* თეო 175. აკლია AB ხელისწიწების.

უფროაქსლა იყომცა უდარესთა შორის განუყოფელი და განუთვ-
 თებელი თანშერწყმაჲ, რამეთუ უდარე არიან მეგრ წესითა. სა-
 დადომცა უკუე ჰქონდა გათვთებაჲ, უკუეთუ წარმომაცენებელნი მათ-
 ნი | განუთვთებელ იყვნენ და თანშერწყმულ? ხოლო კულად შეერთე- A198h

6 ბასა გუარათასა გარეშემცველი მათი განუნაწილებელი გუამოვნებაჲ
 დაჰნიშნავს და ერთგუარებრივი არსებაჲ. რამეთუ განუნაწილებელო-
 ბასა შორის და ერთგუარებრიობასა მყოფობაჲ ჰქონდის, მასვე და
 ერთსა შორის არიან განუწილებელსა მყოფობასა (ვითარ უკუე განი-
 წილოს განუნაწილებელი?), რამეთუ ერთბამად ერთობასაცა შორის C 31h

10 განუზიდველად. რამეთუ არა თუ განზიდული არს შემცველი მათი.
 და ვითარ განზიდულსამცა შორის ჰქონდა მყოფობაჲ რომელიმე აქა
 და რომელიმე სხუაგან, არამედ ერთბამად განუნაწილებელსა და
 ერთსა შორის ყოველი. ვინაჲ და ურთიერთასცა შორის ყოველი

15 უკუე გონიერი გუარი და ურთიერთასცა არს შეერთებით და თვს
 შორისცა თითოეული განყოფით. ხოლო თუ ვინ და აღმოსაჩინთაცა
 ზედა მოქენობდეს იგავთაცა, იხილნეს ხედვანი ერთსა შორის სულსა,
 ვითარ ყოველნი შორის მისსა არიან უდიდოაქსა მის არსებისა და
 შეერთებულ ურთიერთას. რამეთუ უდიდობაჲ არ ადგილობით აქუს

20 თვს შორის, არამედ განუნაწილებელად და განუზიდველად და შეუ-
 რენელად განყოფით. რამეთუ ყოველსა უზადოდ სული წარმოაყე-
 ნებს და გათვთებით თითოეულსა ხედვათასა, და არ თან წარმოიზი-
 დაეს და აღირეეს რათავე ხედვათაგანსა. და თუმცა არ განყოფილ
 იყო არსებით ზიარებასა შორის, არამცა ურთიერთას მოქმედებაჲ A 199a

25 იყო განყოფილ სულსა.

ტ ა ვ ი 177

ყოველი გონებაჲ სრულებაჲ არს გუართაჲ, და რომელიმე ყოე-
 ლებრივთა გუართა არს შემცველ, ხოლო რომელიმე ნაწილებითთა:
 და ჭზენაესთა გონებათა უსაყოველთაოესი აქუს ძალი და გარეშემ-
 30 ცველობაჲ, ვიდრე შემდგომთა და განნაწილებულთა; ხოლო უქუე-
 ნაესთა განნაწილებითრე რაოდენი ყოვლებრივთა პირველ მათსა.

ხოლო უზენაესნი მემარებელ არიან ძალთა უფროაქსთა და უერთე-
 ბრივეს შემდგომთა არიან. ხოლო უქუესნი რიცხვთა გამრავლებულ და
 ძალთა უცნიწესთა მქონებელ. რამეთუ ერთსა უფრო თანდათვთე- A199b

35 ბული სიმრავლითა ვიდრემე უმცროაქს, ხოლო ძალითა ზესთ მდებარე
 შემდგომთაჲსა; ხოლო უშორიელესი ერთისაჲ წინა-უქუმო. რამე-

7 და მყოფობაჲ AB.—8 განუწილებელსა | განუნაწილებელსა F.—12 გან-
 ზიდულსაცა AB.—21 განყოფილ H.—30 და < AB.

თუ უზენაესთა დაუმორჩილებიეს თვს შორის ძალი უფროასი, ხოლო რაოდენობით უმცროას და რაოდენობით უმცროასთა მიერ გუართა უმრავლესთა წარმოაყენებენ მათ შორის დამრავალკეცებულითა ძალითა. ხოლო შემდგომნი მათნი რიცხვთ უმრავლესთა მიერ უმცროასთა არიან წარმომაყენებელ მოკლებისაგან ძალთაჲსა. ხოლო თუ იგინი უმცროასთა მიერ უმრავლესთა არიან წარმომაყენებელ, იყვენ მათ შორის გუარნი უსაყოველთაოეს, ხოლო უმრავლესთა მიერ წარმოაყენებულნი უმცროას, რამეთუ უგანაწილებულეს ძალი მათ შორის.

ვინაჲ შეემთხუევის თითოეულსა გუარსა უზესთაესთაგან წარმონაშესა უმრავლესთა მიერ შემდგომთა გუართაჲსა განწვალებით წარმოყენებაჲ. და კუალად წინა-უკუმო მრავალთა და განწვალებულითა, და უდარესთა გუართა მიერ წარმოყენებულთა, უზენაესთა შორის რიცხვთ უმცროასთა და ერთებრივთა მიერ წარმოყენებაჲ. C. 320.
ხოლო უსაყოველთაოსა და საზიაროსა ყოველთა მისთა მზიარებელთასა ზენათა მიერ აქუს წარმოყენებაჲ, ხოლო განწვალებულთა და გათვთებულთა შემდგომთაგან. ვინაჲ შემდგომთა გონებათა, ნაწილებითსა განწვალებასა გუართასა ურთიერთას შეაწყობენ ვიდრემე და მწულილ-იხუროვნებენ პირველთა და ზენათა გუარმქონებელთაჲსა.

თ ა ვ ი 178

გონიერისა გუარისათჳს *

ყოველი გუარი გონიერი სამარადისოთა არს მამყოფებელ.

ხოლო თუ საუკუნო არს და მიუდრეკ ყოველი, უცვალებელთად არს არსებით მიზეზ და სამარადისოთა გუამოვნებათად და არა ქმნადთა და ხრწნადთად. ვინაჲ ყოველი გონიერი გუაროვნებით წარმოდგომილი სამარადისო არს. რამეთუ თვთებასა შორის თვსსა ქონებით ყოველთა გუართა წარმოაყენებს შემდგომთა თვსთასა, რამეთუ აობაჲ თვისი სამარადისოდ მასეე და ერთსა ზედა აქუს, და მის-გამოთაცა C. 321
ეგრეთეე ქჳონდის და სამარადისო იყენენ. რამეთუ არ რომელი ტომი, რომლისაეე ეამის-შორისი, წარმოდგომილ არს მიზეზისგან გუაროვნებითისა. რამეთუ არცა ხრწნადთა, ვითარ ხრწნადთა, აქუს გუარი გონიერი პირველ თვსსა. რამეთუ იყენესმცა უხრწნელ და აუგებელ, თუმცა მოეგო მისდა მიმართ გუამოვნებაჲ თვისი. A. 200b

3 დამრავალკეცებულსა AB.—7 უსაყოველთაოესი B.—18 გუარმქმნელობასა F, გუარმქონელობასა ABDH.—21 მყოფებელ F.—24 ხურწნადთად A, ხუსწნადთა B.—26 წარმოაყენებს| წარმოაფენებს A.—31 რამეთუ არცა ხრწნადთა ვითარ ხრწნადთა იყენესმცა AB.

* სიათჳში ნუნს მერძას პეტრეწალი თეათ მტკელეს დიუქუბას მსხველით.

თ ა ვ ი 179

გონიერისა რიცხვსათვის *

ჟოველი გონიერი რიცხვ განსაზღვრებულ არს. ხოლო თუ არს
 შემდგომად ამათსა სხუაჲ რიცხვ უდარესი არსებით, ხოლო ესე
 5 უმახლობელეს ერთისა და იგი უშორიელეს. და უმახლობელესი
 ერთისაჲ უდარეს რიცხვთა, და უფროჲს უკუე უშორიელესი უმრავ-
 ლეს რიცხვთა, ვინაჲ გონიერი რიცხვ უდარეს იყოს რაოდენობით
 მისსა შემდგომად სიმრავლისასა. არ უკუე უსაზღვრო იყოს: განსაზ-
 ლვრებულ არს ვინაჲვე სიმრავლე გონებათაჲ. რამეთუ ვისდავე მი-
 10 მართ უმცროჲსი არ უსაზღვრო არს, ამისთვის რომელ უსაზღვროჲ
 არ ვისდა არს უმცრო, არს თუ იგი უსაზღვრო.

თ ა ვ ი 180

ყოველობისათვის **

ჟოველი გონებაჲ ყოველობა არს, ვითარ ნაწილთა მიერ წარ-
 15 მოდგომილ თითოეული, და შეერთებულა სხუათად და განყოფილ
 ამათგან. არამედ უზიარებელი და პირველი. გონებაჲ მარტივად სა-
 ყოველთაო, ვითარცა ყოველთა ნაწილთა ყოველობრივ მქონებელი
 თვის შორის. ხოლო თვთებით ნაწილებითსა ნაწილთ-წორისი აქუს
 ყოველობაჲ, და ესრეთ ყოველი არს ნაწილებით. ხოლო თუ ერთით
 20 ყოველი, ხოლო ერთითობაჲ არა რა არს სხუა თვნიერ ნაწილობა.
 რამეთუ ყოველობაჲ ესრეთ არს თითოეულთა ამათ შორის ნაწილე-
 ბით. და ერთ ერთსა ნაწილებითსა განმკარგველ არს და ყოველთა
 შორის განმრჩეველ;

თ ა ვ ი 181

ზიარებულისა გონებისათვის *

ჟოველი ზიარებული გონებაჲ ანუ ღმრთებრივ არს, ვითარ
 ღმრთებრივთადა შეყოფილი, ანუ მხოლოდ ოდენ გონიერ. რამეთუ C 323
 არს თუ საღმრთოჲ და უზიარებელი გონებაჲ პირველ, თვის ამისდა
 ვიდრემე იყოს, რომელი არა მრჩობლ ორითავე განეყოფოდის, ვი-
 6 რიცხვთა A, რიცხვთა B.—7 რიცხვთა] რიცხვთა AB.—11 და არ ვის-
 და AB.—17 ყოველებრივ D.—19 ნაწილებითი AB.—22 ნაწილებთასა AD:FH.—
 29 ორთავე D.

* ხოლო ნაწილთა შედგენილი თითო ერთი რიცხვი აქუს განუყოფელი მარტივით.

** ხოლო ნაწილთა შედგენილი უმარტივესი რიცხვითა შედგენილთა, ხოლო შედგენილი
 გესმად, გ გამგონეთ, თუ რაოდენ სახედ მივეციტ სიტყუაჲ ყოველობისათვის? (-ს.
 -ენარტეჲ გვ. 191, 18-19).

თარ არსალმრთოობითა და არუზიარებლობითა; რამეთუ ორითა-
 ვე უმსგავსონი ურთიერთას შეუხებელ. საუწყო უკუე იყან, (ჯერ
 არს უკუე), რომელ რაჟთამე ჰგვანდეს პირველსა გონებასა საშუალი
 და რაჟთამე უმსგავსო იყოს. ხოლო უზიარებელ თუ იყოს და არ-
 5 სალმრთო, ანუ ზიარებულ და სალმრთო. არამედ ყოველი პირველი
 და უზიარებელი აღმოაჩინა სალმრთოდ, ვითარ შესაბამად ერთისა
 სიმრავლესა შორის მომგებელი წესსა. იყოს ვიდრემე რომელიმე გო-
 ნებაჲ ერთბამად სალმრთოცა და ზიარებულცა.

არამედ ჯერ არს, რაჟთა იყოს კუალად სხუადცა გონებაჲ არ-
 10 მზიარებელი სალმრთოთა ერთათაჲ, არამედ მხოლოდ გამგონე
 ოდენ: რამეთუ თითოეულსა შორის სირასა უპირველესნი და თვსდა
 მხოლოთადა შეყოფილნი შემძლებელ არიან ზიარებად. დაზესთაე-
 ბულსა მათდა უმახლობელესსა წესსა, ხოლო განშორებულნი დასა-
 ბამობითისა მხოლოდსგან ვერ უძლებენ ახებად მათდა. არს უკუე.
 15 გონებაჲ ვინაჲ მხოლოდ ოდენ გონიერი და გუარითა გონიერთა
 წარმოდგომილი, რომელი ხუდა მას თვისსა მხოლოდსგან და უზიარ-
 რებელისა; ხოლო მეტრ შეერთებაჲ, რომელი შეიწყნარა მან თვსდა
 მზიარებელისა ერთისგან. A202a.

თ ა ვ ი 152

საღმრთოდა გონებისათჳს *

შოველი საღმრთოჲ გონებაჲ, ზიარებული სულთა მიერ. იზიარ-
 რებელისა საღმრთოთა. რამეთუ ზიარებაჲ ამსგავსებს ზიარებულსა მზიარ-
 რებელისად და თან მიუბუნებებს, ვინაჲ საჭირვო არს, რაჟთა საღმრ-
 თო იყოს სული მზიარებელი საღმრთოდა გონებისაჲ და აღკრულ
 20 საღმრთოსა გონებასა; და საშუელობითა გონებისაჲთა თვს-შორისსა
 ღმრთეებასა ეზიარების, რამეთუ ღმრთეებაჲ შეახებს გონებასა მზიარ-
 რებელსა მისდა სულსა, და შექრავს ღმრთისადმი ღმრთებრივი
 რიცხვ.

თ ა ვ ი 183

გონებაჲ გონებითი და გონებაჲ გონიერი *

შოველი გონებაჲ, ზიარებული ვინაჲვე და მხოლოდ ოდენ გო-

2 იყავუნ. H.—4 რაჟთამე] რ'იმე F.—6 აღმოიჩინა D.—9—13 არამედ—
 განშორებულნი < AB.—10 ერთთათაჲ] ერთთა H.—21 სულისა H.—22-23 მზიარე-
 ბელთად A H.—27 სულისა AB.—ღმრთებრივი D.

* ხომედი ჩვენ შეკრული თჳსი : რა კ დ ე ვ ჯგულებსა მსხველით (ზტრ. 21).
 ** ხომედი ჩვენ შეკრული თჳსი : რა კ დ ე ვ ჯგულებსა მსხველით (ავ. 19), 12-13).

ნიერი, იზიარების სულთა მიერ, არცა ღმრთებრივთა და არცა გა-
 გონებისა და უგუნურებისა მიერ ქცევადთა. რამეთუ არცა საღმრთო-
 ნი სულნი არიან ესევეთარ და არცა გონებისა მზიარებელნი. ხოლო
 ღმერთსა ეზიარებიან სულნი | სუშუველობითა გონებისაჲთა, ვითარ C 326
 8 აღმოიჩინა, და არცა მიმლოქცევათა არიან შემწყნარებელ; რამეთუ
 ყოველი გონებაჲ სამარადისოდ არსებით და მოქმედებით გონიერთა
 მიერ იზიარებვის. და ესე საცნაურ იყავნ პირველ აღმოჩენილთაგან.

თ ა ვ ი 184

სულისათჳს *

10 შოველი სული ანუ საღმრთოჲ არს, ანუ ქცევადი გონებისგან
 უგონებობადმი, ანუ საშუალი ამათი, სამარადისოდ უკუე გამგონე,
 მაგრა უღარესი საღმრთოთა სულთაჲ. რამეთუ საღმრთოჲ გონებაჲ
 საღმრთოთა მიერ იზიარებვის სულთა. ხოლო მხოლრდ ოდენ გონი-
 ერი არცა საღმრთოთა მიერ და არცა მიდმოქცევისა შემწყნარებელ-
 15 თა მიერ გაგონებისგან უგონებობად. არიან ვინანიმე, რომელ ამასე
 იენებენ და ოდესმე გაიგონებენ და ოდესმე არა. საცხად იყავნ; რო-
 მელ სამი | ტომი არს სულთაჲ: პირველ ად უკუე საღმრთონი; ხო- A 203a
 ლო მეორენი არსაღმრთონი, არამედ სამარადისოდ გონებაისადა
 დამოკიდებულნი; ხოლო მესამენი ოდესმე გონებისად და ოდესმე
 20 უგუნურებისად მქცევნი.

თ ა ვ ი 185

საღმრთოთა სულთათჳს **

შოველნი უკუე საღმრთონი სულნი ღმერთ არიან სულებრივ;
 ხოლო ყოველნი მზიარებელნი გონებისანი ღმრთებრივთა მიმდგომნი
 25 მარადის; ხოლო ყოველნი მიდმოქცევისა შემწყნარებელნი ღმრთე-
 ბრივთა მიმდგომ ოდესმე. ხოლო რომელთაჲმ აქუს საღმრთოჲ ნათე-
 ლი ზენაჲთ დაეღვებულად, ხოლო რომელნიმე სამარადისოდ გაიგო-
 ნებენ, ხოლო რომელნიმე ოდესმე მიემთბუევიან ამას სისრულესა; C 327
 რამეთუ სიმრავლესა შორის სულთასა წარმოდგომილნი ურახამებენ A 204a

1 ეზიარების F.—16-17 რომელ სამი | რ'ლისამი D.—27 დაღვებულად
 I:—27—28 რომელნიმე—ხოლო <E (ex homoioteleuto).

* ახეთა სთა აგრაი C.K ხელნაწერებში: ზემსულა CDEM ხელთნაწერებში: ἡ ψυχή
 (Dodds, p. 160).

** ხათაჲ ნკვს ზეჲსა ჰელგანია: ზეჲსა ეღეხ ღმრთულესა და ეგნაწარტეხი 185. თ-
 ვიხ ჰხედეთ (განმარტეხი" აჲ. 194,7-8).

ღმრთებრივთა რიცხუთა, ხოლო რომელნიმე სამარადისოდ თან აღ-
 ჰყვებიან ღმრთებრივთა რიცხუთა და გონიერად იმოქმედებენ სამა-
 რადისოდ, და საღმრთოთა სულთადა არიან აღკრულ, და ესე ვითა-
 რი აქუს მათდა მიმართ საზომი, ვითარ გონიერსა ღმრთებრივთა
 4 მიმართ. ხოლო ოდესმე გამგონენი ეყვანებიან ოდესმე რიცხუსა
 ღმრთებრივისა, და არა არიან შზიარებელ გონებისა * სამარადისოდ.
 და არცა საღმრთოთა სულთა თანა სამარადისოდ ძალ უც ქცევაჲ
 (რამეთუ ოდესმე შზიარებელმან გონებისამან არ რომლითა მიხანოჲთა
 შეუძლოს თანაღკრევა ღმერთთაჲ).

თ ა ვ ი 186 *

სულინა განყენებისათჳს სხეულთა არსებისაგან **

შოველი სული არსებაჲ არს უსხეულოჲ და განყენებადი სხეულ-
 თაგან. ხოლო უკუეთუ უწყის თვთვთებაჲ თჳსი, ეინაჲ რომელმან
 უწყოდის თვთვთებაჲ თჳსი, თჳსდავე მიმართ უკუნ იქცეს. ხოლო
 16 უკუნქცევი თჳსდავე არცა სხეული არს (რამეთუ ყოველიმცა სხეული
 უკუნ იქცეოდა), და კუალად არცა სხეულთაგან განუყენებელი რაჲვე
 (ხოლო განყენებულსა სხეულთაგან არა აქუს ძალი უკუნ ქცევად თჳს-
 დამი; რამეთუ, თუმცა ქჳონდა, განეშორამცა სხეულთა). ეინაჲვე სუ-
 ლი არცა სხეულებითი არსებაჲ არს და არცა სხეულთაგან განუშო-
 20 რებელი. არამედ რომელ უწყის თვთებაჲ თჳსი, საჩინო: რამეთუ და-
 ზესთაებულიცა თჳსი უწყის; და შემძლემან ცნობად თჳსდა უფროას-
 ლა მამინ იუწყოს, ოდეს მიზეზთა შორის პირველ იუწყოს თვთე-
 ბაჲ თჳსი. C 328

თ ა ვ ი 187 *

დაუზღრომელისა და უზრუნელისა სულინათჳს **

შოველი სული დაუზღრომელ არს და უზრუნელ. რამეთუ ყოვე-
 ლი რაჲზომ დაკსნადი და განყრადი ანუ სხეულებრივი არს და თან-
 შეკრული, ანუ ქუმედებარესა შორის დამთხუევით მოუგია გუამოე-

1—2 ხოლო—რიცხუთა <EH (ex homoioteleuta).—1 რომელიმე AB.—7 ძა-
 ლუმს E, ძალ უცს F.—13 თჳსი] თჳს C.—17. განყენებულსა] განუყენებულსა ქ
 (წინაო ე-ო-ულა განყენებულსა).—19 სხეულებითი] სხეულებით E.—21-22 უფროასთა F.

* მას ჰქვამდ თაჲს პოლიმედ და თჳკა 186, 187 და 188 აკლა: ABD სკოლისწე-
 რებს: A-ს იძუაჲჲ კადე სწარა: აქა დედასა უფრცელი აკლდა.

** სოთაჲრა ზკრ შერაჲ შედგინლა „გონიერებაჲ“ 186. თაჲს: შსკადეთ; -ქ სწარა: ესე
 ზედენი სრულებით განაყენებენ სულსა სხეულთა არსებისა და გუარისგან (-ს.
 „გონიერებაჲ“ გვ 194, 17-18).

*** სოთაჲრა ზკრ შერაჲ შედგინლა თაჲს: იძუ კლეს დეუ-ღუმს შსკადეთ.

ნებაჲ თჳსი. ხოლო დაქსნადი და მრავალთაგან შედგმული განიხრწ-
ნეს. ხოლო სხუასა შორის მომგე მყოფობისაჲ, განიყენოს რაჲ ქუედ-
მდებარე, უჩინო იქმნეს უმყოფობისადმი. ხოლო სული უსხეულო
არს და გარეგან ყოვლისა ქუედმდებარისა. და თვთ თჳს შორის არს
6 და თჳსდადმი უკუნ იქცევის. დაუზღრომელ ვიდრემე| და უხრწნელ. C 329.

თ ა ვ ი 188*

სული, ვითარცა მიჯაზი და წყაროჲ ცხოველობისაჲ**

შოველი სული ცხოველობაჲ არს და ცხოველი. რამეთუ, სადა-
ცა წარმოდგეს სული, ესე ცხოველ იქმნების საჭიროდ; და დაკლ-
10 ბული სულისგან მყის ცხოველობისგანცა უნაწილო იქმნების. რამეთუ
ანუ სულისა მიერ ცხოველობს, ანუ სხვსა რაჲსავე და არა სულისა
მიერ. არამედ მხოლოდ სხვსა მიერ შეუძლებელ არს: რამეთუ ყოვე-
ლი მზიარებელი თჳსდა ზიარებულსა ანუ თვთთვთებასა თჳსსა მის-
ცემს, ანუ თვთებისასა რასავე. ხოლო რომელი არც ერთსა. ამათგანსა
15 არ იენებდეს, არ ვინაჲ იზიაროს და არცა თან მისცეს. ხოლო სუ-
ლი იზიარებვის მისგან, რომლისადაცა წარმოდგომილ არს, და სუ-
ლიერად ითქუმის მზიარებელი სულისაჲ. ხოლო თუ ცხოველობასა
მიუქმს სულიერთა, ანუ ცხოველობაჲ იყოს ანუ ცხოველი მხოლოდ
ანუ ერთბამდ ცხოველიცა და ცხოველობაჲ. ხოლო თუ ცხოველ
20 მხოლოდ და არა ცხოველობა, იყოს ცხოველობისა მიერ. და არ ვი-
ნაჲ უწყოდის| თჳსი თვთებაჲ და არცა უკუნ იქცეოდის თჳსდადვე. C 330
რამეთუ ცხოველობაჲ არს ცნობაჲ და უწყებაჲ ეს ვითარად ცხოვე-
ლობისა თჳსისა. ხოლო თუ მის შორის რაჲვე არს უცხოველობო, არ
ჰქონდის მებრ შეენიერებით ძალი ცნობისაჲ. ხოლო თუ მხოლოდ
25 ცხოველობაჲ ოდენ იყოს, არ უკუე ეზიაროს გონიერსა ცხოველო-
ბასა. რამეთუ მზიარებელი ცხოველობისაჲ ცხოველი არს და არა ცხო-
ველობაჲ მხოლოდ. რამეთუ მხოლოდ ცხოველობაჲ პირველი და
უზიარებელი ცხოველობაჲ არს. ხოლო შემდგომად მისსა ერთბამდ
ცხოველობაჲ და ცხოველი. ხოლო სული არა არს პირველი და უზიარ-
30 რებელი ცხოველობაჲ. ვინაჲ ერთბამდ ცხოველიცა იყოს და ცხოვე-
ლობა სული.

3 იქმნეს CEF.—11 ცხოველობს EH.—23 უცხოველობა F.—24 ჰქონდეს
F.—27 პირველი| ძალი F.—27 სული| სხეული EH.

* 187. და 188. თავისი აქლია ABD ზელთინწერაჲს: (-ს წინა კვირის მენაჲნა *).
** ხოლო ნაგა მკაცრი პედგანალი უგანსაძკუისა 188. თავის მსხედვით. საღაოე ჰქვარაჲ:
შეისწავენ ესე ხედვანი, რამეთუ სული არს მიზეზ. და წყარო ცხოველობისა (-ს.
უგანსაძკუისა აგ. 195, 21-22).

თ ა ვ ი 189

შოველი სული თვთცხოველი არს, უკუეთუ უკუშქცევე არს
 თვსდმი. რამეთუ ყოველი უკუშქცევეი თვსდმი თვთმდგომ და სულიცა
 ვინაჲვე თვთმდგომ. რამეთუ წარმოაყენა თვთებაჲ თვისი. არამედ
 6 ცხოველობაცა არს და ცხოველ, და აობაჲ მისი მეტრ ცხოველობით.
 რამეთუ ვიეთცა მიექმნას; ცხოველობასა თან მისცემს და თვისსა მყოფობასა.
 და იყოს თუ მზიარებელი მომმარჯუ, მსწრაფლ სულიერ და
 ცხოველ იქმნების, რამეთუ არა განზრახ არს სული და არცა წი- C 331
 ნალმრჩეველ; და არცა განზრახვით და ბეობით ცხოველ ჰყოფს,
 10 არამედ თვთ თვისსა მყოფობასა ცხოველობად მზიარებელსა წარმოუდგენს.
 ვინაჲ მის შორის ერთ და ეგივე, მყოფობაჲ მისი და ცხოველობაჲ.
 ხოლო თუ მყოფობაჲ თვისი თვს მიერ აქუს, მყოფობაჲ ვიდრემე
 ცხოველობისად იგივეობა. ჰქონდის უკუე არსებით ცხოვე- A204b
 ლობაჲ, და თვთ თვისისა ცხოველობისა იყოს მპყრობ და თვს შო-
 15 რის შქონ. ხოლო თუ ესრეთ, თვთცხოველ ვინაჲვე იყოს სული.

თ ა ვ ი 190

შოველი სული საშუვალნი არს განუწვალებელთაჲ და სხეულ-
 თადმი განუწვალებულთაჲ, ხოლო უკუეთუ თვთცხოველობა არს, თვთ-
 მდგომარე და განშორებული სხეულთაგან მოუგვის მყოფობაჲ, და
 20 უმჯობეს არს ყოველთა სხეულთადმი განუწვალებადთა, რამეთუ იგინრ
 განუშორებელ ყოველითურთ ქუედმდებარეთად არიან და თან განი-
 წვალებიან განუწვალებულთა ონკოს ზუაეთა და განყენებულთა თ-
 ვისისა განუნაწილებლობისგან, თანგანზიდულნი სხეულთადა, დაღათუ
 სხეულთა შორის იყენენ წარმოდგომილ, არ მქონებელთა თვს შო-
 25 რის ცხოველობისათა, არამედ მზიარებელთა, დაღათუ არსება და
 გუართა შორის მყოფ, მაგრა არ თვთ იგი იყენენ გუარ, არამედ A205a
 გუარ ქმნილ. ხოლო თუ არა მხოლოდ ესე, იყოს სული თვთმდგომ, C 332
 და ცხოველობაჲ თვთცხოველ, და ცნობაჲ მცნობელ თვისისა თვთე-
 ბისა, და ამით ყოველითა განშორებადი სხეულთაგან, არამედ და
 30 მზიარებელცა ცხოველობისა. და თუ ესრეთ, და არსებისაცა მეზიარე,
 რამეთუ ეზიარების ცნობასა სხუათა მიერ არსებითთა მიზეზთა. ვი-
 ნაჲ საუწყო ამისგან, ვითარმედ უშემდგომეს არს განუწვალებელთა,
 რამეთუ სხუაგნით აღიესების იგი ცხოველობითა და არსებითა. სა-

2 უკუშქცევი F.—3 თვსდამი (არაკი დაჯალს) ABEFH.—7 მომარჯუ E,
 მომმარჯუშ(ვე B) AB.—სულიერი D.—9 ბეობით AB.—18 უკუეთუ თუ AB.—20
 განუწვალებადსა AB.—20—21/22 რამეთუ—განიწვალებიან<AB (ex hum.)—22 ზუაე-
 თა ონკოს AB.—23 სხეულთა AB.—30 თუ<AB.—33 და არსებითა<AB.

უწყო, რამეთუ პირველ სულისა უზიარებელი ცხოვლობა და არ მზიარებელი არსება. და ესეცა რომელ არა არს იგი უპირველეს შორის მცნობელთა, საცნაურ, ვინაჲთგან ყოველი სული ცხოველ არს. მაგრა არა ვითარ იყოს რაჲ ყოველი მქონებელი ცნობისა.

8 რამეთუ იუმეცრებს მყოფთა ვინაჲმე სული, 'უკუეთუ ეგოს იგი ვითარ სული. არ ვინაჲ არს იგი პირველ მუწყე და მცნობელ. და არცა თვთ იგი აობაჲ მისი არს ცნობა, ვითარცა გონებისა. მეორე უკუე და შემდგომი ჰქონდის არსებაჲ პირველისასა და თვთმყოფობით მცნობელისასა, ვინაჲთგან მყოფობაჲ სულისაჲ განყოფილა

10 ცნობისგან. არ ვინაჲ ყოვლითურთ განუნაწილებელთაჲ იყოს სული. ხოლო ესე აღმოიჩინა, ვითარმედ არცა ყოვლითურთ სხეულთა მიმართ განწვალებადთაჲ იყოს: საშუალ უკუე ორთაჲსავე არს.

თ ა ვ ი 191

ზიარებადისა სულისათჳს *

15 შოველსა სულსა ზიარებადსა არსებაჲ უკუე საუკუნოჲ აქუს, ხოლო მოქმედებაჲ ეამის-შორისი. ხოლო თუ ორივე საუკუნოსა შორის აქუს, ანუ ორივე ეამსა შორის ანუ რომელიმე საუკუნო, ხოლო რომელიმე ეამითი. არამედ არ ჰქონდის ორივე საუკუნოდ, რამეთუ იყოს იგი განუნაწილებელ არსება, და არა რაჲთ განეყოს გონიერსა

20 გუაშოვნებასა ბუნებაჲ სულისაჲ და მიუღრეკელსა არსებასა თვთმიმღრეკი. და კუალად არცა ორივე ეამის-შორისად ჰქონდინ, რამეთუ იყოს იგი მხოლოდ მოკუდავ ოდენ, და არცა თვთცხოველ და არცა თვთმდგომ. რამეთუ არარაჲ არსებით ეამისა მიერ განზომილი თვთმდგომ არს. ხოლო სული თვთმდგომარეა. რამეთუ მოქმედებით

25 უკუმქცევი თვსდადვე და არსებითცა უკუმქცევე არს თვსდ მიმართ და თვს მიერ მეწარმოე. აკლს უკუე, რაჲთა საუკუნო იყოს ყოველი სული. ვინაჲ არსებით საუკუნო არს, ხოლო მოქმედებით მზიარებელ ეამისა, ანუ წინა-უკუმო. არამედ ესე შეუძლებელ, რაჲთა არა ვთქუნეთ მოქმედებანი პირველ არსებათასა: ყოვლისა ვიდრემე სულისადა

30 არსებაჲ საუკუნოჲ მხულარ არს, ხოლო მოქმედებაჲ მეტრ ეამითი.

C 334

4 რაჲ < AB.—5 რამეთუ < E.—6 პირველი AB.—8 ჰქონდეს F.—9 ცნობელისა F.—სულისაგან ყოფილა E H.—10 არ ვინაჲ| არვისგან AB.—12 განწვალებადსა AB.—18 ჰქონდეს F.—21 ჰქონდინ ABDEFH.—30 მოქმედებაჲ შემოქმედებაჲ E.—ეამითა AB.

* სითუღი ზენ შერაჲ შედგენილი თეთი ზ. კ. კ. ლ. ე. ჯ. დ. უ. ლ. ე. ს. და ს. ო. ო. ე. ს. შ. კ. (განმარტავა გვ. 197. 9-10 და 14-15) შითოვებული თუნახს შაქელო: იტყვს, ვითარმედ ყოველსა სულსა მზიარებელსა სხეულთადა (ზიარებადსა 197,9) არსებაჲ საუკუნოჲ აქუს, ხოლო მოქმედებაჲ ეამის-შორისი» (197, 14-15).

თ ა ვ ი 192

ზიარებულისა სულისათჳს *

შოველი სული ზიარებული მარადის მყოფთაჲ არს და პირველი ალგებადთაჲ. ხოლო თუ საუკუნო არს არსებით, რაბამ ნამდვლ მყოფ არს აობით და მარადის მყოფ. რამეთუ შიარებელსა საუკუნოჲსასა მარადის მყოფობაჲ თან აღუქმნიეს. ხოლო თუ მოქმედებათაებრ ეამის შორის არს, ქმნადი არს იგი, რამეთუ ყოველი შიარებელი ეამისაჲ სამარადისოდ ქმნადი არს მეგრ პირველობითა და შემდგომობითა ეამისაჲთა და არ ერთბამად, ვითარ არს იყოს ყოველი, ქმნადი და ალგებადი არს. ხოლო თუ რაბათაჲ ქმნადი არს ყოველი სული მეგრ მოქმედებით იყოს ვიდრემე უპირატეს ქმნადთა. რამეთუ ყოველითურთ ქმნადი უშორიელეს საუკუნითთაგან.

თ ა ვ ი 193

წარმოცობისათჳს სულისა **

შოველი სული მახლობელობით გონებისა მიერ წარმოღვა. ხოლო თუ უცვალელებელი მოუფიეს არსებაჲ და საუკუნო, მიუდრეკელი-სა მიერ მიზეზისა იწარმოა. რამეთუ მეწარმოე მიდრეკადისა მიზეზისა მიერ მქცევი და ცვალებადი არს ყოველივე მეგრ არსებით. მოუდრეკელ ვიდრემე ყოვლისა სულისა მიზეზი. ხოლო თუ მახლობელად მიერ გონებისა სრულ იქმნების, და გონებისა მიმართუა უკუნ იქცევის. და თუ ეზიარების ცნობასა, რომელსა თან მისცემს გონებაჲ შემძლებელთა მისდა ზიარებად. რამეთუ ყოველი ცნობაჲ გონებისა მიერ ყოველთად არს, რომელთად არს და რომლისად ყოველი უკუნ იქცევის მეგრ ბუნებით, ვისგანცა ჰქონდის გზაენაჲ მეგრ არსებით. ყოველი ვიდრემე სული გონებისა მიერ იწარმოვბს.

თ ა ვ ი 194

შოველსა სულსა ჰქონან თჳს შორის ყოველნი გუარნი, რომელნი ჰქონან პირველ გონებასა. ხოლო თუ პირველ გონებისა მიერ იწარმოვბს, და გონებაჲ არს მაარსებელი სულისაჲ და თვთ მას აო-

7 იგი < F. — 9 ეამითა AB. — არს. არ D. — 10 ალგებადი | ალგელი F. — 12 საუკუნითთაგან | სწინითგ B. — 18 ცვალებადი | ცხოვლებადი AB. — მეგრ H. — 23 რომლისად არს AB.

* ხოლო უკუნეულისა წინ მიერ თითო არსებებს დებულების შესყდათ.

** ხოლო წინ მიერა უკუნეულისა თითო არსებებს დებულების შესყდათ (იხ. აქვე სტრ. 15 და 25).

ბასა მიუდრეკელად უმყოფებს. ხოლო ყოველთა გონებაჲ წარმოაყენებს. და სცნეს სულსაცა თჳს შორის მდგომარენი ყოველნი არსებითნი სიტყუანი. ყოველი მოქმედი აფბისაჲ, ვითარ იგი არს თვთ პირველ, მასვე მისცემს ქმნალსა და შემდგომსაცა თჳსსა. ვინაჲ გონიერთა გუარათასა სული შემდგომად და მეორედ წარმოიყენებს ემფასასა (მაგალითსა).

თ ა ვ ი 195

არსებაჲ გონიერისა სულისაჲ*

| შოველი სული ყოველი არს საქმე (პრალმაჲ): იგავებრივ *A206a*
 10 უკუე გრძნობადნი, ხოლო ხატოვნებით გონიერნი. რამეთუ საშუალი არს განუნაწილებელთაჲ და სხეულთა მიმართ განწვალებადთა. და რომელთამე აწარმოებს და ამდგომებს, | ხოლო თჳსნი მიზეზნი პირ- *C 337*
 ველვე წარმოიყენნა მათ შორის, რომელთა მიერ იწარმოიარსა. ხოლო მიზეზნი პირველ მყოფ არიან, ვინაჲ მიიხუნა ესე იგავებრივ, რომელთაცა მიერ წარმოიყენა. ესე მეზრ ზიარებით ჰქონან, ვითარ წარმონაშესა უპირველესთასა. ხოლო გრძნობადნი ყოველნი მეზრ მიზეზებით წინაჲთვე მიუხუმან თჳს შორის. და საზღვარნი ნივთთა შორისთანი უნივთოდ და სხეულებრივითანი უსხეულოდ. და განზიდულთანი განუზიდველად ჰქონან თჳს შორის, ხოლო გონიერნი და პირ-
 15 ველნი ხატებრივ, და გუარნი მათ-შორისნი განუნაწილებელნი განნაწილვით და განმრავლებულად ერთებრნი, და თვთმიმდრეკად მიუდრეკელნი შეიწყნარანა. ვინაჲ ყოველნი არიან მის შორის მყოფნი ზიარებით უკუე პირველნი, ხოლო იგავებით შემდგომნი.

თ ა ვ ი 196

25 განყოფინსათჳს ზიარებადისა სულისა უზიარებელისა სულისგან**

შოველი სული ზიარებადი იკმარებს პირველ სხეულთა სამარადისოთა: აუგებელი ვინაჲვე აქუს გუამოვნებაჲ და უხრწნელი. ხოლო

3 ყოველნი მოქმედნი AB.—5 წარმოაყენებს AB.—6 მაგალითსა *F* (აქაჲჲ *„ესეჲსა“*—*ხ* მათაჲთ სწყრას მაგალითი).—12 იწარმოებს D.—12—14 პირველვე—მიზეზნი *D (ex hom.)*—13 მიერ| შს H.—იწარმოეფარსა AB.—17 მიუხუმნ ABD, მიუხუმან EH, მიუხუმან F, მიუხუმან C.—21 თვთ მიდრეკად AB.—22 ყოველნივე D.—28 უხრწნელნი AB.

* ხოლო იქნა ზედაჲ პედგანალი „განმარტებაჲ“ *197*. თჳს მასვედით. სჲდაჲ ზედაჲ: ესე ზედვსა სათანადოდ თანა აც სულსა, რაჲთა ზედამიწვენით გაიგონოს არსებაჲ გონიერისა სულისაჲ (ახ. „განმარტებაჲ“ გვ. *198, 26-27*).

** ხოლო იქნა ზედაჲ პედგანალი „განმარტებაჲ“ *196*. თჳს (გვ. *199, 14*) მასვედით: თქუა რაჲ, ვითარმედ ზიარებადი, განყოფილ ზიარებელისგან.

თუ ყოველი სული მებრ არსებით არს სამარადისო, და მებრ მყოფობით პირველ ასულიერებს რასავე სხეულთასა და სამარადისოდ მისდა სულა. რამეთუ არს ყოველი სულისად უკუმქცეველობაჲ. და თუ ესრეთ, და სულიერიცა სამარადისოდ იყოს სულიერ და სამარადისოდ მზიარებელ ცხოვრებისა. ხოლო სამარადისოდ ცხოველი უფროჲს ხოლო და პირველ არს, ხოლო სამარადისოდ არსი სამარადისო. ვინაჲ პირველ სულიერ ქმნილი სხეული და პირველ შეყოფილი თითოეულისა ყოველისა სულისადა სამარადისო არს. არამედ ყოველი ზიარებული სული ვინათამე სხეულთა მიერ იზიარებების A209a

10 პირველ, ვინაჲთგან ზიარებული არს და არა უზიარებელი, და თვისსა აობასა თანა ასულიეროს მზიარებელი. ყოველი ვიდრემე სული ზიარებული სხეულთა არს მკმარებელ, პირველთა და სამარადისოთა, და აუგებელთა და სამარადისოთა მებრ არსებით.

თ ა შ ი 197

სულისა არსებითობაჲ, ცხოვლობითობაჲ და ცნობითობაჲ *

| ყოველი სული არსებაჲ არს ცხოვლობითი და ცნობითი, და C 339
ცხოვრებაჲ არსებითი და ცნობითი, და ცნობაჲ ვითარ არსებაჲ და ცხოვრებაჲ. და ყოველივე ერთბამ მის შორის: არსებითობაჲ, და

20 ცხოვლობითობაჲ, და ცნობითობაჲ; და ყოველი ყოველსა შორის და თვს-თვს თითოეული. ხოლო თუ საშუალი არს ყოველითურთ განუნაწილებელთა სული, და გუართადმი სხეულთა მიმართ განნაწილებადთაჲსა; და არცა ყოველითურთ განუნაწილებელ არს, ვითარ

გონიერნი ყოველნი, და არცა განნაწილებულ, ვითარ სხეულებრივნი A209b

25 გუარნი. განწვალებულ ვიდრემე სხეულებრივთა შორის არსებანი და ცხოველობანი და ცნობანი. ხოლო სულთა შორის განუნაწილებელ და შეერთებულ და უსხეულო, და ერთბამ ყოველნივე უსხეულო. და ერთბამ ყოველნივე უსხეულობისა და განუნაწილებელობისათჳს. ხოლო გონიერთა შორის ერთებრივ არიან ყოველნი, განყოფილ უკუე

30 სულთა შორის და განნაწილებულ, ერთბამ უკუე და თითოეულ ყოველი. ხოლო თუ ერთბამ და ერთი ერთსა შორის ყოველი, განუნა-

3 მისდა სულ ა F, მიდა სულა H, მიდასულა E.—სულისად ყოველი H.—უკუმქცეველობაჲ CDEH.—6 სამარადისოდ არსი<AB (ex hom.).—9 ვინათამე ვინამე H.—17 სული არსი არსება DE.—21 თვს თვს DE.—23 განუნაწილებელნი EH.—არს<EH.—25 განწვალებულ ვიდრემე] და ვიდრემე AB.—27 და შეერთებულ<E.—27—28 უსხეულა—ყოველნივე<H (ex hom.)—28 უსხეულობით AB.—30 თითოეული ABD.

* ხოლოჲს ნუნ ჰერას ჰედგანილი თეთრ დეკლექს აბულებობის შესავალი (ახ. აქვე სტრ. 17-20).

წილებელ და მინერგულ ურთიერთას. ხოლო თუ გათვთებულ, გან-
 ყოფილ ყოველნი შეურევენელად. ვინაჲ და თჳს შორის თითოეული,
 და ყოველნი ყოველსა შორის. რამეთუ და არსებასაცა შორის ცხო-
 ვლობაჲცა და ცნობაჲცა. ხოლო თუ არა, არ ვიდრემე იუწყოს.
 5 ყოველმან თვთებაჲ თჳსი. ვინაჲთჳან არსებაჲ ცხოველობისა და ცნო-
 ბისგან დაკლებულ იყოს თვთებიტა თჳსიტა. და კჳალად ცხოველო-
 ბასაცა შორის არსებაჲცა და ცნობაჲ. ხოლო თუ უარსებო ცხოვე-
 ლობაჲ და თვნიერ ცნობისა, ებაძჳოს ნივთთა-შორისტა ცხოველტა,
 რომელნი ვერ უძლებენ აღუწყებად თვთებატა თჳსტა; და არცა არ-
 10 სებანი არიან უზადონი. და კჳალად იყოს თუ ცნობაჲ უარსებო და
 უცხოველობო, იყოს ვიდრემე უგუამოვნო. რამეთუ ყოველი ცნობაჲ
 ცხოველისაჲ არს და რომლისადა მხუდარ იყოს მებრ გათვთებით
 არსებაჲ.

თ ა ვ ი 198

15 შოველი შხიარებელი ეამისაჲ, ხოლო სამარადისოდ მიდრეკადი,
 გზაენითა მოქცევთა მიერ განიზომების. ხოლო რომელი ეზიარების
 ეამსა, საზომიცა და საზღვარი თან მოაქჳს მიდრეკასა და რიცხუ-
 თაებრ იყვანების. არამედ რამეთუ სამარადისოდ მიდრეკების, ხოლო
 სამარადისობაჲ ესე არა არს საუკუნო, არამედ ეამებრივ. საჭირვო
 20 არს, რაჲტა იკმარებდეს გზაენითა მოქცევთა. ხოლო უკუეთუ მი-
 დრეკაჲ თანმიცვალებაჲ ვინაჲჲე არს სხესაგან სხჳსადმი, არამედ
 მყოფნი განსაზღვრებულ არიან სიმრავლიტაცა და სიდიდიტა. ხოლო
 ამათ განსაზღვრებულტა არ ვიდრემე არს უსაზღვროობაჲ წრფლიე
 თანცვალებასა შორის. და არცა სამარადისოდ მიმდრეკი განსაზღვ-
 25 რებულად შეუძლე'ბს თანამიცვალებასა, არამედ მისგან კჳალად მის-
 დადჳე უკუ იმრგულოს სამარადისოდ მიდრეკადმან, ვინაჲ შექმნას
 მოქცევი. A 210b
c 34'

თ ა ვ ი 199

ს ზ ი რ ო ჲ და მ ო ქ ც ე ვ ი ს უ ლ ი ს ა ჲ *

30 შოველი სული აღმკულის-შორისი ნამრგულიეთა გზაენათა იკ-
 მარებს თჳსისა ცხოველობისატა, და, სადაჲთ იწყო, მუნვე კჳალად უკუნ
 5—9 არსებაჲ—და არცა <AB (ex homoioteleuto).—10 თუ <AB.—16 რომე-
 ლი სული EH.—17 საზომცა D.—მიდრეკასა და] მიდრეკასა B.—18 რამეთუ <AB.
 —19 ეამისაებრივ Ab.—საჭირო EF.

* ხათურა ზეჲ პეჲრაჲ ზეჲაჲნელ „კანმატეპანს“ 199. თაჲს მასეღეთ: იქ. დიხკანას
 ხათო ზეჲრაჲ: და ესე არს სფეროჲ და მოქცევი სულისაჲ (ახ. „კანმატეპანს“ გვ. 201, 1) —

ქცევათა. ხოლო თუ ეამისა მიერ განიზომების, და თანცვალებით (მეტაეატიკოს) მოქმედებს. და არს თვთება მისდა მიდრეკაჲ. ხოლო ყოველი მიდრეკილი და ეამის მზიარებელი სამარადისოდ მოქენე არს კმარებად გზანითთა მოქცევთა. და მომქცევებრ უკუ იმრგულუმბს და მიდგების, სადაჲთ იწყო, კუალად მისდადეე. საუწყო, ^{A211a} რამეთუ ყოველსა სულსა აღმკულის-შორისსა, მქონებელსა მიდრეკისასა და მოქმედსა მებრ ეამით, ჰქონდინ ვინაჲვე გზანითნი მოქცეენი მიდრეკისანი და, სადაჲთ იწყო, კუალად მუნვე უკუნქცევითნი. რამეთუ ყოველი გზანითი უკუნქცევაჲ სამარადისოთაჲ, სადაჲთ იწყო, კუალად მუნვე უკუნ ქცევად არს.

თ ა ვ ი 200

შოველი სული მოქცევთა, მიერ ეამისათა განიზომების. არამედ განნაწილებითა და სხუათა სულთა მოქცევი განნაწილებულისა ეამისა მიერ განიზომების. ხოლო საყოველთაოჲსა და პირველისა სულისა და ეამისა მიერ განზომილისა საყოველთაოჲსა ეამისა მიერ განიზომების. რამეთუ ყოველთა მიდრეკათა პირველობაჲცა აქუს და შემდგომობაჲცა, ესრეთვე და მოქცევთაჲცა. და ამისთვის არიან მზიარებელ ეამისა, და განზომი მოქცევსა ყოველთა სულთასა ეამი არს. არამედ თუმცა ერთ და იგივე იყო ყოველთა სულთა მოქცევი, ვინაჲ ერთ და იგივემცა იყო საზომი ყოველთა ეამი. არამედ სხუანი ^{A211b} სხუათა იყენენ უკუნ საქცეენი, და სხუა მოქცევი ეამისაჲ სხუათა მიმართ, და სადაჲთ იწყეს კუალად გებაჲ. რამეთუ საყოველთაოჲ სული და პირველი საყოველთაოჲსა ეამისა მიერ განიზომების, საუწყო იყავნ. უკუეთუ საზომი არს სული ყოველისა მიდრეკისაჲ, პირველ მიმდრეკი ყოველთაჲ იყოს მზიარებელ საყოველთაოჲსა ეამისა და მზიარებელ პირველ პირველისად. ხოლო უკუეთუ პირველ მზიარებელი მისდა არა განზომოს ყოველმან ეამმან, არცა სხუამან რამანმე განზომოს საყოველთაოჲსა თვთებაჲ თსი. არამედ ესე რომელ ნაწილებითნი სულნი ნაწილებითისაცა ეამისა მიერ განიზომებიან, ^{A211c} საცნაურ იყავნ ამათგან. ხოლო უკუეთუ ნაწილებითნი სულნი არიან შემდგომნი პირველ მზიარებელისანი, არ ვინაჲ დაიტოს თსს შორის მოქცევი საყოველთაოჲსა ეამისაჲ. არამედ მრავალ დანაწილებით იყენენ და მოქცეენიცა მათნი და იყენენ ნაწილ საყოველთაოჲსა

1-2 თან მითაეატიკოს ცვალებით ABDFH, თანცვალებით F (ხოლო ამ სჯულსაჲ შინაჲთაჲ აქმასჲ სწკრას: მითაეატიკოსად F).—2 მითაეატიკოს codd.—4 მომქცევებზრ H.—7 გზანითნი D.—13 მომქცევი codd. (ხოლო C-ს აქმასჲ ამ სჯულსაჲ შინაჲთაჲ სწკრას: მოქცევი).—17 მომქცევთაჲცა AB.—18 მოქცევისა F.—19 არამედ] და B.—სულთა ყოველთა H.—33 და იყენენ] იყენენ AB.

მოქცევისა და უკუდგომისა, რომლისადაცა ზიარებულ იყოს საყოველთაო სული და უკუნდგომილ: რამეთუ უდარესისა ძალისაჲ ნაწილებითი ზიარებაჲ, ხოლო უფროდისა უყოველთაოესი. რამეთუ საყოველთაოსა საზომსა ეამებრიესა განთვთებულთა ცხოველობითა
 5 ნაწილებითნი სულნი დატევნად ვერ უძლებენ. რამეთუ პირველ პირველისა მიერ ეამისა განზომილისა უდარესი მოუგის წესი.

თ ა ვ ი 201

სამად განყოფიდა სულთა სფეროდსა მოქცევისაჲ *

ყოველთა საღმრთოთა სამ სახე აქუს მოქმედებაჲ: რომელიმე
 10 ვითარ სულთა, ხოლო რომელიმე ვითარ შემწყნარებელთა საღმრთოდასა გონებისათა, ხოლო რომელიმე ვითარ აღკრულთა ღმრთებრისა რიცხვსათა. რამეთუ განაგებენ ყოველთა ვითარ ღმერთნი და იუწყებენ ყოველთა გონიერთა ცხოველობითა. ხოლო მისდრეკენ სხეულთა თვთომიდრეკელობისა მყოფობითა. ამისთვის რომელ თანშე-
 15 ბუნებებით ეზიარებიან ზესთ მდებარეთა. და არა მარტივ სულ არიან, არამედ სულ საღმრთო. და შესაბამად საღმრთოდასა რიცხვსა სულებრიესა სიერცესა შორის წარმოუყენებია თვისი წესი. და მოქმედებენ არა ხოლო სულიერად, არამედ და ღმრთივცა. რამეთუ კიდოვნობაჲ თვისისა არსებისაჲ ღმრთივი ხუდა მათ, და ამისთვის რო-
 20 მელ აქუს მათ გუამოვნებაჲ გონიერი, და ქუეშ დაფენილ არიან გონიერისა არსებისადა და არა მხოლოდ ოდენ ღმრთივ მოქმედებენ, არამედ და გონიერადცა. რამეთუ რომელსამე მათ-შორისისა ერთისაებრ, ხოლო რომელსამე გონებისაებრ დაუმყარებია მათ შორის მოქმედებაჲ. რამეთუ სამ სახედ წარმოდგომილა მათდა ანუ აობი-
 25 საებრ მათისა მოქმედებენ, რამეთუ მიმდრეკელობითი აქუს მათ ბუნებაჲ სხვსა მიერ მიდრეკადთაჲ და მაცხოვრებელობაჲ მათდამი, რომელთა ზედშემოსრულად ჰქონდის ცხორებაჲ. რამეთუ ყოველისა სულისა ესე არს გათვთებული მოქმედებაჲ. ხოლო სხუაჲ მებრ ზიარებითა უმჯობესისაჲთა, ვითარ გაგონებაჲ და გაგებაჲ უდარესთა მიმართ.

C 344

6 ეამისა—წესი < AB; სიგელად ამაჲ აქ მოკიდრული „განმარტების“ ტექსტადან ეამისათა განიზომების (ს. „განმარტების“ გვ. 201, 7).—14 თვთომიდრეკელობითა AB.—17 წარმოუყენებთან D.—17-18 მოქმედებანი D.—18-19 კიდოვნებაჲ AB.—20 აქუსთ H.—21 არსებისა AB.—22 მათ შორისი E.H.—26 მაცხოვრებელობაჲ AB.—27 ჰქონდეს F.—29 გაგებაჲ| გაგონებაჲ E.

* სიითურა წყნ პერაჲ უდრეკილ „განმარტების“ 201. და 202. თავისსა მოკიდრული; 201. თავსა სწავლაჲ... სიერცესა შორის სულთა წარმოჩენისასა სამ სახედ წარმოაჩენენ; 202. თავსა სწავლაჲ: ვითა გაყო მოქცევი სულთა სფეროდსა სამად, აწ იტყვის... (ს. „განმარტების“ გვ. 201, 16-17 და გვ. 202, 6).

თ ა ვ ი 202 *

ზესთ საღმრთოჲ სული და ნაწილეებითნი სულნი**

5 მოველი სული შედგომილი და მიდევნებული არს ღმრთებრივ-
 10 ტა და უღარესი ერთებრივთა რიცხუთა. ხოლო ზესთ მდებარე არს
 15 ნაწილებითთა სულთა. რამეთუ ღმრთიენი სულნი ეზიარებიან გონე-
 20 ბასაცა და ღმრთებასაცა (ვინაჲ გონიერ არიან ერთბამად და ღმრთიე)
 და სხუათა სულთა ემძლუარვიან, ვითარ და რიცხვცა ღმრთებრივთაჲ
 25 ყოველთა მყოფთა, ხოლო ნაწილებითნი სულნი და გონიერისა თან-
 ალთხზვისგანცა დაკსნილ, რამეთუ ვერ ძალ უც უსაშუელოდ ზიარე-
 30 ბად გონიერისა არსებისა. ხოლო იყენეს თუმცა მზიარებელ, არამცა
 დააკლდებოდეს გონიერსა მოქმედებასა არსებით მზიარებელნი გო-
 35 ნებისანი, ვითარ აღმოიჩინა პირველ. საშუალი ვიდრემე წესი C 345
 40 უპყრიეს სულთა შედგომილთა საღმრთოჲსა რიცხვსათა. რამეთუ გო-
 45 ნებასა შეიწყნარებენ სრულსა. და ამით ზესთ მდებარე არიან ნაწი-
 50 ლებითთა, არამედ არ თან ართხმულან ერთებრივთა რიცხუთადა. რა-
 მეთუ არ საღმრთო და პირველი არს მათ მიერ ზიარებულნი გონებაჲ.

თ ა ვ ი 203 *

5 მოველისა სულიერისა სიმრავლისა საღმრთონი უკუე სულნი
 ძალითა დაზესთაებულ არიან სხუათადა რიცხვთა თანშეყოფილთა.
 10 ხოლო ნიადაგ მათდა შედგომილნი ძალითაცა და რაოდენობითა სა-
 15 შუალი უპყრიეს წესი. ხოლო ნაწილებითნი ძალითა მოკლებულ უბი-
 რატესთა თვსთაგან, არამედ მრავალთა რიცხუთადმი უწარმოებიან.
 ხოლო პირველნი არიან უმეტეს ერთისა აობითა საღმრთოჲთა, ხო-
 20 ლო საშუალნი თანმეარსეობითა გონებისაჲთა. და უკუანაჲსკენლნი წე-
 25 სითა უმსგაჲსო მებრ არსებითაცა, პირველთა და საშუალთადა. ხო-
 ლო სამარადისოთა შორის უმახლობელესნი ერთისანი უმახლობელეს
 უკუე და უერთებრივეს შორიელთასა, რამეთუ თან შეყოფილან სიმ-
 30 რაველითა. ხოლო შორიელნი უფროჲს განმრავლებულ. ვინაჲ ძალნი
 უზეესთანი უმეტეს დაზესთაებულ. და ესრეთ აქუს შესადაროჲ შემ-
 35 დგომთა მიმართ, ვითარ მხოლოთა ღმრთებრივთა, გონიერისა არსე-

9 ძალ უეს F.—14 ამით| მით D.—18 საღმრთო CDEFH, საღმრთონი „გან-
 ჯადტაჲ“ აგ. 202, 31.—22 მრავალთა რიცხუთადმი E, მრავალთადმი რიცხუთა (რიც-
 ხეთა D) DH.—25 არსებითიცა E.—29 უზწთაესნი E, უზესთაესანი F.

* 202. და 203. თავისი აქლბა AB ზღინაწერეს.
 ** სათაური წიგნ შერას შედგენილი „განმადტაჲს“ 202. თავის შესავალი: აქ თავის
 პოლოჲ. სწერა: ვინაჲ ესე არიან საშუალ ზესთ საღმრთოჲსა სულისა და სულთა
 ნაწილებითთაჲსა („განმადტაჲ“ აგ. 202, 17-18).

ბისა მიმართ და ამას სულითისა მიმართ. ხოლო რაოდენობაჲ შემდგომთა სიმრავლისაჲ უფროჲს, რამეთუ უშორიელესი ერთისაჲ უმრავლეს, ხოლო უმახლობელესი უღარეს სიმრავლითა.

თ ა ვ ი 204 *

საღმრთოჲსა სულისათჳს **

ჰოველი საღმრთოჲ სული მრავალთა ემძლუარეის სულთა სამარადისოდ საღმრთოსა რიცხუსა შედგომილი და უფროჲსლა მათ, რომელნი ოდესმე შემწყნარებელ იყვნენ ამის წესისა, რამეთუ საღმრთო არს. და ჯერ არს, რაჲთა მოეგოს ყოველთა მიმართ მთაერებრივი წესი და პირველ აღმქმნელობითი შორის სულთაჲსა, რამეთუ ღმრთივითა წესი ყოველთა შორის მყოფთაჲსა ემძლუარეის ყოველთა, და არცა მხოლოდ სამარადისოდ შედგომილთა მისდა თითოეულთა წესთა. და კუალად არცა მხოლოდ ოდესვე თანწყობლთა მისდა. ხოლო თუმცა ოდესვე თანწყობლთა ემძლუარეოდა მხოლოდ, ვითარცა იქმნა თანშერთვაჲ და ზიარებაჲ მათი საღმრთოჲსა სულისა მიმართ, ყოვლითურთ ერთი ერთისა განყოფილისა, არცა გონებისა მახლობელად მზიარებელთაჲსა, და უფროჲს ხოლო არცა ღმრთებრივთა რიცხუთაჲსა? ხოლო თუ სამარადისოდ შეერთებულთა მიმართ მხოლოდ, ვითარ მხოლოდ მათდა მიმართ ოდენ წარმოვლო სირამან? და თუ ესრეთ იყოს გონიერი აღმკული უკუანაჲსკნელ მებრ არსებით და უნაყოფო, და სრულ ქმნად სხუათა და აღყვანებად დასაბამთადმი ვერ შემძლე. ვინაჲ საპირვო არს, რაჲთა ყოველი სული საღმრთოჲ პირველად აღკრულ იყოს და მზიარებელ საყოველთაოჲსა და უსაღმრთოესისა სულისად, და მებრ გონიერებით მოქმედისა, და გონებათადმი აღმყვანისა ნაწილებითთა და საღმრთოთა გონებათაჲსა; და საშუელობითა ამათითა ნაწილებითთაცა ზიარებად საღმროჲსა გონებისადა შემძლეთა თჳს შორის დატევენად საღმრთოჲსა ცხოვრებისა. რამეთუ ნიადგ სამარადისოდ მზიარებელთა მიერ და ნაწილთა უმჯობესისა ხუედრისათა იქმნების ოდესმე მზიარებელთა სრულ ქმნაჲ. და კუალად უმეტეს სიმრავლითა რიცხვ ოდესმე მზიარებელთა სულთაჲ, ვიდრე სამარადისოდ შეყოფილთა საყოველთაოჲსა და სამარადისოდ

C 347

7 საღმრთოჲსა CEF.—9 ჯერ] ვერ D.—13. თანა მყოლთა H.—16 ერთი ერთისგან ყფილისა D.—22 საპირო EFH.—26 ნაწილებითაცა EH.

* თჳს 204. ჯერე ხუეგუაჲსკნელ სამარადისოდ ღმრთებრისა (ან ქვემოთ გვ. 123,4) აქლას AB სულთაწერებჳს.

** სთათჳს ნეგ მენის უღბანსაჲ უბერტუასჲ 204. თჳს მსუდეით. საღმრთო სწინა: იტყჳს, ვითარმედ სული საღმრთოჲ განაგებს ყოველთავეთა (ნაწილები) გმ. 207, 2).

ბელობასა შორის ჟამისასა იყო სხეულთა შორის. რამეთუ რომელსა ჟამითი დასაბამი არა ჰქონდის, არცა დასასრული ჰქონდის ოდესმე. და რომელსა არა ჰქონდის დასასრული, საჭირვო არს, რაჟთა არცა დასაბამი ოდესმე ჰქონდის. აკლს უკუე, რაჟთა თითოეული ჰყოფ-
 5 დეს გზაენასა აღსლვითსა ქმნისაგან და კუალად შთასლვითსა ქმნი-
 სადმი, და ესე იყოს დაუწყუედელ სამარადისობისათჳს ჟამისა. ვი-
 ნაჲცა თითოეულსა სულსა ნაწილებითსა ძალ უც დაულევენლად
 შთასლვაჲცა და აღსლვაჲცა. და ესე არა ყოველი ყოველთათჳს საე-
 ნო ქმნილ.

თ ა ვ ი 207

აზნაუზამგითისა სულისათჳს, რომელ არს სიტჳჳარი
სული *

ჰოვლისა ნაწილებითისა სულისა ეტლი მიუდრეკელისა მიზეზი-
 სა მიერ აღქმნილ არს. ხოლო თუ სამარადისოდ თანაღკრულ და შე-
 15 ბუნებებულ მკმარებელისა მისისა სულისადა, იყოს ვიდრემე უცვა-
 ლებელ არსებითა. რამეთუ მიუდრეკელისა მიზეზისა მიერ ხუდა მას
 გუამოვნებაჲ. რამეთუ მიდრეკადთა მიზეზთა მიერ აღქმნილი იქცეს
 ყოველი მებრ არსებით. არამედ ყოველსა სულსა სამარადისოჲ აქუს
 სხეული, პირველ მისდა მზიარებელი. ვინაჲცა ნაწილებითისაჲ სუ-
 20 ლისა ეტლი სამარადისო არს. რამეთუ მიზეზი მიუდრეკელისაგან A214b
 აქუს და ამისთჳს ზესთა ძეს აღმკულთაჲსა.

თ ა ვ ი 208

ჰოველი ნაწილებითისა სულისა ოქიმაჲ უსხეულო არს და განუ-
 წვალებელ მებრ არსებით და უვნებელ. ხოლო უკუეთუ მიუდრეკელი-
 25 სა მიზეზისა მიერ იწარმოა და აღიქმნა, და არს სამარადისო. უსხე-
 ულოჲ ვინაჲჲე აქუს გუამოვნებაჲ და უვნები. რამეთუ მევენნი მებრ
 არსებით იქცნენ, ხოლო ნივთებრივ ჰქონდის აღგებულებაჲ თჳსი. და
 ოდესმე სხუებრ და სხუებრ ყოფასა შორის და მიმდრეკთა მიზეზთა-
 და აღკრულ იყვნენ, ამისდჳს რომელ თანცვალებასა მიითუალვენ
 30 ყოვლებრივსა თანმიდრეკილნი დასაბამებრივთა თჳსთა მიზეზთადა.
 არამედ რომელ განუწვალებელ არიან, საუწყყო: რამეთუ ყოველი გან- A215a

2 არა ჰქონდეს F.—ოდენმე H.—3 ჰქონდეს F.—საჭირო EFH.—4 ჰქონდეს
 F.—5 აღსლვითისი A, აღსლვისა B, აღსაღლვითისა H.—14 თუ სამარადისოდ] თს
 მარადისად AB.—15 იყო AB.—18 სამარადისოდ AB.—24 არსებითი E.—30 ყო-
 ვლებრივთა AB.—თჳსთა] თჳთ D.

* ასეთი ზომიერად CK ხელთნაწერაჲსა.

წვალებადი ამით განიხრწნების, განიწვალოს რაჲ ყოვლობისაგან და განდგეს შედგმულებისაგან თვისისა. ხოლო თუ უცვალებელ მებრ არსებით და უვნებ, და განუწვალებელცა ვიდრემე იყოს.

თ ა ვ ი 209

5 შოველი ნაწილებითისა სულისა ოქიმაჲ შთაეალს უკუე დაძინებითა ნიეთთ-შორისთა საბლარდნელთა ქიტონთაჲთა, და კუალად თვს შეკრბების სული განყრითა ყოველთა ნიეთთ-შორისთაჲთა და თვისისა გუარისადმი აღრბენითა მსგავსად მკმარებელისა სულისა. რამეთუ შთამოვალს იგი მიღებითა უტყუთა ცხოველთაჲთა; არამედ

10 აღვალს, განყარნეს რაჲ თვსგნით ყოველნი ქმნის მიზეზნი ძალნი, რომელნი მიიხუნა შთამოსლვასა შორის, და წმიდა ქმნილი და გან-შიშულებული ყოველთა ესე ვითართა ძალთაგან, რაოდენნიცა კმსახურებენ საკმართა აღქმნისათა. რამეთუ თანშებუნებებულნი ოქიმაჲსა ჰგვანან ცხოველობათა მკმარებელთა სულთასა; და თან მიდრკებიან,

15 მიღრკენ რაჲ ყოველგან; და დაისახავენ თვს შორის გაგონებათა თვსთა მოქცევთასა, ოდესმე შთამოვრდომასა | და ქმნისადმი. თანში- A215E წამვასა, ხოლო ოდესმე განწმედასა და უსხეულოთა შორის ქცევასა. რამეთუ თანშეარსებობითა სულისაჲთა (ცხოველ იქმნებიან და არიან თანშებუნებებულ მათდა; და თან იცვალებიან ყოველებრივთა მოქმე-

20 დებათა მათთა და თან შეუდგან ყოვლითურთ. და იენებდენ რაჲ თან იენებენ; და განწმედენ რაჲ, მათ თანავე მიემთხუევიან პირველთა კუალად გებათა. და ყვანებულთა თან იყვანებიან მწადნი თვისისა სრულებისანი. რამეთუ ყოველი სრულ ქმნილი მიემთხუევის თვისსა, ყოვლობასა.

25 თ ა ვ ი 210

შოველსა სულისა ეტლსა თანშებუნებებულსა სამარადისოდ ერთი და იგივე ნაკუეთი და სიდიდე აქუს. ხოლო უფროჲს და უმცროჲს იხილვების და უმსგავსო ნაკუეთითა, სხუათა სხეულთა ოდესმე თანმიდებისა და ოდესმე განყრისა; თვს. ხოლო უკუეთუ მიუდრე- A216A

30 კელისა მიზეზისა მიერ აქუს არსებაჲ, საცნაურ უკუე, რომელ ნაკუეთიცა და სიდიდე მისი მიზეზისა მიერ თვისისა განსაზღვრებულ იყოს,

1 ამითა ACD.—3 იყო F.—6 ქიტონთაჲთა საბლარდნელთაჲ EH.—ქიტონთაჲთა <AB (F-ჲ აკა.იჲკა).—7 განყრისა AB.—8 თვისისად B.—13—14 აღქმნისათა —მკმარებელთა <AB.—13 თანშებუნებულნი F.—14 ცხოველობათა H.—15 დაისახვენ AB.—17 უსხეულოსა AB.—20 იენებენ AB.—21 პირველთა <E.—26 სულსა ABDE.

და ორნივე უცვალეებელ და უქცევ არიან. არამედ ზოგჯერ სხუებრი
იოცნების, და უფროჲს და უმცროჲს. სხუათა სხეულთა ნივთებრივ-
თა კავშირთაჲსა ზედმიდებული და ოდესმე აღებული. ეინაჲმე ესრე
და ოდესმე ესრე, და ესე ზომე და ესე ზომე აღჩნდების.

თ ა ვ ი 211

ჟოველი ნაწილებითი სული, შთამოსრული ქმნისადმი, ყოვლო-
ბით შთამოიარსებს. ხოლო თუ ჰგიეს რაჲვე და დარჩების სულისაჲ
შორის გონიერსა აღმკულსა, ცვალებადი უკუე ჰქონდის გაგონებაჲ
სამარადისოდ ანუ უცვალეებელი. ხოლო თუ უცვალეებელი ჰქონდის, ^{A216b}
¹⁰ იყოს გონებაჲ და არა ნაწილ სულთა. და იყოს სულ მახლობლო-
ბით მზიარე გონებისა. არამედ ესე შეუძლებელ. ხოლო თუ თანცვა-
ლებით ჰქონდის გაგონებაჲ, იყოს არსებაჲ მისი სამარადისოდ გამ-
გონისა და ოდესმე გამგონისა მიერ. არამედ ესეცა შეუძლებელ. რა-
¹⁵ მეთუ ესე გუარითა განყოფილ, ვითარ აღმოიჩინა. და ამას თანა
უჯეროცა, რამეთუ კიდოვნებითი და უმწუერვალესი სულთაჲ სამა-
რადისოდ არს სრულ. და არამცა იპყრობდა თვისთა უქუენაესთა
ძალთა და სრულ ჰყოფდა მათ. ეინაჲვე ყოველობაჲ უკუე სულისაჲ
იშთამოვებს.

6 ქმნისადმი] ნაქმნისადმი EH.—9 ჰქონდეს F.—12 ჰქონდეს F.—15 კიდოვ-
ნებითა AB.

ლექსიკონი

პირველი ტომისათვის

სამარადისო არს 4922. *τὸ δὲλ* მარადისობა 5520, სამარადისობა 3712, 1'819

δέψαος სამარადისოდ მედინი 9221.

δέζω, *αω* უცხოვლობით 11222; 11811. ცხოვლობისაგან დაკლებული 1185.

δέძვათოს უკუდავი 6518. *τὸ δέძვათον* უკუდავება 6527.

დებოც: *τήν ἐδέξασαν* შვერთებული 3717.

დებოც: *τήν ἐδέξασαν... ἀπὸ δὲν ἔχον καὶ... ἐστραστὸν* მოკმედებაცა... მყის...
წა-მოუხენია 3512. *δებოც* უმყისე 8728.

დბცივ სამარადი-ო 2724, 3327, 34.7, 11, 6513, 11627; *μῆ δέძω* არსამარადი-
სობა 348. *δέძვ* სამარადისობით 878.

დბცდრე სამარად-სობა 714, 5811, 12, 18.

აღძვანომა: *ἀποψανόμενος* გრძნობს რაჲ) 4532.

აღძვრტ გრძნობად 761, 9828, 10411, 11610, 18.

აღძვ მიხეზი 104, მიხეზოვობა 7218, მიხეზება 7222; *ἀγρία γίνεσθαι* უმიხეზებს
8728.

აღძვან *τὸ* მიხეზიანი 1128, 2728, 2827, 318, 336, 492.

აღძვან, *τὸ* მიხეზი 338; 5918; 8128; საკუთარი მიხეზი: *συναίτερον ἐστὶ μάλλον ἢ*
αἴτιον უეროვსლა თანმიხეზ ოყოს და არა საკუთარ მიხეზ 498.

აღძვივ მიხეზი 3521. *τὸ* *აღძვივრტ* მიხეზი 8020, უმიხეზესი 4527, 4622,
უმეტეს მიხეზი 9518, ზესთაობითი მიხეზი 462, პირველი მიხეზი 468; *πᾶς*
τῶν ἀνευτέρων ზენათა მიხეზთაგან 3828.

აღძვ, *ბ* საუკუნე 252, 5522; საუკუნო 3527, 361, 3718, 5518, 22.

აღძვივ მარად-მყოფა 3514, 22, სამარადმყოფა 358, 22, საუკუნო 6428, საუკუნო-
თი 3527, 361, საუკუნო-ს-გამოა 368, 18. *τὸ* *აღძვივ* საუკუნოობა 5518.
აღძვივ საუკუნოდ 11418, საუკუნესა შორის 10517.

დაძვან მიუწოდებელი 581.

დაძვირტ მიუღრეკელი 144, 4918, 788, 10120. *დაძვირტ* მიუღრეკელად 182,
231, 4, 28, 3514, 10428.

დაძვანრტ შეუპყრობელი 748.

დაძვირტ: *τὸ* *ἀρα* კიდურნი 2814, 18, 3925, 27, 8120, 908. *დაძვირტ* უმწუერვა-
ლესი 6828, 8420, 852, 18, მწუერვლობითი 6910; კიდოვნებითი და უმწუერვა-
ლესი 12618 *τὸ* *დაძვირტ* მწუერვალი 8928.

დაძვირტ კიდოვნება 6322. 908, 12018, ზესთ კიდოვნება 8922; *τὸ* *დაძვირტ*
τῶν ბხვანთა უმწუერვალესნი შემდგომიანი 8922.

დაძვირტ: *ἔχει τὸ* *τῆς ἀληθείας κατὰληπτικῶν* აქეს კეშმარიტებითი
მისაწუთა 7531. *κατ' ἀλήθειαν* უხადოდ 3018.

დაძვირტ უკეშმარიტესი 12322.

დაძვირტ მიუხეზებელი 748.

დაძვირტ არამედ 38, 5724, 11918, გარნა 4721, მგრა 501, 558, 5720, 5722, 652, ხოლო
1218.

დაძვირტ სხუაგან 10612, სხუად 158.

დაძვირტ სხუაგნით 1010, 1711, 6418, 11322.

დაძვირტ ურთიერთს ალლილუქია 5928.

დაძვირტ ურთი-ერთისგან 2010; ურთიერთისგან 248; *μὲν* *ἀλλήλων* ურთი-
ერთს 2814; *ἀλλήλων* ურთიერთს 58, 243.

დაძვირტ სხუებრ 7721, 1261.

დაძვირტ: *ἀλλοιοσθῆναι* სხუად შეცვალებად 5122; *ἀλλοιοσθῆναι*: *οἷμα* *μερι-*
ζομένων ἐκείνων, *οἷμα* *ἀλλοιοσθῆναι* არცა განიწვალებთან იგინი და არცა

შეიცვალე ბიან 78e.

ძღღოსთის შეცვალე 232a.

ძღღოს სხუა: ძღღო—ძღღო სხუა—სხუა 342a; ძღღა ძღღავ სხუა და სხუა საზე 871a; ძღღო ზ ძავიშ სხუა თვნიერ კეთილობა 94, 92a, 101a.

ძღღოს ხოგჯერ 126a; ძღღოს ძღღავ სხუებრ და სხუებრობა 871a, ოდესმე სხუებრ და სხუებრ 1242a.

ძღღოს უცხო 282, 872a, სხუა და უცხო 241a; ძღღოს რადეოს უცხოზე და სხუა 222a.

ძღღავ სხუებრ 1042. იხ. ძღღოს და ძღღოსე.

ძღღოს უტყვ: ძღღოსავ წადვ უტყუთა ცხოველთა 125a.

ძღღოს დაუესნელი 2727, 8017.

ძღღო: 1) *adv.* ერთბამ 1171a, ერთბამად 412, 164, 35a, 601a, ერთობით 352a, 361a; მწერათლ 8611. 2) *part.* ძღღო უბი ძავიშის პიტიბის რამეთუ განყოფასა თანა და უერთბამდე ბის წაომობა 272a.

ძღღოს უდილო 5414, 1022a, 1061a. რბ ძღღოსე უდილობა 1061a.

ძღღოს უზიარებელი 611a, 711a, არზიარებელი 9712, 30, არმეზიარე 981a, თანუზიარა 212a, 45a; უქონა 363, თანუქონა 36a, 4114, 1a, თანუქონებელი 352a; უმოქნა 222a; რბ ძღღოსე სხუა არზიარებლობითა 1091. ძღღოსე რბ უზიარებელ 6127; ძღღოსე რბ უზიარებელი მყოფი 9714.

ძღღოს განუწვალე ბელობა 542a, 5431, 592. განუნაწილებელობა 1052a, 1172a; განუნაწილებელობა და განუკრელობა 542a.

ძღღოს განუნაწილებელი 1511, 331a, 541a, უნაწილა 3314, 512a; განუკრელი და განუნაწილებელი 527.

ძღღოს განუწვალე ბელი 772, 80a, 1022a, განუნაწილებელი 402a, 417, 1022a. ძღღოსე რბ განუნაწილებელად 7617, 1062a.

ძღღოს უსაშუელო 291a. ძღღოსე რბ უსაშუელოდ 2514, 2912, 2912, 782a, 8127, 992, 1051a.

ძღღოს უცვალე ბელად 3514; ძღღოსე რბ სიჭის ძღღოსე რბ შეცვალე ბელი უკრე ბქონდის გავონება სამარადისოდ ანუ შეცვალე ბელი 126a.

ძღღოს უცვალე ბელი 77a, 77a, 10312, 1241a, 1252, 1261, შეუცვალე ბელი 491a, თანშეუცვალე ბელი 492a, 501; უკრე და უცვალე ბელი 10314.

ძღღოს უცვალე ბელად 761a.

ძღღოს უნაწილა 4712.

ძღღოს შემოუწერელი 7211.

ძღღოს შეუძლებელი: ძღღოსე რბ შეუძლებელ (არს) 81a.

ძღღოს შეურეველი 781a. რბ ძღღოსე რბ შეურეველობა 941a.

ძღღოს უზიარებელი 601a, 86a, თანუზიარებელი 742a. აღურეველი 871a; ძღღოსე რბ შეურეველად 9312.

ძღღოს უნაწილა 132a, 4711, 652a, 682a.

ძღღოსე რბ: *καταδέξασθαι* სხუა ძღღოსე რბ მითეს რავე მყოფობ.სა ქუალი და ნაბრწყინი 482a.

ძღღოსე რბ: ძღღოსე რბ ამრუმებს 8727; *μαρξίμωσαι* რბ ძღღოსე რბ სხუა განვალე ბელთა და უკრე ბის 594; *εξίσουσ* რბ ძღღოსე რბ რამეთუ მრუმე რა იქმენ იგინი 872a.

ძღღოსე რბ ორნივე, მრჩობლი: ძღღოსე რბ ორთავე 271a, ორთადავე 1141a, მრჩობლთა 2714, ძღღოსე რბ მრჩობლთაგან 96a; რბ ძღღოსე რბ

